სიმონ გოგიტიძე

# სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია

## (ძვ. წ. XII-IV სს.)

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა"
ბათუმი -2002

მონოგრაფიაში განხილულია ძვ. წ. XII-IV საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, კერძოდ, საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე ტერიტორია-ზე არსებულ უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა (დაიენი, კოლხა, უიტერუხი) და მათში შემავალი ოლქების (კულხახალი, ხუშანი, აბიანი, შერიაზი, დიდინი, ქადა, ხალდირიულხი, შაშქი, შეშეთი, ბალთულხი, კაბილუხი, არდარაკიხი, აშკალაში) ლოკ-ალიზაციის საკითხები. შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართ-ველოში მოსახლე ქართველ ტომთა ისტორია ძველი ბერძნული, რომაული და სხვა წყაროების მიხედვით. გამოთქმულია მოსაზრ-ებანი ზოგიერთი მათგანის ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნი-ლების შესახებ. ავტორი წარმოაჩენს, აგრეთვე, საკითხს ჭანების, შკიტინებისა და მათ მეზობელ ტომთა თუ თემთა სვანური წარ-მომავლობის შესახებ, შესაძლებლად მიიჩნევს ანტიკური წყაროების კიკნოსის დაკავშირებას ქობულეთის ფიჭვნართან, მატიუმ-მენტეს – ბათუმთან (თამარის ციხის მიდამოები), ასევე ტერმინების „კატარ-ზასა“ და „კლარჯეთის“, „მატიენებისა“ და „ტაოხების“, „ბიძე-რისა“ („ვიზარი“) და „აჭარას“ ურთიერთმიმართებას.

რედაქტორი – დავით ხახუტაიშვილი
საქართველოს მეცნ. აკად. წ/კ.,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: ამირან კახიძე – ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი
შოთა მამულაძე – ისტორიის მეცნ. დოქტორი

© ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“- 2002

# შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღება ექცევა მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიებზე განლაგებული უძველესი ცივილიზაციების შესწავლას. ინტერესი ამ საკითხისადმი ხეთურ-ლუვიური, ასურული და ურარტული იეროგლიფური და ლურსმნული ტექსტების გაშიფრვის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

ანატოლიის უკიდურეს აღმოსავლეთში (ვანის ტბის ირგვლივ) ძვ.წ. IX ს. შუა ხანებში ჩამოყალიბდა ხურიტული ტომების ძლიერი გაერთიანება — ურარტუს სამეფო; მისგან სამხრეთით არსებობდა ასურეთის სამეფო. ამ ქვეყნებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ ისტორიული სამხრეთი საქართველოს „ქვეყნებთან".

უძველესი ცნობები ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შესახებ მოგვეპოვება ძველაღმოსავლურ წყაროებში. ჭოროხის აუზის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე კონკრეტული ცნობები კი ასურულ და ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება. ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) წარწერებში მოხსენიებულია დაიაენი (დიაოხი-ტაოხი-ტაო), კილხი (კოლხა), მუშკები (მესხები) და მთა შეშე (ურარტული და ქართულ წყაროებში — შეშეთი — შავშეთი). მომდევნო ხანაში (განსაკუთრებით ურარტულ ეპიგრაფიკაში) მოგვეპოვება საკმაო მასალა ამ რეგიონების ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური ისტორიისა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კვლევისათვის.

ასურული და განსაკუთრებით ურარტული წყაროების გულდასმით შესწავლამ, წყაროების ანალიზის და მკვლევართა მიერ გაკეთებულმა დასკვნებმა მოგვცა საშუალება დაგვეზუსტებინა დაიაენ-დიაოხისა და მისი შემადგენელი ქვეყნების (დიდინი, ხუშალხი, ბიანი, ულთუზა, შაშქი, ხალდირიულხი, აშკალაში, შერიაზი...) და ზოგიერთი ქალაქის (უტუხაი, იდია, ზუა, ფუთე) ლოკალიზაცია და საზღვრები.

ძვ.წ. XII-VIII სს-ის ძველაღმოსავლურ წყაროებში დაცულია საინტერესო მასალა დაიაენ-დიაოხის მოსახლეობის ბრძოლების შესახებ ასურელი და ურარტელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანების მეფეები სიენი, ასია, უტუფურშინი, მაპუდები, ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ აგრესორებს. ძვ.წ. VIII ს. შუა ხანებში დიაოხი თავის არსებობას წყვეტს. მისი ტერიტორია ორი ძლიერი მეზობლის — ურარტუსა და კოლხას ფარგლებში ექცევა. დაიაენ-დიაოხი ძვ.წ. VI-V საუკუნის წყაროებში (ჰეკატეოსი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი) „მატიანესა" და „ტაოხის" ფორმით მოიხსენიება. მატიანების ტომის ეთნიკური კუთვნილებისა და ლოკალიზაციის განსაზღვრაში ძველაღმოსავლური და ანტიკური წყაროების გარდა ქართული წყაროების მონაცემები და ტერმინის ლინგვისტური ანალიზიც გვეხმარება.

საქართველოს თანამედროვე და ისტორიულ ტერიტორიაზე დაიაენის გაერთიანების თანადროულად არსებობდა, როგორც ჩანს, კულხას, უიტერუხისა და აფუნის გაერთიანებები, ქვეყნები: კადიანი, სირიმუთარა, იშტელუანი, თარიუნი, კურიანი, პუზუნია, ზაბახა, იგანი, კუარზანი, ქათარზა, ლუშა, ანიშტირგაე და მათი ქალაქები: ილდამუშა, უზინაბითარნა, ალკანია, ცუდალა და სხვა. ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმობა ამ ტოპონიმების ლოკალიზაციის, ქათარზასა და ქართული პროვინციის კლარჯეთის, თაბალების ტიბარენებთან და იბერებთან ურთიერთმიმართების საკითხებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კამათი დიდი ხანია მიმდინარეობს და დღესაც გრძელდება, ზოგიერთი ავტორი (განსაკუთრებით კი სომეხი მკვლევრები) ცდილობენ ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული ქვეყნებისა და ეთნონიმების ლოკალიზაცია შეგნებულად დასწიონ სამხრეთისაკენ და ისინი „დიდი სომხეთის" ფარგლებში მოაქციონ. ამ ქვეყანათა უმრავლესობა ქართველურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს, ბევრი მათგანის ლოკალიზაცია საეჭვოა, ბევრისაც, განუსაზღვრელი. ისინი, ჩვენი აზრით, ძირითადად საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე ტერიტორიაზე ექცევა.

ზემოთ მოხსენიებული ქვეყნებისა და გაერთიანებების ისტორიის შესწავლა აუცილებელია, აგრეთვე, ეროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრიობის 3-ათასწლოვანი ისტორიის აღნიშვნის პერიოდში. ამ პრობლემის შე-

სწავლის აუცილებლობას ქმნის ის საკითხიც, რომ თურქულ ისტორიულ ლიტერატურასა და პრესაში ტენდენციურად შუქდება საქართველოს იმ მხარის ისტორია, რომელიც დღეს თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული და ა.შ. ჩვენი აზრით, ზოგიერთი ამ საკითხის დადგენა-დაზუსტება ხელს შეუწყობს ქართველ მეცნიერებს ამ და მონათესავე პრობლემების უფრო ეფექტურად გაშუქებაში, ახლებურად დააყენებს საქართველოს უძველესი ისტორიის მრავალ საკითხს.

ურარტულ წყაროებში ძვ.წ. VIII ს. შუა ხანებში მოიხსენიება კულხას ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, მისი ერთ-ერთი ოლქი კულხახალი „სამეფო ქალაქ" ილდამუშათი. ილდამუშა-არტანუჯის იგივეობა და ისტორიულ გეოგრაფიული რეალიები საფუძველს ქმნის კოლხახალისა და მოგვიანო ხანის წყაროების კლარჯეთთან გაიგივებისათვის. ამ მიდამოებსა და საერთოდ დაიაენის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში ქათარზას ლოკალიზაციისათვისა და ამ უკანასკნელის კლარჯეთთან გაიგივებისათვის საფუძველი არ არსებობს. ასურელთა და ურარტელთა გაუთავებელმა ლაშქრობებმა, მომთაბარე ტომების ჩრდილოეთიდან შემოსევებმა საგრძნობლად შეცვალეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური რუკა, რომლებიც უძველეს ბერძნულ წყაროებში აისახა.

ძვ.წ. VI-III საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ორი ძლევამოსილი სამეფო — კოლხეთი (ეგრისი) და იბერია (ქართლი) არსებობდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ამავე პერიოდში, გამოჩნდა ქართველური მოდგმის ტომთა მთელი ჯგუფი — ბიძერები, ეკხირიელები (ხოიები), ბექირები, მაკრონები, მარები, ფილირები, დრილები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები (ჰომეროსის ჰალიძონები). ხმელეთს დაცილებული იყვნენ მოსხები (ძველაღმოსავლური წყაროების — მუშკები, მუშქინი), მატიენები (ტაოხები), სასპერები (იბერები), შკიტინები. მოგვიანებით აქვე ასპარეზზე გამოდიან ჭანები, ჰენიოხები, მაქერონები და ძიდრიტები. საყურადღებოა ზოგიერთი ამათგანის ლოკალიზაციისა და ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრის ჩვეულებრივი ცდები. განსაკუთრებით საინტერესოა ეკხირიელების ხოიებთან, მატიენების ტაოხებთან, ამაძონების ჰალიძონ-ხალიბებთან, ბიძერების ძიდრიტებთან, შკიტინების „მონათესავე" ტომის ჭანებთან შიმართება, ბექირების ლოკალიზაცია; შკიტინების, მოსინიკების, ჰენიოხებისა და

ჭანების ურთიერთმიმართების, ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხების ახლებური ინტერპრეტაცია. საყურადღებოა ამ უკანასკნელთა სვანური ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხის დასმაც. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ამ ეთნონიმების ტერიტორიაზე მითითებული ტოპონიმების, ორონიმების და თვით სატომო სახელწოდებათა ლინგვისტური ანალიზი. ანტიკური წყაროები საკმაო მასალებს იძლევა ქალაქ მენტეს (მადია? მატიუმი?), კიკნოსის ლოკალიზაციის, კოლხეთის სამეფოს სამხრეთი მიჯნების (ძვ.წ. VI-IV სს.) განსაზღვრისათვის და ა.შ.

ანტიკური და ქართული წყაროები, ლინგვისტური და არქეოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევს დავსვათ სატომო სახელ ბიძერ-ვიზარსა და ტერმინ „აჭარას" ურთიერთმიმართების საკითხი, განვსაზღვროთ ბიძერების ტომის ლოკალიზაცია. ჩვენი აზრით, მართებული არ უნდა იყოს აჭარის ტერიტორიის ჭანთა, ლაზთა, მოსინიკთა, ჰენიოხთა და სხვათა განსახლების არეალში შეყვანა. დასმული და შესწავლილი იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიული გეოგრაფიის სხვა საკითხებიც.

# წყაროები და ისტორიოგრაფია

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლაში მდიდარ არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს წერილობით, კერძოდ, ძველაღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებს, აგრეთვე, ქართულ, ძველსპარსულ, ძველსომხურ და ბიზანტიურ წყაროებს.

ძველაღმოსავლური წყაროები წარმოდგენილია ძირითადად ასურული და ურარტული წარწერებით. გასათვალისწინებელია აგრეთვე ხეთური წყაროების ცნობები ქართველური მოდგმის ტომებზე — ხალიბებსა (მდინარე Hulaijas, ქვეყანა Haliwa) და თაბალებზე, ქვეყანა კარნაზე.[1] ამავე წყაროებში გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყო სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთთან (მაგ: ქალაქი არიფსა, ტომი ლუისა (ლუშა?).[2] საყურადღებოა ბიბლიაში დაცული ცნობები მუშკებსა და თუბალებზე[3] და ლუვიური ტექსტის მუსქების მეფის ხართაფუს შესახებ.[4]

---

1 თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 122. მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის, მაცნე, სმაო, თბ., 1966, №3, გვ. 132-133, 135, 136; ნ. ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მელითონე ტომები ადრერკინის ხანაში, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის 1992 წ. ფონდები, გვ. 51.

2 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 170, შენ. 338; П.Н. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н. э., ВДИ, 1946, №2, с. 31.

3 ზ. კოსიდოვსკი. ბიბლიური თქმულებები, რუსულიდან თარგმნა ფ. ბერიძემ, თბ., 1975, გვ, 14; ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983, გვ. 47, 49.

4 ნ. ხაზარაძე. იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტები. — ძახიქ, თბ., 1990, გვ. 238. თუბალებისა და მუშკების შესახებ ვრცლად იხილეთ: ნ. ხაზარაძე. თუბალის ქვეყნ-

ასურეთის მეფეთა წარწერებში უკვე ძვ. წ. XII-XI საუკუნეებიდან მოყოლებული წარმოდგენილია საყურადღებო ცნობები ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და მომიჯნავე რეგიონებში არსებული დიდი გაერთიანებებისა და იქ მცხოვრები ტომების შესახებ. ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) მეფობის პერიოდში პირველად მოიხსენიებიან დაიაენი, კილხი და მუშქები.[5] მუშქები ასურულ წყაროებში შემდეგშიაც არაერთხელ ჩანან, მაგრამ დიდ ინტერესს იწვევს, თუ საიდან მოვიდნენ ისინი ძვ.წ. 1165 წელს ქათმუხის მიწა-წყალზე (ჩრდილოეთ ასურეთში) — სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან თუ პალისის აუზიდან.[6] გამოთქმულია მოსაზრება, რომ კილხი ურარტული წყაროების კულხას შეესატყვისება და წარმოადგენს ძველი კოლხური სამეფოს წინამორბედ გაერთიანებას.[7] კილხი (კოლხა) მოიცავდა დღევანდელი აჭარისა და ჭოროხის ქვემო წელის მიდამოებსაც.8 ასევე ასურული წყაროების დაიაენსაც მოეძებნა შესატყვისი ურარტული წყაროების დიაოხის სახით (აქვეა მოხსენებული დიაოხის გაერთიანებაში შემავალი 17 ქვეყანა სახელებით).[9] იშპუინის, მენუა I, არგიშთი I და სარდური II-ის მიერ დატოვებულ წარწერებში ხსენებულ დიდ გაერთიანებათა გარდა, საინტერესო ცნობებია დაცული ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში მოსახლე ტომთა და ქვეყანათა შესახებ.

---

ის ადგილმდებარეობისათვის. — ძის, თბ., 1970; მისივე: საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984; აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978; „მესხი" ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის. — სქაქტ, თბ., 1993, გვ. 21-40; К вопросу о расселении мосхов VI-V вв. до н. э. — აია, თბ., 1991.

5 И.М. Дьяконов. Ассиро-вавилонские источники по истории Урарту. — ВДИ, 1951, №2.

6 თ. მიქელაძე. მესხთა საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976; ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984.

7 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту. — ТБ.,1954, с. 27-28, 63.

8 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. ТБ., 1959, с. 217-218, იხ. თანდართული რუკაც.

9 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — სის, ტ. I, თბ., 1970, გვ. 358-391; ს. გოგიტიძე. დაიაენ-დიაოხი (ტერიტორია, საზღვრები), ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999, №12; მისივე, უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 2000, №5.

ძვ. წ. IX და VIII საუკუნეების წყაროებში ხშირადაა ნახსენები ჭართა ტომი (აქ მოიხსენიება უიტერუხი-ეიტერუხის ფორმით), რომელიც აჭარელთა წინაპარი უნდა იყოს. ურარტელებს მათი მიწა-წყალი არაერთხელ დაულაშქრავთ, საიდანაც წაუყვანიათ დიდძალი ტყვე და გაურეკიათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი, გაუძარცვავთ ქალაქები ურიეიუნი (ურაიანი) და ამეგუ [...]. პირველში 742 წლის ახლოს დამპყრობლებს ციხესიმაგრეც აუგიათ, სადაც მეფის ნაცვალი დაუტოვებიათ, როგორც უიტერუხის ქვეყნის მეთვალთვალე.[10] ურარტულ წყაროებში აღნიშნული ტომების გარდა ხშირად ფიგურირებენ მათი მეზობლები: იგანიეხი (ჰენიოხები), შეშეთი (შავშეთი), ლუშა (ლაზი?), ზაბახა (ჯავახი), ქათარზა (შესაძლებელია იყოს ქართული წყაროების კედარი და კლავდიოს პტოლემაიოსთან (ახ. წ. II ს.) დამოწმებული კითარიძონი. მკვლევართა გარკვეული ნაწილი მას კლარჯეთთან აიგივებს),[11] კუარზანი, შერიაზი, თარიუნი, იშტელუანი, სირიმუთარა და სხვ. ძველაღმოსავლური წყაროები გვეხმარება აღნიშნულ ტომთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გაშუქებაში. ამავე წყაროებში საკმაოდ მრავლად მოიპოვება მასალები (მეფეთა სახელები, სატომო სახელწოდებები, ქვეყანათა და ქალაქთა სახელები), რომლებიც საჭიროა ეთნოგენეზის საკითხის კვლევისას.[12]

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის გაშუქებისათვის უმთავრეს მასალებს მაინც ანტიკური (ბერძნულ-რომაული) წერილობითი ძეგლები წარმოადგენენ. მართალია, მათში ძირითადად ანტიკური ხანის მასალებია დაცული, მაგრამ ამა თუ იმ ავტორთან ხშირად ვხვდებით ადრინდელ ცნობებსაც. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია ძველი ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ. მასში ასახულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული კოლხური ტომების გაერთიან-

---

10 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო, ურარტული წყაროები. — ძახიქ. თბ., 1990, გვ. 269-295; მისივე: Урартские клинообразные надписи. М., 1960.

11 П.Н. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье... ВДИ. 1946, №2. იმოწმებს: Н.Я. Марр. Георгий Мерчуле. Житие Григория Хандзтийского, СПб., 1911, с. I-II, VI, XV, XVI, XIX, XXII.

12 ს. გოგიტიძე. ერის წარსულის ანარეკლები. „მეცნიერება", გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის გაზეთი, 1992, 1 სექტემბერი; მისივე. ლაიაენ-ლიაოხი (ტერიტორია, საზღვრები). „ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999. № 12, გვ. 143-150.

ების დიდება და ძლიერება. მითში გაშუქებულია ძვ.წ. 1260-იან წლებში რეალურად არსებული სურათი. ძვ.წ. IX საუკუნიდან მოყოლებული არგონავტების შესახებ თქმულების ცალკეული პერსონაჟების – კოლხეთის მეფის აიეტისა და მისი ოჯახის წევრების და სხვათა შესახებ ცნობებს ვხვდებით არაერთ წყაროში.[13] ეს თქმულება პოეტურად დაამუშავა ძვ.წ. III ს. ეპიკოსმა აპოლონიოს როდოსელმა.[14]

ბერძნულ მწერლობაში კოლხეთი („კოლხეთის მიწა“) პირველად მოიხსენიება ევმელოს კორინთელთან (ძვ.წ. VIII ს.), ხოლო მდინარე ფასისი – ჰესიოდესთან (ძვ.წ. VII ს.). აქ ფასისი დასახელებულია მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის.[15] მკვლევართა გარკვეული ნაწილი მას რიონთან აიგივებს.[16] ასევე არ გამოერიცხავთ მის კავშირს ჭოროხთან.[17]

სამხრეთ-აღმოსავლეთი პონტოსპირეთის ტომთა შესახებ ცნობები ბერძნულ მწერლობაში პირველად ჩნდება ჰეკატეოს მილეტელთან (549-472 წწ.). ხალიბების გარდა (მანამდე ესენი მოიხსენიებიან ჰომეროსთან ჰალიძონების ფორმით) დასახელებული არიან დიძერები, ტიბარენები (ასურული და ხეთური წყაროების თუბალი), მაკრონები, მარები, მოსინიკები, ხოიები (ეკხირიელები). აღნიშნულ ტომთა მიწა-წყალზე მოხსენიებულია რამდენიმე ქალაქი.[18] ეს რეგიონი კიდევ უფრო საინტერესოდაა წარმოდგენილი ფსევდოსკილაქს კარიანდელთან (ძვ.წ. IV ს.). ამასთან, გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილია ცალკეული ტომები, დასახელებულია მათ ტერიტორიაზე მდებარე მდინარეები და ქალაქები, რაც ამ ტომთა საცხოვრისის უფრო ზუსტი ლოკალიზაციის საშუალებას იძლევა. ჭართა ტომის მიწა-წყალზე, რომელიც კოლხეთის სამეფოში შევიდა ძვ.წ. VI საუკუნეში, ფსე-

---

13 В.В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. часть первая. греческие писатели. – ВДИ.1947, №1. с. 281-282, 288, 295, 297, 308-309, 315.

14 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი ა. გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა, თბ., 1975.

15 ა. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 21-23, 186 და შემდ.

16 О. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. ТБ., 1989, с. 219.

17 ძველი ბერძნული წყაროების მდ. „ფასისში“, ხშირად რომ მდ. ჭოროხი უნდა იგულისხმებოდეს ამის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

18 В.В. Латышев. Ук. соч., с. 298-301.

ევდოსკილაქსთან პირველად ჩნდება ორი მდინარე სახელით აფსარი და ყაჩაღთა წყალი, რომლებიც შესაბამისად ჭოროხთან და კინტრიშთან ან ყოროლისწყალთანაა გაიგივებული.[19] საკუთრივ ჭართა (ბიძერების) ქვეყნის ტერიტორიაზე დასახელებულია მდინარეები დარაანონი და არიანონი, ხოლო მათი მეზობლების სამხრეთისაკენ ეკხირიელების (რომაული წყაროების მაქერონები) მიწა- წყალზე კი — მდინარეები პორდანისი და არაბისი, ქალაქი ლიმნა და ელინური ქალაქი ოდინი.[20] ასევე საინტერესოა აღნიშნული წყაროების შედარება ჰელანიკე მიტილენელისა ძვ. წ. V ს.) და პალეფატე აბიდოსელის შრომებში დაცულ ცნობებთან. ისინი არათუ აზუსტებენ წინამორბედ მწერალთა მონაცემებს, არამედ ამატებენ ახალსაც, კიდევ უფრო ართულებენ ზოგიერთი ტომის საცხოვრისის (მაგ. მოსხების) განსაზღვრას. შავი ზღვის სანაპიროზე წარმოაჩენენ წყაროებში მანამდე მოუხსენებელ ტომს ქარიმატებს,[21] რომლებიც შესაძლებელია ეთნონიმ ქართის სახელწოდების ბერძნულ ვარიანტს წარმოადგენდეს.

ძვ. წ. VI-V სს. პოლიტიკური ისტორიის კვლევისას ძველბერძნულ წერილობით წყაროთა შორის გამოირჩევა ჰეროდოტეს (484-425 წწ.) შრომები. მის „ისტორიაში" ბევრი საყურადღებო ცნობებია შემონახული აღნიშნული რეგიონის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველური ტომების შესახებ, რომლებიც აქემენიან სპარსელთა მე-18 და მე-19 სატრაპიებში შედიოდნენ. მის თხზულებაში პირველად ჩნდება ისტორიული საქართველოს ორი დიდი პოლიტიკური ერთეული — კოლხეთისა და სასპერეთის (იბერია) სამეფოების სახით.[22]

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში მცხოვრები ქართველური ტომების შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის ქსენოფონტეს (435-355 წწ.) „ანაბასისი".[23] ქსენოფონტე სათავეში ედგა ბერძენთა დაქირავებულ 13-ათასიან ლაშქარს,

---

19 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 87.

20 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I, თბ., 1967, გვ. 82-83.

21 В. В. Латышев. Ук. Соч., с. 316.

22 ჰეროდოტე. ისტორია. ტ. I და ტ. II. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1975, 1976.

23 თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967.

რომელმაც მონაწილეობა მიიღო სპარსეთის სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში სპარსელი უფლისწულის კიროსის მხარეზე. ისინი ძვ.წ. 401 წელს კუნაქსიდან უკან იხევენ შავი ზღვის სანაპიროსაკენ, რათა აქედან გამგზავრებულიყვნენ სამშობლოში. მათ გაიარეს კარდუხების, ტაოხების, ქალდების, სკვითინების, დრილების, მაკრონების, კოლხების, მოსინიკების, ხალიბებისა და ტიბარენების მიწა-წყალზე. ქსენოფონტეს ცნობები რამდენადმე კონკრეტულია ამ ტომთა განსახლების არეალის დასადგენად, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ საკითხში საკმაოდ ბუნდოვანიც (მაგ. ხალიბების დასახელება არაქსის სათავეების შემდეგ, აღრევა ხალდებისა ხალიბებში). იგი აღწერს ბერძნულ ზღვისპირა და ადგილობრივი ტომების ქალაქებს, იძლევა ცნობებს ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის, ქონების, ზნე-ჩვეულებებისა და სპარსეთის მეფესთან მათი დამოკიდებულების შესახებ.

დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს.) ავტორია მსოფლიო ისტორიისა, რომელიც იწოდება „ბიბლიოთეკად“. მისი მნიშვნელობა დიდია, როგორც ამ მხარის, ისე მთლიანად საქართველოს ისტორიისათვის. თავისებური ვერსიის სახით არის გადმოცემული მასთან მითი არგონავტების შესახებ. დიოდორე ერთადერთია, ვინც კოლხთა სატახტო ქალაქად საბარისს ასახელებს. თუ საბარისის დაკავშირება ამავე სახელის მქონე სიმდიდრით განთქმულ იტალიის უძველეს ქალაქთან[24] სწორი არაა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ძველი კოლხეთის (კოლხა) სატახტო ქალაქია, სადღაც აჭარის ზღვისპირეთში. იგი ყურადღებას ამახვილებს კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობაზე, მათ წეს-ჩვეულებებზე და სხვა (ეტყობა ეს ცნობა ჰეროდოტედან აიღო). დიოდორე მოგვითხრობს აგრეთვე ბერძენი სარდლის ქსენოფონტეს მიერ ქართველი ტომებით დასახლებულ მიწაზე განვლილი გზის შესახებ.[25]

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შესწავლისათვის საინტერესო ცნობები დაუცავს ცნობილ ბერძენ გეოგრაფს — სტრაბონს (ძვ. წ. 64 — ახ. 24). მკვლევართა ვარაუდით ის კოლხეთშიც ყოფილა. იგი მოიხსენიებს და ახასიათებს რამდენიმე ქართველურ ტომს, რომლებიც აჭარის მკვიდრთა წინაპრების მეზობელ ტომებს

24 ა. ურუშაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 501. შენ. 26.

25 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, თბ., 1977, გვ. 89–103.

წარმოადგენდნენ სამხრეთისა თუ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ეს ტომებია: სისპირიტისი (უნდა გაიგივდეს სასპერებთან) „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობდნენ ტიბარენები, ხალდები („ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ“) და სანები („რომელთაც უწინ მაკრონებს უწოდებდნენ“), აქვეა მცირე არმენია. ამ ადგილების ახლოს ცხოვრობდნენ აპაიტები („უწინდელი კერკეტები“), ამათ ზემოთ არის მთები — სკიდისე, პარიადრე... მოსხური მთები, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ. ამ მთებში სახლობენ ტომები, რომლებიც სრულიად ველურები არიან და მათ შორის კიდევ ყველას ჰეფთაკომეტები აღემატებიან. ამათ სკიდისეს მწვერვალები უპყრიათ. ზოგიერთები ცხოვრობენ ხეებზე ან კოშკებში, ამიტომაა, რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებენ... აქ მოსახლე ბარბაროსთა შორის არიან ბიძერებიც. ამ მხარეში მიწათმოქმედებას დიდად არ მისდევენ (რადგან სანაპირო ვიწროა, ტყით დაფარული მთებია იქვე, რომლებიც მადნეულით არის სავსე). მეზღვაურები მებადურობით ირჩენენ თავს...“[26]

სტრაბონის ცნობით, მესხების ქვეყანა „მოსხიკე“ სამ ნაწილად იყო გაყოფილი მეზობელ სახელმწიფოთა მიერ. კოლხთა კუთვნილ ნაწილში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, რომელიც ჯერ ფარნაკეს, ხოლო მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული. ზოგიერთი მკვლევარი ამ ტაძარს აჭარის ტერიტორიაზე ათავსებს,[27] ზოგიც ვანს უკავშირებს.[28] ხოლო რაც შეეხება მოსხიკეს ქვეყანას, იგი მოიცავდა ტერიტორიას ჭოროხის აუზსა და მტკვარის ზემო წელს.[29] დ. მუსხელიშვილის აზრით, სტრაბონის დროს სპერი, ტაო და კოლა სომხეთს უჭირავს, შავშეთ-კლარჯეთი და აჭარა — კოლხეთს, ხოლო არტაან-ჯავახეთი და სამცხე — ქართლს.[30]

სტრაბონის გადმოცემით, ძვ.წ. 189 წლის მახლობლად სომხურ სამეფოებს იბერიისაგან და ქართველი ტომებისაგან წაურთმევი-

---

26 თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957; Страбон. География, в 17 книгах. Перевод, статья и коментарии Г.А. Стратановского, М., 1964, с. 515.

27 ა. იოსელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 12-13.

28 ო. ლორთქიფანიძე. რა საიდუმლოს ინახავს ვანი, ქუთაისი, 1984, გვ. 111-118.

29 ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, თავი II.

30 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 59.

ათ შემდეგი ოლქები: ხორძენა, გოგარენა, პარიადრის მთის კალთები, კარენიტიდა და დერძანი.[31]

სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ტომთა განსახლების არეალის ლოკალიზაციისათვის ცნობები აქვს დაცული ლათინ მწერალს პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.), თავის პირველ წიგნში.[32] იგი ჰალისის ზღვასთან შეერთების მიდამოებიდან აღმოსავლეთისაკენ თანმიმდევრობით ასახელებს ქართველური წარმომავლობის ტომებს: ხალიბებს, ტაბერანებს, მოსინიკებს, მაკროკეფალებს, ბექირებს, ბუქსერებსა და კოლხებს. თითქმის ასეთივე ცნობები აქვთ დაცული მის მომდევნო ეპოქაში მოღვაწე არაერთ რომაელ ავტორს. ეტყობა მათი ცნობები ხშირ შემთხვევაში ძველის გამეორებას წარმოადგენდნენ. ეს მწერლებია: ნიკიფორ ბლემიდი (II ს.), ჰელიუს ჰეროდიანი (გრამატიკოს აპოლონ დისკოლას შვილი, დაახლოებით II ს.), დიონისიოსი (იმპერატორების დომიციანესა და ადრიანეს თანამედროვე), იპოლიტე პორტიელი (III ს.), ამიანუს მარცელინუსი (IV ს.), პრისციანი (V ს.-ის მეორე ნახ. — VI ს.-ის დასაწყისი).

პომპონიუს მელასთან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დასახელებულია ქალაქი კიკნოსი (Cycnym). იგი გაიგივებულია პლინიუს უფროსის კიგნთან (Cygnym). ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით კიგნი მითოლოგიური ხასიათის მატარებელია და შეიძლება გაიგივდეს კოლხეთის რომელიღაც ქალაქთან, რომელიც ცნობილია სულ სხვა სახელით. ოთ. ლორთქიფანიძე მას ფსევდოსკილაქსის გიენოსთან (ოჩამჩირე) აიგივებს.* ასეთ შეხედულებას

---

31 Страбон. География. — ВДИ, 1947, №4, с. 232; ამ ოლქების ლოკალიზაციისათვის იხ. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 55, 56, 58-59; მისივე: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 49 შენ. Основные вопросы исторической географии Грузии. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975, გვ. 13, 22-24; Из исторической географии Восточной Грузии (Шаки и Гогарена), ТБ., 1982; Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, с.13-14, 395; Я.А. Манандян. Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду. — ВДИ, 1940, №3-4, с. 89-100; გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 95, 97, 98, 105; ა. ბოგვერაძე. გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის გაგებისათვის. — აიპ, თბ., 1991, გვ. 186-190;

32 В.В. Латышев. СК. ВДИ, 1949, №1, с. 273.

* ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 54-55, შენ. 6.

არ იზიარებენ მ. ინაძე და ა. კახიძე.[33] ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ კიკნოსი, ქობულეთთან მიკვლეული ანტიკური ხანის ნამოსახლარის ფიჭვნარის სახელის რომაული მიმსგავსება უნდა იყოს.[34] ეს შეხედულება გაზიარებულია ჩვენს მიერაც.[35]

სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის გეოგრაფიულად შესწავლის საქმეში საინტერესო და ამავე დროს კონკრეტული მასალები დაუცავთ ახ.წ. I-II საუკუნეების რომაელ მწერლებს პლინიუსს (23-79 წწ.), ფლავიუს არიანეს (95-175 წწ.) და კლავდიოს პტოლემაიოსს (100-178 წწ.). მათგან პლინიუსმა და ფლავიუს არიანემ იმოგზაურეს ამ მხარეში და პირადად მოინახულეს მრავალი პუნქტი. 78 წელს აფსაროსთან მდგომი პლინიუსი გვაწვდის ასეთ ცნობას: „140 000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრეუტები, ლაზები. მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი, კოლხთა ტომებია აქ. ქალაქი მატიუმი. მდინარე ჰერაკლეუმი, იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახელოვანესი პონტოს მდინარეთაგან — ფასისი".[36] ამ მონაცემებში პირველად ჩნდება მდინარე, რომლის სახელია აკამფსისი, ზოგიერთი მკვლევარი მას შეცდომით აფსაროსის (ჭოროხის) დელტის ერთ-ერთ ტოტად მიიჩნევს. მოგროსი — სუფსაა, ისისი — ნატანები, ბათისი — ყოროლისწყალი ან ბარცხანის წყალი.[37] პლინიუსი ერთადერთია, რომელიც ასახელებს ქალაქს სახელით — მატიუმი (ბათუმი?) და ტომს — ამპრეუტებს. ეს უკანასკნელი პლინიუსის მიერ ძველი წყაროებით სარგებლობისას მოხსენიებულ ბუქსერებს, იგივე ბიძერებს შეესაბამება. ამპრეუტი — ბუქსერი აჭარები — ოჭარების სახენაცვალი ფორმები უნდა იყოს.[38] საინტე-

33 М. Н. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, с. 124, коммент., 85.

34 ა. კახიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში, 1979, სადოქტორო დისერტაცია.

35 ს. გოგიტიძე. ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის სახელწოდებისათვის, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, № 10, გვ. 122-125.

36 ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXXI, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ. თბ., 1973, გვ. 31.

37 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 98.

38 ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, № 1.

რესია აღნიშნის, რომ ზოგიერთი მკვლევარი ძვ.წ. IV ს. მოღვაწე არისტოტელეს „მეტეოროლოგიაში" მოხსენიებულ პონტოს „ბათეას" ბათუმის პირველ ცნობად მიიჩნევს და მას პლინიუსის „ბათიეასთან" და „მატიუმთან" აიგივებს.[39] ასეთი დაკავშირება სათუოდ გვეჩვენება.[40] ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით კი, პლინიუსის მატიუმი პტოლემაიოსის მადიასთან უნდა გაიგივდეს.[41] მიგვაჩნია, რომ ევსები კესარიელთან (260-340 წწ.) დასახელებული კოლხური ქალაქი „მენტე" იგივეა, რაც პლინიუსის მატიუმი.[42] ზოგი მკვლევარი ბათუმსვე უკავშირებს „ტაბულა პევტინგერიანას" „პორტუს ალტუს".[43] თუმცა იყო ცდა ამ უკანასკნელის ფიჭვნართან გაიგივებისა.[44] არაა გამორიცხული, რომ სტეფანე ბიზანტიელთან (ახ. წ. VI ს.) დასახელებული „ბიძერების ნავსადგური" (ე.ი. ჭართა ტომის ქალაქი) ბათუმს შეეფარდებოდეს.

ფლავიუს არიანემ, ადრიანე იმპერატორის მცირეაზიელმა მოხელემ იმპერატორის დავალებით 131 წელს იმოგზაურა შავიზღვისპირეთის გარშემო და დაგვიტოვა მეტად საყურადღებო, სანდო და ამავე დროს კონკრეტული ცნობები. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ასახელებს ქალაქებს ტრაპეზუნტს, ჰისოსს (სურმენე), ათინას (ფაზარი), აფსაროსს (გონიო თუ სარფი), ფაზისს (ფოთი) და მდინარეებს ჰისოსს, რიზიოსს (რიზე), პრიტანისს (ფორტუნ-სუ), არქაბეს (არხავე), აკამფსისს (ჭოროხი), ისისს (ნატანები), მოგროსს (სუფსა) და სხვა. იძლევა ამ მდინარეების ზღვასთან შესართავების ერთმანეთისაგან დაშორების მანძილს. არიანეს გადმოცემით აფსარო-

---

39 თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის ისტორიისათვის. — სდსძ, XVI, თბ., 1987, გვ. 109-111.

40 ს. გოგიტიძე. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999, №6.

41 Н.Ю. Ломоури. Из исторической географии древней Колхиды. — ВДИ, 1957, №4, с. 108. Клавдий Птоломей. Географическое руководство. — ВДИ, 1948, №2, с. 251 и ком.

42 ს. გოგიტიძე. ევსები კესარიელის ერთი ცნობის შესახებ, გაზ. „ბათუმი", 1998, 28 თებერვალი.

43 ს. ყაუხჩიშვილი. ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951, გვ. 17-23.

44 ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 82-83.

სში რომაელთა 5 კოჰორტა (დაახლ. 3000 ჯარისკაცი) მდგარა.[45] პირველად ჩანს ჭოროხის შესართავის მიდამოებში ტომი ძიდრიტები (ბიძერებთან უნდა გაიგივდეს), რომლებიც ფარსმან მეფის (იბერიის მეფე ფარსმან II) ქვეშევრდომნი ყოფილან. ძიდრიტების ტერიტორია არ შედიოდა რომის იმპერიაში,[46] თუ პლინიუსის ჭოროხის შესართავთან მოსვლის დროისათვის იბერია ახლოს იყო მისული შავ ზღვასთან (ჭოროხის შესართავის რაიონში), არიანეს დროისათვის იგი ზღვის სანაპიროზე ჩანს გამოჭრილი[47] და ეტყობა ისტორიული აჭარის მიწა-წყალი („ნისტის თავიდან ზღვამდე") მთლიანად იბერიის სამეფოში შედის. ამ ტომის მეზობლად, ჩრდილოეთისაკენ ყოფილა ლაზიკა, სამხრეთისაკენ მახერონებისა და ჰენიოხების სამეფო. მკვლევართა ნაწილი მახერონებს (მექერონები) მაკრონებთან აკავშირებს და „ეგრ" ფუძემდე დაჰყავთ ეს სახელწოდება,[48] რაც არ უნდა იყოს სწორი.

კლავდიოს პტოლემაიოსი სახელგანთქმული ალექსანდრიელი მოღვაწეა, რომელმაც შემოიღო გეოგრაფიული კოორდინატების — გრძედისა და განედის დადგენა. თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს ქალაქებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ: სებასტოპოლს, სიგანეონს, ნეაპოლისს, აიას, ფაზისს, მადიას, აფსოროსს, ქსილინეს, მორთულას, ათენს, რიზიუსისსა და სხვებს; სანაპირო ზოლის სიღრმეში ძაღრისს. პტოლემაიოსი იძლევა აგრეთვე საინტერესო მასალებს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს გეოგრაფიისათვის.[49]

არგონავტების თქმულების აიას ქვეყნის (კოლხეთის) ჭოროხის აუზთან ურთიერთობის საკითხის გარკვევაში სტრაბონსა და არიანესთან დაცული ცნობების გარდა, დაგვეხმარება ცნობები, რომლებიც შემოუნახავთ პუბლი ნასონს (48-13 წწ.), პლინიუს უმცროსს

45 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961.

46 ნ. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975, გვ.13-14; D. Braund. Georgia in Antiquity. Oxford, 1994. p. 180.

47 ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 9-10.

48 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 77, შენ. 2, 204, შენ. 2.

49 კლავდიოს პტოლემაიოსი. გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები ნ. ლომოურისა. — მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 42-63.

(61-113წწ.), ზენობის (იმპერატორ ადრიანეს თანამედროვე), ევსები კესარიელს (280-340 წწ.), ფსევდო-ორფეისა (IV ს.) და სხვებს.

ბერძენი უსახელო ავტორი (V ს.) ძირითადში არიანეს თხზულებაში დაცულ ცნობებს იმეორებს. მიუხედავად ამისა, მაინც გაანია საყურადღებო მასალები სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეთნიკური ჯგუფების ლოკალიზაციის განსაზღვრისათვის. მისი ცნობით, „მდინარე არქაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდა ტომი ეკქეირიებად წოდებული (ახლა ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები). მდინარე აფსაროსიდან მდინარე არქაბისამდე წინათ ცხოვრობდნენ ე.წ. ბიძერები (ახლა კი ცხოვრობენ ძიდრიტები)".[50] მეორე ცნობის თანახმად, ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და შემდეგ მდინარე აქეუნტამდე ძველად მოსახლეობდნენ ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ახლა კი — ზიხები.[51]

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძველი ისტორიის კვლევისას გასათვალისწინებელია აგრეთვე აქემენიანთა დინასტიის დროინდელი სპარსული წყაროები. დარიოს I და მისი მემკვიდრის ქსერქსეს მიერ დატოვებული წარწერები საინტერესოა იმით, რომ იქ არ მოიხსენიება ის ქართველური ტომები, რომლებიც ჰეროდოტეს ცნობით შედიოდნენ სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიაში.[52] იმ ქვეყანათაგან, რომლებიც მოიხსენიებიან ამ წარწერებში, გეოგრაფიულად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ყველაზე ახლოა კაპადოკია და არმენია („არმინა"). იბადება კითხვა მე-18 სატრაპიაში შემავალი ქართველური ტომები არმენიაში, ხოლო მე-19 სატრაპიაში შემავალნი — კაპადოკიაში ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ?

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძველი ისტორიისა და გეოგრაფიის გასაშუქებლად გარკვეულ მასალას გვაწვდიან აგრეთვე ძველი სომხური წყაროები. მართალია, ეს წყაროები განეკუთვნებიან შედარებით გვიანდელ ხანას (V-XIII სს.), მაგრამ იქ მაინც მოიპოვება ზოგიერთი საინტერესო ცნობა. მოვსეს ხორენაცთან (V ს.) დასახელებულია ლაზიკა, პონტო, ჭანეთი, ხალდია და

50 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 85.

51 В. В. Латышев. СК. ВДИ. 1948, №4, с. 232.

52 Л. Ельницкий. Новая надпись Ксеркса. ВДИ, №2, с. 168-172; В.В. Струве. Датировка Бехистунской надписи. ВДИ, 1952, №1, с. 42.

სხვა.[53] ხორენაცი მოგვითხრობს ნაბუქოდონოსორისა და ალექსანდრე მაკედონელის ვერიელებთან (სასპერებთან, იბერებთან) ურთიერთობაზე, მცირე აზიისა და კავკასიის ისტორიაზე უძველესი ხანიდან მოყოლებული ავტორის მოღვაწეობის ხანამდე.[54] მხითარ აირივანეცთან დაცულია „ბიბლიისა" თუ ძველი ბერძნულ-რომაული წყაროების ცნობა თობელის მელითონეობის შესახებ. მოხსენიებულია ქართველ ტომთა ბინადრობის ზოგიერთი მხარე (სპერი, ხალდია, ქართლი, სანეთი). აქვე ქართლის მეფე ფარნავაზი ძვ. წ. VI ს. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის გვერდით, ერთ (VI ს.) ქრონოლოგიურ ხაზზეა დასახელებული.[55] გასათვალისწინებელია აგრეთვე ანანია შირაკაცის გეოგრაფიული მონაცემებიც. მას გამოყენებული აქვს საკმაოდ ძველი დროის წყაროები. საინტერესოა, რომ მასთან პირველად ჩნდება იბერიული პროვინციის სახელწოდება „აჭარა",[56] რომელიც უეჭველია მანამდეც უნდა არსებულიყო. აქვეა დასახელებული ქართლის სხვა პროვინციები: შავშეთი, კლარჯეთი, ჯავახეთი, სამცხე და ა.შ.

წარმართული ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, როგორც ისტორიულ, ისე გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს შეიცავენ ბიზანტიური წყაროებიც. მათვე შემოუნახავთ აჭარისა და მის მახლობლად განლაგებულ რეგიონებში ქრისტეს პირველ მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ ცნობები.

VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აფსარუნტს ახასიათებს, როგორც დიდი წარსულის ქალაქს და გვამცნობს, რომ აქ მარხია აფსირტე (ასეთი ცნობა პირველად არიანესთან გვხვდება). აფსარუნტი ძველად ხალხმრავალი ქალაქი ყოფილა თეატრით, ჰიპოდრომით და სხვა ნაგებობებით.[57] ამავე ავტორს დაუცავს მასალები სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაზე. მისი ცნობით, რიზე-პეტრას შორის „ერთი თვითმყოფადი ხალხი" მოსახლეობს. პეტრა ლაზიკის სამხრეთი საზღვარია. აქვეა სოფლები ათინა, არქაბე და აფსარუ. ნიშანდო-

---

53 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984.

54 История Армении Моисея Хоренского, под редакцией Г. Халатьянца, Москва, 1893.

55 მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია, თბ., 1990.

56 Армянская география VII в. К. Патканова, СПб., 1877, с. 39.

57 გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 123-124.

ბლივია, ამ „ქვეყანაში" აჭარაც იგულისხმება. ამავე ავტორთან მესხებისა და ჭანების ადგილსაცხოვრისისა და სამეურნეო ყოფის ამსახველი ცნობებიცაა დაცული. ჭანები მოსახლეობენ ბოას-აკამფსისის (ჭოროხი) სათავის მიდამოებში (დასავლეთით).[58] ჭანების სამოსახლოს შესახებ მსგავსი ცნობები გააჩნია მეორე ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათიასაც (ახ. წ. VI ს.).[59] მაშასადამე, ცდებიან ისინი, ვინც საკუთრივ ჭანებს ანტიკურ ხანაში ტრაპეზუნტ-აფსარს შორის მდებარე ზღვისპირა ზოლში ათავსებენ.[60]

პასქალური ქრონიკის ავტორი (VII ს.), ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (VIII ს.), ნიკიტა პაფლაგონიელი (IX ს.), ბასილ კეისარი (970-1025) მოგვითხრობენ ქრისტიანობის გავრცელების შესახებ შავი ზღვის სანაპიროზე. ისინი იმოწმებენ ანტიკურ ავტორებს — კლემენტი რომაელს, დოროთეოს ტვიროლს, სოფრონს, ეპიფანე კვიპრელს, ევაგრე სიცილიელს და სხვებს.[61] მათი სიტყვით, ანდრია პირველწოდებულს, მატათასა და სიმონ კანანელს გაუვრცელებიათ ქრისტიანული სარწმუნოება მდინარეების ფაზისისა და აფსარის მიდამოებში იქ, სადაც არის დიდი სებასტოპოლი, აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰისოსის ნავსადგური.[62] ზოგი ცნობის მიხედვით, მატათა გარდაცვლილა და დაუმარხიათ აფსაროსში, ისევე როგორც სიმონ კანანელი ნიკოფსიაში.[63]

აჭარისა და მისი მეზობელი რეგიონების ისტორიის კვლევისას უცხოურის გვერდით საინტერესოა ქართული წყაროები. კერძოდ, ლეონტი მროველის, ჯუანშერისა და ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა" კომისიის თხზულებანი.

ქართველი ხალხის წარსულის შესახებ ცნობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ლეონტი მროველი (XI ს.). იგი თავის ნაშ-

---

58 გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 122.

59 ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, III, ტფ., 1936, გვ. 181.

60 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, с. 61-62.

61 ს. გოგიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, ბათუმი, 1997, გვ. 6-9.

62 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 10, 57-59; ს. გოგიტიძე. ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნ. „ჭოროხი", 1990, №4, გვ. 70-80; მისივე. ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში, გაზ. „საბჭოთა აჭარა", გვ.1990, 8 დეკემბერი.

63 В. Василевский. Хождение Апостола Андрея в стране мирмидонян, труды, т. II, вып. I, СПБ., 1909, с. 227; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 224, 226; ს. გოგიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, გვ. 7-11.

რომში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა" მოგვითხრობს ქართველი ხალხის ისტორიას უძველესი ხანიდან ახ.წ. V საუკუნემდე. მართალია, ლეონტი მროველის მონათხრობში ბევრი რამ ბუნდოვანია, ზღაპრული და იქნებ მოგონილიც, მაგრამ მასში მაინც მოიპოვება ჩვენი კვლევისათვის აუცილებელი მასალები. „მეფეთა ცხოვრებაში"[64] საინტერესოდაა წარმოდგენილი ჯავახოსისა და ოძრხოსის მიერ ისტორიული საქართველოს გაყოფა, რომელსაც მოსდევს ხაზართა შემოსევა. ამ უკანასკნელში მკვლევარები კიმერიელებსა და სკვითებს ხედავენ,[65] რომლებიც ამიერკავკასიასა და წინა აზიაში შემოიჭრნენ ძვ.წ. VIII ს. 20-იან წლებში თუ მომდევნო ხანაში. ამიტომ უფლოსის, ჯავახოსისა და ოძრხოსის პირველობაზე ქართველ ტომებს შორის, ურარტუს ძლიერების ხანის უკანასკნელი პერიოდი უნდა იგულისხმებოდეს.[66] ამ ცნობებს მოეპოვება პარალელები ურარტულ წყაროებში აფუნის,[67] ზაბახასა და უიტერუხის[68] სახით. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, თუ რომელი გზით (დარუბანდისა თუ დარიალის) შემოიჭრნენ ჩრდილოელი ტომები წინა აზიაში. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმის დასადგენად, თუ რომელი მხარე მოექცა თავდაპირველად მათი ძლიერი დარტყმის არეში. შემდეგ მროველი ისტორიული ქრონოლოგიური რიგის დაცვით მოგვითხრობს სპარსელთა გაძლიერებაზე, ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლაზე, რომელსაც ოძრხოს (ჭარების) ქვეყნის მთავარი ცენტრებიდან დაულაშქრავს ოძრხე, ხოლო თუხარისს არ შებრძოლებია, რადგან მისი აღების იმედი არ ჰქონია.[69]

---

64 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.

65 მ. ჯანაშვილი. საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1984, გვ. 3; საქართველოს ისტორია, თავადის ს. ბარათაშვილისა. ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ, ქუთაისი, 1895, გვ. 22, А.И. Болтунова. Возникновение классового общества и государственной власти в Иберии. — ВДИ. 1956. №2. с. 34.

66 ს. გოგიტიძე. ერის წარსულის ანარეკლები, გაზ. „მეცნიერება", №1, №2, 1992, 1 და 10 სექტემბერი; მისივე. ასურულ-ურარტული ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ (ძვ. წ. IX ს.-VIII ს. შუა ხანები), ნაშრომი მოხსენდა XXI რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიას (იხ. მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, 1993).

67 ს. გოგიტიძე. ურარტული წყაროების აფუნის ქვეყნის ლოკალიზაცია და ეთნიკური შემადგენლობა, ხელნაწერი.

68 Г.А. Меликишвили. К истории... с. 113, 177, 210, 212, 366.

69 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 18.

საინტერესოდაა აღწერილი ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის, ფარნავაზის გამეფება. ლეონტი მროველის ცნობების გათვალისწინებით ფარნავაზი ძვ.წ. IV ს-ის დასასრულისა და III საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. ფარნავაზს დაუნიშნავს ოძრხეს ერისთავი, რომლის საგამგებლოში შედიოდა სამცხე და აჭარა: „გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა."[70] ვფიქრობთ ამ ცნობაში ოძრუხის ძლიერების ხანაა ასახული, როცა მას ეჭირა აღნიშნული ტერიტორიები (და არა მარტო სამცხე და აჭარა) მესხების მცირე აზიიდან შემოსვლამდე და ჭართა მიწა-წყლის აღმოსავლეთ ნაწილში დასახლებამდე (ძვ.წ. VII ს.). „ფარნავაზიანის" ავტორის ცნობით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართლის იმავე მეფეს დაუარსებია წუნდისა და კლარჯეთის საერისთავოები.[71]

„ქართლის ცხოვრებას" შემოუნახავს ცნობები სომხეთში ერვანდიანთა დინასტიის დაცემისა და არტაშესიანების გაბატონებისა, ქართველთა და სომეხთა შორის ბრძოლების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობდა ოძრხევის, ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიებზე.[72] ქართველთა და სომეხთა ამ ურთიერთობის შესახებ ცნობას მოვსეს ხორანაციც გვაწვდის.[73] ქართლის მეფის ამაზასპის (ახ.წ. III ს. 50-60-იანი წწ.) ზეობის პერიოდში ქართლი კვლავ დაყოფილია ოძრხის, კლარჯეთის, წუნდის, ხუნანის, სამშვილდისა და კახეთის საერისთავოებად. როგორც ჩანს დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე ქართლს ემორჩილებიან „ორნი ერისთავნი ეგრისისანი".[74] დასავლეთის ერისთავები ამაზასპისაგან განდგომას ახერხებენ, მაგრამ ისინი მეფე მირიანის (307-361 წწ.) მოღვაწეობის პერიოდში კვლავ ქართლის სამეფოში ჩანან. ამ დროს ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ჩანს ჰერეთი, ისევე როგორც საერისთავო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში.[75] მირიან მეფის მემკვიდრეების დროს ქართლი ისევ იყოფა ორი დიდი იმპერიის

---

70 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24; იხ. ს. გოგიტიძე. აჭარა მესუთე საუკუნეში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, №7, გვ. 98, 105.

71 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24.

72 იქვე, გვ. 45-49.

73 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 144-145.

74 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 57.

75 იქვე, გვ. 64-67, 185.

(ირანი, ბიზანტია) გაელენის სფეროებში. რომაელთა კუთვნილ ქართლში (საურმაგის სამეფოში – ს.გ.) შემოდიოდა „ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე“[76] და როგორც ჩანს „ხევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა“.[77] „მეფეთა ამბავის“ ცნობათა რეალურობაში გვარწმუნებს ამიანუს მარცელინუსი (IV ს.). რომაელი ავტორი ამ ურთიერთობათა შესახებ გვაწვდის დამატებით ცნობებსაც.[78] ამ ცნობათა განხილვის საფუძველზე ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ვარაზ-ბაქარისაგან განდგომილ ქართლში წუნდის, ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოები უნდა იგულისხმებოდეს. აღნიშნული ტერიტორიების ქართველთა მიერ ბიზანტიელებისაგან განთავისუფლებაზე მოგვითხრობს მეორე ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი (VIII-IX ს. დასაწყისი).

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალი სპარსელთა დახმარებით ათავისუფლებს ბიზანტიელებისაგან მიტაცებულ ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთის ოლქებს. მათ შორის შეთანხმების საფუძველზე ქართლის მეფემ მიიღო: „ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღუითგან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა.“[79] ასე, რომ გორგასალმა ისევ აღადგინა ისტორიული ქართლის საზღვრები. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ მეფემ გარდაცვალების წინ (502 წ. დასასრული) ქართლის სამეფოშივე წუნდის, ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოების ხარჯზე შეიქმნა სამთავროს ტიპის ერთეული და როგორც ჩანს, ეს ქვეყანა იგულისხმება პროკოპი კესარიელის „ერთი თვითმყოფადი ტომის“ ტერიტორიაში და რომლის დასავლეთი ნაწილი რიზესა და პეტრას შორის ზღვისპირა ზოლს გაჰყვებოდა. იგი დაუქვემდებარა ბერძენი ცოლისაგან ნაშობ შვილებს.[80] „სწავლულ კაცთა“ კომისიას შემოუნახავს საინტერესო ცნობები აჭარასა და მის მეზობელ ოლქებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. ამ

---

76 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 137.

77 ს. გოგიტიძე. აჭარა მესუთე საუკუნეში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1998, №7, გვ. 98.

78 ამიანუს მარცელინუსი. XXVII, 12, 1 და შემდ.

79 ს. გოგიტიძე. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., 1998, გვ. 50, 64.

80 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 203-204.

წყაროების მიხედვით, ანდრია პირველწოდებული ტრაპიზონიდან წამოსულა და „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა". აქედან ანდრია სამცხეში გადასულა.[81] ლეონტი მროველის ცნობით კი იგი ეგრისიდან კლარჯეთში გადავიდა.[82]

ასეთია ის ძირითადი წერილობითი წყაროები, რომლებიც გვეხმარება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძველი ისტორიის (ძვ.წ. XII-IV სს.) პრობლემების გაშუქებაში.

81 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 39-42; ის. აგრეთვე ს. გოგიტიძე. ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნ. „ჭოროხი", 1990, №4, გვ. 70-79; მისივე: ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1990, 8 დეკემბერი; მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, ბათ., 1997, გვ. 14-15; ი. ბექირიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში, ბათ., 1991; ზ. დიასამიძე. ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999, გვ. 27-28.

82 ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 38, 42.

# თავი I
# სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ასურულ და ურარტულ ხანაში

## §1. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხები ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში

ძვ. წ. XIII საუკუნის შემდეგ „ზღვის ხალხების“ შემოსევისა[1] და დიდი იმპერიების დამონებულ ტომთა ამოქმედების შედეგად მცირე აზიისა და მისი ალმოსავლეთი პერიფერიების პოლიტიკური რუკა საგრძნობლად შეიცვალა.[2] თუ ადრე ქართველი ხალხის მონათესავე ტომებისაგან შემდგარ ორ დიდ სამეფოს — ხეთებისა და მითანის ეკავა აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელი მიწა-წყალი, ამ ეპოქიდან ეს იმპერიები დაინგრა და მათ ადგილას სხვა პოლიტიკური ერთეულები ჩამოყალიბდა. როგორც წყაროებიდან ჩანს, ხეთების მიწა-წყალზე მკვიდრდებიან მუშქები და თუბალ-ები, ხოლო მითანის სახელმწიფოს ხალხებმა — ხურიტებმა სულ მალე შეძლეს ვანის ტბის ირგვლივ ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. დაახლოებით ამავე ხანაში ქართველმა ტომებმა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში შექმნეს ორი ძლიერი გაერთიანება კულხასა და დაიაენის სახით. ენობრივი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენს წინაპრებს ბრწყინვალე ცივილიზაციის შემქმნელი ხალხების (ხურიტების, ხეთების, სუბარების, ურარტელების და სხვათა) გარკვეული ნაკადი შეერია.[3]

1 Б. Грозный. Протоиндийские письма .. и их расшифровка. — ВДИ. 1940. №2, с. 33.

2 E. Akurgal. Ancient civilizations and ruins in Turkey. Istanbul. 1985, pp. 12-13.

3 ვ. ჟამაკიძე, დ. პაიჭაძე. ქართველი ერის ჩამოყალიბება. თბ., 1990, გვ. 8.

ასურეთი,[4] რომელიც მითანის ზეგავლენას განიცდიდა დაახლოებით 130 წლის განმავლობაში (დაახლ. 1500-1370 წწ.), ასურუბალიტ I-ის დროიდან (1365-1330 წწ.), იწყებს ახალი აღმავლობის ხანას. ასურუბალიტის მემკვიდრეები განაგრძობენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას. მეფე ადადნირარი I (1307-1275 წწ.) და მისი მემკვიდრე სალმანასარ I მნიშვნელოვნად აფართოებენ ასურეთის სამფლობელოებს ყოველი მიმართულებით.[5]

ასურეთი განსაკუთრებით ძლიერდება ტუკულთი-ნინურთა I-ის მეფობის (1249-1208 წწ.) დროს. მან ცეცხლის ალში გაახვია ჩრდილოეთი სირიის ხეთური ოლქები, ქ. ბაბილონი, ელამის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა და სხვათა მიწა-წყალი. მანვე დაიპყრო ყოფილი მითანის ტერიტორია და მისი სახელმწიფოს საზღვრები დასავლეთით ევფრატამდე გადაიტანა.[6] ტუკულთი-ნინურთა თვითონ თავის თავს უწოდებს: „მეფე სამყაროსი, მეფე ასურეთის, მეფე ქვეყნის ოთხივე ნაწილისა, მზე ყველა ხალხისა, მეფე ძლიერი, მეფე კარდუნიაშას,[7] მეფე შუმერისა და აქადისა, მეფე ზემო და ქვემო ზღვებისა, მეფე მთებისა და ფართო სტეპებისა, მეფე სუბარებისა, კუტიებისა და ნაირის ყველა ქვეყნისა..."[8] ტუკულთი-ნინურთა მოგვითხრობს აგრეთვე, რომ „მე გადაველახე გაუვალი მთები, სადაც არ იყო გზა, რომელი ბილიკიც არ იცოდა არც ერთმა მეფემ და შემდეგ შევები ნაირის ქვეყნების 43 მეფეს. მე ისინი დავამარცხე და მათი სისხლით მოვრწყე ხეობები, დავადევი ხარკი."[9] სხვა წარწერაში ასურელი დამპყრობელი იკვეხნის, რომ ნაირის ქვეყნების 43 მეფე დავამარცხე და მათი ქვეყნები დავიპყარიო. ამ ქვეყნების მეფეები ყელზე მიბმული სპილენძის ჯაჭვებით წავიყვანე ასურეთში, შემდეგ ისინი შევიწყალე ხარკის გადახდის პირობით და გავათავისუფლეო."[10]

---

4 ასურეთი მდებარეობდა ჩრდ. მესოპოტამიაში, მდ. ტიგროსის ორივე ნაპირზე. აქ ძვ. წ. II ათასწ. წარმოიშვა დესპოტური სახელმწიფო.

5 ნ. ლომოური. ასურეთის სამეფო. — ძასი, თბ., 1988, გვ. 312-314.

6 იქვე. გვ. 315.

7 კარდუნიაშა-ბაბილონის კასიტური სახელწოდება.

8 И.М. Дьяконов. Ассиро-Вавилонские источники по истории Урарту. — ВДИ. 1951, №2, с. 267.

9 იქვე.

10 იქვე. გვ. 369.

ამ წარწერიდან ჩანს, რომ ტუკულთი-ნინურთას მოღვაწეობის ხანიდან იწყება ასურეთის მეფეთა ურთიერთობა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტომებთან. წარწერაში არაა აღნიშნული სახელდობრ, თუ რომელ გაერთიანებასთან უხდება ასურეთის მბრძანებელს საომარი მოქმედების გამართვა, მაგრამ ცხადია, რომ ის ლაშქრობს თავისი წინაპრებისათვის ხელმიუწვდომელ ქვეყნებში. ზემოაღნიშნული წყაროდან ჩანს, რომ ასურეთის მეფე შორს ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობს შავი ზღვის სანაპირომდე; რადგან ჯერ ერთი, მკვლევართა დიდი ნაწილი „ზემო ზღვაში", მოცემულ შემთხვევაში შავ ზღვას ხედავს[11] და, მეორეც, ნაირის ქვეყნებიც, ხომ სადღაც აღმოსავლეთი ევფრატის (მურად-სუს) ხაზიდან ჩრდილოეთისაკენ შავ ზღვამდე აღწევდა.[12] წარწერაში იგი თავის თავს უწოდებს მეფეს „ნაირის ყველა ქვეყნისას", მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ არის ნაირის ყველა ქვეყნის დამპყრობელი, რადგან, როგორც შემდგომში ვნახავთ, ნაირის მხარეში 43 კი არა, ბევრად მეტი ქვეყანა ითვლებოდა. ნ. არუტუნიანი ვარაუდობს, რომ ტუკულთი-ნინურთას დროს ასურეთის თავისი ძალაუფლება საბოლოოდ არ დაუმყარებია ნაირის მხარეში, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის თავს ნაირის ყველა ქვეყნების დამპყრობლის ტიტულატურით იმკობს.[13] ჩვენი აზრით, ნაირი შესაძლებელია იყოს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა გაერთიანება, ასევე, სავარაუდოდ გვეჩვენება ძველაღმოსავლური „ნაირის" და ბიბლიის „ნაიდის" ქვეყნების გაიგივება.

ანტიკური წყაროები, ძველი მსოფლიოს დიდ დამპყრობთა რიგში სეზოსტრისის (ვეზოსისი), შამირამისა (სემირამიდა) და სკვითი ტანაის გვერდით მოიხსენიებენ ვინმე ნინოს ასირიელს. ისტორიკოს ქტესიის (ძვ. წ. V ს. ბოლო-IV ს-ის დასაწყ.) დროიდან ნინოსი ანტიკურ მწერლობაში განიხილება, როგორც ასურეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ძლევამოსილი მეფე. ასურეთის მეფეთა რიგში,[14] რომელიც 121 სახელისაგან შედგება, ნინოსი მოხსენიებ-

11 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 367-368.

12 იქვე, გვ. 368; ნაირი ურარტულ სახელმწიფოს ასურული სახელწოდება უნდა ყოფილიყო (Ф.И. Тер-Мартиросов. О стране Наири-Хубушкия. — Историко-филологический журнал, Ер., 1972, №2, с. 215.

13 Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), Ер. 1970, с. 28.

14 Луций Амрелий. Памятная книжица, перевод с латинского А.И. Немировского. — ВДИ, 1989, №2, с. 233, прим. 69.

ული არაა, მაგრამ არის ნინოსის მსგავსი სახელის რამდენიმე მეფე, მათ შორის ყურადღებას იპყრობს კიდუნ-ნინუა (დაახლ. 1633-1620 წწ.) და ტუკულთა-ნინურთა I (1249-1208 წწ.), რომელთა შორის ერთ-ერთი შესაძლებელია იყოს ანტიკური წყაროების ნინოსი.[15] თუ გავითვალისწინებთ ევსები კესარიელის (260-340 წწ.) ცნობას, რომ პანინოსი მოღვაწეობდა არგონავტების კოლხეთში მოსვლის დროს[16] (ე.ი. იმ დროს, როცა ტუკულთი-ნინურთა I ცხოვრობდა) და დიოდორე სიცილიელის (ახ. წ. I ს.) ცნობას, რომ ნინოსი 17 წლის მანძილზე იპყრობდა აზიის ტომებს[17] (კიდუნ-ნინუა კი სულ 13 წელს მეფობდა), აგრეთვე ცნობებს, რომ მთელი სამხრეთი კავკასია და მისი მეზობელი პონტოსპირეთის ტომები ნინოსის ძალაუფლების ქვეშ ყოფილან გარკვეული დროის განმავლობაში,[18] არაა გამორიცხული, რომ ნინოსში სწორედ ტუკულთი-ნინურთა იყოს განსახიერებული. ნინისა (ნინოსი) და სემირამიდას (შამირამი) ივერიელთა მამასახლისის `ზოპირის სამ შვილთან მეგობრულ ურთიერთობაზე მოგვითხრობს თეიმურაზ ბატონიშვილი,[19] თუმცა ჩვენთვის გაურკვეველია თუ რა წყაროებით სარგებლობდა ამ შემთხვევაში ისტორიკოსი.

ტუკულთი-ნინურთას შემდეგ ასურეთის სახელმწიფო საგრძნობლად სუსტდება. ამითაც უნდა იყოს განპირობებული ქართველი და მათი მონათესავე ტომების მოუხსენებლობა ასურულ წყაროებში, მხოლოდ ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) მეფობის ხანაში მოხდა ასურეთის დროებითი აღზევება და მისი კვლავ გამოსვლა საგარეო ასპარეზზე.[20]

ტიგლათფილესერის წარწერებში „თიხის ცილინდრზე“ ლაპარაკია ბრძოლების შესახებ, ნაირის ქვეყნების 23 და 60 მეფის გაერთიანებასთან, მუშქების 5 მეფესთან, დაიაენის გაერთიანებასთ-

15 Там же, с. 233, прим. 70.

16 გეორგიკა, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 31.

17 დიოდორე სიცილიელი. ისტორიული ბიბლიოთეკა, II, II, I; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბ., 1977, გვ. 76.

18 იქვე, გვ. 54; თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 120.

19 თეიმურაზ ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია, 1848, გვ. 67, სქოლიო.

20 ნ. ლომოური. ასურეთის სამეფო, გვ. 316.

ან და კილხის ქვეყანასთან. მეფე წარწერაში მოგვითხრობს თავის პირველ ლაშქრობაზე, რომელიც მოხდა 1112 წელს: „ოცი ათასი მუშკი და მათი 5 მეფე, რომელთაც უკვე 50 წელია რაც მიიტაცეს ალზისა[21] და ფირუღუმზის[22] ქვეყნები... ჩამოვიდნენ მთებიდან და მიიტაცეს ქვეყანა ქათმუხი."[23] შემდეგ ასურეთის მბრძანებელი იკვეხნის, რომ მან 20 ათასი მუშკი თავისი 5 მეფით გაანადგურა, მათი დიდი ნაწილი გაჟლიტა (...თავები მოაჭრა და დაყარა დასახლებების გვერდით, როგორც თავთავის გროვა...). დარჩენილი 6 ათასი მეომარი (ტყვედქმნილი) მივიღე და ჩავრიცხე „ჩემი ქვეყნის ხალხად" ე.ი. ქვეშევრდომადო.[24]

ტიგლათფილესერის ანალების გარდა ასურელებისა და მუშქების შეჯახებაზე გვამცნობს შუაასურული ტექსტიც, რომელიც შემონახულია ფრაგმენტების სახით: „მეფემ გაანადგურა მუშკების ჯარი ქალაქში Quba Sa birate ხანიგალბატის (მითანის აქადური სახელი — ს.გ.) ქვეყანაში."[25] ეს ვითარება ტიგლათფილესერის მამის აშურეშიშის (1133-1116 წწ.) ან მისი მემკვიდრის აშურბელკალის (1074-1057 წწ.) მოღვაწეობის დროს უნდა მომხდარიყო.

მუშქები ტიგლათფილესერ I-ის შემდეგაც არაერთხელ ჩანან ასურულ წყაროებში: ადადნირარი II-ის (911-890 წწ.), ტუკულთინინურთა II-ის (889-884 წწ.), ასურნასირპალ II-ის (884-859 წწ.), სალმანასარ IV-ის (781-772 წწ.) და სხვათა დროს.

ადადნირარ II ქვეყანა Muski (?) მოხსენიების შემდეგ მდ. ხაბურის (ევფრატის შენაკადი, თან. ჩრდ-აღ. სირია) რაიონში მოქმედებს. ტუკულთი-ნინურთა ჩრდილო მესოპოტამიაში საომარი ოპერაციების გამართვის შემდეგ მიდის ქ. ნისიბინში (თან. ტურაბდინი), აქედან „ძნელგასავალი ადგილებისა" და გორების გადალახვის შემდეგ, საუბრობს მუშქების ქვეყნის დალაშქვრაზე. გ. მელიქიშვილის ვარაუდით „ასურელები მოქმედებენ კაშიარის მთებში, სადაც უნდა მოიძებნოს მუშქების ის ქვეყანა, რომელზედაც ლაპარ-

21 ალზი მდებარეობდა მდ. დას. ტიგრისის სათავიდან ჩრდილო-დასავლეთით ალმ. ევფრატის მიმართულებით.

22 ფირუღუმზი-ალზის მეზობელი ქვეყანა.

23 И.М. Дьяконов. АВИИУ, с. 270.

24 იქვე. გვ. 270.

25 И.М. Дьяконов. Малая Азия и Армения около 600 г. до н.э. и северные походы Вавилонских царей. — ВДИ, 1981, №2, с. 51.

აკია წარწერაში."[26] ამ რაიონში ხვდებიან მუშქები ასურნასირპალსაც. ის ტიგრზე გადასვლის შემდეგ მისულა კატმუხის ქვეყანაში. ამათგან და მათი მეზობელი მუშქებისაგან მიუღია ხარკი თითბრის ჭურჭლების, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, აგრეთვე ღვინის სახით.[27]

მუშქები მრავალი მკვლევრის დაკვირვებით (იგივე მოსხებიმესხები) ქართველი ტომია, რომელიც ხეთებისა და მითანის სამეფოების მოსპობის შემდეგ, ჩრდილოეთიდან მოსულან და სუბართუს მიწა-წყალზე დამკვიდრება უცდიათ. ხეთების სამეფოს არსებობის პერიოდში ეს ტომი მის მეზობლად ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსახლეობდა.[28] ძვ. წ. VIII საუკუნეში მათ ფრიგიელებთან[29] ერთად სამეფოც შეუქმნიათ. ამ სამეფოს ასურელები მუშქების სამეფოს, ხოლო ბერძნები ფრიგიის სამეფოს უწოდებდნენ.[30] კიმერიელებმა და ურარტელებმა ერთობლივი ლაშქრობის შედეგად და-

---

26 **Г.А. Меликишвили.** К истории древней Грузии, ТБ., 1959, с. 107. დამოწმებულია ARAB, I, 407-413.

27 **И.М. Дьяконов.** АВИИУ, с. 286.

28 გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხებისათვის, თბ., 1955, გვ. 71; ეკრემ აკურგალის ვარაუდით, ზემო ტიგროსის მიდამოებში გამოჩენილი მოსხები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან შემოღწეული მიჩიელები არიან (Ekrem Akurgal. 12).

29 დაახლოებით ტროას ომის დროს ინდოევროპული ტომი — ფრიგიელები შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ მცირე აზიის ცენტრში, ხეთების ტერიტორიაზე (Всемирная история, т.I, М., 1956, с. 383.). ფრიგიელებმა აქ შექმნეს დიდი ცივილიზაცია, რომელიც ძირითადად ბერძნულ სამყაროს მიეკუთვნებოდა. ისინი იყვნენ თრაკიული ტომები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ტროა VIII-ისა და ხათუსასის დანგრევაში. მათი პირველი არქეოლოგიური ნაკვალევი გამოჩნდა ძვ. წ. VIII ს. შუა ხანებში. ფრიგიული ენა თრაკიულ დიალექტებს მიეკუთვნება. (Ekrem Akurgal. Ancient ...14-15.) ფრიგიელებს თრაკიელების მონათესავედ მიიჩნევენ სხვებიც. ისინი მცირე აზიაში მოვიდნენ ძვ. წ. XII საუკუნეში (**А. Доватур** и др. Народы нашей страны в истории Геродота, М., 1982, с. 759.).

30 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. გვ. 363; მისივე: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 18 და შემდეგი; ურარტუ, თბ., 1951, გვ. 138-139; **Н. Марр.** Где сохранилось сванское склонение? СПб, 1911, с. 1199. ტ. მოისეევა (იმოწმებს რ. ბარნეტს) აღნიშნავს, რომ XII-IX საუკუნეებში უკვე არსებობდა ფრიგიის იმპერია, რომელიც იყო ტომთა კოალიცია ან ფედერაცია. მათ შორის ფრიგიელები იყვნენ დასავლეთის ელემენტი დედაქალაქ გორდიონით, ხოლო მუშქები - აღმოსავლეთისა (**Т.А. Моисеева.** К вопросу о характере фригийского государства в VIII — начале VII в. до н.э. — ВДИ, 1986, №3, с. 11).

ახლ. ძვ. წ. 776 წელს გაანადგურეს ეს სამეფო.[31] ამ დროისათვის მუშქები „მნიშვნელოვანწილად ენითა და კულტურით ხეთიზირებული უნდა ყოფილიყო.“ გ. მელიქიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამ კატასტროფის შემდეგ (ფრიგიის სამეფოს განადგურება) მესხების ნაწილი უნდა გაქცეულიყო, ნაწილი წავიდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და მთიანეთს შეაფარა თავი, სადაც შემდგომში „მოსხური მთები“ და მოსხების ქვეყანა იყო.[32] დაახლოებით ასეთივე აზრისაა ოთ. ლორთქიფანიძეც.[33] მეცნიერი საქართველოში ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელებულ დასაფლავების წესს – ქვევრსამარხით, მიაწერს მუშქების სახელს. ასე რომ მუშქების შემოსვლა და დამკვიდრება კოლხეთსა და იბერიაში უნდა ვივარაუდოთ არაუგვიანეს ძვ. წ. IV საუკუნისა. მიცვალებულის დამარხვის ასეთი წესი დამოწმებულია ხეთების ტერიტორიაზე, მესხები კი უძველესი დროიდან იქ ბინადრობდნენ.[34] მესხური ნაკადის ქართლში შემოღწევა აზოს (არიან-ქართლთან – ს.გ.) სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. თ. დუნდუა თვლის, რომ ქართლის ქვეყანას მცხეთა აზოს დროს უნდა დარქმეოდა. ადრეული მესხური ნაკადის მიგრაციის ნომინალური ასახვაა საკუთრივ აკროპოლისის სახელი.[35] ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო აზრი გამოთქვა 1976 წელს თ. მიქელაძემ. მისი შეხედულებით მუშქების ორი ჯგუფი არსებობდა: ერთი დასავლეთისა, რომლებიც ფრიგიელებთან ერთად ფრიგიის სამეფოს აარსებენ. მეორე აღმოსავლეთისა, რომელნიც ხეთების სამეფოს დანგრევის პერიოდში იჭრებიან სამხრეთში და 1112 წელს გამოჩნდნენ კატმუხის მიდამოებში. შემდგომში მუშქების ორი სამეფო არსებობდა ერთი დედაქალაქ გორდიონით, ხოლო მეორე მაზაკით.[36]

31 Г.А. Меликишвили. Наири-урарту, Тб., 1954, с. 299-300, 315-316.

32 გ. მელიქიშვილი. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები. ძველი კოლხური სამეფოს განადგურება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 395. სამცხის ტერიტორიაზე (მაგ. ბორჯომის ხეობაში) ძვ. წ. VII ს. პირიქით, კოლხური კულტურის ძლიერი გავლენა შეინიშნება. ეს ხეობა აუთვისებიათ კოლხური კულტურის მატარებელ ტომებს (Г. Насидзе, В. Личели. Об ареале колхидской культуры. – Причерноморье в VII-V вв. до н.э., ТБ., 1990, с. 244.).

33 О. Лорткипанидзе. Наследие древней Грузии, ТБ., 1989, с. 311.

34 იქვე, გვ. 275, 309.

35 თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997, გვ. 17-18.

36 თ. მიქელაძე. მესხთა საკითხისათვის. – ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 112.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის შეხედულებით კავკასიაში შემოჭრილ ამ ტომს გარკვეული დროის მონაკვეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ჰეგემონობა უნდა ჰქონოდა იბერების გაბატონებამდე. „მცხეთა" აღნიშნავს „მესხია"-ს ან „მესხების დასახლებას". ასეთივე ფორმა მესხების სახელწოდებისა „მცხე" შემორჩა იმ ადგილს (ქვეყანას), სადაც მესხების ნაწილი ცხოვრობდა, — სამცხეში (სა-მცხე). აქ ისევე როგორც სიტყვა „მცხეთა"-ში „მცხე" მესხებს აღნიშნავს.[37] ეს შეხედულება შემდგომში კიდევ უფრო დააკონკრეტა გ. მელიქიშვილმა. მისი ვარაუდით მესხები ჯერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა დასახლებულიყვნენ[38] და თავიანთი სახელი მიეცათ ქვეყნისათვის სამცხე→სამესხე. შემდეგ მათი გარკვეული ნაწილი აქედან ჩრდილოეთისაკენ უნდა გადასახლებულიყო და დაეარსებინათ მცხეთა (იგივეა რაც სა-მცხე).[39] ისტორიოგრაფიაში არის ამ მოსაზრების საწინააღმდეგო აზრი გამოთქმული, რომ თითქოს მესხი სამცხედან, ან მესხნი მცხეთიდან წარმომდგარან თუ წარმოშობილან.[40] სამცხის 3 ციხისაგან წარმომავლობის თეორიაც არსებობს.[41] მკვლევარნი მესხების სახელს უკავშირებენ აგრეთვე ხეთურ-მცირეაზიული წარმოშობის ღვთაებების (არმაზისა და ზადენის) შემოტანას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე,[42] დიდი სამეფოს ჩამოყალიბებას მცხეთის გარშემო ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით, ქართული ანბან-

37 Л. Меликсет-беков. Введение в историю государственных образований Юго-Кавказа. Тб., 1924, с. 78.

38 თ. ქამერტელიძის აზრით, ხეან-მესხთა წინაპრები მესხეთში შიდა ქართლიდან მოვიდნენ (თ. ქამერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონი ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 11); შ. ასათიანის ვარაუდით, მუშქების ინფილტრაცია კავკასიიდან დასავლეთისაკენ მიმდინარეობდა. ტიგლათფილესერ I-ის მიერ მოხსენიებული მუშქების ქვეყანა მდ. მურად-სუს დაბლობშია საძიებელი (შ. ასათიანი. ქართველური ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძველაღმოსავლური წყაროების მიხედვით), ავტორეფერატი, თბ., 1992, გვ. 14, 16).

39 გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 395-396.

40 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 364; მესხთა სატომო სახელწოდების წარმომავლობის სხვა რამდენიმე ვერსიაც არსებობს. ყველა ისინი თავმოყრილია ნ. ხაზარაძის ნაშრომში („მესხი" ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის. — სქართ., თბ., 1993, გვ. 21-41).

41 Л.С. Исарлов. Письма о Грузии, Тиф., 1899, с. 2.

42 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 420.

ის გავრცელებას ქართველურ სამყაროში.[43] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნ. მარის მიხედვით სვანებთან (სონებთან) მესხების შერევით წარმოქმნილა ტერმინი (სო(ნ)მე(ს)ხი).[44] მეორე ნაშრომში მოგვითხრობს, რომ ქართულ ენაში შესულია ორი ენა ქართისა და მესხებისა, როგორც ახლო მონათესავე ენებით.[45]

ამ ბოლო დროს მესხების ეთნიკურობისა და ლოკალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო აზრები გამოთქვეს გ. ქავთარაძემ და თ. ქემერტელიძემ. გ. ქავთარაძეს ზოგიერთ ცნობაზე დაყრდნობით სწორად მიაჩნია ი. დიაკონოვის მიერ ადრე გამოთქმული თეორია მოსხებისა და ხალიბების იდენტურობის შესახებ.[46] თუმცა, მიუთითებს იგი, ასევე არსებობს მოსხებისა და ხალიბების გაიგივების საწინააღმდეგო საბუთიც.[47] გ. ქავთარაძის მიხედვით არაა გამორიცხული მითიურ ამაძონებში რეალურად არსებული მოსხები იგულისხმებოდეს. იქნებ მათი და მოსინიკების სახელწოდებათა მსგავსებამ ამაძონების სახელთან მოსხების სამხრეთ შავიზღვისპირეთში ლოკალიზება გამოიწვია.[48] ასევე არსებობს შესაძლებლობა ფსევდოსკილაქსის მელანქლენებისა და სტრაბონის მოსხების გაიგივებისა, რაზედაც გარდა მათი ადგილმდებარეობის თანხვედრისა, სხვა ცნობებიც მოწმობენ.[49] იგივე მკვლევრის აზრით, მოსხებს უკავშირდებიან მოსინიკებიც.[50] მოსხების მოსინიკებთან კავშირის შესაძლებლობაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერე[51] და ა. ხახანაშვილი.[52] ამ უკა-

---

43 პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 247, 249.

44 Н.Я. Марр. Кавказские племенные названия и мъстные параллели, П., 1922, с. 32.

45 Н.Я. Марр. Чанского (Лазского) языка, С-П., 1910, с. XXI. იხ. ცხრილი, გვ. XXIII.

46 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 70.

47 იქვე, გვ. 71.

48 იქვე, გვ. 80-81.

49 იქვე, გვ. 83-84.

50 იქვე, გვ. 85.

51 Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, IV, Paris, 1840, p. 339 შემ.

52 ალ. ხახანაშვილის აზრით, ბიბლიის მეშეხი, ასურული წყაროების მუშკი, ქართული წყაროების მესხი ჰეროდოტეს მოსინიკებთან უნდა გაიგივდეს (Древнейшие пределы расселения Грузин по Малой Азии, Тиф., 1891, с. 4, შდრ: გვ. 25).

ნასკნელის ვარაუდით, ასურული წარწერების მესხები მდინარე ჰალისის დასავლეთით მოსახლეობდნენ. მოგვიანებით გადმოსახლდნენ მდინარეების–ჭოროხისა და არაქსის სათავეების მიდამოებში. მისი აზრით, ტოპონიმ მცხეთაში გამოყოფილი ფუძე (მცხ) კავშირშია მეშეხის ანუ მოსოხის სატომო სახელთან. მესხთა სახელს უკავშირდება მესხეთი და სამცხე.[53]

თ. ქემერტელიძის ვარაუდით, მესხური ნაკადის შეღწევა აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. VII – IV საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.[54] სასპერები იყვნენ არა იბერ-ქართები, შენიშნავს იგი, არამედ სვანურენოვანი მესხები.[55] მცხეთა სასპერების კავკასიაში ჰეგემონობის დროს უნდა იყოს დაარსებული.[56] მკვლევარი იქვე იძლევა „ქართლის ცხოვრების" ზოგიერთი ცნობის ინტერპრეტაციასაც. მისი აზრით, იქ, სადაც ლეონტი მროველი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ენად სომხურს ასახელებს, უნდა იყოს მესხური (სვანური) ენა.[57] „არიან ქართლი" შეესატყვისება „მესხების ქვეყანას."[58] ი. დიაკონოვის ვარაუდით, სახელი „მუსი" მუშკი შემკრებლობითი ხასიათისაა და ის მუშკები, რომლებიც ასურულ წყაროში ძვ. წ. 1165 წლის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიებიან უნდა ჩაითვალოს პროტოარმენიელებად. ესენი არიან „აღმოსავლეთის მუშქები."[59] მოსხები, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იდენტური ჩანს ხალიბებისა. ეს მესხები იყვნენ ქართველურენოვანი და არავითარი კავშირი არ ჰქონიათ აღმოსავლეთის მუშქებთან (პროტოარმენიელებთან) და არც ფრიგიელებთან.[60]

ვ. გიორგიევი თვლის, რომ მუშქი არის მიზიელების სახელწოდება. ამ ეთნონიმში უნდა გამოიყოს ფუძე „მუს", რომელიც ინდოევროპულია და სუფიქსი „ქ", რომელიც სომხური მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია. ასევე, ფიქრობს იგი, არაა გამორიცხუ-

---

53 **А. Хаханов.** Древнейшие пределы... с. 25, 37.

54 თ. ქემერტელიძე. სასპერთა გაერთიანების შესახებ, ჟურნ. „ცისკარი", 1992, №9-10, გვ. 172-173.

55 იქვე, გვ. 174.

56 იქვე, გვ. 175.

57 იქვე, გვ. 178.

58 იქვე, გვ. 180.

59 **И.М. Дьяконов.** Малая Азия и Армения около 600 г. до н.э. и северные походы Вавилонских царей. — ВДИ, 1981, №2, с. 58.

60 იქვე.

ლი ჰაიების ქართული სახელწოდება „სომეხი“ მესხიდან მომდინარე „მეხ“ ფუძეს შეიცავდეს.[61]

დ. ხახუტაიშვილი ძველაღმოსავლური და ანტიკური წყაროების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუშკების სამფლობელოთა საზღვრები კიმერიელთა შემოსევებამდე მიდიოდა კატმუხამდე (კაშიარის მთების, ახლ. ტერ-აბდინის, ჩრდილოეთით). ერთ დროს მათ ფრიგიაც უნდა სჭეროდათ. ძვ. წ. VI საუკუნეში კი მუშქები ძველი ტერიტორიის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობდნენ. მათი ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი კი სამხრეთიდან შემოსეულ უცხო ტომებს უჭირავთ.[62]

მუშქ-მესხების ეთნო-პოლიტიკური პრობლემები რთული საკითხია. არსებული ცნობები ამ მიმართებით ნათელ და რეალურ სურათს არ იძლევიან. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი მონაცემები მესხების საცხოვრისს სხვადასხვა დროს რამდენიმე ერთმანეთთან დაშორებულ ტერიტორიაზე მიგვანიშნებენ, ამიტომ ძნელდება მათი როგორც პირველსაცხოვრისის, ისე ეთნიკურობის დადგენა. ამ მიმართებით მუშაობისას ნ. ხაზარაძე არსებული წყაროების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მესხებს ძვ. წ. XII საუკუნიდან მოყოლებული ძვ. წ. IV–III საუკუნემდე ოთხ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან რამდენადმე დაშორებულ ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრათ. ასე მაგალითად: XII საუკუნის ასურული და VII საუკუნის ურარტული წყაროებით — ტიგროსის სათავის რაიონში. X საუკუნის ლივიური და VIII საუკუნის ასურული წყაროებით — ჰალისის რკალის მიდამოებში, თაბალის დასავლეთით. ძვ. წ. VI–V საუკუნეების ცნობებით — ჰალისის სათავის მიდამოებში. ძვ. წ. IV–III საუკუნეების ცნობებით ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობის მეტ ნაწილსა და მიმდებარე რეგიონებში.[63] გამოდის, რომ ასურული წყაროებით ძვ. წ. XII საუკუნის მიწურულს

61 В. Георгиев. Передвижение смычных согласных в армянском языке и вопросы этногенеза армян. — „Вопросы языкознания", 1960, №5, с. 38. и прим. 18.

62 დ. ხახუტაიშვილი. შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით (ძვ. წ. VI–ახ. წ. IV სს.), ავტორეფერატი, 1954, გვ. 18.

63 ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984, გვ. 35, 71, 126, 135.

მუშქები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ჩანან, დაახლ. ერთი საუკუნის შემდეგი დროიდან ძვ. წ. VII საუკუნემდე ცენტრალურ მცირე აზიაში, ხოლო ძვ. წ. VII საუკუნის ურარტული წყაროებით მუშქები ისევ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ჩანან. კიდევ უფრო რთული იქნება მესხების ეთნო-პოლიტიკურ პრობლემებზე საუბარი თუ გავითვალისწინებთ შემდეგ მონაცემებს:

1. „მოსხები კოლხური ტომი. მატიენების მეზობლად."[64]

2. „კერკეტებს ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ხარიმატები, ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კორაქსები"[65] (ეს ორივე ცნობა ძვ. წ. V ს-ის მწერლებისაა, ურთიერთისაგან ძალიან განსხვავებული. პ. ინგოროყვა ჰელანიკეს მოსხებს (აგრეთვე პალეფატე აბიდოსელის ცნობის, ძვ. წ. IV ს.) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ხედავდა და მათ აფხაზებთან აკავშირებდა).[66]

3. ოსოხი მესხინების წინაპარია ახლანდელი კაპადოკიელებისა.[67] კაპადოკიელები ძველი მესხები არიან. მაზაკა მესხთა წინაპარია.[68]

4. მოსოხებს აქვთ ენა მოსინიკური.[69]

5. ВДИ-ის კომენტატორი (იმოწმებს L.All.) ანტიოქიის ეპისკოპოსის ევსტატის ცნობაზე (ოსოხ-მესხინები, ახლანდელი კაპადოკიელები არიან) აკეთებს შენიშვნას: „ესენი ხალხია მოსხებისა, რომლებსაც ძველად ეძახდნენ მოსხიკე-სა და მოსინიკებს. თავდაპირველი ადგილი ამ ტომის დასახლებისა იყო პონტოს ევქსინის სანაპირო; შემდეგ ისინი გახდნენ კაპადოკიელები; შემდეგ ხელახლა მათმა დასახლების ადგილმა გადაიწია ჩრდილოეთში."[70]

არც არსებული წყაროები გვაძლევენ საფუძველს, რომ მესხების თავდაპირველი ბინადრობის არეალად თანამედროვე საქართველოს ან ისტორიული მესხეთის მიწა-წყალი მივიჩნიოთ. მართალია, მცირე აზიასა და მიმდებარე რეგიონებში, „ზღვის ხალხების" შემოსევის ეპოქაში, დასტურდება ტომთა მიგრაციები, მაგრამ ეს საბუთად არ

64 В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1947, №1, с. 301.

65 იქვე. გვ. 316.

66 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 137.

67 ევსტატი ანტიოქიის ეპისკოპოსი. – ВДИ, 1948, №3, с. 237.

68 ექვთიმე VII ს. ბერძენი მოღვაწე. იხ. გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 167.

69 ეპიფანე კვიპრელი (314-403 წწ.). – ВДИ, 1948, №3, с. 245.

70 ВДИ, 1948, №3, с. 237, сколио 4.

გამოდგება იმისა, რომ თითქოს ძვ. წ. XIII-XI საუკუნეებში მესხები ხეთების სამეფოს არსებობის ან მისი დანგრევის შემდეგ იჭრებიან ჰალისის აუზში. შემდეგდროინდელი ასურული და ურარტული წყაროები არაფერს მოგვანიშნებენ ამის შესახებ. ამ წყაროებმა არ იცის სამხრეთი კავკასიის ტერიტორიაზე მუშქი-მესხი, მესხეთი თუ მუშკაია, სამცხე, მცხეთა და სხვა მესხების სახელთან დაკავშირებული წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იციან ამავე ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა თუ აქაურ ქვეყანათა (დაიაენ-დიაოხი, კილხი-კულხა, უიტერუხი, ლუშა-ლოსა, ქათარზა, შეშეთი, იგანიეხი, ზაბახა, ერიახი) ისტორიული გეოგრაფია და ზოგიერთი მათი ქალაქების რაობა. პირიქით, ძველი აღმოსავლური წყაროები, მესხების უძველეს საცხოვრისს ჰალისის აუზსა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულ რაიონებში გვავარაუდებინებს. მესხების თავდაპირველი საცხოვრისი უნდა ყოფილიყო სწორედ ეს ტერიტორია ხეთის იმპერიის არსებობის პერიოდში. ისინი ხეთის ქვეყნის მოსახლეობას წარმოადგენდნენ და გადაფარული იყვნენ ხეთების სატომო სახელწოდებით ან მათი დედაქალაქის ხათუსას მიხედვით სხვა ტომებთან ერთად იწოდებოდნენ საერთო სახელით-ხეთები. ხეთების სამეფოს დაცემის (XIII ს. ბოლო) შემდეგ უახლოეს პერიოდში მათ ჰალისის აუზში სამეფოც შეუქმნიათ. ხეთურ-ლუვიური წყაროები გვამცნობს ძვ. წ. X თუ IX საუკუნის დასაწყისის მეფეს ხართაფუს,[71] მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მესხების პირველი მეფე იყო. მუშქების ეს სამეფო არსებობდა ძვ. წ. VII საუკუნის პირველ მეოთხედამდე. ჩრდილოეთი ასურეთის ოლქის – კატმუხის მიმტაცებელი მუშქები ტიგლათფილესერ I-ის მეფობის პერიოდში შემდეგდროინდელი კაპადოკიის ტერიტორიაზე არსებული მუშკთა სამეფოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ. ამ სამეფოს ბერძნები თითქოს ფრიგიის სამეფოს, ხოლო ასურული, ხეთურ-ლუვიური და ურარტული ტექსტები მუშქების სამეფოს ეძახიან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასურელები ამ სამეფოს მუშქების სამეფოს ეძახდნენ მათთან ახლოს მცხოვრები ტომის სახელის მიხედვით, ხოლო ბერძნები ფრიგიის სამეფოს ამ სამეფოში შემავალი ტომის სახელის

71 Н.В. Хазарадзе. Лувийско-иероглифические надписи Хартапу. კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, VI, თბ., 1980, გვ. 84-93; О. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии, с. 310-311.

მიხედვით, რომლებიც მათთან უფრო ახლოს ცხოვრობდნენ.[72] ასეთ შემთხვევაში საკამათო რჩება თუ, რატომ ხეთურ-ლუვიური წარწერები ამ ქვეყნის მეფეს ხართაფუ მურსილისძეს ეძახდნენ მუშქების მეფეს. იგი, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. X საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ლუვიური ტექსტის შემდგენელს კარგად უნდა სცოდნოდა, თუ ვისი მეფე იყო ხართაფუ. ამიტომ, როგორც ჩანს, ხეთების სამეფოს განადგურების (დაახლ. ძვ. წ. 1220 წ.) შემდეგ სულ მალე უნდა შექმნილიყო მუშქების სამეფო; მანამდე კი ეს ტომი ხეთების ზეგავლენას განიცდიდა. მათ მალე თავიანთი სამეფოს საზღვრებში უნდა მოექციათ, მათგან დასავლეთით ბინადარი, ძვ. წ. XIII საუკუნეში ბალკანეთიდან შემოჭრილი ფრიგიელები, რომელთაც შესაძლოა გარკვეულ პერიოდში თავიანთი სამეფოც ჰქონდათ. ალბათ, ამიტომაა, რომ გაერთიანებულ სამეფოს ბერძნები ძვ. წ. VIII საუკუნეში ფრიგიის სამეფოს ეძახიან. სინამდვილეში ამ სამეფოში წამყვან როლს მუშქები ასრულებდნენ. ეს დასტურდება ასურულ-ურარტულ და თვით ლუვიური ტექსტებითაც, სადაც მუშკთა მეფე ხართაფუ იხსენიება, როგორც დიდი მეფე („მზე, გმირი, მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, ტარხუნტას მოსიყვარულე").[73]

რაც შეეხება მუშქების ქვეყნის ლოკალიზაციას ჰალისის აუზისა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულ რაიონებში, გარდა იმისა, რომ ამ ტერიტორიიდან ადვილი შესაძლებელია გარკვეული ურთიერთობა, ახლო კონტაქტები ასურელებთან და ურარტელებთან, ადასტურებენ აგრეთვე ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი (ახ. წ. I ს.) და ანტიოქიის ეპისკოპოსი ევსტატი (280-340 წწ.). იოსებ ფლავიოსის მიხედვით, ბიბლიური „მეშეხი" (მოსოხი) შემდეგდროინდელი კაპადოკიელების წინაპარია და მათი სახელი კაპადოკიის დედაქალაქ მაზაკას უკავშირდება.[74] ევსტატიც მოგვითხრობს, რომ ოსოს-მესხინები ადრინდელი კაპადოკიელების წინაპარიაო.[75] ამ ცნობებიდან აშკარაა, რომ მესხები უძველ-

---

72 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, ТБ., 1959. с. 108; მისივე: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 21; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 363.

73 ნ. ხაზარაძე. იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტები. — ძახიქ, თბ., 1990, გვ. 238.

74 გეორგიკა, I, გვ. 271.

75 В.В. Латышев. — СК, с. 337.

ეს დროს, სანამ ისინი ამიერკავკასიისაკენ აიღებდნენ გეზს, კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ.[76] ხოლო მოსაზრება, რომ მუშკების სამეფო განადგურებული იქნა ურარტელთა და კიმერიელთა მიერ ძვ. წ. VII საუკუნის პირველ ნახევარში (დაახლ. 696 ან 676 წ.) კარგად ეხმაურება ცნობას, რომ ამის შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიას დაერქვა კაპადოკია, სწორედ კიმერიელთა ერთ-ერთი ტომის სახელის მიხედვით. სომხური წყაროებით გამირქ იგივე კაპადოკიაა; როგორც ფიქრობენ, სახელწოდება „გამირქ“ კიმერიელთა (გამირთა) სახელისაგან მომდინარეობს.[77] ამ დროიდან იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შემდეგში კაპადოკია დაერქვა, ადრე მესხებს უნდა ეცხოვრათ. ისინი მომთაბარე ტომებმა აყარეს თავიანთი სამოსახლოებიდან, რის შემდეგ მესხები დაიძრნენ კავკასიისაკენ. ამიტომაა, რომ ანტიკური ხანის მწერლებთან მოსოხ-მუშქები კაპადოკიელთა წინაპრები არიან, სინამდვილეში მხოლოდ ამ ქართველური ტომის გარკვეული ნაწილი შეერია კაპადოკიელებს. ვფიქრობთ მართებულია მოსაზრება, რომ მესხები მონაწილეობდნენ აღმოსავლურ ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებაში, რომ მესხები უფრო მეტ სიახლოვეს იჩენდნენ აღმოსავლურ ქართულ ჯგუფთან, ვიდრე დასავლურთან.[78] მაგრამ, ჩვენი აზრით, მათი ეთნიკური კავშირი სვანებთან (მუშუან-მოსინიკებთან) ჯერ კიდევ გასარკვევია.

ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) მიერ დატოვებულ წარწერებში ბევრია საუბარი ხეთის ქვეყნის[79] ხალხის კასკების, ურუმეელებისა და აბეშლაების დალაშქერაზე. იგი მოქმედებდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და უკან დაბრუნებისას მთლიანად დაუპყრია ხეთების ქვეყანა.[80] ასურეთის ძლევამოსილი მეფის წარწერებში ბევრია ლაპარაკი, აგრეთვე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ქართველურ ტომთა წინააღმდეგ ბრძოლაზე. ე.წ. „ნაირის ქვეყნების“ ვრცელ მიწა-

---

76 მ. ჯანაშვილის აზრით, კაპადოკია დასახლებული იყო მეგრელებით და ჭანებით (მ. ჯანაშვილი. საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფ., 1886, გვ. 9, სქოლიო 1.

77 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 277, შენიშ. 193.

78 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. — მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 12

79 მკვლევრობაშია რომელიღაც ნარჩენი ხეთის სამეფოსი.

80 И.М. Дьяконов. АВИИУ, с. 271, 278.

წყალზე ასურულ მეფეთა ლაშქრობის უპირველესი მიზანი ტყვემონებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება იყო. ამასთან ერთად ასურელები ცდილობდნენ შორს ჩრდილოეთში — ნაირის ქვეყნებში ფეხის მტკიცედ მოკიდებას. ამ მიზნების მისაღწევად ისინი მიმართავდნენ უმკაცრეს ზომებს. ასურელები ტყვედქმნილ ცოცხალ ადამიანებს ტყავს აძრობდნენ, თვალებს თხრიდნენ, ცეცხლზე წვავდნენ, ძელზე გასვამდნენ, თავებს კვეთდნენ.

ტიგლათფილესერი I თავისი მეფობის მესამე წლის (ძვ. წ. 1112 წ.) ამბებში მოგვითხრობს: „მე, რომელიც სამყაროს ოთხივე მხარეზე სამართლიანად ვმბრძანებლობ, რომელსაც არ მყავს მძლეველი ომში (და) ტოლი ბრძოლაში, შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის ნაპირას (ცხოვრობდნენ) (და) რომელთაც არ იცოდნენ (თუ რა არის) მორჩილება, ღვთაება ასურმა, მეუფემ, გამგზავნა. გავემართე გაუვალი გზებითა და მძიმე გადასასვლელებით, რომელთა წიაღიც არ უხილავს წინათ არც ერთ მეფეს; დახშული გზებითა და ბილიკებით გადავიარე... 16 უზარმაზარი მთა.[81] კარგ ადგილას ჩემი ეტლით მივდიოდი, (ხოლო) ძნელად გადასასვლელებში კი ბრინჯაოს წერაქვებით ვიკვლევდი გზას..."[82] შემდეგ ასურეთის მბრძანებელი მოგვითხრობს, რომ ნაირის ქვეყნების 23 მეფემ, რომელთა შორის ერთი დაიაენის მეფე იყო, შეკრიბეს ჯარები, საომარი ეტლები და გამოემართნენ ჩემს წინააღმდეგო. ტიგლათფილესერს ისინი დაუმარცხებია, ნაირის ქვეყნების 60 მეფეს და მათ დასახმარებლად მოსულებს ის ზემო ზღვამდე მისდევნებია. მათი დიდი ქალაქები დაუნგრევია და გადაუწვავს, ხოლო მათი ქონება წაუღია, ნაირის ყველა მეფე დაუტყვევებია, მაგრამ მძევლების გამორთმევის შემდეგ ისინი გაუნთავისუფლებია. ხარკად დაუდია მათთვის 1200 ცხენი და 2000 სული მსხვილფეხა საქონელი. მხოლოდ დაიაენის მეფე სიენი წაუყვანია ასურეთში, მაგრამ ისიც მალე გაუთავისუფლებია მორჩილების პირობის მიცემის შემდეგ.[83]

როგორც ვხედავთ, ასურეთის მბრძანებელს შორს ჩრდილოე-

---

81 მათ შორის ყველაზე ჩრდილოეთით „მთა შემე" მდებარეობდა. ურარტული წყაროები ამ მიდამოებში „შემეთის ქვეყანას" ათავსებენ. ამ ქვეყანას ძველაღმოსავლურ ხანაში ესაზღვრებოდნენ უიტერუხი (ჩრდილოეთით), დიდინი (სამხრეთით), კულხა და კულხასალი (დასავლეთიდან): ნ. ცეცხლაძე, ხ. გოგიტიძე. შაეშთი წერილობით წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, №12, გვ. 91-2.

82 იხ. თარგმანი გ. მელიქიშვილისა. — სინ, I, გვ. 365.

83 **И.М. Дьяконов.** АВИИУ, с. 273.

თით გაულაშქრია ნაირის ქვეყნების დაპყრობისა და გაძარცვის მიზნით. გ. მელიქიშვილი მიმოიხილავს იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც ზემო ზღვაში ან ვანის ტბას გულისხმობენ (მაგ: შნაიდერი) ან შავ ზღვას ხედავენ (ედ. მაიერი). გ. მელიქიშვილის აზრით, ტიგლათფილესერ I-ის ცნობა, რომ მან დაიპყრო ნაირი თუმედან დაწყებული, ვიდრე დაიაენის ქვეყნამდე და ზემო ზღვამდე, საფუძველს გვაძლევს „ზემო ზღვაც," დაიაენის მსგავსად, ნაირის ჩრდილო განაპირაზე ვეძებოთ, რის გამოც უფრო ბუნებრივი იქნება, თუ მასში შავ ზღვას ვიგულისხმებთ და არა ვანის ტბას. მეორე მხრივ ტიგლათფილესერის წარწერებში აღნიშნული ზემო ზღვის ნაცვლად ზოგჯერ „დიდი ზღვა" იხსენიება. ეს გარემოებაც გამორიცხავს ამ ზღვაში ვანის ტბის დანახვას.[84]

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო აზრი გამოთქვა ვ. ლატიშევმა. მისი აზრით, მოცემული ტექსტის „ზემო ზღვაში," რომ შავი ზღვა უნდა იგულისხმებოდეს, ჩანს შემდეგიდან: 1. აღწერილი ლაშქრობის დროს ტიგლათფილესერმა გადაიარა 16 მთა; ამდენი გადასასვლელი არ არის ასურეთსა და ვანის ტბას შორის. ამასთანავე მსგავსი სახელების მქონე მთები არ გვხვდება სომხეთის ტავრის რაიონში. 2. აღწერილ ლაშქრობაში ასურელები მივიდნენ დაიაენის ქვეყნამდე. 3. უკან დაბრუნებისას ასურეთისაკენ ტიგლათფილესერი ხედება მილიდიაში (მელიტენი), ხოლო ვანის ტბიდან ის იქ ვერ მოხვდებოდა.[85] შემდეგ იგი განაგრძობს: „ტიგლათფილესერი (I), როგორც ჩანს ერთადერთია ასურეთის მეფეებიდან, რომელიც მოსულა შავ ზღვამდე (თანამედროვე ბათუმის რაიონში). ურარტუს ჩამოყალიბების შემდეგ ეს შეუძლებელი იყო."[86]

მაშასადამე, ასურეთის მეომრებს დაულაშქრავთ ნაირის ქვეყნები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირომდე. ამ ქვეყნებს შორის განსაკუთრებული სიდიდითა და სიძლიერით გამოირჩეოდა დაიაენის გაერთიანება, რომელიც, როგორც ჩანს, თავის პოლიტიკურ გავლენას ავრცელებდა ნაირის ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილზე და შესაძლებელია ნაირის ის 60 მეფე,

84 გ. მელიქიშვილი. დასას. ნაშრ., გვ. 369; ტიგლათფილესერის წარწერის „ზემო ზღვას" შავ ზღვასთან აიგივებენ სხვებიც (Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 40).

85 И.М. Дьяконов. АВИИУ, с. 277, сколио 45.

86 იქვე.

რომლებიც მოვიდნენ ასურელების წინააღმდეგ საბრძოლველად, იყვნენ დაიაენზე დაქვემდებარებული ქვეყნები. მტერს ხომ ჯერ მათი მიწა-წყალი არ გაევლო. ამიტომ იყო, რომ ნაირის მეფეთა შორის მხოლოდ დაიაენის მეფე სიენი ტყვედ წაიყვანეს ასურეთში.

გ. მელიქიშვილის აზრით, ნაირის იმ 60 მეფის ქვეყანა, რომლებიც დაიაენის დასახმარებლად მოდიან, იწოდებოდა კილხად.[87] ეს ვარაუდი არაა გამორიცხული, რადგან ტიგლათფილესერის უწინარესაც არგონავტების მითის თანახმად უნდა არსებულიყო ტომთა ეს გაერთიანება.

ტიგლათფილესერის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს წარწერაში მოხსენიებულია ნაირის ქვეყნის 30 მეფე. ლაპარაკია აგრეთვე ნაირის ქვეყნების დაპყრობაზე „თუმედან დაიაენამდე, ხიმუა, პაიტერი და კილხი." ასევე საინტერესოა მალაზგირთის მახლობლად (სოფ. ინჯალუ) ასურელთა მიერ დატოვებული წარწერა, სადაც ასევე ლაპარაკია ნაირის ქვეყნების დაპყრობაზე „თუმედან ვიდრე დაიაენიმდე (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დაპყრობაზე ვიდრე დიდ ზღვამდე." გ. მელიქიშვილის აზრით, ეს წარწერაც ასურელთა მესამე ლაშქრობას ეხება.[88] რამდენად გამართლებულია ასეთი წაკითხვა, რადგან თვით გ. მელიქიშვილის თქმით „კილხი"-ს „საბხი"-ის სახითაც კითხულობს ბევრი მკვლევარი (პირველ ნიშანს, რომლითაც ეს სახელი იწერება, „კილ"-თან ერთად „ხაბ" და ბოგი სხვა მარცვალის ღირებულება გააჩნია). მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ „ხაბხის" მდებარეობა კარგადაა გარკვეული, რომ იგი ზღვამდე არ ვრცელდებოდა და ამიტომ ამ სახელის ამ ფორმით წაკითხვა სწორი არ არის. პირიქით, წარწერაში მოხსენიებული ქვეყნის „კილხის" ფორმით წაკითხვისას „კოლხი"-ს სახელთან დაკავშირების პერსპექტივა, ხოლო ასეთი წაკითხვა მართებული უნდა იყოს, რადგან კილხი II კოლხა სწორედ ზღვისპირა ქვეყანა იყო.[89]

მართლაც, დაიაენის ჩრდილოეთით შავ ზღვამდე მდებარე ქვეყნებს შორის ჩვენთვის უცნობია ხაბხი, ხოლო რაც შეეხება კი-

87 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 184.

88 იქვე, с. 185.

89 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 369-370, სქოლიო 3; მისივე, Наири-Урарту, с. 27-28.

შეად. მისივე, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 32, შენ. 3.

ლხის, იგი სრულიად სამართლიანად შეიძლება დავუკავშიროთ კოლხა-კულხას. ასეთი ქვეყანა კი ძველი წყაროების თანახმად უნდა არსებულიყო არა თუ ტიგლათფილესერ I-ის მოღვაწეობის ხანაში (ე.ი. 1112 წ.), არამედ გაცილებით ადრე, ტროას ომის (დაახლ. 1230-იანი წწ.) უწინარესაც. ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით იმ დროს როცა კოლხას არგონავტები სწვევიან (1260-იანი წწ.), აქ მბრძანებლობდა მეფე აიეტი.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებობდა კოლხური ტომების, დიდი გაერთიანება. ასე რომ არგონავტების მითში უნდა ასახულიყო დიდება და ძლიერება იმ დროს რეალურად არსებული კოლხური გაერთიანებისა.[90] გ. მელიქიშვილი ძველი კოლხეთის ლოკალიზაციას მდინარე ჭოროხის შესართაეისა და მის მახლობლად მდებარე რაიონებით განსაზღვრავს. აქვე სადღაც ჭოროხის შესართავში უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი.[91]

ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) შემდეგ ასურეთი საგრძნობლად დასუსტდა; სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქვეყნების მოუხსენებლობა ასურულ წყაროებში, სალმანასარ III-ის მეფობის (859-824 წწ.) ხანამდე. მხოლოდ ტუკულთი-ნინურთა II (889-884 წწ.) ხუთწლიანი მოღვაწეობის პერიოდში მისი ანალები მოგვითხრობენ სუბართუს ქვეყნებიდან გილზანისა და ნაირის ქვეყნებამდე ლაშქრობაზე.[92] ასევე მისი მემკვიდრე აშურნასირპალიც მოგვითხრობს, რომ მან ხარკი მიიღო კატმუხისა და მუშკების ქვეყნებიდან ბრინჯაოს ჭურჭლების, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისა და ღვინის სახით.[93] ეტყობა ამ წარწერაში მოხსენიებულ მუშკების ქვეყანაში ასურელთა მიერ ტიგლათფილესერ I-ის დროს (ძვ.წ. 1112წ.) დამორჩილებულ მუშქთა სამეფოს გარკვეული ნაწილი (სამხრეთ-აღმოსავლეთი) იგულისხმება. ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ ასურეთის ის მეფე, რომელმაც ფეხი შედგა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ქართველური ტომების მიწა-წყალზე, იყო სალმანასარ III.

---

90 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. с. 19.

91 იქვე, გვ. 115.

92 И.М. Дьяконов. АВИИУ – ВДИ. 1951, №2, с. 284.

93 იქვე, გვ. 285.

სალმანასარ III თუშხანის (კარკა) მონოლითსა და „შავ ობელისკში“ კალხუდან (ნიმრუდა) მოგვითხრობს ურარტუს ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ასურელთა პირველი ლაშქრობა შემდგარა სალმანასარ III-ის მეფობის დასაწყისში. წარწერიდან ჩანს, რომ სალმანასარი ხუბუშკიიდან შესულა ურარტუს მეფის არამეს საბრძანებელში. დაურბევია გამაგრებული ქალაქი და მის ირგვლივ მდებარე 14 დასახლება. შემდეგ მისულა ვანის ტბამდე.[94] სალმანასარს თავისი მეფობის მესამე წელს (ე.ი. ძვ. წ. 857 წ.) სასტიკი შეტაკება უხდება არამესთან, მას შემდეგ, რაც ასურელებმა დაანგრიეს და ცეცხლის ალში გაახვიეს დაიაენის ქვეყნის გარკვეული ნაწილი. მტერს ურარტელებისათვის 3400 მეომარი მოუკლავს. თვით არამე გადარჩენის მიზნით გაქცეულა და თავი შეუფარებია მთებისათვის. ამ ლაშქრობის დროს ასურელებს აუღიათ ურარტუს „სამეფო ქალაქი“ არზაშკუ. მტერს არზაშკუ და მისი მეზობელი სოფლები დაუნგრევია და გადაუწვავს.[95]

სალმანასარ III-ის მეფობის პერიოდში პირველად ჩნდება ქვეყანა ურარტუს სახელწოდებით.[96] მკვლევრები ფიქრობენ, რომ ასურულ წყაროებში მოხსენიებული მეფე არამე ამ ქვეყნის პირველი მეფე უნდა იყოს. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ სალმანასარის მეფობის დასაწყისში მოხსენიებული ნაირის ქვეყნების მეფე კაკია[97] ურარტუს ის მეფეა, რომელიც არამეს უწინარეს მართავდა ურარტუს სახელმწიფოს (თუმცა არაა გამორიცხული, რომ ის იყოს დაიაენის მეფე). თუ ეს ასეა,[98] მაშინ ურარტუს სახელმწიფო ძვ. წ. IX საუკუნის შუახანებზე გაცილებით ადრე უნდა წარმოქმნილიყო. ეტყობა ასურელთა გამანადგურებელმა თარეშმა ნაირის ქვეყნების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ვანის ტბის რაიონში მდებარეობდნენ, აიძულა გაერთიანებულიყვნენ ერთ პოლიტიკურ კავშირში. სულ მალე ურარტუ გადაიქცა წინა აზიის ერთ-

94 იქვე, გვ. 295.

95 იქვე, გვ. 295-296.

96 მკვლევართა აზრით, სახელწოდებები ურუატრი, ურარტინა და ურარტუ სხვადასხვა დროს ერთი და იგივე ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი იყო (А.Х. Хачатрян. Пересмотр древнейшего периода Наири-Урартской истории. Ер., 1932, с. 21.).

97 И.М. Дьяконов. АВИИУ. – ВДИ. 1951, №2, с. 295.

98 ურარტუს მეფე სარდურიც ხომ თავის თავს ნაირის ქვეყნების მეფეს უწოდებდა (გ. მელიქიშვილი. ურარტუ. — ძახი, თბ., 1988, გვ. 342).

ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ურარტუს მეფეებმა თავიანთი ძა-
ლაუფლება განავრცეს დიდ ტერიტორიაზე ვანის ტბის ირგვლივ.
განსაზღვრული დროის (ძვ. წ. IX ს. დასასრული-ძვ. წ. VIII ს.
40-იანი წწ.) განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს
ტომები მჭიდროდ დაკავშირებული იყვნენ მათთან. ჩრდილოეთის
მიმართულებით ერზრუმ-ყარსის, ლენინაკანისა და სევანის ტბის
ხაზს აღწევდა. აღნიშნული ხაზის ჩრდილოეთით მათ თავიანთი
ძალაუფლების გავრცელება ვერ მოუხერხებიათ. ამის მიზეზი, რო-
გორც ჩანს, იქ არსებულ გაერთიანებათა ენერგიული წინააღმდე-
გობა, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა იყო.[99]

ვანის ტბის ირგვლივ ძვ. წ. IX საუკუნეში ჩამოყალიბებულ
ქვეყანას ასურელები ურარტუს ეძახდნენ, ხოლო თვით ურარტუს
მეფეები თავიანთ ქვეყანას ბიაინილს. ზოგიერთი მკვლევრის
აზრით, ამ ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მასას ხალდები (ქა-
ლდები) შეადგენდნენ. ნ. მარი და ბ. პიოტროვსკი ურარტუს — ხა-
ლდების სამეფოს, ხოლო მის მმართველებს ხალდების მეფეებს
უწოდებდნენ.[100] ეს ის ხალდებია, რომელთა გარკვეული ნაწილი
ურარტუს განადგურების შემდგომ როგორც ფიქრობენ, შავი ზღვ-
ის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხისაკენ გამოიჭრა. ეტყობა მათი
გარკვეული ნაწილი წავიდა ჩრდილოეთისაკენ და შეერია აღმოს-
ავლურ-ქართულ ტომებს. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობდა,
რომ ხალდ-ქალდები იგივე ქართებია („ქართი" სახეცვლილი ფო-
რმაა „ქალდის").[101] საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მ. ჯა-
ნაშვილის მიხედვით, ურარტუს სახელი უახლოვდება საქართველ-
ოს სომხურ სახელს „ვრასტანს", რომელიც „ურასტან"-იდან უნდა
მომდინარეობდეს. ასევე „ვრაც" (ქართველი) იგივეა, რაც „ურ-
აც."[102] მისი წარმოდგენით ურარტი || ურარდი || არარდი უნდა იყ-
ოს რთული სიტყვა, რომელთაგანაც პირველი „ური" შეიძლება
ნიშნავდეს „ქართველს" და მეორე „არდი" იყოს ამ ერის ღვთა-
ების სახელი „არდინი."[103]

---

99 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту. ТБ., 1954. с. 115.

100 По этапам развития яфетической теории. сборник статей Н. Марра, М-Л., 1926. с. 71, 76; Б.Б. Пиотровский. Урарту. Лен., 1939. с. 5.

101 В.В. Худадов. Халды-Урартийцы после падения Ванского царства. — ВДИ, 1938. №2. с. 125.

102 მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906, გვ. 18.

103 იქვე, გვ. 19.

რ. პლიევის აზრით, ტერმინი „ურარტუ“ წარმომდგარია „ურუ-ატრიდან“ და ნიშნავს „ზემოთ მდებარე (მაღლობზე) დასახლებულ ადგილს.“[104] ს. გორგაძეც ურარტელებს ქართველთა ტომად მიიჩნევს.[105] ამ აზრს მთლიანად იზიარებს ვ. ხუდადოვიც.[106] ურარტუს, საქართველოს წინაპარ სახელმწიფოდ გვიხატავს ა. შესტაკოვიც.[107] ს. ჯამირზაევის აზრით, ხური-ურარტელები ნახების პირდაპირი წინაპრებია.[108] არარატ-მასისის ქვეყნებიდან ქართველთა გადმოსახლების შესახებ საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე ლაპარაკობს ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი.[109] ეს ცნობა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არიან-ქართლი ნ. ბერძენიშვილს ერთი წყაროდან მომდინარედ მიაჩნია.[110] ს. ჯანაშიაც თვლის, რომ „არიან-ქართლი“ კავშირში უნდა იყოს ჰურიტულ სამყაროსთან, როგორც მითანთან, ისე ურარტუსთან.[111]

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ ურარტუს სახელმწიფოს შემქმნელი ხალხი ჰურიტები იყვნენ, რომლებსაც ადრეულ საფეხურზე ჰქონდათ თავისი სამეფო მითანი („ჰური“ იგივეა, რაც „ჰურა“(რ)ტუ“). ამ ახალი ქვეყნის სახელი „ურარტუ“ უნდა მომდინარეობდეს „ჰერიტუ“-დან (ჰურიტუ → ჰურარტუ, „ჰ“ ბგერის გაქრობის შემდეგ ურარტუ. შეადრ. ჰიბერი → იბერი). ამ ტომის სახელს „ჰურიტუ“ (ხურიტუ) შეიძლება კავშირი ჰქონდეს ხარიტუ-ხალიტუ-სთან[112] და აქედან იყოს ნაწარმოები ამ ქვეყნის ხალხის სახელიც (ხალიტუ → ხალტი → ხალდი). ასევე არ არის გამორიცხული, რომ „ქართი“ იყოს სახენაცვალი ფორმა „ქალდი-ხალტისა.“

სალმანასარ III-ის წარწერებში ბევრია ლაპარაკი, აგრეთვე, დაიაენის დალაშქვრაზე თავისი მეფობის მესამე და მეთხუთმეტე

---

104 Р.Плиев. Хранитель тайн-язык. М., 1997. с. 18.

105 ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 1915, გვ. 10.

106 В.Н. Худалов. Ук. соч., с. 125. 126.

107 იხ. ს. ჯანაშია. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 1.

108 С. Джамирзаев. Проблемы древней этнической истории Грузии и Кавказа (Автореферат). ТБ., 1999. с. 17.

109 ლეონტი მროველი. „ქართველ მეფეთა ცხოვრება“. – „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 4–5.

110 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 205-206.

111 ს. ჯანაშია. შრომები, II, გვ. 70.

112 ს. ჯანაშიას „ხ“-ს განვითარება „ჰ“-დ, და შემდეგ მისი დაკარგვა შესაძლებლად მიაჩნდა (შრომები II, გვ. 8).

წელს. იგი გადმოგვცემს „...დავიპყარი დაიაენი მის საზღვრამდე, დავანგრიე და დავწვი ცეცხლით დასახლებები, ავიღე მრავალრიცხოვანი ტყვე, ქონება მათი და სიმდიდრე."[113] მეორე ლაშქრობის (მე-15 წელი) დროს იხსენიება დაიაენის მეფე ასია. როგორც ჩანს, მან ვერავითარი დაუპირისპირა ურარტელთა გამუდმებულ თარეშსა და მძარცველურ ომებს და იძულებული გახდა პირადად გამოცხადებულიყო სალმანასართან. ასურეთის მეფე მოგვითხრობს, რომ „ასია, დაიაენის მეფე, მოეხვია ჩემს ფერხთ, ხარკი და ძღვენი, ცხენები მივიღე მე მისგან. ჩემი სამეფო გამოსახულება გავაკეთებინე და დავდგი მისი ქალაქის შუაგულში."[114] გ. მელიქიშვილის შენიშვნით ასიას სალმანასართან უბრძოლველად გამოცხადება და ძღვენის მირთმევა მხოლოდ შიშით არ იყო გამოწვეული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასია ასეთი მოქმედებით იმედოვნებდა ასურეთის მეფის მოკავშირედ გახდომას და მისი საშუალებით ახლობელი მტრების — ურარტუსა და კულხასაგან თავდაცვას.[115]

სალმანასარ III ერთ-ერთ თავის წარწერაში თავის თავს უწოდებს იმ ქვეყნების დამპყრობელს, რომლებიც მდებარეობდნენ ზემო ზღვასა და ნაირის ქვემო ზღვას, დიდ ზღვასა და მთა ხამანას შორის.[116] ამ ტერიტორიაზე მოქცეულ ქვეყანათა შორის სხვებთან ერთად დასახელებულია დაიაენიც. ВДИ-ის კომენტატორი ამ წარწერის „დიდი ზღვა მზის ჩასავლისა"-ში გულისხმობს შავ ზღვას და მიიჩნევს, რომ დაიაენი, რომელიც სალმანასარს დაულაშქრია, აღწევდა თანამედროვე ბათუმის რაიონამდე. ამასთან იგი შენიშნავს, რომ არაა გამორიცხული, სალმანასარის არმია მართლაც მივიდა შავ ზღვამდე.[117] თვალსაზრისი, რომ დაიაენის საზღვარი არათუ სალმანასარის მეფობის პერიოდში, არამედ არც სხვა დროს მოდიოდა შავ ზღვამდე, სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არაა. ვფიქრობთ, სწორია დასკვნა, რომ დაიაენი არასდროს არ წარმოადგენდა ზღვისპირა ქვეყანას.[118]

---

113 И.М. Дьяконов. АВИИУ, с. 295.

114 იქვე, გვ. 300.

115 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — სის, ტ. I, თბ., 1970, გვ. 374.

116 И.М. Дьяконов. АВИИУ, с. 299.

117 იქვე, გვ. 300, სქოლიო 1.

118 ოთ. ლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986, გვ. 44-45.

სალმანასარ III-ის წარწერებში მოიხსენიება ქვეყანა თაბალი. ასურეთის მეფე მოგვითხრობს, რომ ევფრატზე გადასვლის შემდეგ იგი დაიძრა ტაბალის წინააღმდეგო და ამ ქვეყნის 24 მეფისაგან ხარკი მიუღია.[119] ესაა ასურულ წყაროებში თაბალის პირველი მოხსენიება. შემდეგ ხანებში იგი კვლავ ჩნდება ტიგლათფილესერ III-ის (745-727 წწ.) მეფობის დროს, ტაბალელ უასურმეს ხარკი მიურთმევია ასურელებისათვის.[120] სარგონ II-ის წარწერებში ბევრია ლაპარაკი ამბარის თაბალიელის შესახებ, რომელიც იყო Bît-Buritis-ის ქვეყნის მეფე. მიუხედავად იმისა, რომ სარგონმა მას ცოლად მისცა თავისი ქალიშვილი, ამბარისმა მაინც დაიწყო ინტრიგების მოწყობა ასურეთის მიმართ. იგი შეუკავშირდა ურარტუს მეფე რუსა I-სა და მუშკების მეფე მითას ასურელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მაგრამ სარგონმა დაასწრო და თაბალელთა ლაშქარი გაანადგურა, თვით ამბარისი ტყვედ წაიყვანა. სარგონს დაპყრობილ ტერიტორიაზე თავისი მმართველი დაუყენებია, მოსახლეობისათვის შეუწერია ხარკი. ეს ამბავი ძვ. წ. 713 წელს მომხდარა.[121]

თაბალები ასურულ წყაროებში ჩანან სარგონ II-ის შემდეგაც, სენექერიბის,[122] ასარქადონის[123] და ბოლოს აშურბანიფალის (668-633 წწ.) დროსაც. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს თაბალის მეფე მუგალუზე, რომ ის არ ემორჩილებოდა ჩემს წინამორბედებს, მაგრამ მე დავიმორჩილე და ცხენები შევაწერე ხარკის სახით.[124]

სად მდებარეობდა ასურულ წყაროებში მოხსენიებული თაბალის ქვეყანა? ВДИ-ის კომენტატორის შენიშვნით თაბალები ცხოვრობდნენ მცირე აზიის ტავრსა და ანტიტავრსა, თანამედროვე კაისერის აღმოსავლეთით.[125] გ. მელიქიშვილის ვარაუდით თაბალები ხეთის სამეფოს არსებობის ხანაში მის მეზობლად (ჩრდილო-აღმოსავლეთით) ცხოვრობდნენ.[126] მისივე შენიშვნით, ძველი აღმ-

119 И.М. Дьяконов. АВИИУ, с. 297.

120 იქვე, გვ. 314-315.

121 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, ТБ., 1959, с. 73.

122 ARAB, II, 290 сл., 329, 349.

123 ARAB, II, 516, 531.

124 Г.А. Меликишвили. К истории... с. 73; შეადრ: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, გვ. 62-63; ARAB, II, 781-782, 848.

125 ВДИ, 1951, №2, с. 341, прим. 10.

126 გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 71.

ოსავლური წყაროებით თაბალი ლოკალიზდება კილიკიიდან ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთით მელიდსა (თან. მალატია შუა ევფრატზე) და დასავლეთით ანტიკური ტიანა — კესარიის ხაზს შორის.[127] რამდენადმე განსხვავებული ტერიტორია უჭირავს თაბალებს 1964 წელს გამოცემულ საქართველოს სსრ ატლასში.[128]

ნ. ხაზარაძემ სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა თუბალის ქვეყნის ლოკალიზაციას. მისი თქმით, მკვლევართა უმრავლესობა თაბალის ქვეყნის ლოკალიზაციას ანტიკური წყაროების დიდი კაპადოკიით განსაზღვრავს. ბ. ლანდსბერგერის ვარაუდით თაბალი მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ კაპადოკიაში, ანტიკური მაზაკას რაიონში, ასურული წყაროების ქამანუსა და ხილაქუს გვერდით; ი. დიაკონოვი კი თაბალს სამხრეთ კაპადოკიაში ეძებს. ნ. ხაზარაძე სალმანასარ III-ის „შავი ობელისკის" მონაცემებით თაბალის ასეთ ლოკალიზაციას იძლევა: თაბალი მდებარეობდა მდინარე ევფრატის დასავლეთით, ქ. მელიდის (დღევ. მალატია) მეზობლად.[129] 1978 წელს თაბალების ისტორიაზე მიძღვნილ მონოგრაფიაში ნ. ხაზარაძე აკეთებს ასეთ დასკვნას: „თაბალის ქვეყანა მოსათავსებელია დიდი კაპადოკიის დასავლეთ სექტორში დღევ. გერუნ-შაჰრი-პოზანდიდან (მდ. სეი-ჰანის ზემო დინების) დასავლეთით, დღევ. პოზანდი-ზეივე-ბორი-ჩიფლიკის ხაზიდან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით. დღევანდ. სულთანხან-კაისერი-სუვასა-ტოპადადან აღმოსავლეთით (შუა ჰალისის აღმოსავლეთით).[130] 1984 წელს გამოცემულ ნაშრომში იგი თაბალს მდ. სეიხან-ენიჯეს შუა და ზემო დინების რაიონებში ათავსებს.[131]

ძველ აღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული ტაბალი არაერთგზის იხსენიება ანტიკურ წყაროებში ტიბარენი, ტიბარი, ტიბარანი, ტიბერენი, ტიბრანი და ტიბერანი სახით.[132] ტაბალი თუბალ-

---

127 Г.А. Меликишвили. К истории... с. 75. იხ. თანდართული რუკა.

128 საქართველოს სსრ ატლასი, მ-თბ., 1964, გვ. 245.

129 ნ. ხაზარაძე. თუბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის. — მის. თბ., 1970, გვ. 64–65.

130 ნ. ხაზარაძე. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ., 1978, გვ. 58.

131 ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, გვ. 135. იხ. თანდართული რუკა.

132 ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V, თბ., 1983. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, გვ. 52.

ის ფორმით მოიხსენიება ბიბლიურ თქმულებებში, როგორც „ხელმარჯვე ოსტატი, რვალისა და რკინის მჭედელი."[133] თობელს, როგორც მჭედელსა და მესპილენძეს იცნობს, აგრეთვე, XIII საუკუნის სომხური წყაროც.[134] ივ. ჯავახიშვილი იძლევა ახსნას, თუ რატომ წარმოითქმის ერთი და იგივე ტომის სახელი ასეთი განსხვავებული ფორმებით. მისი აზრით, ტაბალ-ქართველის გამოთქმაა, ტუბალ-ტობალ — მეგრულ-ჭანური, ხოლო — ტიბარ-სვანურ გამოთქმას უახლოვდებაო.[135] საინტერესოა აღინიშნოს, რომ იოსებ ფლავიუსი (ახ. წ. I ს.) ბიბლიურ თუბალებს შემდეგდროინდელ იბერებში ხედავს.[136] ასეთივე მონაცემებით კმაყოფილდებიან, აგრეთვე, ევსტატი ანტიოქიის ეპისკოპოსი (280 — 340 წწ.)[137] და ზონარაც.[138] მოგვიანო პერიოდში ამ მონაცემების გათვალისწინებით ბევრი მკვლევარი შეეცადა ანტიკური წყაროების იბერები ძველი წყაროების თუბალ-ტაბალ-ტიბარენზე დაეკავშირებინა. მ. ჯანაშვილი მიიჩნევდა, რომ „თობელად" უნდა იგულისხმებოდეს არა მთელი ივერობა, როგორც ფიქრობს ფლავიუსი, არამედ მისი ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ზღვის ნაპირებზე, ტბიან ადგილას. სიტყვები თობელი, ტუბალი, ტაბალი, ტიბარენი (ტიბრანი) ნაწარმოებია ერთი და იმავე სახელიდან — ტბა (ტობა, ტოპი, ტვიპ). მისგან წარმოებული სიტყვებია: ტბელი || ტობელი || ტვიბელი || ტობალი, ტბევალი."[139]

ს. გორგაძის მიხედვით ამ ერთ-ერთ ძირითად ქართველურ ტომს ზოგი ტაბალს ეძახდა, ზოგი — თობალს ანუ თუბალს; შემდეგ მას ტიბარი ან თიბერი უწოდეს, საიდანაც მომდინარეობს: ჰიბერი ანუ იბერიო.[140] მკვლევარი იქვე გვიხსნის, თუ სად და როდის უნდა შემოსულიყვნენ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ტაბალები. ისინი მესხების შემდეგ შემოსულან. ჭოროხის მარჯვენა მხარეზე დასახლებულ ტაბალებს ჰიბერი ანუ ივერი

---

133 გ. კოსიდოვსკი. ბიბლიური თქმულებები, რუსულიდან თარგმნა ფ. ბერიძემ, თბ., 1976, გვ. 14.

134 მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია. თბ., 1990, გვ. 42.

135 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1960, გვ. 23-24.

136 ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. I, თბ., 1961, გვ. 271.

137 В.В. Латышев. СК. — ВДИ. 1948. №3. с. 237.

138 იოანე ზონარა. თარგმანი და გამოკვლევა მ. კახაძისა, იხ. ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966, გვ. 182, 191.

139 მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, გვ. 16.

140 ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, გვ. 26.

დარქმევია. საერთოდ კი იბერებს დაუჭერიათ: „ჭოროხის ხეობის უდიდესი ნაწილი და მთელი დღევანდელი იმერეთი, გურია და სამეგრელო.[141]

ნ. მარმა მოგვცა სახელ ტიბარენის, როგორც ადრეული, ისე შემდგომი განვითარების საფეხურები: Suiner (шимер) → Θobe || Θubal || → Tibaren, სპირანტული ტიპით — Ber, საკუთრივ Hiber.[142]

ლეონ მელიქსეთბეგის მიხედვითაც თუბალები იგივე იბერები არიან. „шум-бер“-დან მომდინარეობს სახელწოდება იბერი, რომელიც ნიშნავს „ყვითელ სპილენძს,“ თითბერს.[143] მისივე შენიშვნით საქართველოს ძველი (ვირ-ქ, ვერ-ქ) და ახალი (ვრ-ა-სტ-ან, ვერ-ა-სტან) სახელები კავშირშია რიგ ტომობრივ სახელებთან ი-ბერ, ტ-იბარ-ენ, თ-ობელ და სხვა.[144]

ძველი ავტორების მიერ დაცული ცნობა ტიბარებისა და იბერების ურთიერთობის შესახებ გაიზიარეს XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე მეცნიერებმა (ლენორმანი, მასპერო, სენ-მარტენი, პ. უსლარი, ჰ. კიბერტი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ხახანაშვილი, პ. ინგოროყვა, ი. ყიფშიძე, გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე და სხვ.). ს. ჯანაშიამ ამ პრობლემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მისი გამოკვლევით, რადგან ტაბალურ ხატოვან წარწერებში (კარხემიშიდან) ტაბალების ქვეყანა აღნიშნულია „წყლის“იდეოგრამით, ამიტომ ქვეყნის სახელი (ტაბალი) გაშიფრული უნდა იქნეს როგორც „წყლის“ ან „ზღვის“ ქვეყანა. ხოლო ამ ქვეყნის ხალხის სახელწოდება — როგორც წყლის ან ზღვის ქვეყნის ხალხი.[145] „ტაბა“-ც ხომ ქართველურ ენებში იგივეა, რაც ტბა ტობატიბა. იგი ამბობდა, რომ „ამ ხალხების (ტიბარენები — ს.გ.) უშუალო მემკვიდრენი კავკასიის იბერები არიან, თაბალ-თუბალური ხანა განვითარების მხოლოდ ერთი ეტაპთაგანია, თვით ამ ტერმინის გზით ავდივართ უფრო ადრეულ საფეხურამდე, სუბარ-შუმერამდე.“[146]

---

141 ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, 34-35.

142 По этапам развития яфетической теории. Сборник статей Н. Марра. Москва-Ленинград, 1926, с. 79.

143 Л. Меликсет-беков. Введение в историю государственных образований Юго-Кавказа, Тиф., 1924, с. 29.

144 იქვე, გვ. 96.

145 ს. ჯანაშია. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 65.

146 იქვე, გვ. 74; შეადარე მისივე, შრომები, II, 61, 64-65.

მაშასადამე, მკვლევარია ერთი ჯგუფის დაკვირვებით თუბ-ალ-კაბალები იგივე იბერები არიან. ძველი წყაროებიდან ჩანს, რომ ისინი ურარტულ ხანაში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, სადღაც ხეთებისა და ურარტულ ტომებს შორის მოქცეული ტერიტორიის ერთ მონაკვეთზე. რადგან ისინი ანტიკური ხანის დასაწყისიდანვე შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს გასწვრივ კოტიორას (ორდუ) მიდამოებში გვხვდებიან, უნდა ვიფიქროთ, რომ თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისიდან მრავალჯერ გაწამებული, განსაკუთრებით ასურელებისაგან, იქნებ სკვითებისა და ურარტელების დაწოლის გამო წამოვიდნენ ჩრდილოეთისაკენ და მათი ერთი ნაწილი მოაწყდა შავი ზღვის სანაპიროებს. გარკვეულმა ნაწილმა კი, ეტყობა, მოაშურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს — ჭოროხის ხეობას. მათი შერქმეული უნდა იყოს სპერი (დღევანდელი ისპირი — თურქეთში). სპერები, სასპერები ხომ მრავალი მკვლევრის დაკვირვებით იგივე ტიბარენებია (ს. ჯანაშია,[147] ალ. ჭყონია,[148] პ. ინგოროყვა[149] და სხვ.) ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ დღევანდელი საქართველოს დედაქალაქის სახელი თბილისი (ტფილისი) — კაპიროში უნდა იყოს სატომო სახელთან თობელი → თობელისი → თ(ო)ბილისი → თბილისი.[150]

სალმანასარ III-ის (859-824 წწ.) მემკვიდრეების დროს ასურეთი სუსტდება, თანდათან თმობს პოზიციებს მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე. მას ჩრდილოეთიდან გზა გადაუღობა ურარტუს ძლიერმა სამეფომ. თუ ადრე ასურეთი ძარცვავდა და წვავდა ქართველური ტომების (მათ შორის ურარტუს) ქალაქებსა და სოფლებს, ახლა ძვ. წ. IX საუკუნის ბოლოდან თვით ურარტუმ დაიწყო ასურეთის შევიწროება. ურარტუს მეფეები მენუა იშფუინისძე (ძვ. წ. 810-786 წწ.), არგიშთი მენუასძე (786-764) და სარდური არგიშთისძე (764-735) აწარმოებდნენ განუწყვეტელ

---

147 იქვე. გვ. 61, 64.

148 ალ. ჭყონია. ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტიანობა საქართველოს ისტორიისათვის უძველესი დროიდან ბაგრატიონის გამეფებამდე, ტფ., 1890, გვ. 107-109.

149 სპერი (სბერი, ასბერი) დაკავშირებულია იბერების სატომო სახელთან (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 90, 514), ხოლო პიბერები (იბერები) იგივე თობელები არიან (მისივე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 244, 247, 249).

150 ს. გოგიტიძე. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., 1998, გვ. 80-95.

ომებს, რის შედეგადაც დიდად გააფართოვეს თავიანთი სამეფოს ტერიტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმდროინდელი ურარტუს ურთიერთობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მის მეზობლად განლაგებულ ქვეყნებთან (დიაოხი, კულხა, მუშქი, ტაბალი, ხალიტუ), რომლებთანაც ჯერ კიდევ XII–IX საუკუნეებში ომები ჰქონდა ასურეთს. აქედან მოყოლებული ასპარეზზე გამოდიან სამხრეთ საქართველოს სხვა ტომებიც: ქათარზა, ლუშა, იგანიეხი, უიტერუხი, ზაბახა, ერიახი და სხვები, რომელნიც მკვლევართა დაკვირვებით შეესატყვისებიან ანტიკური და მომდევნო ხანის კლარჯებს (?), ლაზებს (?), ჰენიოხებს, ბიძერებს, ჯავახებსა და ჰერებს.

ურარტუს მეფე იშპუინის მიერ ვანში, სტელაზე, დატოვებულ წარწერაში (ინახება თბილისის სახ. მუზეუმში) პირველად ჩნდება ჩვენთვის მანამდე უცნობი ქართველური მოდგმის ტომები: ლუშა, ქათარზა და უიტერუხი. წარწერა მოგვითხრობს, რომ იშპუინ სარდურისძემ და მენუა იშპუინისძემ უკუაგდეს ეს ტომები, რომლებიც მოეიდნენ (?) ქალაქ ანაშემდე[151] და დიდ კუკურუმდე. ამ ტომების დასახმარებლად მოსულან ეთიუხის ქვეყნის მეფეები. შემდეგ მოთხრობილია, რომ მამა-შვილს იშპუინსა და მენუას განუდევნიათ სამხრეთით მოთარეშე ეს ტომები.[152] ამავე ტექსტში გაურკვევლადაა ლაპარაკი ქ. ანაშაში 720 ათასი — კაცის (?) 670 ათასი — ქალის, 2 600 — ცხენის, 13 540 — თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და 20785 თავი წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოსვლაზე.[153] როგორც ჩანს, ურარტებს არა მარტო განუდევნიათ თავიანთი მიწა-წყალიდან ჩრდილოეთიდან შემოსეული ტომები, არამედ უწარმოებიათ საპასუხო ლაშქრობაც. ეტყობა ამ ლაშქრობის შედეგზეა ლაპარაკი წარწერის ბოლოს. ამ ტომებთან (უიტერუხი, ლუშა, ქათარზა) ბრძოლაზე მოგვითხრობს, აგრეთვე იშპუინის მეორე წარწერა, რომელიც ნაპოვნია ვანთან ახლოს.[154] ბ. პიოტროვსკის აზრით, ეს ტომები არაქსის დაბლობიდან მოვ-

---

151 ანაშეს მკვლევრები ისტორიული სომხეთის ქალაქ ალაშკერტთან აიგივებენ (Б. Пиотровский. Ванское царство (Урарту). М., 1959. с. 31; Н.Б. Арутюнян. Биайнили (Урарту). Ер., 1970. с. 150).

152 Г.А. Меликишвили. УКН. М., 1960. с. 133-134.

153 იქვე.

154 Г.А. Меликишвили. УКН. с. 136.

ილნენ ქ. ანაშემდე (ალაშკერტი).[155] ამ ქვეყნების მოხსენიებას კვლავ ვხვდებით არგიშთი I-ის მენუასძის (786-764) მოღვაწეობის პერიოდში. ისინი მოსულან დიაოხის (ასურული წყაროების დაიაენი) დასახმარებლად სხვა მეზობელ ტომებთან ერთად. არგიშთი I-ის მიერ დატოვებულ წარწერაში (ვანის კლდეზე) უიტერუხის გვერდით დასახელებულია ქვეყნები[156] — ხუშანი, თარიუნი, ზაბახა, იგანი, ერიახი და აფუნი, რომლებიც მისი მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ. ერიახისა და უიტერუხის მოხსენიებას ვხვდებით სარდური II-ს-თანაც.[157] იგანის, აფუნის, თერიანისა, პუზუნიას, კალიანის, იშტელუანის და კურიანის ვხვდებით ურარტუს ამავე მეფის დროსაც.[158] მეფე მენუა I-ის დროს პირველადაა მოხსენიებული შემეთი,[159] რომელიც დიაოხის მეზობელი ან სულაც მისი შემადგენელი ნაწილი იყო.[160]

ურარტულ წყაროებში მოხსენიებული სამხრეთი კავკასიის ქვეყნები (გარდა დიაოხისა) არ გვხვდება ადრინდელ და ურარტულის თანადროულ ასურულ წყაროებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ასურელებს ან არ მიუღწევიათ ამ ტომების მიწა-წყლამდე, ან ესენი განიხილებოდნენ როგორც ნაირის ქვეყნები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასურეთის ძირითადი ექსპანსია მიმართული იყო მასთან ახლოს მყოფი დაიაენისა და მის მეზობლად განლაგებული ქვეყნების წინააღმდეგ. ასურეთის ზოგიერთი მეფე (ტიგლათფილესერ I, სალმანასარ III) ლაშქრობდნენ შავი ზღვის სიახლოვეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხემდე. იმ წვრილ ტომებში, რომლებთანაც მათ უხდებათ ურთიერთობა, ვერ ვხვდებით ურარტულ წყაროებში დასახელებულ ზოგიერთ ტომებს. მართალია, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ეს ტომები შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიდამოებში გვხვდება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი ურარტულ ხანაში აღნიშნული ტერიტორიიდან გაცილებით შორს, აღმოსავლეთისაკენ მოსახლეობდნენ. ასეთი შეხედულება გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც ასურელთა,

---

155 Б. Пиотровский. Ванское царство (Урарту), с. 62.

156 Г.А. Меликишвили. УКН, с. 212-228.

157 იქვე. გვ. 282-287.

158 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 61, 65, 215, 280.

159 იქვე. გვ. 60.

160 შემეთის ქვეყნის შესახებ ვრცლად იხილეთ: ნ. ცეცხლაძე, ს. გოგიტიძე. შემეთი წერილობით წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, № 12.

ისე ურარტელთა დაუმორჩილებელ ქვეყანას ნაირის ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოადგენდა დიაოხი. ურარტელთა პირველი შეტაკების შესახებ ამ ქვეყანასთან გვამცნობს არზრუმის რაიონში კლდეზე მენუა I-ის მიერ დატოვებული წარწერა. სწორედ ამ დროიდან იწყება ურარტელთა წინსვლა ჩრდილოეთისაკენ, არაქსის იქითა მხარეს მდებარე ქვეყნებისაკენ. აქედან მოყოლებული, როგორც ბ. პიოტროვსკი გადმოგვცემს, ურარტუს დაცემამდე კავკასიის სამხრეთი ოლქები იმყოფებოდა ვანის სამეფოს ფარგლებში.[161] მენუა ამბობს, რომ „ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით(?) დიაუეხის, ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი(?) ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იშპუინისძე; წინ უძღოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხესიმაგრეები (დავანგრიე?). მივედი შეშეთის ქვეყნამდე, ქალაქ ზუა(მდე). ქალაქი უტუხაი... მენუა ამბობს: უტუფურსი, მეფე დიაუეხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მოეხვია ფეხებზე, პირს დაემხო; მე(მას) მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით. მომცა მან ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები (?) (რომლებიც) დაბრუნდნენ (მასთან), დამიბრუნა მან მთლიანად..."[162]

ურარტელთა გამანადგურებელი ლაშქრობანი არ წყდება მენუას ძის არგიშთის მეფობის პერიოდშიც. როგორც ჩანს, არგიშთიმ, მას შემდეგ, რაც მოათავა ბრძოლები ასურელებთან და თავისი ქვეყნის საზღვრები გადაჭიმა ევფრატის შუა დინებამდე და სირიის რაიონებამდე,[163] თავისი არმია დაძრა ჩრდილოეთისაკენ. თავისი მამის მენუას მიერ დამორჩილებული ქვეყანა დიაოხი თავისი მეფობის დასაწყისში (ძვ.წ. 785 წ.) კვლავ აჯანყებულა.[164] სურბ-საპაკის ეკლესიის სტელაზე წარწერის ვერსია გვეუბნება, რომ

---

161 Б. Пиотровский. Археологическое изучение древнейшего Закавказья. — ВДИ, 1947, №3, с. 187.

162 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო, ურარტული წყაროები. — ძახიქ, თბ., 1990, გვ. 272.

163 Б.Д. Дацюк. Рабовладельческий строй и рабовладельческие государства на территории Закавказья и Средней Азии. Восточные славяне, М., 1955. с. 6.

164 გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 274.

არგიშთის დიაუხის ქვეყნის სამეფო ქალაქი ზუა აუღია და გაუნადგურებია. ზუაში წარწერა დაუდგამს და შემდეგ წასულა აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ. არგიშთი ამბობს, რომ დიაუხის მეფემ შეწყალების საფასურად მომცა „41 მინა სუფთა (?) ოქრო, 37 მინა ვერცხლი... ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი."[165] ამასთანავე ურარტუს მეფეს დიაუხის მეფისათვის დაუწესებია ყოველწლიური ხარკი. შემდეგ დაულაშქრავს ის ქვეყნები, რომლებიც დიაუხის მეფის დასახმარებლად მოსულან. ამავე წელს (დაახლ. ძვ. წ. 785 წ.) დაუპყრია ლუშას, ქათარზას, ერიახისა და უიტერუხის ქვეყნები. მისულა აფუნის ქვეყნამდე. ლუშას ქვეყნის მეფე დაუსაჭურისებია, ხოლო იგანის მეფე დაუტოვებია ადგილზე.[166]

ურარტულ წყაროებში დიაოხი უკანასკნელად არგიშთი I-ის მეფობის პერიოდში ჩანს. ურარტუს მეფეს დიაუხის მეფის მაპულუბის წინააღმდეგ ულაშქრია.[167] რითაა გამოწვეული, რომ დიაუხი ურარტულ წყაროებში შემდგომში არ მოიხსენიება? მკვლევართა მითითებით ძვ. წ. VIII ს. შუა ხანებში მოხდა დიაუხის განაწილება ორ ძლიერ სახელმწიფოს — ურარტუსა და კულხას შორის. დიაუხის სამხრეთი რაიონები ურარტუმ მიიტაცა, ჩრდილოეთი კი — კულხამ.[168] სწორედ ამ დროიდან არგიშთის მემკვიდრე სარდური II-სთან ურარტულ წყაროებში პირველად ჩნდება ქვეყანა კულხა.[169] ამ ადრეკლასობრივმა სახელმწიფომ, რომლის პოლიტიკური ცენტრი, როგორც ჩანს, ჭოროხის შესართავთან მდებარეობდა, თავისი გავლენა განავრცო მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე. ისარგებლა რა დიაუხის დასუსტებით, რომელიც თავდაცვით ომებს ეწეოდა ჯერ ასურეთთან, ხოლო შემდეგ ურარტუსთან, მისი ჩრდილოეთი ოლქები მიიტაცა. ასე აღმოჩნდა კულხა ძლიერი ურარტუს პირისპირ. თ. მიქელაძე ფიქრობს, რომ ცნება კულხა და დაიაენი სხვადასხვა დროს აღნ-

165 იქვე. გვ. 275.

166 იქვე. გვ. 276.

167 Г.А. Меликишвили. УКН, с. 247.

168 Г.А. Меликишвили. К истории... с. 216-217; შეადარეთ Б. Пиотровский. Ванское царство (Урарту). М., 1959, გვ. 79 (მოთავსებული რუკა).

169 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო. ურარტული წყაროები, გვ. 289.

იშნაელნენ ერისა და იმავე ქვეყანას.[170] თავდაპირველად წამყვან ძალას წარმოადგენდა დიაოხის ოლქი (ისტორიული ტაო), რომლის სახელს იღებს მთელი გაერთიანება. ხოლო შემდეგ წინაურდება კოლხას ოლქი, რომელიც აძლევს თავის სახელს იგივე სამეფოს.[171] იქნებ მანამდეც არსებობდა კონფლიქტები — ორ დიდ ქართველურ ტომთა სახელმწიფოს შორის, მაგრამ ამის შესახებ წყაროები დუმან. ურარტუმ სარდურ II-ის მეფობის პერიოდში კვლავ წაიწია წინ, ჩრდილოეთისაკენ. ურარტელთა წინსვლას ამიერკავკასიაში თან ახლდა მკაცრი ანგარიშსწორება თავისუფლებისათვის მებრძოლ ადგილობრივ ტომებთან. სარდური II-ის ლაშქრობებს ამიერკავკასიაში, როგორც თვითონ მოგვითხრობს, მოსდევდა დასახლებული პუნქტების ნგრევა და გადაწვა, მოსახლეობის აყრა და გადასახლება ბიაინაში.[172] მათი ქონების მითვისება და ხარკის შეწერა.[173]

კულხა ურარტულ წყაროებში მოხსენიებულია მხოლოდ ორჯერ და ისიც სარდური II-ის მეფობის პერიოდში ძვ. წ. VIII ს. 40-იან წლებში. როგორც ჩანს, კულხა თავის გაელენას თავდაპირველად რიონის აუზისაკენ ავრცელებდა. ამის გამო მას არ უხდება შეტაკება სამხრეთელ მეზობლებთან (დიაოხი, ურარტუ) და არც მისი ხსენებაა ურარტულ ეპიგრაფიკაში. VIII საუკუნის შუა წლებიდან კი იგი უკვე სამხრეთის მიმართულებით იწყებს ექსპანსიას და დასუსტებული დიაოხის კუთვნილ ზოგიერთ ოლქებს იპყრობს.[174] ურარტელთა პირველი ლაშქრობის დროს ლაპარაკია კულხას ქვეყნის დალაშქვრაზე. მეორე ლაშქრობის შესახებ სარდური მოგვითხრობს: „გავემართე მე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინაამდეგ, ქვეყანა მე..., ქალაქი ილდამუშა, სამეფო ქალაქი... კულხახალის ქვეყნის მეფისა, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი. (მისი) მოსახლეობა დავწვი, მეფის ნაცვალი კულხას

---

170 **Т.К. Микеладзе.** К вопросу о периодизации истории древней Колхиды. ВИ, Тб., 1973, с. 146.

171 **თ. მიქელაძე.** ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1998, 18 აპრილი.

172 **Б.Б. Пиотровский.** Урартское государство во второй половине VIII в. до н.э. — ВДИ, 1939, №1, с. 6.

173 **გ. მელიქიშვილი.** ურარტუს სამეფო, ურარტული წყაროები, გვ. 287, 290.

174 **ნ. ლომოური.** კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 24.

ქვეყნისა, რომელიც იყო იქ, მე მოვაკვლევინე. რკინის ბეჭედი მოვამზადე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუშაში; ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი (და) დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე.[175]

გ. მელიქიშვილის მიხედვით, მეორე ლაშქრობის დროს ურარტელები კულხას ქვეყნის კიდევ უფრო ჩრდილოეთ რაიონებში მოქმედებდნენ.[176] ისინი იპყრობენ კულხას მეფის სამეფო ქალაქს ილდამუსას. ილდამუსა კულხას ქვეყნის ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქი უნდა ყოფილიყო. ილდამუსა ამ ქვეყნის დედაქალაქი (სამეფო რეზიდენცია) არ იყო („სამეფო ქალაქი" ლურსმნულ დამწერლობაში აუცილებლად დედაქალაქს არ აღნიშნავდა), რადგან საომარ მოქმედებაში კულხას მეფე არ მონაწილეობდა, თუმცა მისი სახელი ამ წარწერაში მოხსენიებული ყოფილა. კულხას მეფის სახელი დაახლოებით იკითხება მეშას სახით.[177] ილდამუსაში მსხდარან კოლხას მეფის მოხელეები (მეფის ნაცვლები), საკუთარი გარნიზონით, რაც სამეფო მოხელეთა ინსტიტუტის ჩასახვის მაჩვენებელია. აღნიშნული ფაქტები გ. მელიქიშვილს საფუძველს აძლევენ სახელმწიფო წარმონაქმნი ივარაუდოს.[178] ნ. ლომოურის აზრით, „კულხა იყო მძლავრი გაერთიანება, რომელშიაც ინტენსიურად მიმდინარეობდა კლასოწარმოქმნისა და სახელმწიფოებრივი წყობილების ჩასახვა-განვითარების პროცესი."[179]

ურარტული წყაროების მიხედვით კულხაში განვითარებული ყოფილა როგორც სოფლის მეურნეობა (მესაქონლეობა), ისე მრეწველობა (მეტალურგია): სარდური II-ის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს კულხასა და მისი მეზობელი უიტერუხიდან გაურეკია მრავალრიცხოვანი პირუტყვი (1500 ცხენი, 17300 მსხვილფეხა და 31600 წვრილფეხა რქოსანი საქონელი). სარდურ II-მ კულხას „სამეფო ქალაქ" ილდამუსაში „რკინის ბეჭედი" გააკეთებინა. ეს არის ერთადერთი შემთხვევა ურარტულ წყაროებში რკინის

---

175 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო... გვ. 292-293.

176 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. გვ. 387; მისივე, Наири-Урарту. с. 264.

177 Г.А. Меликишвили. УКН, с. 155 (Д. стк.5); მისივე, К истории древней Грузии, с. 217.

178 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 387-388.

179 ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 24.

მოხსენიებისა. მკვლევართა ვარაუდით, ეს წარწერა გამარჯვების აღსანიშნავად ურარტუს მეფეს ადგილობრივმა — კოლხმა ოსტატებმა გაუკეთეს. ისინი ამ საქმეში განთქმული უნდა ყოფილიყვნენ.[180] სარდური II, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მოქმედებდა კულხას ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ამ უკანასკნელმა სულ ახლახან მიიტაცა. ასე რომ სარდური მოქმედებს არა საკუთრივ კოლხას, არამედ კულხას მიერ მიტაცებულ მიწა-წყალზე — ჭოროხის ხეობაში, შესაძლოა არტანუჯის მიდამოებში (ილდამუსა თავისი ფონეტიკური აგებულებით ახლოს დგას არტანუჯთან). ჭოროხის ხეობა (მისი ქვემო წელი), რომ რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო კავკასიაში ამას მოწმობს არქეოლოგიური მონაპოვრებიც.[181]

ბოლოს გვინდა შევჩერდეთ „კოლხ" სახელის წარმომავლობაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვეყნის სახელი კოლხა სამხრეთი საქართველოს ერთ-ერთი ოლქის — კოლას სახელიდანაა ნაწარმოები ხური-ურარტული სუფიქსის „ხა"-ს დართვით.[182] ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება არ უნდა იყოს სწორი, რადგან კოლხა თავდაპირველად გამოჩნდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში და არა მტკვრის სათავეებში ე.ი. იქ, სადაც კოლა არსებობდა (?). მარი ბროსეს აზრით, სახელწოდება კოლხოს, კოლხიდა მოგონილია ბერძნების მიერ.[183] თ. მიბჩუანის მიხედვით, ტერმინი „კოლხი" ქართულ-სვანური „კალ" („კალო") სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. თავდაპირველი ფორმაა კალხი. „კალ" სვანურად კალოს, ვაკეს, სწორ ადგილს ნიშნავს.[184]

ასევე მცდარი უნდა იყოს ვარაუდი, რომ კოლხა თითქოს ძვ. წ. VIII საუკუნემდე არ არსებობდა და იგი ამ დროს ჩამოყალიბდა ურარტულ წყაროებში მოხსენიებული ლუშასა და ქათარზას ქვე-

---

180 იქვე. გვ. 389.

181 Д.А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде. ТБ., 1987, с. 41 и след. ასურეთისა და ურარტუს ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ აღმოჩენილა რკინის მკეთებელი ცენტრები (Д.А. Хахутаишвили. Новооткрытые памятники древнеколхидской металлургии железа. — Краткие сообщения. 151, АПКИ, М.,1977, с. 29-33.

182 გ. მელიქიშვილი. ურარტუ. თბ., 1951, გვ. 142.

183 მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ბათ., 1998, გვ. 290.

184 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 144-145.

ყნების ბაზაზე. პ. უშაკოვის მიხედვით ეს უკანასკნელნი გვიან გაერთიანდნენ ქვეყანა კოლხას სახელწოდებით.[185] ასეთ შეხედულებამდე მკვლევარი, როგორც ჩანს, ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული გაერთიანების არასწორმა ლოკალიზაციამ მიიყვანა. მართალია, ლუშას ადგილმდებარეობის გარკვევა ძნელდება, რადგან მსგავსი სახელის მატარებელი ტოპონიმი არ არსებობს ლუშას სავარაუდო მდებარეობის მახლობლად, მაგრამ არც ქათარზას ლოკალიზაცია უნდა იყოს მართებული. ქათარზა არავითარ შემთხვევაში არ არის კლარჯეთი (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), როგორც წარმოდგენილი აქვთ უშაკოვსა და სხვებს. სახელწოდება კლარჯეთი უნდა მომდინარეობდეს არა ქათარზადან, არამედ კოლი, კოლხიდან (კოლხასალი) ქვეყნის სახელი კოლი-კოლხი, იგივეა, რაც კოლარი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს კოლარჯი → კლარჯი.[186] „ხი" ისეთივე მაწარმოებელია, რაც „არ"-ი, ხოლო სატომო სახელებში ხშირია ფუძის კვეცადობა (მაგ: ეგურისი → ეგრისი, ვი-ძერ-უხი(ვიტერუხი) → ო-ძრ-ხე. ამ ბოლო დროს გამოითქვა საინტერესო თვალსაზრისი, რომ სახელები სხვადასხვა ქართველი ტომებისა და ქვეყნების კოლხებისა (კოლ, კორ), ეგრისელებისა (ფუძე გრ, გურ, გერ) და ქართებისა (ქარ) უნდა მომდინარეობდეს საერთო ქართველური სახელწოდებიდან ქურ-ქარებიდან (ფშვინიერ „ქ"-ს ენაცვლებიან მჟღერი „გ" და მკვეთრი „კ").[187]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ურარტულ ეპიგრაფიკაში ხშირია მითითება დაიაენის ერთ-ერთ მეზობელ ტომზე — უიტერუხიზე. ეს ტომი ურარტულ წარწერებში არაერთხელ გვევლინება, როგორც დიაუხის დამხმარე ძალა. წყაროები მრავლად მოგვითხრობენ ვიტერუხის ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის. ეს ტომი ჯერ კიდევ ძვ. წ. IX საუკუნის ბოლოს ჩანს ურარტუს სამფლობელოებში შემოსეულთა სახით. იგი ლუშას, ქათარზასა და ეთიუხის ქვეყნის მეფეებთან ერთად არბევენ იშპუინის სამეფოს.[188] უიტერუხზე ბევრია ლაპარაკი აგრეთვე ურარტუს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი

---

185 П.Н. Ушаков. К походам Урартийцев в Закавказье IX и VII вв. до н.э. — ВДИ. 1946, №2, с. 34, 36.

186 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 138, იქვე, სქოლიო 1.

187 ედ. ყიფიანი. ლასაბამიდან ფარნავაზამდე, ჟურნ. „ცისკარი", 1991, №4, გვ. 135-138.

188 Г.А. Меликишвили. УКН, с. 133-134.

მეფის არგიშთის (886-864 წწ.) წარწერებში. არგიშთის თავისი მეფობის დასაწყისში აუღია უიტერუხის სამეფო ქალაქი ურიეიუნი. ამ და მისი მეზობელი ქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში ურარტუელებს ხელთ უგდიათ 52 675 ადამიანი. ნაწილი გაუჟლეტიათ, ხოლო ნაწილი ტყვედ წაუყვანიათ. ასევე მრავლად გაურეკიათ ცხენი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.[189] არგიშთი თავისი მეფობის მე-13 (?) წელს მოგვითხრობს, რომ „ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) უიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი უიტერუხის ქვეყანა: ქვეყანა გავაჩანაგე, ქალაქები დავწვი... ქალაქი ამეკე [ ] (?)... ქვეყანა უიტერუხი... მე დავდგი წარწერა..."[190] არგიშთი თავისი მეფობის ბოლო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთხელ გაანადგურა და გადაწვა უიტერუხის ქალაქები, მოსახლეობის ნაწილი გაჟლიტა და ნაწილი ურარტუში გარეკა, კვლავ უხდება ამ ქვეყნის დაპყრობა. არგიშთი ამჯერად გაჯავრებული მასზედ, რომ ვიტერუხმა სხვა ტომებთან ერთად დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დიაოხებს გაუწია დახმარება.[191] ურარტუს მეფეს სარდური II-ს ძვ. წ. 744-741 წლებში კვლავ მილეგნებით დაულაშქრია უიტერუხის ქვეყანა. დაუპყრია ამ ქვეყნის 3 ოლქი. ქალაქ ურიაინის ციხესიმაგრე აუღია და იქ თავისი მოხელე დაუტოვებია, როგორც „უიტერუხის ქვეყნის მეთვალთვალე."[192]

ურარტული წყაროების უიტერუხი მკვლევარებს გადმოაქვთ, როგორც ვიტერუხი. მასში გამოყოფენ კუთვნილების აღმნიშვნელ ხური-ურარტულ სუფიქს „ხი". ამ ტომის სახელი შემოინახა ბერძნულ-რომაულმა წყაროებმა ბიძერებისა თუ მისი ვარიანტული სახეებით,[193] ისევე როგორც ძველი ქართული პროვინციის ოძრ(ა)ხემ, რომელიც მდებარეობდა აბასთუმნის მახლობლად. „ოძრხე" სამცხის უძველესი სახელიც უნდა ყოფილიყო.[194] გ. მელიქიშვილმა ამ ტომის ლოკალიზაცია ურარტული წყაროების მონაცემების მიხედვით ასე მოახდინა: ქათარზა და ვიტერუხი იხსენებიან

---

189 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო., ურარტული წყაროები. გვ. 274-275.

190 იქვე. გვ. 282.

191 Г.А. Меликишвили. УКН, с. 235.

192 იქვე, გვ. 282.

193 ასეთი აზრი პირველად გამოთქვა ა. უშაკოვმა (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 36-37).

194 გ. მამულიას მიაჩნია, რომ ვიტერუხი, ძველქართულად ოძრხეა (გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 53).

ერთად, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მდებარეობდნენ ერთმანეთის ახლოს. ვიტერუხის ადგილმდებარეობის გარკვევისათვის ის მიაქცევს ყურადღებას არგიშთი I-ის წარწერის ერთ ადგილს, სადაც აღწერილია ურარტელთა ლაშქრობა სამხრეთ ამიერკავკასიის ქვეყნებში. არგიშთი I დიაუხიდან (არზრუმის რაიონი) მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართულებით და შედის იგანიეხში (ჩილდირის ტბის სამხრეთი სანაპირო), შემდეგ არგიშთი მიემართება ერიახისაკენ; იგი აქ, ახლოს (ახლა ლენინაკანის რაიონში, უნდა მოიძებნოს. ერიახის ახლოსაა ნახსენები ქვეყანა აფუნი და დაპყრობა უიტერუხის ტომის „სამეფო ქალაქ" ურიეიუნისა. აქედან გამომდინარე, დაასკვნის მკვლევარი ვიტერუხი, თითქოს უნდა მოიძებნოს ერიახის ახლოს (ლენინაკანის რაიონში). ქ. ურიეიუნი ურაიანის ფორმითაა მოხსენიებული არგიშთი I-ის მემკვიდრის სარდურ II-ის მეფობის ხანაში; იგი აქ აგებს ციხესიმაგრეს. ამ ტერიტორიას ურარტელი მეფე უშუალოდ აერთებს თავის სამეფოს და მას ურარტუს პროვინციად აქცევს (აქ იგი თავის მოხელეს ნიშნავს). ეს გარემოება გ. მელიქიშვილის შენიშვნით გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ვიტერუხის სამხრეთი პერიფერიები არ უნდა მოვძებნოთ შორს ჩრდილოეთში. იგი, როგორც ჩანს, მდებარეობდა ლენინაკანის რაიონის მახლობლად.[195] მისივე შეხედულებით ვიტერუხის ტერიტორია ვრცელდებოდა ლენინაკანის მახლობელი ადგილებიდან ჩრდილოეთისაკენ ოძრ(ა)ხეს (თან. აბასთუმნის ახლოს) მიმართულებით. ეს შეხედულებანი, როგორც ვიტერუხის კავშირი ბერძნულ-რომაული წყაროების ბიძერებთან, ისე ქართულ ოძრხესთან და თვით ამ ქვეყნის ზემოაღნიშნული ლოკალიზაცია გაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.[196] უიტერუხის ლოკალიზაციაზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ გამოთქმული გ. კაპანციანს, ნ. არუტუნიანს და სხვებს. მათი შეხედულებით უიტერუხი ანაშეს მიდამოებსა და მის ჩრდილოეთით უნდა მოთავსდეს, ახურიანის არაქსთან შეერთების დასავლეთით.[197] საინტერესოა აღინიშნოს,

195 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 64; მისივე, К истории древней Грузии, с. 210.

196 პ. უშაკოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 35-37; საქართველოს სსრ ატლასი, გვ. 244, 245 (რუკა); გ. მამულია. დასახ. ნაშრ., გვ. 53; შ. ყარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 12.

197 გ. კაპანციანი. Ուրարտուի պատմություն, Ер., 1940, с. 170. Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту). Ер., 1970, с. 147, 150, 390-395, Всемирная история, т. I, М., 1956, 516-517 გვერდებს შუა მოთავსებული რუკა.

რომ ზოგიერთი ევროპელი მკვლევარი ამავე მიდამოებში დაიაენ-დიაოხს ათავსებს (ელექსირთის ჩრდილოეთით).[198]

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „უიტერუხი"-ში უნდა გამოიყოს „უი" (ვი) პრეფიქსი და ხური-ურარტული სუფიქსი ხი(უხი).[199] ფუძეა „ტერ"[200] (სარდური II-სთან დამოწმებულია ვარიანტი „ტირ").[201] ასეთივე ფუძე „ზირ" „ძარ" გამოიყოფა ბერძნულ-რომაულ წყაროებში დამოწმებულ ამ ეთნონიმშიც.[202] ვიტერუხი (ბიძერი) იგივეა რაც ოძრხე. ამ უკანასკნელში ფუძე (ძრ) გვაქვს შეკუმშული სახით,[203] ისევე, როგორც სხვა ქართულ ტომთა სახელებში (ე-გურ-ისი → ე-გრ-ისი, კოლი → კლ-არ-ჯი).[204] ბიძერები ბერძნულ-რომაული წყაროებით მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში ჭოროხის შესართავისა და მის მახლობლად განლაგებულ რაიონებში მოსახლეობდნენ[205] (უეჭველია ისინი ბინადრობენ აჭარის ტერიტორიაზეც).[206] რადგან სახელწოდება „აჭარა" VI–VII საუკუნის სომხურ წყაროში (ანანია შირაკაცი) ჩნდება,[207] ე.ი. თითქმის იმავდროულად, რა დროსაც აჭარის ტერიტორიაზე ბიძერები ჩანან.[208] ამიტომ შეიძლება ვაღიაროთ, რომ ამ ქვეყნის სახელწოდება სატომო სახელზე (ძერ, ზირ, ძარ...), რომლის ქართული ფორმაა ჭარ (ბერ-

---

198 P. Zimansky. Urartian Geograpry and Sirghon's Eighth Campaign Journal of Near Eastern Studies, 1990, p. 49; D. Braund. Georgia in Antiquity. Oxford, 1994, p. 91.

199 ს. გოგიტიძე. ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნ. „ჭოროხი", 1991, №4, გვ. 90; მისივე, აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, №1, გვ. 125–126, 130.

200 იქვე. გვ. 125.

201 Г.А. Меликишвили. УКН. с. 282.

202 ს. გოგიტიძე. „ფარნავაზიანი" და აჭარა. ბსკი-ს და კოლხეთის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესიის მოხს. თეზისები, ბათ., 1995, გვ. 13.

203 ოძრხე გ. მელიქიშვილმა „ოძროხი"-ს ფორმით აღადგინა (ძიებანი... გვ. 93 და შემდეგი).

204 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 138, იქვე სქოლიო 1, 139.

205 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 84; Г.А. Меликишвили. К истории... თანდართული რუკა.

206 ჩვენი წიგნი „აჭარის ეტიმოლოგია და აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხი" მომზადებულია გამოსაცემად.

207 К. Патканов. Армянская география VII в. СПб., 1877, с. 39.

208 ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამასინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999, №3, გვ. 150–151.

ძნულში ჭ ბგერის უქონლობის გამო ეს უკანასკნელი ძ, ზ-ეთი გადმოიცემოდა „ა“-„ა“ პრეფიქს-სუფიქსის დართვით ფორმდე-ბა.[209]

მამასადამე, უი-ტერ-უხის (ვი-ტერ-უხი, იტერუხი) ქართული ფორმაა ო-ჭერ-უხი), იგივეა, რაც ა-ჭარ-ა. ვიტერუხის ტომი აჭ-არის მკვიდრთა შორეული წინაპრებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურ-არტული წყაროების ქათარზა არ შეესატყვისება გვიანდელი ქარ-თული წყაროების კლარჯეთს. ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ვი-ტერუხის ტომის უფრო სამხრეთი პერიფერია არა გიუმრის რაიო-ნში, არამედ გაცილებით შორს მისგან ჩრდილო-დასავლეთში მოვძებნოთ, კერძოდ ქ. ოძრხესა და მის სამხრეთით მდებარე ტე-რიტორიაზე. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროვ-ელი მოგვითხრობს, რომ მცხეთოსის შვილს ოძრხოს მის ქვეყანა-ში აუშენებია ორი ციხე-ქალაქი ოძრხე და თუხარისი.[210] ამ ცნ-ობით თითქოს ნათელია, თუ რა მდებარეობა ეჭირა ოძ(ე)როხს (ვიძეროხს) უძველეს ხანაში. რადგან „ამბავი ქართლისაში“ ოძე-როხის გვერდით მოხსენიებული არიან ჯავახოსი (ურარტული წყ-აროების ზაბახა) და უფლოსი[211] უნდა ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველთან სწორედ ეს პერიოდია (ურარტული ხანა) ასახული. ჩვენ ყველა მონაცემების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ვიტერუხის ტომი უძველეს ხანაში ფლობდა მიწა-წყალს ტაშისკარის მიდამ-ოებიდან (მტკვრის ხეობაში, ბორჯომის რაიონი) მოყოლებული სამხრეთისაკენ თუხარისის (ჭოროხის შუა წელზე) მიდამოებამდე, ე.ი. სადღაც ოლთისის წყლის ჭოროხთან შეერთებამდე. მასვე ეკ-უთვნოდა შემდეგდროინდელი სამცხის ტერიტორიაც. ხოლო რაც შეეხება ლეონტი მროველის ცნობას, რომ ოძეროხს ეკუთვნოდა ტერიტორია შავ ზღვამდე[212] (ე.ი. ტაშისკარ-ოძრხე-თუხარისის ხა-ზის დასავლეთით მდებარე ტერიტორია), სარწმუნოა და ეს ნაწი-ლობრივ ბერძნულ-რომაული წყაროებითაც დასტურდება, მაგრამ

209 ს. გოგიტიძე. სახელწოდება „მაჭახელის“ (მაჭახანი) შესახებ, ჟურნ. „ჭო-როხი“, 1994, №5-6; 177, 180; მისივე: აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, გვ. 120-132; კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ, ჟურნ. „ჭო-როხი“, 1996, №3, გვ. 144, 146-147.

210 ლეონტი მროველი. ქართველ მეფეთა ცხოვრება, გვ. 9.

211 უფლოსის წილხვედრილი ქვეყანა. ჩვენი აზრით, უნდა გაიგივდეს ურარტ-ული წყაროების აფუნის ქვეყანასთან.

212 ლეონტი მროველი. ქართველ მეფეთა ცხოვრება, გვ. 9.

ეტყობა ჭარული ტომის მიერ ამ ტერიტორიის დაკავება შავ ზღვამდე დიდი ძვრების შედეგია, რომლებიც გამოიწვია ძვ. წ. VIII საუკუნის 30-იან ან 20-იან წლებში კიმერიელთა და სხვა ტომების შემოჭრამ ამიერკავკასიისა და მის სამხრეთით განლაგებულ რეგიონებში. ამას ადასტურებს ურარტული წყაროების მონაცემები. ვიტერუხი და მისი მეზობელი ტომები ასწრებენ დიაუხზე დასახმარებლად მისვლას ურარტელთა შემოსევის დროს (არგიშთი I-ის გამოჩენა დიაოხის ტერიტორიაზე და ვიტერუხისა და მისი მეზობელი ტომების შებმა ურარტელებთან).[213] აქედან ჩანს, რომ ვიტერუხი დიაუხის მეზობელი ქვეყანაა. ურარტუს მეფე სარდური II კულხას ქვეყნის დალაშქვრის (ძვ. წ. VIII ს. 40-იანი წწ.) შემდეგ პირდაპირ შედის ვიტერუხში. ესაა ვიტერუხის სამხრეთი ნაწილი, რომელიც სარდურიმ დაიპყრო და შეუერთა თავის სამეფოს.[214] მაშასადამე, ვიტერუხი ამ წყაროების მიხედვით, როგორც დიაოხის, ისე კულხას მეზობელი ქვეყანაა. ეს იქიდან ჩანს, რომ კოლხასა და ვიტერუხში ურარტუს მეფეს თავისი ლაშქრობანი ერთი დღის განმავლობაში შეუსრულებია.[215] საერთოდ, ეტყობა, ვიტერუხი მდებარეობდა კოლხას აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ, ხოლო მას შემდეგ, რაც კოლხამ მიითვისა დიაოხის ჩრდილო რაიონები, კოლხა ვიტერუხს გაუმეზობლდა აგრეთვე სამხრეთშიაც. ამიტომაა, რომ სარდური II კოლხას ქვეყნის სამხრეთი რაიონების დალაშქვრის შემდეგ შედის ვიტერუხის სამხრეთ ნაწილში და იქ ქ. ურიეიუნში აგებს ციხესიმაგრეს და სვამს თავის მოხელეს.[216]

ურარტულ წყაროებში ვიტერუხის გვერდით ხშირად იხსენიება ტომი ქათარზა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქათარზა მკვლევართა მიერ გაიგივებულია საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ ოლქთან — კლარჯეთთან. პ. უშაკოვის მიხედვით ქათარზას სახელი შემონახულია ოლქ კოტარზენის სახელში. გვიან ხანაში მას ეწოდებოდა კლარჯეთი, არაბები უწოდებდნენ კალარჯეთს, ხოლო არმენები — კლარჯას.[217] გ. მელიქიშვილის შეხედულებით ქათარზას

---

213 Г.А. Меликишвили. УКН, с. 235.

214 იქვე, გვ. 282.

215 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო., ურარტული წყაროები, გვ. 293.

216 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 64; მისივე, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 105.

217 П.Н. Ушаков. Ук. Соч., с. 37.

სახელი შემოინახა კოტარზენეს ოლქმა მდებარე მოსხურ მთიებთან, რომელსაც ასახელებს კლავდიოს პტოლემაიოსი, გოდერძის გადასასვლელმა აჭარიდან სამცხეში და შესაძლებელია ძველქართულ წყაროებში მოხსენიებულმა ტომმა კლარჯმა, მცხოვრებმა სამხრეთ საქართველოში.[218] მისივე შენიშვნით, რამდენადაც ურარტული წყაროები ქათარზასა და ვიტერუხს ხშირად ერთად იხსენიებენ, ისინი მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ქათარზას კავშირს „კლარჯ(ეთი)"-ს სახელთან, მაშინ იგი ოძრ(ა)ხეს დასავლეთით უნდა წარმოვიდგინოთ.[219]

ნ. არუთუნიანი ერთმანეთს ადარებს მარმაშენისა (ერიახი-ირდანიუნი-იშკიგულუ) და ხორხორის (ერიახი-ქათარზა-იშკიგულუ) წარწერებში დამოწმებულ ქვეყანათა რიგს. გამოთქვამს აზრს, რომ რადგან ამ ტექსტებში ერიახი და იშკიგულუ ერთმანეთს ედრება, ამიტომ ხორხორის წარწერაში მოხსენიებული უნდა იყოს ქვეყანა (ქათარზა), ხოლო მეორეში მისი ცენტრი ირდანიუნი.[220] მისივე თქმით, ცდება ო. კარაგეზიანი, როცა ირდანიუნს თელის ერიახის ქვეყნის ცენტრად. ასევე ცდება იგი, როცა მიიჩნევს, რომ ირდანიუნს არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს კატარზასთან. ნ. არუთუნიანის მტკიცებით ირდანიუნი შეესაბამება დღევანდელ ართვინს (ჭოროხის ხეობაში, ქვემოწელზე), ამიტომ კატარზას ლოკალიზაცია უნდა მოხდეს ართვინის მიდამოებში, ჭოროხის ორივე მხარეს. ირდანიუნი უნდა ჩაითვალოს ქათარზას ქვეყნის ცენტრად.[221] იშკიგულუ საძებარია ქათარზას (კლარჯეთის) ჩრდილოეთით, რადგან დამპყრობთა ჯარი ქათარზას დარბევის შემდეგ ირდანიუნით შემოიჭრნენ იშკიგულუს ქვეყნამდე.[222] ნაშრომის სხვა ადგილას მეცნიერი იზიარებს კლარჯეთისა და კაარზას იგივეობას, ოღონდ აღნიშნავს, რომ ქათარზა კლარჯეთის სამხრეთით უნდა ყოფილიყო ან ქათარზას საზღვრები ჩრდილოეთის მიმართულებით მიდიოდა კლარჯეთის სამხრეთ პერიფერიებამდე.[223]

---

218 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვ. 382; მისივე. К истории... с. 210ˆ 211-212&

219 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 383.

220 **Н.В. Арутюнян.** К локализации города Ирданиуни Урартской клинописи. — კაკ, VIII, თბ., 1988, გვ. 31.

221 იქვე, გვ. 33-35; მისივე: Биайнили (Урарту), Ер., 1970, с. 232; Топонимика Урарту, Ер. 1985, с. 105-106.

222 **Н.В. Арутюнян.** Биайнили (Урарту), с. 233.

223 იქვე, გვ. 148, 393, შეადარე ნაშრომზე დართული რუკა.

ნ. ასათიანი ურარტული წყაროების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ კატარზა ქ. ზარაშატის სამხრეთითაა და ქ. სარიყამიშის ჩრდილოეთით, ქ. ყარსისა და მდ. ყარსის წყლის მხარეშია მოსათავსებელი.[224] გ. ქავთარაძის აზრით, ურარტული წყაროების კატარზას კავშირი უნდა ჰქონდეს კლავდიოს პტოლემაიოსის კატარძენესთან, ეს უკანასკნელი კი მტკვრის სათავეებში ან მის მახლობელ მხარეში უნდა მოთავსდეს.[225]

საქართველოს ატლასში განმარტებულია, რომ ქათარზა არის გვიანდელი კლარჯეთი. რუკაზე კი აღნიშნულია, რომ ქათარზა იგივე ხორძენა, იგივე კლარჯეთია. ასეთი შეხედულება გაბატონებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[226] ჩვენ გვაქვს განსხვავებული შეხედულება ქათარზას ადგილმდებარეობის შესახებ. ასევე არ მიგვაჩნია სწორად შეხედულება, რომ თითქოს მისი სახელი გვიანდელი წყაროების კლარჯეთის სახელშია შემონახული. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეიტერიხს (ოჰერიხი), ერთის მხრივ, თავდაპირველად უნდა სჭეროდა ის ადგილიც, რომელზედაც მოგვიანო ხანაში კლარჯეთი ჩანს. მეორეს მხრივ, კლარჯეთის სახელი წარმომდგარი უნდა იყოს არა კოლა-დან, როგორც მიუთითებენ ლეონ მელიქსეთ-ბეგი[227] და პ. ინგოროყვა,[228] არამედ ჭოროხის ხეობის კოლიდან. კოლხას თავისი ძლიერების ხანაში (ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახ.) ისტორიული კლარჯეთის ტერიტორია უნდა მოექცია თავისი სახელმწიფოს ფარგლებში. კლარჯეთი რომ კოლი-კოლარი, კალარი (ქართის ფორმა) ფორმიდან მომდინარეობს თითქოს, „ქართლის ცხოვრების" მაჩაბლისეული ნუსხაც ადასტურებს. იქ კლარჯეთის ფორმად კალარჯეთია დადასტურებული.[229] ასევე ქათარზა არ უნდა იყოს ხოტენა ან ხორძენა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქათარზა, კლარჯეთი, ხოტენა და ხორძენა როგორც

---

224 მ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში. – სქაუქტ. თბ., 1993, გვ. 18.

225 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 102.

226 საქართველოს სსრ ატლასი, გვ. 244, 245; გ. მელიქიშვილი. ურარტუ. – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 343.

227 Л. Меликсет-беков. Ук. соч., с. 79, 94.

228 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 138, იქვე სქოლიო 1.

229 ქართლის ცხოვრება, ტ. I, იხ. შენიშვნებში: გვ. 23, 48, 177, 185, 186, 226, 333 და სხვა.

ტერიტორიულად, ისე ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ოლქები უნდა იყოს. კატარზა შეიძლება გაიგივდეს კლავდიოს პტოლემაოსთან დამოწმებული ოლქის სახელ კოტარძენესთან.[230] მაგრამ კოტარძენე არ შეიძლება იყოს კლარჯეთი, როგორც ამას ზოგი ისტორიკოსი თვლის.[231] მაინც სად მდებარეობდა ქათარზა-კოტარძენე? ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი პროკოპი კესარიელთან დამოწმებულ სახელ კითარიძონთან უნდა გაიგივდეს (შეადრ: კათარზა, კატარზ-ენა, კითარ(ი)ძ-ონ). პროკოპის მიხედვით „ადგილი კითარიძონი მდებარეობს ე. წ. ასთიანინეში... თუ წახვალ კითარიძონიდან თეოდოსიუპოლისა და მეორე არმენიისაკენ, იმ გზაზე მდებარეობს ქვეყანა, ხორზანას სახელით."[232] ი. მანანდიანის გამოკვლევით ხორზენე მდებარეობდა მტკვრის სათავის მიდამოებში აღმოსავლეთის მხარეს.[233] დაახლოებით ამავე ადგილას ათავსებს ხორძენას ს. ჯანაშიაც.[234] კითარიძონში რომ კლარჯეთი ვიგულისხმოთ დაუშვებელი იქნებოდა კლარჯეთიდან ხორზანას გავლის შემდეგ მოხვედრა მეორე არმენიაში, და მეორეც, კლარჯეთი არავითარ ასთიანინეში არ მდებარეობს. ამიტომ კითარიძონი, რომელიც ხორძენადან აღმოსავლეთისაკენ უნდა ვიგულისხმოთ, ურარტული წყაროების ქათარზას უნდა შეესატყვისებოდეს (შეადრ: კითარ(ი)ძ-ონ, კათარზ-ა). კათარზას ზუსტი ლოკალიზაციის განსაზღვრა წყაროების უქონლობის გამო ძნელდება. ამ მიმართებით საინტერესოა ი. ბარბაროს მიერ არმენიაში მოხსენიებული ციხესიმაგრე კატრი (არარატის მთის მახლობლად).[235] ქათარზა არა ჭოროხის ხეობაში, არამედ მისგან გაცილებით აღ-

---

230 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ.-მსკი, ნაკვ. 32. თბ., 1955, გვ. 49.

231 იხ. იქვე, გვ. 61, სქოლიო 4; თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი... გვ. 165.

232 Прокопий Кесарийский. О постройках, перевод С.П. Кондратьева, ВДИ, 1939, №4, с. 244.

233 Я.А. Манандян. Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду. – ВДИ, 1940, 3-4, с. 95 (მოთავსებული რუკა).

234 ს. ჯანაშია. შრომები, II, გვ. 94. ხორძენას ასეთ ლოკალიზაციას სხვა ცნობებიც უჭერენ მხარს. სწორედ ამით აიხსნება, რომ პტოლემაიოსთან კატარძენე არმენიის ოლქია, ხოლო არტანისსა (არტანუჯი) იბერიის ქალაქი.

235 XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელ. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 62.

მოსავლეთით მდებარეობდა, რასაც ადასტურებს არგიშთი I-ის წარწერა: ურარტელები იპყრობენ სამხრეთი ამიერკავკასიის ქვეყნებს ასეთი თანმიმდევრობით: ეთიუნი, ერიახი, კათარზა; ამის შემდეგ ისინი მისულან იშკიგულუს ქვეყნამდე.[236] ერთი მხრივ, ურარტელები ქათარზაში შედიან ერიახის შემდეგ, რომელიც გაიგივებულია ჰერებთან და რომლებიც სევანის ტბის ჩრდილო ნაწილში ლოკალიზდებიან, მეორე მხრივ, თუ ქათარზა კლარჯეთის შეესატყვისება, მაშინ მის ჩრდილოეთით კოლხა კი არა, იშკიგულუს ქვეყანა უნდა მოთავსდეს, რაც საეჭვოა. არგიშთის სხვა წარწერაშიც ქათარზა ერიახის ერთად იხსენიება. მაშასადამე, ქათარზას სახელი შემონახულია ანტიკურ წყაროებს-კლავდიოს პტოლემაიოსს-კატარძენასა და პროკოპი კესარიელს კითარიძონის სახით. იგი მდებარეობდა არა ჭოროხის ხეობაში, არამედ მტკვრის სათავეში არსებული სორძენიდან აღმოსავლეთით. ქათარზას დაახლ. ამავე ტერიტორიაზე (ლენინაკანის მიდამოებში) ეძებს გ. მელიქიშვილიც.[237]

ურარტულ წყაროებში ქათარზასა და ვიტერუხის გვერდით ფიგურირებს ლუშას ქვეყანა. ეს ქვეყანა პ. უშაკოვის ვარაუდით იგივე ქვეყანაა, რომელიც წყაროებში გვხვდება ჯერ კიდევ ხეთის უკანასკნელი მეფის ტუტხალია IV „ქრონიკაში," რომელიც მეფობდა ძვ. წ. 1220 წლის ახლო ხანებში, Luusa-ს, ან Luisa-ს ფორმით. იგი ამ ტომს ვიტერუსის, ქათარზასა და იგანისთან ერთად, დიაუსისა და ეთიუნს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე ათავსებს[238] და მიიჩნევს, რომ ლუშა და ქათარზა გვიან გაერთიანდნენ კულხას სახელწოდებით და უკვე სარდური II-ის (764-735 წწ.) დროს ისინი ჩანან კულხას სახით.[239] მანამდე გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარმა მიუთითა, რომ ურარტული წყაროების ლუშა (ლოსა)-ში გვიანდელი წყაროების ლაზები უნდა ვიცნოთ.[240] ეს დებულება ზოგიერთმა მკვლევარმა გაიზიარა. შ. ეარშანიძის მიხედვით ლუშა ანუ ლოსა ლაზთა წინაპრები არიან.[241] გ. მელიქიშვილმა თავის შრომებში ლუშა(ლოსა)-სა და ლაზის ურთიერთმიმა-

---

236 Г.А. Меликишвили. УКН. с. 228.

237 Г.А. Меликишвили. К истории... с. 210; Его же, Наири-Урарту. с. 64.

238 П.Н. Ушаков. Ук. Соч., с. 31, 35.

239 იქვე, გვ. 36.

240 პ. უშაკოვი. საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები. — სიმ., ტ. X-B, 1940, 261.

241 შ. ეარშანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 12.

რთება კითხვითი ნიშნის ქვეშ დააყენა.[242] ადრინდელ ნაშრომში კი მიუთითებდა რომ ლუშა, ქათარზა და უიტერუხი მეზობლები არიან. მათი ლოკალიზაცია არ ხერხდება.[243] ნ. არუტუნიანის აზრით, ლუშა უიტერუხის ჩრდილოეთით და ქათარზას სამხრეთით მდებარეობდა,[244] ე.ი. ალაშკერტსა და ყარსს შორის. ნ. არუტუნიანის მიერ შემოთავაზებული ქათარზასა და უიტერუხის ლოკალიზაცია არ უნდა იყოს სწორი, ამიტომ უეჭველია ამ ქვეყნების ადგილმდებარეობის მიხედვით განსაზღვრული ლუშას ლოკალიზაციაც საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. ბ. პიოტროვსკი თვლის, რომ იშპუინის დროს ლუშა ქათარზასა და უიტერუხთან ერთად ანაშაში არაქსის დაბლობიდან მოვიდნენ.[245] შ. ასათიანის გამოკვლევით, ლუშა ქ. სარიყამიშსა და მდ. ოლთისის სათავის მიდამოებში უნდა მოთავსდეს. ეს ტერიტორია კი ლაზების (ჭანები) ადგილსამყოფლის რეგიონში (მდ. ჭოროხის აუზი) შედის.[246]

წყაროები ლუშას ლოკალიზაციის ან ეთნიკურობის დასადგენად არ იძლევიან საკმაო ცნობებს. რამდენადაც ლუშა ურარტუს მეფეთა (იშპუინი, არგიშთი I) წარწერებში მოხსენიებულია ასეთ რიგში: ლუშა — ქათარზა — ვიტერუხი (იშპუინი), ან ლუშა — ქათარზა — ერიახი (არგიშთი I), უნდა ვივარაუდოთ, რომ ლუშა მდებარეობდა ქათარზას გვერდით, დასავლეთის მიმართულებით. ქათარზა თავის მხრივ, მდებარეობდა ერიახის დასავლეთით. ლუშა ვიტერუხის სამხრეთით უნდა ყოფილიყო, სადღაც მტკვრის სათავეს ან ჩილდირის ტბის სამხრეთით. ამ ტომის ეთნიკური კუთვნილების დადგენა არ ხერხდება. ლუშას ტომი იყო თუ არა მერმინდელ ლაზთა წინაპარი, არ ჩანს. ურარტულ წყაროებში ლუშა უკანასკნელად ჩანს არგიშთი I-ის მეფობის პერიოდში, სოლო ტომი ლაზის სახელწოდებით — ძვ. წ. I საუკუნეში და ისიც სანიგების გვერდით. ამიტომ ძნელია გარკვევა იმისა, თუ სად იყვნენ ლაზები მთელი ამ დროის (ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახ.-ძვ. წ. I ს.) განმავლობაში, ან როგორ მოხვდნენ ისინი სამხრეთი ამიერკავკასიიდან ასე შორს-ჩრდილოეთში.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლაზები იგივე ზანებია (სანები) და მათი სახელი ნაწარმოებია სატომო სახელ „ზანი"-ზე „ლა"

242 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 383; მისივე, К истории... с. 210.

243 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 64.

244 Н. В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 350, 392.

245 Б. Пиотровский. Ванское царство (Урарту), с. 62.

246 შ. ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

პრეფიქსის დართვით.[247] ეს თუ ასეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ლუშასაგან ლაზთა წარმომავლობაზე ზედმეტია ლაპარაკი. თუ დავუშვებთ, რომ ლაზის სახელი ნაწარმოებია იმ სახით, როგორც ს. ჯანაშია ფიქრობდა, მაშინ უნდა დავდგინდეს, იყო კი ზანის (სანის) სახელის მატარებელი ტომი ძვ. წ. IX საუკუნეზე უადრეს. ასევე ძნელია გაიზიარო ხეთური წყაროების ლუიშასა და ურარტული წყაროების ლუშა-ლიუსას იგივეობა. თუ ჩვენი შეხედულება ლუშას ლოკალიზაციის შესახებ სწორია, მაშინ არაა მართებული პ. უშაკოვი, როცა თვლის, რომ ლუშა და ქატარზა თითქოს იმიტომ არ იხსენიებოდეს სარდური II -ის წარწერაში, რომ ისინი გვიან გაერთიანდნენ კულხას სახელწოდებით. ლუშა და ქატარზა, როგორც ჩანს, მორიგი მსხვერპლი გახდა მომძლავრებული ურარტუსი. ურარტუმ, ისე როგორც ვიტერუხის სამხრეთი სამი ოლქი, ეტყობა ლუშა და ქატარზაც თავისი გავლენის სფეროში მოაქცია.

ურარტულ მეფეთა წარწერებში მოხსენიებულია, აგრეთვე იგას ტომი (ზოგჯერ იგანის ფორმით). პ. უშაკოვს აინტერესებს, თუ რომელი ხალხი ცხოვრობდა კოლხასა და დიაუხის ჩრდილოეთით, კავკასიის სიღრმეში. მისივე თქმით ამ კითხვაზე ბიაინილის მეფეთა სამხედრო ქრონიკები იძლევიან გასაგებ პასუხს: „ვიცირუსებისა და დიაუხების ჩრდილოეთით განლაგებული იყო ქვეყანა იგა, ანუ იგანი."[248] იქვე მიუთითებს, რომ იგანი მდებარეობდა ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში და ვრცელდებოდა ჩილდირის ტბამდე. ამიტომაა, რომ სარდურის ტექსტში იგანი ჩანს, როგორც მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ოლქი.[249] მის ხსენებამდე სარდური ლაპარაკობს ეთიუნისა და ერიახის ქვეყნებზე, ლაშქრობაზე კულხასა და ვიტერუხის ქვეყნების წინააღმდეგ. ამიტომ იგანიეხის ლოკალიზაცია, კოლხა-ლუშა-კატარზა-ვიტერუხის ისევე როგორც დიაუხის ჩრდილოეთით, გამართლებულია. იგი განივრცობოდა ჩილდირის ტბიდან ჩრდილოეთისაკენ და სარდუ-

247 Л. Меликсет-беков. Ук., соч., с. 75; ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. — საისტორიო მოამბე, ტ. I, 1924, გვ. 72; ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ ვრცელი მიმოხილვა, ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 24–28.

248 П.Н. Ушаков. Ук. Соч., с. 37.

249 იქვე, გვ. 37–38.

რის დროს აღწევდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიამდე[250] პ. უშაკოვი ურარტული წყაროების იგანიეხს ბერძნულ-რომაული წყაროების ჰენიოხებს უკავშირებს და მის სახენაცვალ ფორმად მიიჩნევს.[251] ამ მოსაზრებას იცავს და ავითარებს მ. ინაძე. მისი კვლევის შედეგები ასეთია: ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში ურარტულ წყაროებში დამოწმებულ ქვეყნებს ეჭირათ სამხრეთი ამიერკავკასიის ტერიტორია.[252] ამიტომ იგანიეხთა (ანუ ჰენიოხთა) გაერთიანების ძირითადი რაიონები დაახლოებით დასავლეთი საქართველოს მიწა-წყალზე უნდა ყოფილიყო."[253] მისივე თქმით, ამ მოსაზრებას ამაგრებს ის, რომ ჰერაკლიდე პონტოელის (ძვ. წ. IV-III სს.) მიხედვით „ფასისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები... მერე კი მილეტელები." ამ ცნობიდან ჩანს, რომ ძვ. წ. VI საუკუნემდე ფასისის მიდამოებში ცხოვრობდნენ ჰენიოხები. მეორე მხრივ, პლინიუსის მიხედვით (23-79 წწ.) მდ. კიროსი სათავეს იღებს ჰენიოხთა მთებში, ამ ცნობიდან კი ჩანს, რომ იმ მთიანეთს, საიდანაც მოედინება მდ. კიროსი (მტკვარი) ეწოდება ჰენიოხური მთები იმის გამო, რომ აქ ოდესღაც ჰენიოხები ცხოვრობდნენ.[254]

ი. სიხარულიძის აზრით, სწორი არ უნდა იყოს პ. უშაკოვის მიერ შემოთავაზებული იგანიეხის ლოკალიზაცია, რადგან „ყოვლად დაუჯერებელია ეს ძველაღმოსავლური ქვეყანა, რომელსაც ურარტული წარწერები ჩილდირის ტბის მიდამოებში ასახელებენ, ასეთი გავრცელების ყოფილიყო ჩრდილოეთით. მასალების გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ იგანი ძირითადად ჩილდირის მიდამოებით იფარგლებოდა და მისი უკიდურესი წერტილები არცთუ მაინცდამაინც დიდად შორაედნენ ამ ტბას.[255] იგანის ლოკალიზაციას ჩილდირის ტბის მიდამოებით განსაზღვრავს გ. მელიქიშვილი[256] და ნ. არუტუნიანი.[257] გ. მელიქიშვილი ამ ტომში ხედავს

250 იქვე, გვ. 38.

251 იქვე.

252 იმოწმებს გ. მელიქიშვილს. ურარტუ, გვ. 142.

253 მ. ინაძე. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები). მხკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 14.

254 იქვე, გვ. 15.

255 ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

256 გ. მელიქიშვილი. უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. — „მიმომხილველი", ტ. II, 1951, გვ. 211; მისივე. К истории... с. 210, 212-213; Наири-Урарту, с. 61.

257 Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 286, 417 и сл.

ანტიკური წყაროების ჰენიოხებს, რომლებიც მოსახლეობდნენ ისტორიული სამხრეთი საქართველოს როგორც ზღვისპირა, ისე შიდა რაიონებში.[258] ნ. ლომოური იზიარებს შეხედულებას, რომ სამხრეთელ ჰენიოხთა სახელწოდება უკავშირდება ურარტულ წყაროებში მოხსენიებულ იგანიეხების ტომის სახელს, რომელმაც სახე იცვალა უფრო ცნობილი, ჩრდილოეთელი ჰენიოხების სახელწოდებასთან ასოციაციის შედეგად.[259] ვერ გავიზიარებთ ი. ვორონოვის აზრს, რომელიც იგანიეხელებს მიიჩნევს აფხაზურ-ადიღეურ ტომად და რომელთა სახელთან თითქოს დაკავშირებული უნდა იყოს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტოპონიმიკა-სინოპე, აკამპსისი, აფსარეა, არიფსა, სუფსა, დუაბზუ, ფასისი და სხვ.[260]

ჩვენ სწორად მიგვაჩნია გ. მელიქიშვილისა და ი. სისარულიძის მსჯელობა, მაგრამ ამავე დროს საინტერესოა პ. უშაკოვის და მ. ინაძის კვლევის შედეგებიც. შესაძლოა ერთ დროს (ურარტული ხანის უწინარეს) ჰენიოხთა ტომს მართლაც ჰქონდა ისეთი განსახლების არეალი, როგორც ფიქრობს ზოგი მკვლევარი და შემდეგ მოხდა ამ ტომის შუა-წყლის ორ ნაწილად გათიშვა. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ გამთიშველის როლში კოლხა ან ეიტერუხი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ჰენიოხების ჩრდილო (რიონის ქვემო წელი) და სამხრეთი (ჩილდირის ტბის მიდამოები) საცხოვრისის შუა ძველი წყაროების მიხედვით სწორედ ეს ორი ქვეყანა (კოლხა, უიტერუხი) მდებარეობდა. მაგრამ შეიძლება ასეც გვეფიქრა, რომ ჰენიოხები ფასისსა და მის ჩრდილოეთ მიდამოებში გაჩნდნენ სწორედ სარდური II (764-735 წწ.) მომდევნო ხანაში ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების შემოსევის შედეგად. იგანი (იგანიეხი) იგივეა, რაც ი-პანი, ი-ჭანი. აქ „ი" პრეფიქსად უნდა მივიჩნიოთ და ამავე დროს ისეთ მაწარმოებლად როგორც იბერების სატომო სახელში (სპერ || ვერ || ეირ). იგანის ლოკალიზაცია ურარტულ ხანაში, ლურსმნული წყაროებისა და ანტიკური მასალების გათვალისწინებით მტკვრის სათავესა და ჩილდირის ტბის სამხრეთი მიდამოებით უნდა განისაზღვროს. აქვე მდებარეობდა მისი ცენტრი მაკალტუნი[261] (აქვეა ამავე სახელის მდინარე-მაკუ).

---

258 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 382; მისივე. К истории... с. 81-82, 212 и сл.

259 ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 19.

260 Ю.Н. Воронов. Археологическая карта Абхазии. Сух., 1969, с. 74.

261 Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. с. 212-213.

ვფიქრობთ, დავას არ უნდა იწვევდეს ის, რომ ურარტული წყაროების „ზაბახა"-ში მოყვანილი სახელი „ჯავახი."[262] იგი მდებარეობდა დაახლოებით დღევანდელი ჯავახეთის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, ნაწილობრივ ისტორიული ჯავახეთიც ეკავა.[263] მას სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა დაიაენი, ხოლო სამხრეთიდან იგანი.[264] ლეონტი მროველთან დაცული ცნობის მიხედვით, ლეგენდარულ ჯავახოსს აუშენებია ქალაქები-წუნდა და არტაანი, მასვე ჰრქმევია მტკვრის სათავეების მიდამოებიც.[265] ასეთი მდგომარეობა ჯავახეთს შეიძლებოდა ჰქონოდა ძვ. წ. VII-IV საუკუნეებში.

ჩვენი აზრით, ურარტული წყაროების ზაბახას რომ დღევანდელი ჯავახეთის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეკავა, ჩანს, იქიდანაც, რომ თანამედროვე ჯავახეთის ტერიტორიაზე იმ პერიოდში არსებობდნენ ქვეყნები: იშტელუანი (ახლანდელი სოფელ ეშტიის[266] მიდამოები, მდ. ფარავნის მარჯვენა სანაპიროზე),[267] თარიუნი[268] (იშტელუანის დასავლეთით), ფუზუნია[269] (წუნდის მიდამო-

---

262 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 382.

263 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 70; Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), თანდართული რუკა; მისივე Топонимика Урарту, с. 76-77.

264 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 61; მისივე. ძიებანი... გვ. 47, შენ. I.

265 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 10.

266 ზ. ჭიჭინაძე მას ეშტიას სახელით მოიხსენიებს (მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 219); ასევეა ერთ-ერთ ტურისტულ გზამკვლევში (Через перевал Зекари, М., 1973); დ. ბერძენიშვილთანაა ეშთიო-ეშტიო (ნარკვევები საქართველოს ისტ. გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 125, სქემა 8); ასევეა ი. ჩიქოვანთან (ჯავახეთი, თბ., 1982, გვ. 11). იშტელუანის მსგავსი ტოპონიმი (აშტიანი) სვანეთშიც დასტურდება (გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 63).

267 გ. მელიქიშვილი იშტელუანს ახურიანის შეერთების დასავლეთით ათავსებს (УКН, с. 432, 437); ნ. არუთუნიანის აზრით, ალკანიასა და ცულალას დაპყრობის შემდეგ სარდური II-ემ კურსი სამხრეთ-დასავლეთისაკენ იშტელუანის წინააღმდეგ აიღო (Биайнили (Урарту), с. 270-271), რაც არაა სწორი. ჩვენი აზრით, იშტელუანი ალკანიას სამხრეთით და ცულალას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა.

268 ნ. არუთუნიანის აზრით, თარიუნი ძველსომხურ Darojn-kh, ოლქ Басен-თან უნდა გაიგივდეს (Биайнили (Урарту), с. 193, 403). გ. კაპანციანი-ძველსომხურ ოლქ ტარონთან, მდებარე მდ. არცანიას შუა დინებაზე (დასახ. ნაშრ., გვ. 164-165); შ. ახათიანის აზრით, თარიუნი უნდა დაუკავშირდეს სახელწოდებებს „თორია", დიდი და პატარა „თორის ხევი" (სქაუქტ. გვ. 14).

269 შ. ახათიანის აზრით, იგი საძებარია ვახუშტის მიერ მოხსენიებული ფოსოს მთისა და მდ. ფოსოს მიდამოებში, ცულადა წუნდასთან, ხოლო ალკანია არაკონთან უნდა გაიგივდეს (ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი... გვ. 16-17); გ. მელიქიშვილის აზრით, ფუზუნია ჩილდირის ტბასა და ლენინაკანს შორისაა საძიებელი (Наири-Урарту, с. 61).

ბი) და მისი ქალაქები ცულადა (წუნდა) და ალკანია (არაკონი) და ა.შ.

ზოგიერთ მკვლევარს ზაბახას ტომის საბრძანებელში კლარჯეთის აღმოსავლეთი, ტაოს ჩრდილოეთი და შავშეთიც შეჰყავს,[270] რაც მართებული არაა. იმ დროს აღნიშნული ტერიტორიები დაიაენის გაერთიანებაში, ხოლო ამ უკანასკნელის განადგურების შემდეგ კოლხას სახელმწიფოში შედიოდა.

ცულალასა და იშტელუანის (წუნდა-ეშტიას) მიდამოების ჩრდილოეთით უნდა მოთავსდეს ქვეყანა ქადიანი[271] (კოდიანის მთა თორის მოსაზღვრედ), ქვეყანა სირიმუთარა[272] (შირიმთა) და მისი ქალაქი უზინაბითარნა (გუჯარეთის ქვემო წელზე-უზნარიანი).

კადიანის და სირიმუთარას ქვეყნების კიდევ უფრო ჩრდილოეთით, უფლისციხის მიდამოებში ვახლენთ აფუნის ქვეყნის ლოკალიზაციას.[273] ამ ვრცელ ქვეყანას, როგორც ურარტული წყაროებიდან ჩანს, შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა, რაც არქეოლოგიურადაც დასტურდება. კ. ფირცხელაურმა აღნიშნულ ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისისათვის განსაკუთრებული, მეზობელი რაიონებისაგან გამორჩეული და თავისებური კულტურა შენიშნა, რომელიც, მისი აზრით, ერთი ქართული ტომის საბინადრო უნდა ყოფილიყო.[274] შესაძლებელია, მისი უფალი უფლისციხეში იჯდა. ამ ქვეყნის ტერიტორია ასევე დიდი გაერთიანების უიტერუხის ჩრდ-

270 Всемирная история, т. I, М., 1956, 516-517 გვერდებს შუა მოთავსებული რუკა.

271 გ. მელიქიშვილი კადიანს დიაოხის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს (ВДИ, 1950, №4, с. 28, прим. 3); ნ. არუთუნიანის მიხედვით, კადიანი საძებარია ერიახის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აბილიანისის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით (Биайнили (Урарту), с. 402).

272 გ. მელიქიშვილი სარიმუთარას ლოკალიზაციას ჩილდირის ტბისა და იგანის ქვეყნის დასავლეთით ახდენს (Наири-Урарту, с. 61).

273 გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, აფუნი არარატის დაბლობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში უნდა მოთავსდეს (Наири-Урарту, с. 65). ნ. არუთუნიანის აზრით, ცდებიან ნ. მარი და გ. კაპანციანი აფუნის ლოკალიზაციის საკითხში. პირველი მას ვანის ტბის ჩრდილო მხარეში (ძველსომხურ ოლქ აპაჰუნიკში), ხოლო მეორე ალაშკერტსა და ბულანიხს შორის ათავსებს. ნ. არუთუნიანის აზრით, იგი არაქსის სათავის სამხრეთით მდებარეობდა (Биайнили (Урарту), с. 399-402, შეადარეთ თანდართული რუკა).

274 კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 191-192, 194-197.

ილო-აღმოსავლეთ მიჯნამდე მიდიოდა. აფუნის ქვეყანას აღმოსავლეთიდან კურიანია ესაზღვრებოდა.[275]

მტკვრის სათავეებისა და ჩილდირის ტბის მიდამოებში არსებულ იგანისა და კუარზანის[276] ქვეყნების სამხრეთით მდ. არაქსის საზამლე, რომელთანაც მდებარეობდა აბილიანისი[277] უნდა მოთავსდეს ქვეყანა ანიშტირუაე,[278] იშკიგულუ,[279] ლუშა, ქათარზა, რაშუინი და რუიშიანი.[280] ამ ქვეყნებს დასავლეთიდან ემიჯნებოდნენ ულთუზას, აბიანისა და შერიაზის ქვეყნები,[281] რომლებიც დაიაენ-დიაოხის შემადგენელი ნაწილები იყვნენ. აღმოსავლეთიდან მათ უხიმე,[282] გულუტახი,[283] ერიახი[284] და ეთიუნის ქვეყნები ესაზღვრებოდნენ.

ასეთი იყო ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა ძვ. წ. XII-VII საუკუნეებში.

---

275 ი. დიაკონოვი და ბ. პიოტროვსკი ამ ქვეყანას ასურული წყაროს კურიანიასთან აიგივებენ და იგანის ახლოს ათავსებენ (Б. Пиотровский. Ванское царство (Урарту), с. 92; И. Дьяконов. АВИИУ, с. 340, прим. 2). გ. მელიქიშვილი კურიანიას ჩილდირის ტბის რაიონში ათავსებს (Наири-Урарту, с. 61; К истории...с. 222, 280-281, УКН, с. 417; ВДИ, 1954, №1, с. 226-227).

276 გ. მელიქიშვილის გამოკვლევით კუარზანი არარატის დაბლობზე უნდა მოთავსდეს (Наири-Урарту, с. 65). მისივე აზრით, აქვე თავსდებიან ულთუზანი, გულუტახი და სხვები (ძიებანი... გვ. 47, შენ. 4).

277 ტოპონიმის სახელი შემოინახა ძველსომხურ ოლქ აბელიანის სახელმა (Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 65; Н. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 198-199.

278 გ. მელიქიშვილი ამ ქვეყანას არარატის დაბლობზე ათავსებს (Наири-Урарту, с. 65).

279 იშკიგულუ არაგაწის მთის ჩრდილოეთით თავსდება (Б.Б. Пиотровский. Урарту, с. 34) ან ლენინაკანის სიახლოვეს, ერიახისა და ქათარზას ჩრდილოეთით (И.М. Дьяконов. Урартские письма и документы, М-Л., 1963, с. 80). მსგავსი ტოპონიმი (უშგული) სვანეთში დღესაც დასტურდება (გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 146).

280 გ. მელიქიშვილის აზრით, რუიშიანი ჩილდირის ტბის რაიონშია საძებარი (Наири-Урарту, с. 61); ამ ქვეყნების ლოკალიზაციაზე ჩვენი შეხედულება იხ. რუკაზე.

281 ეს ქვეყნები მდ. ოლთისის აუზში მდებარეობდნენ: ს. გოგიტიძე. დაიაენ-დიაოხი (ტერიტორია, საზღვრები), ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 1999, № 12.

282 გ. მელიქიშვილის აზრით, უხიმე იგანის ჩრდილოეთითაა საძებარი (Наири-Урарту, с. 61).

283 გ. მელიქიშვილის მიხედვით, გულუტახი არარატის დაბლობზე (К истории... с. 207) ან მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთშია საძებარი (Наири-Урарту, с. 65). ნ. არუტუნიანი მას ახურიანის არაქსთან შეერთების დასავლეთით, ერიახსა და უიტერუხ-აბუნის შორის ათავსებს (Биайнили (Урарту), с. 199, 394-395).

284 ერიახის სახელი შემოინახა პერების სახელმა (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 621). მისი ლოკალიზაცია ლენინაკანის რაიონში უნდა მოხდეს (Б.Б. Пиотровский. Урарту, с. 17).

## § 2. აია-კოლხეთის ქვეყნის ადგილმდებარეობის ძიების ისტორიიდან

გვიანბრინჯაოს ხანის ცნობილი კოლხური კულტურის სამშობლოსა და მისი ძირითადი საწარმოო კერების ლოკალიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უძველესი კოლხური გაერთიანება, რომელიც ძველაღმოსავლურ წყაროებში მოიხსენიება, მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ დასავლეთ საქართველოს; მისი ცენტრი კი რიონზე უნდა ყოფილიყო.[1]

მკვლევართა მეორე ნაწილის შეხედულებით ამ დიდი გაერთიანების ცენტრალური რაიონები ჭოროხის აუზში მდებარეობდა. აქვე ჭოროხის შესართავის მიდამოებში უნდა ყოფილიყო მისი მთავარი ცენტრი.[2]

თუ სად დაიწყა კოლხური კულტურის აკვანი, სად მოსახლეობდნენ ის ტომები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს პირველ კოლხურ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს, რომელმა კოლხეთმა, ჭოროხსა თუ რიონზე მდებარემ, ჰპოვა ასახვა ძველბერძნულ თქმულებაში არგონავტების შესახებ ერთი ყველაზე საინტერესო და ამავე დროს მეტად რთული საკითხია ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში. წინამდებარე ნაშრომიც ამ პრობლემას ეძღვნება. აქ ნაჩვენები იქნება, თუ რას მოგვითხრობენ ძველაღმოსავლური და ანტიკური წერილობითი წყაროები აღძრულ საკითხზე. ნაჩვენები იქნება ამ მიმართულებით ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიც.

ძველბერძნულ მწერლობას დაუცავს ზოგიერთი ცნობა არგონავტების შესახებ. აპოლონიოს როდოსელს (ძვ.წ. III ს.) იგი სრული სახით შემოუნახავს. მართალია, მის „არგონავტიკაში" მოთ-

---

1 О. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии, Тб., 1989, с. 222, იქვე სქოლიო 25; ო. ლორთქიფანიძე, როდიდან, საიდან მოვდივართ? (ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიისათვის), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, 26 თებერვალი.

2 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 19; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 84-86; მ. ინაძე, ტერმინები „კოლხი" და „კოლხეთი" ანტიკურ მწერლობაში. — სქაუქტ, თბ., 1993, გვ. 43.

ხრობილია, რომ კოლხები ბიძერების (ჭარები) შემდეგ, ე.ი. ფასისის (რიონი) ხეობაში მოსახლეობენო,[3] მოხსენიებულია კვიტაია,[4] რომელიც ამ შემთხვევაში ქუთაისი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აპოლონიოსი ძვ.წ. III საუკუნის მოღვაწე იყო. ხოლო მისი არგონავტების შესახებ, როგორც მკვლევართა მეტი ნაწილი ფიქრობს, ეხება ძვ.წ. XIII საუკუნის 60-იანი წლების ვითარებას. ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აპოლონიოს როდოსელი რომელიღაც ძველი წყაროებით სარგებლობდა თავისი „არგონავტიკის" შექმნისას, მაგრამ ეტყობა მთლად არც ასეა, რადგან მის თხზულებაში მოცემული სამხრეთ-აღმოსავლეთი პონტოსპირეთის ქართველური მოდგმის ტომთა განსახლების არეალის შესახებ ცნობა ამის საშუალებას არ იძლევა. აქ ჰალისის (ყიზილირმაკი) შესართავის რაიონიდან აღმოსავლეთისაკენ დასახელებულია ტომები: ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ფილირები, მაკრონები, ბექირები, ბიძერები.[5] ასეთი რიგი მხოლოდ ადრეანტიკური ხანის რეალობას გამოხატავს. ასე მაგალითად, ტიბარენები (თობელები?) ზღვისპირა ზოლში — კოტიორას (ორდუ) მიდამოებში ჩნდებიან ძვ.წ. VI საუკუნიდან (ჰეკატეოს მილეტელი),[6] მანამდე ისინი მცირე აზიის სიღრმეში მოსახლეობდნენ.[7] ბიძერები (და ეტყობა ბექირებიც — ს.გ.) გ.მელიქიშვილის მიხედვით, ზღვისპირა ზოლში მხოლოდ კიმერიელებისა და სკვითების ძვ.წ. VIII საუკუნის 30-20-იანი წლების გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ გამოიჭრნენ და სხვა.[8] ასევე საპირთა (სასპერები, იბერები) დასახელება ბექირებსა და ბიძერებს შორის ძვ.წ. III საუკუნეში[9] გაძლიერებული ქართლის (იბერიის) სამეფოს შავი ზღვის სანაპირო

---

3 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი აკ. გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკ. ურუშაძისა, თბ., 1975, გვ. 114-115.

4 იქვე, გვ. 114.

5 В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ч. I, греческие писатели.-ВДИ, 1947, № 1, с. 301; ВДИ, 1947, №3, с. 242.

6 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 44; Ксенофонт. Анабасис, перевод, статьи и примечания М. И. Максимовой. М-Л., 1951, с. 139, იხილეთ აგრეთვე თანდართული რუკა.

7 ნ. ხაზარაძე. თუბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის. — ძის, თბ., 1970, გვ. 64.

8 Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 115.

9 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 236, საძიებელი-საპირები.

ზოლში გამოსვლის რეალური სურათი უნდა დავინახოთ.[10] ლეონტი მროველის მიხედვით, ეს მიწა-წყალი აჭარისაა,[11] ე.ი. ქარების ტომისაა. ასევე ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ფასისი რიონის გარდა ერქვა აგრეთვე ჭოროხს და რომ კუტ (კუტაია) ძირიანი ტოპონიმები არა მარტო რიონის, არამედ ჭოროხის ხეობაშიც მრავლადაა დამოწმებული.

ნ. მარის აზრით, მდ. ჭოროხის აუზში და არა რიონზე, მოსახლეობდა ტომი, რომელიც ქმნის კოლხეთის და კოლხურ მეტალურგიას.[12]

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, კულხა მტკვრის სათავეებში წარმოიშვა. მისი სახელი კავშირში უნდა იყოს აქვე მდებარე ტოპონიმ კოლას სახელთან.[13] მსგავს ვერსიას გვაწვდის პ. ინგოროყვაც. მისი ვარაუდით, ქვეყნის სახელია კოლა, ტომისა კი კოლხი, იგივე კოლაელი ანუ კოლარი. კოლარიდან მომდინარეობს კოლარჯი — კლარჯი.[14] ამ უკანასკნელის მიხედვით, კულხა მაინც ჭოროხის აუზში იგულისხმება, თუკი კოლხების მემკვიდრეებად კლარჯები გამოდგებიან.

გ.მელიქიშვილი წერს: შეიძლება კულხას ცენტრი მტკვრის სათავეებთან მდებარე კოლასთან იყო (იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს).[15] კულხა მდებარეობდა იმ რაიონების ჩრდილოეთით, რომელზედაც მივიდა ურარტუს მფლობელობა არგიშთი I-ის დროს. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ურარტუს ამ მეფის დროინდელი წარწერები კულხას შესახებ არაფერს ამბობენ. სარდურთან ჩნდება კულხა იმიტომ, რომ მან ლაშქრობები ჩრდილოეთით გადაიტანა და ამავე დროს კოლხაც აფართოებს საზღვრებს სამხრეთის მიმართულებით. გ.მელიქიშვილის დასკვნით, კულხას ცენტრი არ უნდა ყოფილიყო შორს ჩრდილოეთით, რადგან ურარტუ სწვდება და იკავებს „სამეფო ქალაქს" (დედაქალაქი? ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს?) ამ ქვეყნისას — ქალაქ ილდამუშას.[16]

---

10 ს. ვოგიტიძე. აჭარა ძვ. წ. III-I საუკუნეებში, ბსკი-ს 1995 წ. ფონდები.

11 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 24.

12 ის. ა. იოსელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 99.

13 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 12.

14 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 183, იქვე სქოლიო 1.

15 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, თბ. 1951, გვ. 142.

16 Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, Тб., 1954, с. 63, 264.

მეორე ათასწლეულის ბოლოს და პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებობდა კოლხური ტომების დიდი გაერთიანება. ამიტომ არგონავტების მითში უნდა ასახულიყო დიდება და ძლიერება იმ დროს რეალურად არსებული კოლხური გაერთიანებისა.[17] როგორც აღინიშნა, გ. მელიქიშვილი ძველ კოლხეთის მდინარე ჭოროხის შესართავისა და მის მახლობლად მდებარე რაიონებით განსაზღვრავს. აქვე სადღაც ჭოროხის შესართავში უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ცენტრი ამ ქვეყნისა.[18]

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოსა და პირველ ათასწლეულში კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ოლქებში — ჭოროხის აუზსა და ბათუმის მიდამოებში მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა მოჩანს. ეს რაიონები მდებარეობდა ადრეული და აქტიური კოლონიზაციის კერებთან ახლოს (სინოპი, ამისოსი, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, კოტიორა); ამიტომ შემდგომი საკოლონიზაციო მოძრაობის ადგილი უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური მონაპოვრებიც ამავე ტერიტორიაზე (ბათუმი, მახინჯაური, ციხისძირი, სალიბაური, ერგე, მახუნცეთი, განთიადი, ზენითი, სისალიძეები, სისაძირი, კირნათი...) მიუთითებენ ბრინჯაოს მეტალურგიისა და მიწათმოქმედების მაღალ დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონში იქნა აღმოჩენილი ყველა ძირითადი კომპონენტი (ცული, წალდი, მოტიგი, სეგმენტური იარაღი) გვიანბრინჯაოს კოლხური კულტურის განმსაზღვრელი. ყოველივე ამის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლება, რომ მდ. ჭოროხის აუზში გაიფურჩქნა გვიანბრინჯაოს კოლხური მეტალურგიის ერთ-ერთი ძირითადი კერა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გზაზე. ჭოროხის ქვემო წელის მიდამოებშია დაფიქსირებული რკინის მეტალურგიის ძირითადი კერა.[19]

---

17 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 19.

18 იქვე. გვ. 115; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — სინ, წ. I, თბ., 1970, გვ. 389.

19 ალ. რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათ., 1974, გვ. 6-24; ა. კახიძე, მ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993, გვ. 18-41; О. Лордкипанидзе. К проблеме греческой колонизации восточного причерноморья (Колхиды). — ПГК, Тб., 1979, с. 204.

მაშასადამე, ძველი კოლხური გაერთიანება უნდა არსებულიყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. თუ ეს ასეა, მაშინ სამართლიანად ფიქრობენ ძველი წყაროების ცნობილი სპეციალისტები (გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე, ნ. ხაზარაძე...), რომ ძველბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ დაკავშირებული უნდა იყოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ, ჭოროხის აუზთან.

საინტერესოა, რომ ჰაინრიხ შლიმანი აია-კოლხეთს ბათუმის მიდამოებში ეძებდა და აქ რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან 1883 წელს გათხრების ნებართვა უთხოვია. შლიმანს თურმე „ამ მიდამოებში იზიდავდა ძველი საბერძნეთისა და კოლხეთის ოდინდელი მჭიდრო ურთიერთკავშირები".[20] ძნელი სათქმელია ახლა, თუ რა საფუძველზე აკეთებდა ასეთ განცხადებას გერმანელი მკვლევარი, რომელიც ძველი ბერძნული წყაროების „საკმაოდ ღრმა ცოდნასთან ერთად გასაოცარი ინტუიციითაც იყო დაჯილდოებული".[21]

გ. მელიქიშვილის მიხედვით, თქმულება არგონავტებზე მხოლოდ ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებულ კოლხი-კულხასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარეობდა.[22] ხოლო მას შემდეგ, რაც კოლხეთის სამეფომ (ძვ.წ. VI ს.) ჩრდილოეთით გადაინაცვლა, ბერძნებმა თქმულება არგონავტების შესახებ და ჭოროხის ძველი სახელი ფაზისი რიონის კოლხეთში გადაიტანესო.[23] მისივე შენიშვნით, „ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური სამეფო, უეჭველია ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო".[24]

ფასისი რომ ძველად ჭოროხსაც უნდა რქმეოდა, ამაზე ბევრი წყაროს ცნობა მეტყველებს (ერატოსთენი, აპოლონიოს როდოსე-

---

20 ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე. მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიისათვის. – სმამ, XXIV, 6, 1960, გვ. 761.

21 ოთ. ლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, გვ. 43.

22 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო, ურარტული წყაროები. – ძახიქ, თბ., 1990, გვ. 289, 292–293; მისივე, Наири-Урарту, с. 27–28, 63, 226, 264 და სხვა.

23 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 236.

24 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 389.

ლი, დიონისე, სოლინი და სხვა)[25] და შესაძლებელიცაა, რომ ჰესიოდეს „თეოგონიასა“ და ჰეროდოტეს „ისტორიაში“ მოხსენიებული ფასისიც ჭოროხთან გაიგივდეს,[26] რადგან ფასის-რიონს ძველად არქტუროსი ერქვა (ფსევდოპლუტარქე). ამავე წყაროს ცნობით, ამ მდინარეს მერე შეეცვალა სახელი შემდეგი მიზეზის გამო: „ჰელიოსისა და ოკეანის ასულის ოკინოეს ძემ, ფასისმა,[27] დედას წაასწრო მრუშობის დროს და იქვე მოკლა... ფასისი გაცოფდა და გადავარდა არქტუროსში, რომელმაც მერე მისგან მიიღო (სახელი) ფასისი“.[28] მაშასადამე, სრულიად შესაძლებელია, რომ ჭოროხის სახელი ფასისი რიონზე გადასულიყო მას შემდეგ, რაც რიონის აუზში ჩამოყალიბდა ქვეყანა კოლხეთის სახელწოდებით. არაა გამორიცხული, რომ ამ ქვეყნის მთავარ მდინარეზე გადავიდა არა მარტო ძველი კოლხეთის მთავარი მდინარის სახელი, არამედ თვით ამ ქვეყნის სახელი — კოლხეთიც. ძველი წყაროების მიხედვით კოლხები ჩანან ტრაპეზუნტის მიდამოებში, ხოლო რიონ-ფასისის მიდამოების ხალხს, გარდა იმისა, რომ ისინი კოლხებად იწოდებიან, ფასიანებსაც უწოდებენ. გარდა ამისა, საინტერესოა ცნობა, რომ აქ პირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, შემდეგ კი მილეტელები.[29] თუ ჩვენ მილეტელების მოსვლას კოლხეთის სანაპირო ზოლში ძვ.წ. VI ს. დავუკავშირებთ, მაშინ ჰენიოხების არსებობა აქ ძვ.წ.VI ს-მდე უნდა ვივარაუდოთ. ამ დროიდან, სამხრეთი კოლხეთის ცენტრის გადატანას ჩრდილოეთში დაერთო სამხრეთიდან რიონის აუზში კოლხების გარკვეული ნაწილის გადანაცვლება, რამაც გამოიწვია ჰენიოხების კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადაწევა (თანამედროვე აფხაზეთ-სვანეთის ტერიტორიაზე). ადრეანტიკური ხანის წყაროები ჰენიოხებს გვიანდელი

25 Т.К. Микеладзе. К археологии Колхиды. Тб., 1990. с. 4.

26 თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, გვ. 83-84; А.И. Доватур и др. Народы нашей страны в истории" Геродота. М., 1982. с. 269. ком. 302; სტრაბონთან და ქსენოფონტესთან მოხსენიებული ფასისიც ჭოროხია (История Армении Моисея Хоренского, перевод Н. Эмина. М., 1958. с. 344, сх. 1).

27 მნასეასის ცნობის მიხედვით ფასისი კოლხოსის ძეა (თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980, გვ. 120).

28 იქვე, გვ. 119.

29 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 66.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ასახელებენ.[30] ასე რომ, აღმოსავლური წყაროების კილხი-კულხა მოიცავდა, სადღაც დაახლოებით, ისტორიული აჭარის დასავლეთ ნაწილსა და მისგან სამხრეთით განლაგებულ რაიონებს, როგორც ჭოროხის ხეობაში, ისე შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ამდენად, თითქოს უეჭველია, რომ მითი არგონავტების შესახებ ამ რეგიონთან არის დაკავშირებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში კოლხური კულტურის გავრცელების არეალს წარმოადგენდა ჭოროხის აუზის მიმდებარე და დაშორებული რაიონებიც. ბრინჯაოს კოლხური კულტურის დამახასიათებელი ნივთები აღმოჩნდა ყარსის, არზრუმისა და ორდუს მახლობლად. სამხრეთ-დასავლეთით კოლხური კულტურის გავრცელების არეალი ყარსს მისწვდა. აქ მეხჩის ციხესთან აღმოჩნდა განძი, რომელიც კოლხური და აღმოსავლეთი საქართველოს კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთებს მოიცავდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს მხარე ადრე კოლხური კულტურის სფეროში იყო მოქცეული, ხოლო შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთი საქართველოს კულტურის მომძლავრება.[31] თ. მიქელაძის აზრით, ყარსი (მეხჩის ციხე) იყო კოლხური და აღმოსავლეთკავკასიური კულტურების შეხვედრის წერტილი გვიანბრინჯაოს ხანაში.[32] ყარსის მიდამოებში კოლხური ცულების გამოჩენა იქნებ ურარტუს დასუსტების პერიოდში ამ ტერიტორიის კოლხას მიერ დაკავებით აიხსნას. როგორც ცნობილია, მეხჩის ციხის განძში შემავალი ცულები X-VIII სს. თარიღდება; ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ეს ცულები აქ ძვ.წ.VIII ს. მეორე ნახევარში ან VII ს. დასაწყისში შემოეტანათ.[33] კოლხური კულტურის სამხრეთ-დასავლეთით გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქ.

---

30 **В.В. Латышев.** СК.-ВДИ, 1947, № 3, с. 242; **თ. ყაუხჩიშვილი.** ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 47; **ნ. ლომოური.** ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. — მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963; პატივცემულმა მეცნიერმა ბოლოდროინდელ ნაშრომში აღნიშნა, რომ ჰენიოხები საერთოდ არ ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოში. მათი ადგილსამყოფელის გარკვევას შეუძლებლად მიიჩნევს (ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 20).

31 **ოთ. ჯაფარიძე.** საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 210-211.

32 **Т.К. Микеладзе.** К вопросу о периодизации истории древней Колхиды. — ВИ, Тб., 1973, с. 114-116.

33 **ს. გოგიტიძე.** დაიაენ-დიაოხის მოსახლეობის ბრძოლა ასურელი და ურარტელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 2000, №5.

ორდუმდე (ძველი კოტიორა) აღწევს. აქ ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც შედგებოდა 5 კოლხური ცულის, წალდისა და ბრტყელი ცულისაგან.[34] კოლხური კულტურის გავრცელების უკიდურესი სამხრეთი რაიონი არმრუმია. ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ცული. მსგავსი ცულები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ურეკი, მახუნცეთი, ერგე).[35]

ამ მიმართულებით საინტერესოა წერილობითი წყაროების მონაცემებიც. საყურადღებოა ერატოსთენეს ერთი ცნობა, რომელიც შემონახულია სტრაბონის (ძვ.წ. 64-ახ.წ 24) „გეოგრაფიაში": „ძველი ხალხები ცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, მაგრამ შუაგულ ზღვაში კი არა, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იაზონი, რომელმაც დატოვა ხომალდები და კოლხებიდან არმენიასა და მიდიამდე ფეხით ილაშქრა". ოთ.ლორთქიფანიძის აზრით, „ეს ცნობა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ იგი, როგორც ჩანს, მომდინარეობს იმ უძველესი ვითარების ამსახველი ტრადიციიდან, როდესაც კოლხეთი იგულისხმება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხის აუზში, საიდანაც მართლაა შესაძლებელი „არმენიაში და მიდიაში" პირდაპირ გადასვლა".[36]

თ. მიქელაძის მისედვით ქსენოფონტემ გვიჩვენა, რომ კოლხეთი ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარესაც ერქვა. რადგან ფასისს ანტიკური და მასზე დამოკიდებული ქართული წყაროები ჭოროხსაც უწოდებდნენ, ამიტომ, როგორც ჩანს, არსებობდა ჩვენთვის უცნობი ძველი წყარო და ამ წყაროს მიხედვით ფასისი იყო კოლხეთის ის მდინარე, რომელიც სათავეს არმენიაში იღებდა, ხოლო ზღვას კოლხეთში უერთდებოდა. „ასეთ ვითარებაში ფასისი, როგორც რიონის შესატყვისი დამოუკიდებლად არ გამოდგება ორიენტირად იმ კოლხეთის ლოკალიზაციისათვის, რომელსაც „არგონავტიკის" უძველესი ვერსიები ასახელებენ..."[37] აიეტის სამშობლო

---

34 ოთ. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 210.

35 ალ. რამიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 6, 24, 29-30; Т.К. Микеладзе. დასახ. ნაშრ., გვ. 145-146.

36 ოთ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 10 და სქოლიო 6: ამ ავტორმა შემდგომ გამოცემულ ნაშრომებში საპირისპირო აზრი განავითარა. მისი აზრით კოლხეთის პოლიტიკური ცენტრი თავიდანვე რიონ-ფასისზე მდებარეობდა (Наследие древней Грузии, გვ. 222). „აია და აიეტის საბრძანებელი დღევანდელი მდ. რიონის აუზშია საგულვებელი" (არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, გვ. 48) ასკვნის ის.

37 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 84.

კოლხეთის ქვეყანაა. იგი მდებარეობდა იქ, სადაც დამოწმებული აქვს სარდური II-ს. შესაძლებელია ევმელოსის ცნობაც[38] (ძვ.წ.VIII სს.) ამ კოლხეთს გულისხმობდეს. აქედან უნდა მომდინარეობდეს ვერსია არგონავტების ლაშქრობის კოლხეთთან დაკავშირებაზე, ხოლო ამ უკანასკნელის ცენტრის ჩრდილოეთით გადანაცვლების შემდეგ, უფრო გვიან, ფასის-რიონის მხარესთან გაიგივებაზე. ეს გასაგებიცაა, რადგან მოგვიანო ხანის მწერლებისათვის კოლხეთი ფასის-რიონის მხარე იყო.[39] ფასის-რიონის მხარე არ იყო კოლხების ძირითადი მასის თავდაპირველი ბინადრობის რაიონი, რადგან ჰერაკლიტე პონტოელი (ძვ.წ. IV ს.) ფასისზე თავდაპირველად მოსახლე ტომად ჰენიოხებს წარმოგვიდგენს; იმ წყაროსათვის, რომელსაც ბერძენი მწერალი ემყარება, რიონ-ფასისის მხარე, საკუთრივ კოლხების ქვეყანა არ არის. ქსენოფონტეს მიხედვით კი ძვ.წ. V საუკუნეში კოლხების ქვეყანას ტრაპეზუნტის მიდამოებიც წარმოადგენდა.[40]

თ. მიქელაძის შენიშვნით, „არგონავტიკაში" დამოწმებული სახელები მჭიდრო კავშირშია ჭოროხის აუზთან. კერძოდ, ძვ.წ. IV საუკუნის ძეგლში (ფსევდოსკილაქსი) მოხსენიებული მდინარისა და ახ.წ. I საუკუნის წყაროში (პლინიუსი) ქალაქის სახელი აფსაროსი (თან. გონიო) დაკავშირებულია აიეტის შვილის, მედეას ძმის, აფსირტეს სახელთან. ძველი წყაროები აფსაროსში აფსირტეს სასაფლაოსაც მიუთითებენ.[41] ასევე შეიძლება დავუკავშიროთ არგონავტიკაში დამოწმებული სხვა სახელები (ფრიქსე, კუტაია და სხვა) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს.[42]

ნ. ხაზარაძის აზრით, სტრაბონთან მოსხიკე ფრიქსეს თქმულებასთან დაკავშირებული ქვეყანა უნდა იყოს. „სტრაბონი ფრიქსესა და არგონავტების თქმულების გმირების (იაზონი, მედეა, მედოსი, არმენოსი და სხვა) სამოქმედო ასპარეზად წარმოგვიდგენს არა რიონისპირა კოლხეთს, არამედ მის ფარგლებს გარეთ (სამ-

38 ბერძნულ წყაროებში პირველი ცნობა კოლხეთის შესახებ ევმელოს კორინთელიდან ჩნდება (თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 147).

39 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 84.

40 იქვე, გვ. 85.

41 იქვე, გვ. 86; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თ. კეჭაყმაძის რედაქციით, თბ. 1961, გვ. 35.

42 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 86 და შემდ.

ხრეთით) მდებარე რეგიონს. იქვე იმოწმებს ბერძენ გეოგრაფს: ფრიქსესის მიუთითებენ კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე, ხოლო იაზონისას – ბევრგან: არმენიისა და მათ მეზობლად მდებარე ქვეყნების ადგილებში" (I, 2,39).[43] სტრაბონი ამ ცნობას აზუსტებს თავის „გეოგრაფიაში": „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსეპოლისი, ახლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე".[44] სტრაბონი საკმაოდ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ფრიქსესა და არგონავტების თქმულების ცალკეული გმირების სახელებთან დაკავშირებულ ტოპონიმებზე, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გვაქვს დადასტურებული. ასე მაგალითად, ეფორეზე (ძვ.წ. IV ს.) დაყრდნობით იგი სინოპელთა ძველი სავაჭრო ქალაქის კიტორონის დამაარსებლად იაზონის ერთ-ერთ თანამგზავრს ავტოლიკეს მიიჩნევს. სინოპში მას თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაებას, აქვე იყო ავტოლიკეს სამისნოც და სხვა. მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია „გეოგრაფიაში" დამოწმებული სხვა ტოპონიმებიც: „ჰერაკლეის კონცხი", „იაზონის კონცხი", „დაბა კიტოროსი" და სხვა.[45]

მ. ინაძე იზიარებს შეხედულებას, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე კოლხების ჰეგემონობით ჭოროხის აუზსა და კოლა-არტაანის მხარეში ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ურარტული ეპიგრაფიკა „კულხად" („კოლხა") მოიხსენებს. ძვ.წ. VIII საუკუნეში ის თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს და იმორჩილებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაც.[46]

ი. ბექირიშვილი წერს, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იყო არა მარტო მეტალურგიის კულტურული კერა, არამედ პოლიტიკურიც, ბათუმთანაა საძებარი კოლხეთის ძველი დედაქალაქი.[47]

ძველი კოლხეთი (კოლხა) სადღაც ჭოროხის შესართავისა და მასთან ახლოს განლაგებულ რაიონებში რომ მდებარეობდა და რომ თქმულება არგონავტების შესახებ დაკავშირებული უნდა იყ-

---

43 ნ. ხაზარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

44 Страбон. География. перевод, статья и коментарии Г.А. Стратановского, М., 1964, с. 473.

45 ნ. ხაზარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 67-68, 144 (სქოლიო).

46 მ. ინაძე. ტერმინები „კოლხი" და „კოლხეთი"... (დამოწმებულია Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 412).

47 ი. ბექირიშვილი. ამას მენზე ამბობენ აჭარავ, ბათ., 1995, გვ. 42-43.

ის ჭოროხის აუზთან, ამაზე მიგვითითებს პროკოპი კესარიელიც (ახ.წ. VI ს.). მისი ცნობით, ლაზიკის „მეორე ნაწილში (იგულისხმება რიონის სამხრეთით მდებარე რაიონები ჭოროხამდე — ს.გ.) არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ. სადღაც ლაზიკის ამ ნაწილში, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, ის საწმისი ინახებოდა, რომლის გულისთვის, პოეტების ზღაპრობით, არგო იქმნა განმზადებული“.[48] ბიზანტიელი ისტორიკოსის შრომიდან ჩანს, რომ საწმისის ქვეყანა საძებარია არა რიონ-ფასისის აუზში, არამედ რამდენადმე სამხრეთით, დაახლოებით რიონსა და ჭოროხს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. შესაძლებელია, მისი ნათქვამი პეტრას (დღევანდელი ციხისძირი?) მიდამოებს ან მისგან სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს ეხებოდეს. ნ.ბერძენიშვილის შენიშვნით, პროკოპის ამ საკმაოდ ბუნდოვანი გადმოცემიდან ჩანს, რომ იგი ეკამათება ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილ გადმოცემას კოლხეთში გათამაშებული აქტის ნიშანდობლივი ლოკალიზაციის შესახებ. ადგილობრივი გადმოცემით, ეს იგულისხმება რიონის სამხრეთით. ამიტომ, ცხადია, აიეტის სასახლე და კოლხეთის ცენტრი აქვე აქვთ ნაგულისხმევი.[49]

დ. ხახუტაიშვილის გამოკვლევით, ისტორიული კოლხას ფარგლებში შედიოდა ნაწილი კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე მთისწინეთის რაიონებისა. აღნიშნული მხარე წარმოადგენდა წინა აზიის იმ რაიონთა რიცხვს, რომლებშიც მიმდინარეობდა რკინის მეტალურგიის ათვისებისა და განვითარების თავდაპირველი პროცესი.[50] საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია 400-მდე ობიექტი, რომლებიც რკინის მოპოვებას ან მადნეულის დამუშავებას უკავშირდება. ძეგლების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია მდ. ჭოროხის ქვემო წელსა და მიმდებარე რაიონებში.[51] აღნიშნული რეგიონი კოლხა-კულხა-კოლხეთის ორგანული ნაწილი იყო. ასევე

---

48 ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. II, თბ., 1965, გვ. 128.

49 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 490.

50 Д. Хахутаишвили. К истории древнеколхидской металлургии железа. — ВСДВ, 6-9 апреля 1971 г., тезисы докладов, Тб., 1971, с. 142.

51 დ. ხახუტაიშვილი. მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში.-სდსძ, IX, 1980, გვ. 3-38; მისივე. კოლხურ-ხალიბური სამთო-მეტალურგიული ცენტრის საწარმოო კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში. — სდსძ, X, 1981, გვ. 3-35.

შავი მეტალურგიის ზოგიერთი საწარმოო კერა გაფანტულია ჭოროხის ხეობიდან ორდუს მიდამოებამდე.[52] მეცნიერის აზრით, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი რკინის წარმოების ერთ-ერთი პირველადი კერაა მსოფლიოში.[53] ურარტუსა და ასურეთის ტერიტორიებზე ჯერჯერობით არ აღმოჩენილა რკინის მკეთებელი ცენტრები. დასავლეთი კავკასია რკინით ამარაგებდა ცენტრალურ კავკასიას, ასურეთს, ურარტუსა და სხვა ქვეყნებს.[54]

ა. კახიძე არქეოლოგიური მასალების განხილვის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ვრცელი არეალის მომცველი თვითმყოფადი კოლხეთის ბრინჯაოს კულტურის გენეზისი ჭოროხის აუზთანაა დაკავშირებული. მეცნიერი წერს: ჩვენ ვიზიარებთ ადრინდელ ტრადიციულ შეხედულებას ჭოროხის აუზის პრიორიტეტის შესახებ, რაც კიდევ უფრო სარწმუნო ხდება უახლესი არქეოლოგიური მონაცემებით. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფ. სიხალიძეებში (ქედის რ-ნი) 1991 წელს შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს პირველი სახეობის კოლხური ცული, 6 ყუაკვერიანი ცული, ფართო სარტყლისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ძვ.წ. XII-XI სს. თარიღდებიან. 1992 წელს სოფ. გვარაში (ხელვაჩაურის რ-ნი) აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის პირველი სახეობის ბრინჯაოს ცული, რომელსაც ძვ.წ. XII-XI სს. ვათარიღებთ. 1993 წელს ვაიოსა და მერისში (ქედის რ-ნი) იქნა მოპოვებული ბრინჯაოს კულტურის დამახასიათებელი ნივთები. 1994 წელს თხილნარში (ხელვაჩაურის რ-ნი) ნაპოვნ განძში იყო ბრინჯაოს ცულები, სეგმენტები და ზოდები (XIV-XIII სს.). უფრო ადრეულია (XVI-XV სს.) ამავე წელს კირნათში (ხელვაჩაურის რ-ნი) მიგნებული განძი, რომელშიც შედიოდა კოლხური ცულის (7 ცალი) პროტოტიპები. აშკარაა, აღნიშნავს არქეოლოგი, ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერაა.[55]

---

52 დ. ხახუტაიშვილი. შავი მეტალურგიის უძველესი საწარმოო ცენტრი შავიზღვისპირეთში. — საისტორიო მაცნე, ნაკვ. I, ბსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრა, 1995, გვ. 7.

53 დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა", I, ბათ., 1995, გვ. 73.

54 Д. Хахутаишвили. Новооткритые памятники древнеколхидской металлургии железа. Краткие сообщения. — АПКИ, М., 1977, с. 29-33.

55 ა. კახიძე. კოლხური კულტურის სათავეებთან. — ჭოროხი, 1992, №6, გვ. 127-135; ა. კახიძე, შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 14-41; ა. კახიძე. გვარიქედი, მთავარანგელი, მარიამწმინდა, წალიკ-ოტი... გაზ. აჭარა, 1997, 16 აგვისტო. ა. კახიძე და სხვები. ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფელ ხიხაძირიდან. — სდსძ, X, გვ. 89-100.

ნ. კახიძე იზიარებს შეხედულებას, რომ ჭოროხის აუზი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი კერა იყო მთელ კავკასიაში. საკვლევ რეგიონში სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ნაშთები მიწისქვეშა ძველი გამონამუშევრებისა და მასთან დაკავშირებული შრომის იარაღების, წიდების სახით გამოვლენილია ძანსულში, კვარცხანაში, გიუმიშხანეში, ლომაშენში, ხოდსა და სხვა პუნქტებში.[56]

როგორც აღინიშნა, ზოგიერთმა მკვლევარმა აია-კოლხეთის მდებარეობის განსხვავებული შეხედულებანი გამოთქვეს. ოთ. ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ არგონავტებმა ოქროს საწმისისათვის ილაშქრეს აიაში (აიეტის ქვეყანაში). იგი არ ეთანხმება აიასა და დაიაენის გაიგივების აზრს, რადგან დაიაენი ზღვისპირა ქვეყანა არ იყო.[57] ასურული წყაროს მიხედვით კი დაიაენს ზემოთ შავ ზღვამდე თავსდება კილხა (იმოწმებს გ.მელიქიშვილს). აიეტი მითში წარმოგვიდგება სამიწათმოქმედო ქვეყნის მეფედ. მისი რეზიდენცია დიდი და სანაოსნო მდინარის გაყოლებაზეა ქვეყნის შიგნით, იქვეა ოქროს საწმისიც. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ჭოროხის აუზში მდებარე ქვეყნის ასეთად მიჩნევა ძალიან გაძნელდება. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა, ხოლო ჭოროხიც მიუწვდომელი იყო ნავის ზღვიდან შესაცურებლად.[58] აიეტს ყველა შემონახული წყარო რიონისპირა კოლხეთს უკავშირებს, სახელი აიეტი ადგილობრივია, ანტიკური წყაროები აიეტის მთამომავლების ქვეყნად რიონ-ფასისის კოლხეთს ასახელებენ. ქალაქი აიაც აქვეა საძებარი.[59]

თვალსაზრისს, რომ კოლხას პოლიტიკური ცენტრი თავდაპირველად ჭოროხის აუზში იყო და შემდეგ მოხდა მისი ჩრდილოეთით, რიონის აუზში გადმონაცვლება, არ იზიარებს მ. ლორთქიფანიძეც. იგი წერს: „კოლხა მდგრადი სახელმწიფო ჩანს... მისი ცენტრი თავიდანვე რიონის აუზში იყო. ურარტელთა და კიმერიელთა შემოსევებმა მას დიდი ზიანი მიაყენეს. არ არის გამორიცხული, რომ მან თავისი მიწა-წყლის ნაწილიც დაკარგა, მაგრამ სახელ-

56 ნ. კახიძე. სპილენძის მეტალურგიული წარმოების ისტორიიდან ჭოროხის აუზში. — ხსკი-ის XVIII რესპ. სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათ., 1987, გვ. 41.

57 ოთ. ლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, გვ. 44-45.

58 იქვე, გვ. 30-47.

59 იქვე.

მწიფო განაგრძობდა არსებობას".[60] შემდეგ განაგრძობს მეცნიერი, რომ კოლხა, ისე როგორც „კოლხეთი ფართო გაგებით მთელ ისტორიულ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ძვ.წ. IV ს. ბერძნულ წყაროში არგონავტების მითის მეფე აიეტის ჩამომავალია მოხსენიებული, რაც აიეტელთა დინასტიის არსებობის დამადასტურებელია. ახ.წ. VI ს. კოლხეთში (ეგრისში) დამოწმებული სახელი აიეტი, ტრადიციის გაგრძელების მიმანიშნებელია. ასე რომ, ძვ.წ. VIII ს. და ძვ.წ. VI ს. კოლხა-კოლხეთი რიონის (ფაზისის) აუზში არსებული სახელმწიფო უნდა იყოს".[61]

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ აგრეთვე ანტიკური ხანის მწერლების ზოგიერთ ცნობებს, რომლებიც ერთხმად ძველ კოლხეთს და მასთან დაკავშირებულ არგონავტების სამოქმედო ასპარეზს ჭოროხის შესართავის რაიონში წარმოგვიდგენენ:

I. ფლორი ( II ს. ტიტე ლივიუსის ცნობები) თავის პირველ წიგნში მოგვითხრობს, რომ „პონტოური ტომები ცხოვრობენ ჩრდილოეთიდან მარჯვნივ; სახელწოდება მათ მიიღეს პონტოს ზღვიდან. უძველესი მეფე ამ ტომებისა და ქვეყნისა იყო ეეტი, შემდეგ არტაბაზი, წარმოშობილი სპარსების ოჯახიდან, ბოლოს მითრიდატი, დიდებული ყველას შორის".[62] ამ და აგრეთვე ტექსტის მომდევნო ნაწილიდან ჩანს, რომ აქ მოხსენიებული მითრიდატე არის პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი (ძვ.წ. 121–63 წწ.). არტაბაზი ВДИ-ის რედაქტორის შენიშვნით შეიძლება იყოს არტაბაზ III, ცრუ-სმერდასის მკვლელი, სატრაპი არტაქსერქსე III-ისა და ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე.[63] კონტექსტიდან ჩანს, რომ ზემოაღნიშნული პირები (აიეტი, არტაბაზი, მითრიდატი) მბრძანებლობდნენ პონტოსპირეთის ტომებზე, რომლებიც მოსახლეობდნენ ჩრდილოეთიდან მარჯვნივ, ე.ი. პონტოს ზღვის (შავი ზღვა) სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ. წყაროებიდან კარგადაა ცნობილი პონტოს ქვეყნის მდებარეობა და ისიც, თუ რომელ ტომებზე მეფობდა მითრიდატე. არტაბაზს, როგორც ფაზის-რიონის მიდამოების მეფეს ან მმართველს, წყაროები არ იცნობენ. ამი-

---

60 მ. ლორთქიფანიძე. როდიდან, საიდან მოვდივართ? (ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიისათვის), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, 26 თებერვალი.

61 იქვე.

62 **В.В. Латышев.** СК.-ВДИ. 1949. № 3, с. 231.

63 იქვე, სქოლიო 5.

ტომ, როგორც ჩანს, ეს მხარე, რომელსაც შემდეგში მართავდა მითრიდატე, ადრე (დაახლ. ძვ.წ. V-IV სს.) შედიოდა არტაბაზის სამეფოში. პონტოს ძირითადი ტერიტორია მოქცეული იყო კერასუნტ-ტრაპეზუნტ-ჭოროხს შორის[64] და მასზე სხვადასხვა დროს მბრძანებლობდნენ არტაბაზი და მითრიდატე, ამიტომ აიეტიც ამ მხარის მეფე უნდა ყოფილიყო.

2. იმის გამოსარკვევად, თუ რომელ მდინარეში (იგულისხმება რიონი და ჭოროხი) შეაცურეს არგონავტებმა თავიანთი ხომალდი ძნელი მისიის შესასრულებლად, საინტერესოა ევსები კესარიელთან (260-340 წწ.) შემონახული ცნობა (იმოწმებს კეფალიონს): მეოთხე თაობაში, როდესაც ასურეთში პანიოსი ბატონობდა, არგონავტებმა საომარი ხომალდები შეაცურეს მდინარე ფაზისისაკენ და კოლხური მენტესკენ".[65] როგორც ვხედავთ, არგონავტები მედეასთან მოსულან მდინარე ფაზისთან, იქ, სადაც რომელიღაც კოლხური დასახლებული პუნქტი არსებულა, რომელიც ევსები კესარიელის მოღვაწეობის ხანაზე ადრეც ყოფილა ცნობილი (რადგან ის იმოწმებს კეფალიონს). ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში სახელწოდება ფასისი სხვა სახელებთან ერთად მიემართებოდა კოლხეთის ორ დიდ მდინარეს — რიონსა და ჭოროხს. ამიტომ საინტერესოა ამ შემთხვევაში რომელ მდინარეს გულისხმობენ კეფალიონი და კესარიის ეპისკოპოსი? ამისთვის უნდა გაირკვეს, თუ რომელ დასახლებულ პუნქტს (სოფელსა თუ ქალაქს) უნდა გულისხმობდეს მენტე. თანაც ეს უკანასკნელი მოყვანილ ციტატაში ფაზისის ზღვასთან შეერთების ადგილას იგულისხმება. ამ ქალაქის რომელიმე ქალაქთან გაიგივება ან ლოკალიზაცია არავის მოუხდენია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ტექსტის მენტე და პლინიუსთან (23-79 წწ.) მოხსენიებული მატიუმი[66] ერთი და იგივე ქალაქი უნდა იყოს (შეადარეთ მე(ნ)ტე, მატი-უმი. პლინიუსი ასეთივე სუფიქსით „უმი“ იხსენიებს ქალაქ „სური-უმი“-საც, რომელიც კლავდიოს პტოლემაიოსთან დამოწმებულია „სური“-ს სახით[67]). მაგრამ საქმე ისაა, რომ არც პლინიუსის მატიუმის შესახებ არსებობს ერთიანი

64 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 302; იხ. თანდართული რუკა.

65 გეორგიკა, I, გვ. 31; В. В. Латышев. СК.-ВДИ, 1948, № 3, с. 220.

66 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბ., 1969, გვ. 12.

67 М.Н. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, с. 94.

აზრი. მხოლოდ ცდა არის მისი გაიგივებისა პტოლემაიოსის მადიასთან".[68] თ. ყაუხჩიშვილი, მიმოიხილავს რა არსებულ ძველბერძნულ-რომაულ წყაროებსა და ლიტერატურას მიიჩნევს, რომ მატიუმი იგივე ბათუმი უნდა იყოს.[69] იგივე აზრი თ. ყაუხჩიშვილმა კიდევ უფრო დააკონკრეტა შემდეგ გამოცემულ სპეციალურ ნაშრომში.[70] პლინიუსი მატიუმს ასეთ კონტექსტში მოიხსენიებს: „140 000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები. მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი, კოლხთა ტომებია აქ. ქალაქი მატიუმი".[71] რომაელი მწერლის ცნობიდან ჩანს, რომ აქ:

ა. ქალაქი მატიუმი უნდა იყოს სადღაც აფსაროსიდან ახლოს. ის ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში აფსაროსის მიდამოებშია საძიებელი.

ბ. ქ. მატიუმი არ იგულისხმება რიონ-ფასისთან, რადგან ფასისი (რიონი) მხოლოდ მატიუმის შემდეგაა დასახელებული. მდინარე რიონ-ფასისთან ჩვენ არ ვიცით მსგავსი სახელწოდების მქონე ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ ძველი წყაროებით, ფასისის შესართავთან ცნობილია ქალაქები: ფასისი, სევასტოპოლი.[72]

გ. ქ. მატიუმის ჭოროხის შესართავთან ლოკალიზაციას ენიჭება უპირატესობა, იმის გამოც, რომ იმ ძველ დროს (პლინიუსი, არიანე. V ს. ბერძენი ანონიმი)[73] საგულვებელ ადგილას მსგავსი სახე-

---

68 თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 12; მისივე. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის. — ქწა, II, თბ., 1968, გვ. 11, სქოლიო 9; ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". — მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 57, შენიშვნა 18; მისივე, Из исторической географии древней Колхиды. — ВДИ, 1957, 4, с. 108; Клавдий Птолемей. Географическое руководство.-ВДИ, 1948, 2, с. 251.

69 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, გვ. 12-14.

70 თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვის.-სდსძ. XVI, 1987, გვ. 109-116.

71 იქვე.

72 Скилак Кариандский. Азия. — ВДИ, 1947, 3, с. 242; Я.А. Манандян. Крутовой путь Помпея в Закавказье. — ВДИ, 1939, №4, с. 74, 76, 77.

73 В.В. Латышев. СК.-ВДИ, 1948, № 1, с. 268; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 24, 37, 67, 76, 85.

ლის მქონე მდინარე (ბათისი) ყოფილა და სავსებით დასაშვებია მის შესართავთან წარმოქმნილიყო მსგავსი სახელის მქონე ქალაქი.

დ. პლინიუსის დგომის ადგილიდან (აფსარუნტი) მატიუმი თუ შორს იგულისხმება, ე.ი. რიონის შესართავთან, მაშინ ის აუცილებლად დაასახელებდა მის გვერდით სინამდვილეში არსებულ სხვა ქალაქებსაც — ფასისს, სებასტოპოლს, გიენოსს და იქნებ „პორტუს ალტუსსაც". რადგან აღნიშნული ქალაქები არაა დასახელებული, ამიტომ პლინიუსის ცნობა იმის დამადასტურებელია, რომ მატიუმი აფსაროსიდან სადღაც ამ ქალაქებთან მისვლამდე უნდა არსებულიყო.

ე. მატიუმ-ბათეას სახელის მსგავსი ქალაქი დღესაც არსებობს (შეადრ: მატიუმი-მენტე-ბათეა-ბათუსი-ბათუმი). ამიტომ, ცხადია, ქალაქ მენტეში, რომელსაც გვერდი აუარეს არგონავტებმა ქ. ბათუმი უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო მდინარე ფასისში, რომელშიც არგონავტებმა ხომალდები შეაცურეს — აფსარ-ჭოროხი (ანტიკური ხანის რამდენიმე ავტორთან დამოწმებულია ჭოროხის ასეთი სახელი).

3. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჭოროხის შესართვში არსებული სამოსახლოს სახელი — აფსაროსი — დაკავშირებული უნდა იყოს არგონავტების მითის ერთ-ერთ პერსონაჟ აფსირტესთან. ამის შესახებ მოგვითხრობენ: ფლავიუს არიანე, რომელმაც 131 წელს მოინახულა აფსაროსის ციხე-ქალაქი, ფსევდო-არიანე (V ს.) და პროკოპი კესარიელი. არიანეს ცნობით, ამ ადგილს აფსარი იმიტომ დაერქვა, რომ აქ მედეას ხელით მოკლულ იქნა მისი ძმა აფსირტე. აქვე ყოფილა აფსირტეს სასაფლაოც.[74]

აიეტის შვილის მოკვლის ეპიზოდზე ფსევდო-ორფევსის „არგონავტიკა" ასე მოგვითხრობს: აიეტს, როცა გაუგია მედეას გაქცევის შესახებ იაზონთან, აფსირტესათვის უბრძანებია, მოეძებნა იგი. აფსირტე მაშინვე წასულა „გმირთა საფარისაკენ მდინარის შესართავთან" და შეხვედრია თავის დას, მაგრამ იგი არგონავტებმა მოკლეს და „მჩქეფარე მდინარის შესართავში გადააგდეს. მარადმღელვარე ზღვის მორევში ჩამდინარე სწრაფმა ტალღებმა წაიღო (გვამი) და იმ კუნძულზე გამორიყა, რომელთაც აფსირდიტებს უხმობენ".[75] ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ აფსირტე მოკლული

74 В.В. Латышев. СК.-ВДИ, 1948, № 1, с. 267.

75 ორფიკული არგონავტიკა. ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელაშვილმა. თბ., 1977, გვ. 110.

იქნა არგონავტების საფარში მდინარის შესართავთან. მისი წასვლა სატახტო ქალაქიდან შორს არ იგულისხმება. ამიტომ ამ მდინარეში ჭოროხი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სადაც აფსირტე იქნა მოკლული მდინარის შესართავში, ზღვამ იქვე ახლოს გამორიყა. აფსაროსიც ხომ ადგილს, ბერძნების წარმოდგენით, აფსირტეს სიკვდილის გამო დაერქვა. აფსირტიდების კუნძულებში, როგორც ჩანს, მდ. ჭოროხის დელტის მცირერიცხოვანი კუნძულები უნდა იგულისხმებოდეს. საინტერესოა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ანტიკურ მწერლებთან ასევე ბევრია ლაპარაკი აფსირტეს მოკვლისა, მისი სხეულის დანაწილებისა და მდინარეში (ფერეკიდი[76]), ან მორევში (ზენობი[77], აპოლოდორეს ბიბლიოთეკა[78]) ჩაყრისა, ან კიდევ მინდორზე, თუ გზაზე დაყრისა, იმათ მიერ, ვისაც მისდევდა აიეტი (მარკ ბრუტი[79], პუბლი ნასონი[80]). ამ ავტორთა ცნობები არ გულისხმობენ რიონ-ფასისს, იმიტომ, რომ თუ რიონ-ფასისის წყალში ან მორევში ჩაყრილ იქნა აფსირტეს ტანის ნაწილები, იგი მაშინ სადღაც ამ მდინარის სანაპიროზე თუ შესართავთან უნდა გამორიყულიყო. აქ მისი მოკვლის ან გვამის პოვნის ადგილად ძველი ავტორები მიუთითებენ არა რიონ-ფასისს, არამედ აფსაროს-ჭოროხის ზღვასთან შეერთების მახლობლად მდებარე ქალაქს. ამიტომ აფსირტეს სიკვდილი უძველეს წყაროებში ნაგულისხმევი უნდა იყოს ჭოროხის შესართავში (გაიხსენეთ „აფსაროსს იმიტომ დაერქვა ეს სახელი, რომ აქ მოკლულ იქნა აფსირტე. გვანასხებენ მის სასაფლაოს"). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მითი შექმნილი უნდა იყოს იმ დროს, როცა კოლხა მდებარეობდა ჭოროხის აუზსა თუ მის მიდამოებში და თვით ამ ქვეყნის ცენტრი სადღაც ჭოროხის შესართავთან უნდა ყოფილიყო. ამასთან, აიეტის სატახტო ქალაქიდან, ჩვენს მიერ განხილულ წყაროებში, აფსირტეს შორს წასვლა და დაღუპვა არაა ნაგულისხმევი.

4. და, ბოლოს, გ. მელიქიშვილის გამოკვლევით კოლხას დედაქალაქი სადღაც ჭოროხის შესართავთან უნდა ყოფილიყო. ამ შეხედულებას თითქოს ჩვენი ნააზრევიც ადასტურებს. ამიტომ საინ-

---

76 **В.В. Латышев.** СК.-ВДИ. 1952, № 2, с. 281.
77 **В.В. Латышев.** СК.-ВДИ. 1948, № 4, с. 290.
78 **В.В. Латышев.** СК.-ВДИ. 1947, № 3, с. 307.
79 **В.В. Латышев.** СК.-ВДИ. 1949, № 1, с. 192.
80 იქვე, გვ. 229, 245.

ტერესოა, დიოდორე სიცილიელის მიერ მოხსენიებული კოლხთა დედაქალაქი სიბარისი[81] ხომ არ გულისხმობს იგივე აბსაროსს? აბსაროსში ფუძეა ბსარ (ა-ბსარ-ოსი), რაც შეეხება კოლხთა დედაქალაქის სახელს, აქაც უნდა გამოიყოს მსგავსი ფუძე აბსაროსისა — „ბარ" (სი-ბარ-ისი, შდრ: სი-სპირ-იტ-იდა. ვარიანტული პრეფიქსები: სუ-სანეთი, სო-სანიკეთი, სა-ქართველო).

მაშასადამე, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემები საფუძველს იძლევა დავასკვნათ:

1. უძველესი კოლხური გაერთიანება უნდა არსებულიყო ჭოროხ-ტრაპეზუნტის მიდამოებში, ხოლო მისი მთავარი ცენტრი ჭოროხის შესართავის რაიონშია საგულვებელი.

2. არგონავტები ეწვიენენ ფასის-ჭოროხის ხეობას, მისი ზღვასთან შესართავის რაიონს და არა ფასის-რიონს, რომელსაც დაახლოებით ძვ.წ. VI ს-მდე არქტუროსი ერქვა.

მიუხედავად კვლევის ასეთი შედეგებისა, ჩვენთვის დაზუსტებით გაურკვეველია არგონავტების თქმულების ვერსია აიას სამეფოს ეხება თუ კოლხეთს. არის თუ არა აია იგივე კოლხა, თუ აიას ლიტერატურული გზით დაუმკვიდრდა სახელი კოლხეთი.

ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ აიას ქვეყანა (აიას სამეფო, აიეტის საბრძანებელი?) ძირითადად რიონის ჩრდილოეთით მდებარეობდა, იმ მხარეს, სადაც მოგვიანო ხანის ტრადიცია ქ. აიას ასახელებს. კოლხა-კულხას ეკავა ჭოროხ-ტრაპეზუნტის მიდამოები, ჭოროხის ხეობის მფლობელები დაიაენ-დიაოხები იყვნენ. კოლხას, დაიაენსა და აიას ქვეყანას შორის მდებარეობდა უიტერუხის (ჭარების) ვრცელი ქვეყანა (შემდეგდროინდელი ოძრხის საერისთავო).

უძველეს წერილობით ძეგლში („ოდისეა"), რომელშიც გადმოცემულია სიუჟეტები არგონავტების მითიდან, დასახელებულია აიას სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები — კ. აია, ოლქი აია, სამეფო აია, ღვთაება აია[82], თვით აიეტის სახელიც კავშირშია აიასთან. ამავე წყაროში საერთოდ არ ჩანს კოლხას ან კოლხეთის სახელის მქონე ტოპონიმი ან ჰიდრონიმი. როგორც ცნობილია,

81 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბ., 1977, გვ. 51, 91.

82 Гомер. Одиссея, перевод В. Жуковского, М., 1981, с. 157, 158, 167, 171, 173, 188.

დაახლოებით ამავე დროის ძველი ბერძნული და ურარტული წყაროებდან, აქვე აიას მეზობლად (სამხრეთით) არსებობს კოლხა („კულხას ქვეყანა“) და კოლხეთი („კოლხიდის მიწა“). ამ წყაროთაგან განსხვავებით ანტიკურ მწერლობაში აიას ქვეყნის (სატახტო ქალაქი კუტაია-ქუთაისი) სინონიმი კოლხეთის სამეფოა. ამის მოწმობაა თუნდაც ჰეროდოტესთან მოხსენიებული კომპოზიტი „აია-კოლხეთი“.[83] თ. მიბჩუანის აზრით, არგონავტების თქმულება დაკავშირებული უნდა იყოს აიასთან, რომელიც კოლხეთის დაბლობზე მდებარეობდა. ამ ქვეყანაში მოსახლე ხალხი სვან-ჰენიოხები იყვნენ.[84] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰენიოხები კოლხეთის ტერიტორიაზე არასდროს მოსახლეობდნენ[85] და ასევე უცნობია მათი ეთნიკური წარმომავლობაც.[86]

83 ჰეროდოტე. ისტორია, თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, თბ., 1976, გვ. 472-473.

84 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 328, 330.

85 ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული... გვ. 20.

86 დ. გოგოლაძე. „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995, გვ. 39.

# თავი II
# სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უძველესი გაერთიანება დაიაენ-დიაოხი

## დაიაენ-დიაოხი
## (ტერიტორია, საზღვრები)

დაიაენი-დიაოხის სახელი დამოწმებულია ძვ.წ. V-IV სს. ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს ანაბასისში „ტაოხების" სახით. სახელი „ტაო" შემორჩა ჭოროხის ხეობის ერთ-ერთ ქართულ ოლქს. აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს — დაიაენ-დიაოხიც „სადღაც მერმინდელი ტაოს რაიონში იმყოფებოდა"[1]. ასეთ შეხედულებას კიდევ უფრო განამტკიცებს, ჰეროდოტესთან მოხსენიებული მატიენაც (მა-ტიენა), რომელიც იგივე ტომი უნდა იყოს, რაც დაიაენი.[2] ეს ტომი ძველ ქართულ წყაროებში ზოგჯერ „ტაონის" ფორმითაც გვხვდება.[3]

ურარტუს მეფის მენუას (ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნა) წარწერა, რომელიც არზრუმის მიდამოებში კლდეზეა ამოკვეთილი, მოგვითხრობს დიაოხისა და მისი „სამეფო ქალაქის" შაშილუს დაპყრობის შესახებ. უეჭველია, ეს ტერიტორია ძვ.წ. IX-VIII საუკუნეთა მიჯნაზე დიაოხს ეკუთვნოდა. ამ მიდამოების დალაშქვრის შესახებ მოგვითხრობს ასურეთის მეფე სალმასარ III (ძვ.წ. 859-824 წწ.). მას მიუღწევია არზრუმის მახლობლად მდებარე დას. ევფრატის (ყარა-სუს)

---

1 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 364; მისივე, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 176.

2 ს. გოგიტიძე. მატიენას ტომის ეთნიკურობისა და ლოკალიზაციის საკითხისათვის, ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1998 წლის ფონდები.

3 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 491 და სქოლიო 3.

სათავეებთან და აქ დაიაენის ქვეყნის მეფე ასიასაგან მიუღია ხარკი.[4]

აკად. გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ არზრუმისა და ყარა-სუს სათავეების რაიონი დიაოხის სამხრეთი პერიფერია უნდა ყოფილიყო. ამ გაერთიანების საზღვარი ჩრდილოეთის მიმართულებით ზაბახამდე (ჯავახეთი) და ხუშანამდე განივრცობოდა. დიაოხის ერთ-ერთი ოლქი - ხუშანი (ხუშალხი) მოგვიანებით კულხას (კოლხა) ქვეყნის საზღვრებში გვხვდება.[5]

დაიაენის ლოკალიზაციას არაერთგზის ეხება აკად. გ. მელიქიშვილი.[6] სამხრეთ მიჯნებს იგი ზემოთ აღნიშნული ტერიტორიით, ხოლო ჩრდილოეთისას — შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებამდე მდებარე რაიონებით შემოფარგლავს.[7]

ვ. ავდიევის აზრით, დიაოხის ტომთა გაერთიანებას ეჭირა ვრცელი ტერიტორია ვანის ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით ევფრატის ზემო დინების რაიონში და შემდგომ ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთით შავი ზღვის მიმართულებით.[8] მ. ასათიანი მიიჩნევს, რომ დაიაენ-დიაოხის ქვეყანა მდ. ევფრატის სათავეებიდან მდ. ჭოროხის შუა წელამდე სწედებოდა. ასეთ თვალსაზრისს, მისი აზრით, ურარტულ წყაროებში დიაოხის ქვეყნის მეზობლად ბიანის და ხუშალხის დასახელება მოწმობს, რომლებიც მდინარეების თორთუმისა და ოლთისის შესაყარის ჩრდილოეთით თავსდებიან. ეს სახელები ბანას, ხოშის, ხოშაქის ფორმით ახლაცაა შემორჩენილი.[9]

ჟურნალ „ВДИ"-ის კომენტატორის აზრით, ასურეთის მეფეების ტიგლათფილესერ I-ის და სალმანასარ III-ის დროს დაიაენის ტერიტორია ქ. ბათუმის მიდამოებამდე ვრცელდებოდა.[10] და-

4 Г.А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, М., 1960, с. 36, 37.

5 გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 364.

6 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, თბ., 1951, გვ. 33; მისივე: К истории... с. 176-177; УКН. с. 58; Наири-Урарту. Тб., 1954, с. 59.

7 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 33, 141; შეადრ: Наири-Урарту-ში მოთავსებული რუქა.

8 В.И. Авдиев. История древнего востока, М., 1953, с. 465, 472-473 (მოთავსებული რუკა).

9 მ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 11-12.

10 И.М. Дьяконов. Ассиро-вавилонские источники по истории Урарту, ВДИ, 1951, №2, с.300, схолио 1.

იაენის შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობის შესახებ აზრი გამოთქვეს სხვებმაც. ზოგიერთი დიაოხის ლოკალიზაციას ევფრატის სათავესა (მურად-სუ) და მდინარე ოლთისს შორის მოთავსებული ტერიტორიით განსაზღვრავს.[11]

ნ. არუტუნიანის გამოკვლევით, დაიაენი გადაჭიმული იყო არზრუმის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ევფრატის ზემო წელისა და ჭოროხის შუა დინების მიდამოებამდე. მასვე ეკუთვნოდა ზივინისა და უხტას რაიონები. სამხრეთი საზღვრები დიაოხის აღზევების ეპოქაში შეიძლება მიდიოდა ერზრუმის ახლოს. მენუას მეფობის პერიოდში არაქსის სათავის ჩრდილოეთიც შედიოდა ამავე გაერთიანებაში.[12]

მ. ნიკოლსკის ვარაუდით, დიაოხი განლაგებული იყო არაქსის დაბლობის ახლოს და შეხების წერტილი ჰქონდა მანანის ქვეყანასთან.[13]

თ. ქემერტელიძეს დიაოხის საზღვრებში ჰაიასა-აცი შეჰყავს. მისი აზრით, ჰაიასა და დიაოხი სხვადასხვა პერიოდებში ერთი და იგივე ტერიტორიაზე განფენილი პოლიტიკური ერთეულები უნდა იყოს.[14]

თ. მიქელაძის აზრით, დაიაენს ადრეულ ხანაში აია, ხოლო მოგვიანებით კოლხა უნდა წოდებოდა.[15] მეცნიერი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე იძლევა საინტერესო დაკვირვებებსა და დასკვნებს.[16] მაშასადამე, გამოდის, რომ დაიაენი და მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ ყოფილა გადაჭიმული. ზოგიერთი

---

11 Н. В. Арутюнян. Биаинили (Урарту), Ер., 1970, с. 42 და თანდართული რუკა; მისივე, Топонимика Урарту, Ер., 1985, с. 70 და თანდართული რუკა;

12 М. В. Никольский. Клинообразные надписи Закавказья. МАК, вып. М, V, 1896, с. 14,88.

13 Всемирная история, Т.I. М., 1956, 516-517 გვერდებს შორის მოთავსებული რუკა; Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), Ер. 1970. თანდართული რუკა; Б. Пиотровски. Ванское царство (Урарту), М. , 1959, с. 79.

14 თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი ძველ-აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 3, 15.

15 თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 164-168; მისივე. К вопросу о периодизации истории древней колхиды. "Вопросы древней истории", IV, Тб., 1973, с. 126-155.

16 იქვე.

მკვლევარი კი პირიქით, გადაჭრით აცხადებს, რომ დაიაენი არასოდეს არ წარმოადგენდა ზღვის სანაპირო ქვეყანას.[17] დაიაენსა და შავ ზღვას შორის, ტიგლათფილესერ I-ის მიერ დატოვებული წარწერით, „60 მეფის" ქვეყანა არსებობდა. ესენი მოგვიანო ხანაში „კილხი-კულხას" სახელის ქვეშ ერთიანდებიან. გ. მელიქიშვილმა ამასთან ერთად ყურადღება მიაქცია ტიგლათფილესერ I-ის წარწერაში კიდევ ერთ ცნობას, რომელშიც ასურეთის მეფე თავის თავს უწოდებს „ნაირის ქვეყნის დამპყრობელს თუმედან დაიენამდე (აგრეთვე), კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე".[18]

ამ ცნობების საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ დაიაენის გაერთიანების ტერიტორია შავ ზღვას ვერ სწვდებოდა. თუ გავითვალისწინებთ ასურული წყაროს ცნობას, მაშინ გამოდის, რომ დაიაენსა და შავ ზღვას შორის კოლხაა მოსათავსებელი. ასე, რომ კოლხა საძებარია არა დაიაენის ჩრდილოეთით, ე.ი. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გასწვრივ, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.[19] თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებასაც, რომ საკუთრივ კოლხები ტრაპეზუნტის მიდამოებშიც მოსახლეობენ,[20] მაშინ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დაიაენ-დიაოხსა და კოლხას შორის საზღვარი ძირითადად მდ. ჭოროხის ხაზით უნდა განისაზღვროს. ურარტელ მეფეთა მიერ დალაშქრული თუ დაპყრობილი ოლქები მდ. ჭოროხის აღმოსავლეთ მხარესაა საძებარი.

აკად. გ. მელიქიშვილის გამოკვლევაში დადგენილია ამ გაერთიანების ორი შემადგენელი ოლქის – შეშეთისა და ქალაქ შაშილუს ქვეყნის ადგილმდებარეობა. პირველი მათგანი ემთხვევა საქართველოს ისტორიული ოლქის შავშეთის, ხოლო მეორე მათგანი არზრუმის სანახებს.[21] ქვეყანა შეშეთისა და ქ. შაშილუს ქვეყნის ლოკ-

---

17 ო. ლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986, გვ. 44; ო. ლორთქიფანიძის აზრით, დაიაენის ტერიტორია ისტორიული ტაოს მიწა-წყალს ემთხვეოდა (იქვე).

18 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 180, 184-185.

19 დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა", I, ბათ., 1995, გვ. 73; ს. გოგიტიძე. აია-კოლხეთის ქვეყნის ადგილმდებარეობის ძიების ისტორიიდან, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1997 წლის ფონდები.

20 В.В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1948, №1, с. 270.

21 Г. Меликишвили. К истории древней Грузии,с. 176-177.

ალიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირია დაიაენ-დიაოხის ზოგიერთი ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.

არგიშტი I-ის მიერ ვანის კლდეზე დატოვებული წარწერა მოგვითხრობს, ურარტუს მეფის მიერ დიაოხის შესახებ. წყაროს ცნობით, არგიშტი I-ს დაუპყრია ქვეყანა შერიაზი, მისულა ქ. ფუთემდე. მარცხნივ მისგან არსებულა ქვეყნები ბიანი და ხუშანი, ხოლო მარჯვნივ — თარიუნი და ზაბახაე.[22]

ამ წარწერიდან ჩანს, რომ ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებს შორის ცენტრალური ადგილმდებარეობა ეკავა შერიაზის ქვეყანასა და ქ. ფუთეს. როგორც ცნობილია, თარიუნი და ზაბახაე ლოკალიზდება მტკვრის სათავეების მიდამოებით, ჩილდირის ტბის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონებით,[23] ამიტომ ხუშანი და ბიანი საძებარია აღნიშნული ტერიტორიის დასავლეთით ჭოროხის ხეობაში, შავშეთსა და არზრუმის სანახებს შორის.

ხუშანის და ბიანის ქვეყანა, რომ შავშეთის სამხრეთითაა საძებარი, კარგად ჩანს, იმავე ურარტუს მეფის მიერ სურბ საჰაკის ეკლესიის სტელაზე ამავე წლის ამბების გადმოცემისას. აქ ნათქვამია: „... მივედი (?) ბიას ქვეყნამდე... ხუშანის ქვეყნამდე. გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ...“.[24]

მონათხრობიდან ჩანს, რომ ხუშანისა და ბიას ქვეყანა შეშეთის ქვეყნისა და ქ. ზუას სამხრეთით მდებარეობდა. რაც შეეხება ზუას ლოკალიზაციას იგი ისაზღვრება ურარტუს სხვა მეფის მენუას წარწერით: „მივედი შეშეთის ქვეყნამდე, ქალაქ ზუამდე.“[25] აქვე გასათვალისწინებელია სარდური II-ის მიერ 750 წლის ახლო დროით დათარიღებული წარწერის ერთი მონაცემიც. ურარტუს მეფეს ბრძოლა უხდება კულხას წინააღმდეგ უკვე ყოფილი დაიაენის ტერიტორიაზე — ხუშალხი || ხუშანის ქვეყანაში.[26]

მაშასადამე, ხუშანი საძებარია დიაოხის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, იქ, სადაც დაიაენს ჰქონდა შეხების წერტილი კულხასთან. სარდური მეფის სხვა წარწერიდან ჩანს, რომ ხუშანი მდებარეობდა კულხას ერთ-ერთი ოლქის კულხახალის და ქალაქ

22 Г.А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи. М. , 1960, с. 212.

23 Там же, с. 177, 212; Н.Б. Арутюнян. Биайнили (Урарту). Ер.. 1970, с. 103; его же, Топонимика Урарту, с. 76-77.

24 Г.А. Меликишвили. Наири – Урарту, Тб., 1954, с. 215.

25 Г.А. Меликишвили. УКН, с.158

26 Там же, с. 279.

ილდამუშას (არტანუჯის) სამხრეთით. საძიებელ მიდამოებში გვაქვს ტოპონიმები, რომელთა ფონეტიკური სიახლოვე საძიებელი ქვეყნის სახელწოდებასთან უდავოა. ასეთებია: სოფელი ხოში, სოფელი ხოშატგილი, მინდორი ქოშა ტაოში. ურარტული ხოშანი || ხუშალხი ივივე ქართული ხოში, ხოშანი, ხოშვანი უნდა იყოს. მათ შორის სხვაობა სუფიქსი „ანი"-ა მხოლოდ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ხოშა" სვანურად „დიდს" ნიშნავს. „ხოშ" ფუძიანი ტოპონიმები საქართველოში სხვაგანაც დასტურდება ხოშ-ორ-ა (ფშავში), ხოშ-ურ-ეთ-ი (არტანის მიდამოები), ხოს-ორ-ი (ოლთისის ოლქი), ხოზა (თუშეთი), ხოსტა (ართვინის ოლქში) და სხვა.[27] ქოშაქი – ადამიანის საკუთარ სახელადაც დასტურდება სვანეთის წერილობით ძეგლებში.[28]

ამრიგად, ხუშანი || ხუშალხი მდ. ოლთისის ჭოროხთან შეერთების ორივე მხარეზე უნდა მოთავსდეს. საფიქრებელია, რომ ეს ოლქი დღევანდელ ქალაქ ისპირის მიდამოებამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთის მიმართულებით დიდის ოლქამდე აღწევდა. ეს უკანასკნელი ჭოროხის ხეობის ალმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე თუ მის სიახლოვეს, შეშეთის სამხრეთით საძებარია ქალაქი ზუა. ვერ დავეთანხმებით ნ. არუთუნიანს, რომელიც მიუთითებს, რომ ზუა (ზუაინა) საძებარია დიაოხის სამხრეთში, არზრუმის რაიონში, თანამედროვე დასახლებული პუნქტის ზივინის მიდამოებში.[29] დიდის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ოლქი კულხახალი. მის ადგილმდებარეობას მისი მთავარი ცენტრის ილდამუშა-არტანუჯის იგივეობის მიხედვით ვსაზღვრავთ.[30] როგორც ჩანს, კულხახალი კლარჯეთის თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს (შეადარე: კულ-კოლ-კალ-კლ).

დიაოხის უკიდურეს ჩრდილოეთში შეშეთი თავსდება. მთა შეშე ჯერ კიდევ ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის ძვ.წ. 1112 წლის წარწერაში მოიხსენიება.[31] ურარტელი მენუაც იკვეხნის „მიეღი

---

27 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 162.; შ. ჯაფარიძე. ნ. მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბ., 1996, გვ. 143, 163.

28 ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.), ტ. II, თბ., 1988, გვ. 343.

29 Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту). Ер., 1970, с. 161-186, 193.

30 ს. გოგიტიძე. ასირიულ-ურარტული ცნობები სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შესახებ (ძვ.წ. IX-VIII სს. შუა ხანები). ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის XXI რესპ. სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათ., 1993, გვ. 3.

31 Тиглатпаласар I. Надписи на глиняном цилиндре. ВДИ, 1951, №2, с. 273.

შეშეთის ქვეყნამდე, ქალაქ ზუა(მდე)". შეშეთის მოგვიანო ხანის შავშეთთან გაიგივება ეჭვს არ იწვევს. იგი დღევანდელ ქალაქ შავშათის რაიონს ემთხვევა.[32] ასურული (მთა „შეშე"), ურარტული (ქვეყანა „შეშეთი") და ქართული („შეშის მთა", „შავშეთი") ტერმინების იდენტიფიკაციის საფუძველს იძლევა დასახელებული წყაროების ცნობათა ინფორმაციული მსგავსება და ტერმინების ლინგვისტური ანალიზი.[33] ნ. არუთუნიანი მიიჩნევს, რომ მთა შეშე და ქვეყანა დაიაენი იყვნენ მეზობელი გეოგრაფიული ობიექტები ნაირის ჩრდილოეთ მხარეში. ურარტული წყაროს შეშე(თინა)ში მთა იგულისხმება, რომელიც დიაოხის ტერიტორიაზე მდებარეობდა.[34] მკვლევარი იქვე სქოლიოში მიუთითებს, რომ ისინი შესაძლებელია ერთი და იმავე გეოგრაფიული ერთეულის შემადგენელი ნაწილები იყოს. ნ. არუთუნიანი თავისი ნაშრომის სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ იაზილიტაშის წარწერის მიხედვით მთა შეშე განლაგებულია დიაოხის ფარგლებში ან პარხარის მთის ჩრდილოეთ საზღვარზე.[35]

შეშეთის სიახლოვესაა საძებარი სარდური II-სთან დამოწმებული ქვეყანა ლიკა. არ გამოვრიცხავთ, რომ ლიკა ქართული წყაროების „ლიგანს" (ლიგანის რაიონს) შეეფარდებოდეს.[36] როგორც ჩანს, ლიკას ქვეყანა დაიაენის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პროვინციაა. ლიკას ქვეყნის ლოკალიზაციას მკვლევრები (გ. ღაპანციანი, გ. მელიქიშვილი, ნ. არუთუნიანი) სხვადასხვა ადგილას ახდენდნენ.[37]

რომელი ქვეყანა ესაზღვრებოდა დიაოხს ჩრდილოეთიდან?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თითქოს არგიშტი I-ის დროს დიაოხის გაერთიანებაშივე შედიოდა ვიტერუხი.[38] თუ აჭარაც ვიტ-

---

32 П.Н. Ушаков. К походам Урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н.э., ВДИ, 1946, №2, с. 32; Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 60; მისივე, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953, გვ. 21. N. Tsethladze, S. Gogitidze. Osmani; Öncesi Şavşat Tarihi - Çveneburi, Istambul, N40, გვ. 16-19.

33 გ. მაისურაძე. აღმოსავლურქართულ ტომთა კვალი ძვ.წ. XII საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. — ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები. თბ., 1991, გვ. 18-25.

34 Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 42.

35 იქვე, გვ. 159, 417.

36 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 283.

37 გ. ღაპანციანი. ურარტუს ისტორია, ერევანი, 1940, გვ. 176 (სომხურ ენაზე); Г.А. Меликишвили. УКН, с. 433; Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 428-439.

38 შ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1974, გვ. 12.

ერუხის შემადგენელი ნაწილი იყო[39] და ვიტერუხის ცენტრს ოძრხე წარმოადგენდა,[40] მაშინ გამოდის, რომ თითქოს დაიაენ-დიაოხი ჩრდილოეთის მიმართულებით კიდევ უფრო შორს განივრცობოდა. მაგრამ ასეთი შეხედულება უსაფუძვლო უნდა იყოს. ჩვენი აზრით, დაიაენს მთელი ჩრდილოეთი საზღვარი (გარდა ჩრდილო-დასავლეთისა) უიტერუხთან უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ სწორადაა ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში ვიტერუხ-ოძრხე-ბიძერების იგივეობის საკითხი.[41] სარდური II-ის მიერ დაიაენის ყოფილი ერთ-ერთი ჩრდილო ოლქის (კულხახალი), რომელიც 743 წელს უკვე კოლხას ეკავა, დალაშქვრის შემდეგ მიემართება უიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ.[42] მაშასადამე, არტანუჯის მიდამოების ჩრდილოეთით გადიოდა უიტერუხის საზღვარი.

უიტერუხი (ჭართა გაერთიანება) დიაოხს ეტყობა ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორშიც ეკვროდა. სარდურ II-ის მიერ უიტერუხისაგან ჩამოჭრილი 3 თუ 6 ოლქი,[43] სწორედ ამ მხარეშია საძებარი. ეს ოლქები თავის მნიშვნელოვან ქალაქ ურაიანთან ერთად, სადაც ურარტუს მეფემ დაპყრობილი ტერიტორიის მეთვალთვალედ, თუ გამგებლად თავისი მოხელე დანიშნა, არტაანის პროვინციაში უნდა მოთავსდეს. გ.მელიქიშვილის გამოკვლევით ურარტულ წყაროებში დასახელებული ურიეიუნი || ურაია ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ქალაქ „პურის" სახელს უნდა შეეფარდებოდეს.[44] პური || ვურის ქვეყანა და არტაანის ქვეყანა სომხურ და ქართულ წყაროებში სინონიმებია.[45]

---

39 იქვე.

40 ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ეინაობის საკითხისათვის, ბათ., 2002.

41 П.Н. Ушаков. ук. соч., с. 36-37; Г.А. Меликишвили. К истории... с. 82, 114 и др.; ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, № 1; მისივე. კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, № 3.

42 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო. ურარტული წყაროები. – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, გვ. 293.

43 Археологическая экспедиция 1916 года в Вань. доклади Н. Марра и И. Орбели, Петербургъ, 1922, с. 49; Г.А. Меликишвили. УКН, с. 279.

44 გ. მელიქიშვილი. აღმოსავლეთი მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, მოამბე, 1961, № 3, გვ. 96.

45 ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 224-226.

დიაოხის ზემოთ აღწერილი ოლქების პარალელურად, ე.ი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მდებარეობდა შემდეგი ქვეყნები (როგორც ჩანს, ისინი ამ დიდი გაერთიანების ფარგლებში ექცეოდნენ) ბიანი, ულთუზა, შერიაზი და სხვები.

არგიშტის წარწერიდან ჩანს, რომ ხუშანის გვერდით ბიანი უნდა მოთავსდეს.[46] ბიას ქვეყანას ჩრდილოეთიდან ქვეყანა დიდინი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან ხუშანი ეკვროდა. ბიანი დაიაენის ერთ-ერთი უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინცია უნდა ყოფილიყო. მის ლოკალიზაციას ჩვენ ვახდენთ მდ. ოლთისის ხეობაში მდებარე ბანას სახელის მიხედვით. ურარტული წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, რომ ბიანას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა მტკვრის სათავეებსა და მის მიდამოებში განლაგებული ქვეყნები — ზაბახა და კუარზანი. შესაძლებელია, ამავე ბიანის ოლქს უკავშირდებოდეს მოგვიანებით, ძვ.წ. 750 წელს, სარდური II-ის წარწერის აბიანი (სადაც „ა" პრეფიქსი უნდა იყოს) და არგიშტი I-თან დასახელებული ქვეყანა ბია (სუფიქს „ანი"-ს გარეშე), მით უმეტეს, რომ მისი ქალაქი ედია მოგვიანო ხანის იდისთან[47] (იდესასთან[48]) შეიძლება გაიგივდეს.

ხუშანის სამხრეთით და ბიანის დასავლეთით მდებარეობდა არგიშტი I-ის დროს, ძვ.წ. 784 წელს მოხსენიებული ქვეყანა ულთუზა.[49] ამ ოლქის სახელში შეიძლება მოგვიანო წყაროების ოლთისი დავინახოთ (ურარტულ ლურსმნულს არ გააჩნდა „ო" მარცვალის აღმნიშვნელი და მას „უ"-თი გადმოსცემდა; შეად: კოლხა-კულხა, უიტერუხი-ოძრხე || უნძრხე-ოჭერუხი). იგი მდებარეობდა მდ. ოლთისის ზემო წელის მიდამოებში.

შერიაზის ქვეყნის დღეისათვის არსებულ რომელიმე ტოპონიმთან დაკავშირება არ ხერხდება. საგულვებელ ადგილას, ე.ი. ბიან-

---

46 Г.А. Меликишвили. УКН, с. 235; როგორც ჩანს, ცდება ნ.არუთუნიანი, როცა წერს, რომ ხუშანი და ბიანი დიაოხის სამხრეთით (სამხრეთ-დასავლეთში) უნდა მოთავსდესო (დასახ. ნაშრ., გვ. 184. ნაშრომის სხვა ადგილას ამ ქვეყნებს დიაოხის დასავლეთით ათავსებს, გვ. 406).

47 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 466, 492.

48 Страбон. География, в 17 книгах, статья и комментарий Г.А. Стратановского. М., 1964, с. 473.

49 ნ. არუთუნიანი წერს, რომ ახლანდელ დროში ულთუზაინის ლოკალიზაციის შესახებ ვერაფერს ვიტყვით (დასახ. ნაშრ., გვ. 199).

ის, ხუშანის და ზაბახაეს ქვეყნების სიახლოვეს, ამგვარი ეთნონიმიკური მასალა არ მოგვეპოვება, რის გამოც ამ ქვეყნის ლოკალიზაციის დადგენისას იძულებული ვართ დავეყრდნოთ მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს. ვანის კლდეზე არგიშტი I-ის მიერ ამოკვეთილ წარწერაში ვკითხულობთ: „...დიაუესის მეფე მეფედ დავსვი. დავიპყარი შერიაზის ქვეყანა, ქალაქები დავწვი, ციხესიმაგრეები დავანგრიე; მივედი (?) ქალაქ ფუთემდე... მარცხნივ ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა. გავემართე (სალაშქროდ) ზაბახაეს ქვეყნის წინააღმდეგ..."[50]

ხუშანისა და ბიანის ქვეყნების ადგილმდებარეობა უკვე გარკვეულია. მათ აღმოსავლეთით უნდა მოთავსდეს შერიაზის ქვეყანა, რომელიც წყაროს მიხედვით მდებარეობდა ზაბახას დასავლეთით და ალბათ თარიუნიდან სამხრეთ-დასავლეთით. არ ჩანს ქ. ფუთე შერიაზის ქვეყანაში თუ შედიოდა, მაგრამ ცხადია, რომ იგი ამ ქვეყნის ჩრდილოეთით ან მის ჩრდილო ნაწილში და აბიანის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა მოთავსდეს.

ბიანის სიახლოვესაა საძებარი მენუას წარწერაში მოხსენიებული ქალაქი უტუხაი (...მივედი შუშეთის ქვეყნამდე, ქალაქ ზუა(მდე). ქალაქი უტუხაი...)[51]. ჩვენი აზრით, ქ. უტუხაი ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქ თუხარისთან უნდა გაიგივდეს. გარდა იმისა, რომ იგი შაეშეთის სიახლოვეს თავსდება და სახელებიც (შეადარე: უტუხაი-უთუხა-არის-ი-ოთუხარისი-თუხარისი) ფონეტიკურად ახლოს დგანან ერთმანეთთან, გასათვალისწინებელია „მეფეთა ცხოვრების" ავტორის ცნობა, რომ ქ. თუხარისი ამ დროსაა წარმოქმნილი.

დიაოხის გაერთიანების უკიდურეს სამხრეთ ოლქს წარმოადგენდა ქ. შაშილუს ქვეყანა (შეიძლება გაიგივდეს შაშქის ქვეყანასთან?). ქ. შაშილუს ქვეყანა დას. ევფრატის (ყარა-სუ) სათავეებთან ახლო მდებარე რაიონებშია საძებარი.

შაშილუს ქვეყანა, რომ უკიდურესი პერიფერია იყო დაიაენის გაერთიანებისა, ჩვენი აზრით, ჩანს შემდეგი ფაქტებიდან:

1. ის ყველაზე ახლო ოლქია ურარტუსთან.

2. ურარტელები მას იპყრობენ და ანადგურებენ ჯერ კიდევ ურარტულ წყაროებში დაიაენის ქვეყნის გამოჩენისთანავე.

---

50 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო..., გვ. 274.
51 იქვე., გვ. 272.

3. ასურეთის მეფე სალმანასარ III მიდის ევფრატის სათავეებთან და მეფე ასიასაგან ხარკს იღებს.

4. ქ. მაშილუს განადგურების შესახებ წარწერა არმრუმის რაიონშია ნაპოვნი.[52]

5. ურარტუმ შეძლო ეს ოლქი თავის ფარგლებში შეეყვანა.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, დიაოხის ფარგლებში შედიოდნენ მის მიერვე დაპყრობილი ტომები ბალთულხი, არდარაქიხი და კაბილუხი.[53] ამ ქვეყნების ლოკალიზაციის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი დაიაენის სამხრეთ ნაწილშია საძებარი. არგიშტი I ამ ტომების ტერიტორიაზე თავის მმართველებს სვამს. არდარაქიხი ბალთუხის, სალდირიულხის და მაშილუს ქვეყნის ახლომდებარე რაიონებშია საძებარი, რამდენადაც სალდირიულხი და მაშილუ არმრუმის სანახებში თავსდება. სალდის ქვეყნის (დერჯანის რაიონი) დასავლეთით არის ტოპონიმი ანდარა,[54] არდარაქიხის ფონეტიკური სიახლოვე მასთან გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ურარტული წყაროს ქვეყნის სახელწოდება კავშირში უნდა იყოს ამ სოფლის სახელთან.

ქვეყანა ბალთულხი, ჩვენი აზრით, უნდა გაიგივდეს ხეთური წყაროების ბალას ქვეყანასთან, რომელიც ხალდირიულხისა და არდარაქიხის სამხრეთ-დასავლეთით, ევფრატის ხეობაში თავსდება. აქვეა აღმოჩენილი ურარტური ციხე-სიმაგრის ნაშთები და მენუას წარწერა.[55] ციხე-სიმაგრე ამ ქვეყნის ურარტელი მოხელის რეზიდენცია შეიძლება იყოს. არგიშტი მაშქის, არდარაქიხის, ბალთულხისა და კაბილუხის დაპყრობის შემდეგ მოგვითხრობს, რომ „(ჩემი) ოლქის მმართველები მე ადგილზე (იქ) დავსვი".[56]

ბალთულხისაგან აღმოსავლეთითაა საძიებელი კაბილუხი, ჯემ-ალ-დაღის ჩრდილოეთით და ტუზლას სამხრეთით. მისი ლოკალიზაცია მხოლოდ ვარაუდების სფეროში რჩება, რადგან იგი დამყარებულია მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებზე. ვიცით, მხოლოდ ის, რომ კაბილუხი საძებარია მაშქის, არდარაქიხის, ბალთულხისა და

---

52 Г.А. Меликишвили. К истории... 176; მისივე, УКН, с. 36, 37.

53 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с.60. ასეთივე აზრისაა ნ. არუთუნიანი: Биайнили (Урарту), с. 184.

54 Д. Тейлор. Путешествие по Курдистану. – ИКОИРГО, ТБ., 1894, с.62.

55 Я.А. Манандян. О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении, Ер., 1956, с. 109.

56 გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო... გვ. 275.

ხალდირიულხის ახლოს,[57] დერჯანის სამხრეთით. შესაძლებელია მას კავშირი ჰქონდეს სისპირიტიდის ქალაქ კაბალესთან და თანამედროვე თურქეთის ქალაქ კაბადალთან.

ამ ცნობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ურარტუს სამეფოს შექმნამდე, ძვ.წ. IX–VIII სს. მიჯნამდე, დიაოხის აღმოსავლეთ საზღვრად შეიძლება ჩაითვალოს არაქსის სათავეები. აქვეა საძებარი ქვეყანა აბნუნუანი, რომელიც ძვ.წ. VI–IV სს. ტაოხთა გაერთიანებაში (მატიენა) შედიოდა, ხოლო მოგვიანებით ძველი სომხური ოლქის ჰაეწუნიკის ტერიტორიას წარმოადგენდა. შემდეგ საზღვარი ჩრდილოეთისაკენ მიემართება, მტკვრის სათავეში არსებულ კოლას მიმართულებით. ისტორიული ოლქები–კარნიფორა და კოლა ამ საზღვრებს მიღმა უნდა დარჩენილიყო.

მასალების უქონლობის გამო დიაოხის გაერთიანების სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის დადგენა ძნელდება; როგორც ჩანს, იგი ყიზილირმაკის სათავის რაიონს სწვდებოდა. მისგან უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში სუხმა ჩანს. მდ. თერმოდონტის სათავის მახლობლად შესაძლებელია დაიაენს კულხასთან ჰქონდა შეხების წერტილი. არ გამოვრიცხავთ დიაოხის ამ მიმართულებით განვრცობას. თუ გავითვალისწინებთ ანტიკური წყაროების მატიენას კავშირს დაიაენ-დიაოხთან, უსაფუძვლო არ იქნებოდა ვარაუდი, რომ ამ გაერთიანების ტერიტორია სამხრეთ–დასავლეთის მიმართულებით შორს ვრცელდებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხუშალხის (ხუშანი) ქვეყნის მიწა-წყალი ქ. სპერის მიდამოებამდე ვრცელდებოდა. შედიოდა თუ არა საკუთრივ სპერის ქვეყანა დიაოხის გაერთიანების ფარგლებში?

„სპერის ქვეყანა“ ურარტულ წყაროებში მოხსენიებული არაა. მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ურარტუს მიერ დალაშქრული ტერიტორიებიდან იგი შორს, დასავლეთით მდებარეობდა, ან უბრალოდ, ამ ოლქის დაპყრობაზე მომთხრობი წარწერა ჯერ არაა მიგნებული. არადა, როგორც ჩანს, სპერის ქვეყანა ძვ.წ. VII საუკუნეში უკვე იწყებს მეზობელი ოლქების დაპყრობას. იგი ძვ.წ. V საუკუნეში კოლხეთის, მიდიისა და სპარსეთის ბადალ ქვეყნად მოიხსენიება. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭოროხის ზემო წელზე დღევანდელი ისპირის მიდამოებში ურარტულ ხანაში არსებობდა სპერის ქვეყანა. გ. მელიქიშვილი თავის „Наири-Урарту“-ში ერთგ-

---

57 იქვე.

ან წერს, რომ ჭოროხის ზემო წელზე მცხოვრები საპერები შედიოდნენ დიაოხის გაერთიანებაში.[58] მეორე ადგილზე ნათქვამია, რომ ძვ.წ. VIII–VII საუკუნეში სპერის ოლქი შედიოდა კოლხაში, მაგრამ VII საუკუნეში მის გარშემო იქმნება დიდი გაერთიანება.

როგორც ირკვევა, დიაოხის ერთ-ერთ სამხრეთ-დასავლეთ ოლქს წარმოადგენდა აშკალაში. არგიშტი I ამ ქვეყნის შესახებ შემდეგ ცნობას იძლევა: „...მივედი (?) ბიას ქვეყნამდე... ხუშანის ქვეყანა (მდე). გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. წავედი მე ქვეყნის კარით (?) აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ... სამი ქვეყანა მე იქიდან მოვეცლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა ქადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუს ქვეყანა...“.[59]

ამ მონათხრობიდან ჩანს, რომ ურარტუს მეფე ბიას, ხუშანისა და დიდის ქვეყნების, დალაშქვრის შემდეგ სამხრეთით მიემართება, რადგანაც ქ. შაშილუს ქვეყანა სწორედ აქ, არზრუმის სანახებში თავსდება. ამ გარემოების გათვალისწინებით ქადა და აშკალაში სწორედ აღნიშნულ რაიონებს შორისაა საძებარი. ჩვენი აზრით, აშკალაში დღევანდელ ქ. აშკალესთან[60] (თურქეთი) და ანტიკური ეკლეცის (აკილისენა) ოლქთან[61] უნდა გაიგივდეს, ხოლო ქადა შაშილუსა და აბიანს (შესაძლებელია ჩრდილოეთიდან ულთუზაც ესაზღვრებოდა) შორის უნდა მოთავსდეს, აშკალაშის ჩრდილო-აღმოსავლეთით. არგიშტის ლაშქრობის მარშრუტი კიდევ უფრო გასაგები იქნება, თუ „ქვეყნის კარისა“ და „ქართლის ყელის“ იგივეობის საკითხს დავსვამთ. სწორედ ამ „ქვეყნის კარისა“ (სამხრეთით) და შაშილუს ქვეყანას (ჩრდილოეთით) შორის უნდა მოთავსდეს ქვეყანა ქადა. ეს უკანასკნელი უეჭველია არა მარტო ხუშანის, არამედ ულთუზას ქვეყნის სამხრეთითაც მდებარეობდა, რადგან „ქართლის ყელი“ ორივე ქვეყნისაგან სამხრეთით თავსდება.

ქვეყანა აშკალაშის სიახლოვეს უნდა მოთავსდეს ქალაქ ხალდირიულხის ქვეყანა. ურარტულ ეპიგრაფიკაში იგი მხოლოდ ერთ-

---

58 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 411, 416.

59 Г.А. Меликишвили. УКН, с. 235.

60 Азия (зарубежные страны), атлас мира, М., 1983, с. 29.

61 Г. Гоян. Театр древней Армении, М., 1952, თანდართული რუკა; Культура раннефеодальной Армении (IV-VII вв.), Ер., 1980, თანდართული რუკა; ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა, თბ., 1990, გვ. 40–41.

ხელ, მენუას წარწერაში მოიხსენიება. ირკვევა, რომ ეს ქვეყნები დიაოხის სამხრეთი ოლქებია, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

1. ურარტუს მეფეები ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ლაშქრობისას შედიან ამ ქვეყნებში;

2. საკვლევი ქვეყნები წყაროებში აშკალაშისა და შაშილუს ქვეყნების გვერდით მოიხსენიება; რომლებიც, როგორც აღინიშნა, დაიაენის გაერთიანების უკიდურეს სამხრეთში თავსდებიან;

3. ურარტუს მეფეები მოგვითხრობენ ამ ქვეყნების დაპყრობაზე და მათი მმართველების გადაყენებაზე და თავისი გამგებლების დასმაზე, ე.ი. ამ ოლქების ურარტუს სამეფოს ფარგლებში შეყვანაზე;

4. ახლანდელი ქალაქ აშკალესა და ანტიკურ ხანაში ცნობილი აკილისენას (ეკელეცი) ოლქის გვერდით არსებული ფეოდალური ხანის ქ. ხალტოი-არიჭის კავშირი ქალაქ ხალდირიულხის ქვეყანასთან დასაშვებია. უფრო სარწმუნო ჩანს ხალდირიულხის ქვეყნის გაიგივება ტერჯანის (თურქეთი) დასავლეთით არსებულ ხალდის დაბლობთან.[62]

როგორც აღინიშნა, დაიაენის ტერიტორია ზღვის სანაპირო ზოლისაკენ არ ვრცელდებოდა. დაბეჯითებით თქმაც ძნელია, რომ მისი საზღვარი მდ. ჭოროხის დინებამდე აღწევდა. შესაძლებელია მისი საზღვარი კოლხასთან ამ სექტორში ჭანეთის მთებს მიუყვებოდა, მაგრამ ვარაუდი რეალური იქნება იმ შემთხვევაში თუ გამართლდება ნ. არუთიუნიანის აზრი მარმაშენის წარწერის ირდანიუნისა და თანამედროვე ქალაქ ართვინის იგივეობის შესახებ.[63]

დიაოხის გაერთიანებისა და მისი შემადგენელი ნაწილების („ქვეყნების") ლოკალიზაციის მსგავსი ვარიანტებია შემოთავაზებული ჩვენს გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომებსა და რუკებში.[64]

ამრიგად, დაიაენ-დიაოხის სახელმწიფო გადაჭიმული იყო შავშეთის მთების მიდამოებიდან, სამხრეთისაკენ აკილისენა-ეკლეცის ოლქამდე (თან. თურქეთის ქალაქ ერზინჯანის რაიონამდე). აღმოსავლეთით მისი ტერიტორია მტკვრისა და არაქსის სათავეებამდე განივრცობოდა.

---

62 Д. Тейлор. Ук. соч., с. 62.

63 Н.В. Арутюнян. К локализации города Ирданиуни Урартской клинописи, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, VIII, თბ., 1988, გვ. 30-35.

64 ს. გოგიტიძე. ქვეყნები კესარიელის ერთი ცნობის შესახებ, გაზ. „ბათუმი", 1998, 28 თებერვალი; მისივე შესრულებული რუკა: „ძველი საქართველო (ძვ.წ. IX ს. ბოლო-760 წ.)", ხელნაწერი.

# თავი III
# ცვლილებანი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ და ეთნიკურ რუკაზე
## (ძვ. წ. VIII ს. დასასრული – VI ს. დასაწყისი)

მეოცე საუკუნის 40-იან წლებამდე გაბატონებული იყო, შეხედულება, რომ ქართველები არ იყვნენ ამიერკავკასიის აბორიგენები. თვლიდნენ, რომ ისინი აქ გვიან შემოვიდნენ მცირე აზიიდან. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, კავკასია ქართველური ტომების თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა,[1] ამიტომ მათი კულტურის პირვანდელი ნაკვალევი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არაა საძებარი.[2] წინათ ისინი, მისი აზრით, კაპადუკიისა და პონტოს მახლობლად ბინადრობდნენ.[3] მცირე აზიაში კიმერიელთა შემოსევამ გამოიწვია ქართულ ტომთა კიდევ ერთი ტალღის ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლება. ამ დროიდან (ძვ. წ. VII ს.) მოყოლებული, ამ ტომთა (მუსკები, ტაბალები, კასკები) სახელი მცირე აზიაში ქრება. ამიერიდან მათ სამოქმედო ასპარეზს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირები და ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენდა.[4]

უნდა ითქვას, რომ ეს კონცეპცია ივ. ჯავახიშვილს არ ეკუთვნის, მან იგი განავითარა და განამტკიცა. ქართველური ტომების ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე შემოსვლასა და დამკვ-

---

1 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 247-250.

2 ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 47-48.

3 იქვე, გვ. 60.

4 იქვე, გვ. 43.

იდრებაზე ისტორიოგრაფიაში გაცილებით ადრეც იყო ლაპარაკი.[5] ქართველების სამხრეთიდან მოსვლის თავისებური კონცეპცია ჩამოაყალიბა ედ. ყიფიანმა. ძვ.წ. V საუკუნეში ქართები კავკასიაში არ ჩანან, ამიტომ, შენიშნავს მკვლევარი, ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ახლო დროს უნდა შემოსულიყვნენ.[6] ასეთი შეხედულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს როგორც ბერძნულ-რომაულმა და სომხურმა, ისე ძველმა ქართულმა წყაროებმა. ბიბლიური მეშქები (მოსოხი) და თაბალები (თობელი), რომლებიც უძველეს ხანაში მოსახლეობდნენ მცირე აზიაში, მიჩნეულ იქნენ ანტიკური წყაროების მესხებისა და იბერების წინაპრებად.[7] ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტეც (484–425 წწ.) მოგვითხრობს კოლხების ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ.[8] ქართველების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე სომხური წყაროები (მოვსეს ხორენაცი,[9] მხითარ აირივანეცი[10]). ძველი ქართული წყაროები ქართველების თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე გვიან მოსვლაზე ლაპარაკობენ: „მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით ეს ამბავი ალექსანდრე მაკედონელის დროს უნდა მომხდარიყო;[11] ლეონტი მროველის სიტყვით კი პირველი ქართლოსიანები თავისი ნათესავებით არარატ-მასისიდან მოვიდნენ.[12] „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილია, აგრეთვე,

---

5 დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 29; მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ. 1906, გვ. 4, 8, 16, 18 და სხვა; ამ საკითხებთან დაკავშირებით შედარებით ვრცლად ლაპარაკობს ს. გორგაძე (საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 1915, გვ. 7–8, 10, 18, 19, 34–35 და სხვა).

6 ედ. ყიფიანი. ლასაბამიდან ფარნავაზამდე, ჟურნ. „ცისკარი", 1991, №4, გვ. 134.

7 იოანე ზონარა მოგვითხრობს „თობელისაგან-თობელნი დაერქვათ, ესენი იბერები არიან. მოსოხისაგან წარმოიშვა მესხინთა ტომი, ესენი აწ კაპადოკიელებად სახელდებიან." იხ. გეორგიკა, ტ. 6, თბ., 1966, გვ. 182; შეადარეთ ევსტატი ანტიოქელთან (ВДИ, 1948, №3, с. 237).

8 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 156.

9 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 106–107.

10 მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 47.

11 მატბერდის კრებული (X საუკუნისა), თბ., 1979, გვ. 320.

12 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 3 და შემდეგი. ლეონტი მროველის ეს მცდარი შეხედულება განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით (ა. აბდალაძე. „ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის არქეოლოგიურობის თაობაზე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1998, 18 მარტი.

ალექსანდრე მაკედონელის ხანაში ქალდეველთა მოსვლაზე და ქართლში დასახლებაზე, მანამდე კი აქ თითქოს ცხოვრობდნენ ბუნ-თურქები და ყივჩაღები.[13]

მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში დიდი გამოხმაურება ჰქონდა ს. ჯანაშიას კონცეპციას ქართველი ხალხის წარმომავლობის შესახებ. ს. ჯანაშიას შეხედულება ამ საკითხზე ასეთია: ქართველები წარმოშობით წინა აზიის უძველეს მოსახლეობას განეკუთვნებიან. მკვლევრის ნაშრომში არაფერია თქმული ქართველ ტომთა სამხრეთიდან გადმოსახლებაზე. აქ ლაპარაკია მხოლოდ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ პოლიტიკური ცენტრების გადმონაცვლებაზე.[14] ს. ჯანაშიამ ფაქტიურად მოხსნა თვალსაზრისი ქართველთა გადმოსახლების შესახებ.[15] მიუხედავად მკვლევართა მიერ ს. ჯანაშიას შეხედულების ასე დადებითად შეფასებისა,[16] დღეს მოგადად მიგრაციულ პროცესებს არავინ უარყოფს. დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, ლინგვისტური, არქეოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული მასალების მიხედვით, მართალია, დადგენილია ქართველ ტომთა ავტოქტონობა ამიერკავკასიაში, მაგრამ არც მიგრაციული პროცესებია გამორიცხული, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დასტურდება.[17]

მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ედ. ყიფიანმა. მას ქართველურ და მის მონათესავე ტომთა სამყაროდ როგორც ამიერკავკასია (განსაკუთრებით დასავლეთი), ისე მცირე აზია და მისი აღმოსავლეთი პერიფერიები წარმოუდგენია. აღნიშნულ ტერიტორიაზე დროთა განმავლობაში ხდებოდა ქართველური ტომების დიდი მიგრაციები ქართველურსავე სამყაროში. საერთო ქართველური ეთნიკური მასივის დაშლის შემდეგ, დღევანდელ დასავლეთი და სამხრეთი

---

13 იქვე, გვ. 17.

14 საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1943, გვ. 53-54.

15 გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 26 და შემდეგი; მისივე, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. — სინ., ტ. I, თბ., 1970, გვ. 325-327.

16 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 225-226, 263-264.

17 დ. მუსხელიშვილის რეცენზია ნ. ხაზარაძის წიგნზე: საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (თბ., 1984), „მაცნე", ისტორიული სერია, 1987, № 1, გვ. 163.

საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა სვანური მოდგმა, მცირეაზიელ ქართველთაგან — კოლხები, ხოლო, რაც უფრო საინტერესოა, სამხრეთელებისაგან — ქართები.[18] ქართები ამის შემდეგაც კარგ ხანს ცხოვრობდნენ სამხრეთით. ისინი მხოლოდ ძვ.წ. V საუკუნის დამდეგისათვის შემოვიდნენ თიან. საქართველოს ტერიტორიაზე, მიდიელების, სპარსელებისა და სხვათა დაწოლისაგან.[19]

ქართულ ისტორიოგრაფიაში განმტკიცებულია შეხედულება, რომ ყველაზე დიდი მიგრაციული პროცესები ქართველი ტომებისა ქართველურსავე სამყაროში ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. მიზეზად მკვლევარნი რუსეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიიდან კიმერიელებისა და სკვითების შემოსევას ასახელებენ, რასაც მხარს უჭერს მრავალი წყაროს მონაცემები. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევა რამდენიმე ნაკადად მომხდარა. ჰეროდოტეს ცნობით, ისინი მოდიოდნენ მეოტიდა-კოლხეთის მიმართულებით, ე.ი. აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებით. ცოტა მოგვიანებით დერბენტის გადასასვლელითა და კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროებით წინა აზიაში შემოჭრილან სკვითები. ისინი მისულან ეგვიპტემდე და აზიაში ბატონობდნენ 28 წელს.[20] სკვითებისა და კიმერიელების შემოსევის ასეთი მიმართულებები გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.[21] ლეონტი მროველი ხაზართა (იგულისხმება სკვითები)[22] ამიერკავკასიაში შემოსვლაზე მოგვითხრობს დარუბანდისა და დარიალის გზით.[23] ე. დიაკონოვი (იმოწმებს ბ. ტურაევს) მიუთითებს, რომ ძვ. წ. VIII–VII ს-ში კიმერიელები გამოძევებულ იქნენ სკვითების მიერ წინა და მცირე აზიაში. წყაროების მოწმობით ისინი ანადგურებენ ურარტუს.[24]

---

18 ედ. ყიფიანი. დასაბამიდან ფარნავაზამდე. ჟურნ. „ცისკარი", 1991, N4, გვ. 129.

19 იქვე. გვ. 130.

20 ჰეროდოტე. I, 103–106; IV, 12; საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. გ. მელიქიშვილი. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები. ძველი კოლხეთის სამეფოს განადგურება. — სინ., ტ. I, გვ. 392 და შემდეგი; მისივე, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 220 და შემდეგი.

21 Я.А. Манандян. О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ер., 1944, с. 43 сл.

22 საქართველოს ისტორია, თავადის ს. ბარათაშვილისა, ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ, ქუთაისი, 1895, გვ. 22; А.И. Болтунова. Возникновение классового общества и государственной власти в Иберии. — ВДИ, 1956, №2, с. 34.

23 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 11–12.

24 В.Н. Дьяконов. Древняя Таврика до римской окупации, ВДИ, 1939, №3, с. 77.

ე. კრუპნოვი მიიჩნევს, რომ კიმერიელები ამიერკავკასიაში შემოვიდნენ მეოტიდა-კოლხეთის გზით, სკვითები კი ოთხი გზით; მეოტიდა-კოლხეთის ვიწროებით, მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადმოსასვლელებით. თუმცა, შენიშნავს იგი, სკვითები მაინც უმთავრესად დერბენტის გადმოსასვლელით მოდიოდნენ.[25] კიმერიელები ძვ.წ. VIII საუკუნეში შემოდიან კოლხეთის ნაპირებით; ისინი აჭარის ტერიტორიის სიახლოვეს იყოფიან და შემდეგ ორი მიმართულებით მიემართებიან: 1. ჭოროხის ხეობით; 2. შავშეთისა და კლარჯეთის გაელით არაქსის ხეობაში. სკვითები მოდიან VII საუკუნეში რამდენიმე მიმართულებით: 1. ყაზბეგის გამოელით ვანის ტბის რაიონში; 2. რიონის გადაკვეთით კოლხეთსა და იბერიას შორის სამცხის ტერიტორიაზე; 3. კასპიის ზღვის ნაპირებით, მტკვრისა და არაქსის შეერთებასთან იყოფიან სამ ჯგუფად. აქედან კი მიემართებიან: ა) მტკვრისა და ალაზნის შეერთებისაკენ; ბ) არაქსის ხეობაში; გ) ურმიის ტბის რაიონში.[26] ე. კრუპნოვის შეხედულებას იზიარებს ვ. ვინოგრადოვი.[27]

ბ. ტეხოვის მიხედვით სკვითები წინა და მცირე აზიაში გაჩნდნენ კიმერიელებზე დადევნების შედეგად, თუმცა შესაძლებელია მცირე აზიაში ისინი გაჩნდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. შემდეგ განაგრძობს იგი, სკვითები შემოიჭრენ ჩრდილოეთ კავკასიაში, დაიყენენ სამ ნაწილად მაინც. ერთი ნაწილი წამოვიდა მეოტიდა კოლხეთით, მეორე — დარიალით, ხოლო მესამე — კასპიის ზღვის ნაპირებით.[28] ბ. ტეხოვის აზრით, რადგან კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე კიმერიული კულტურის ელემენტები დაფიქსირებული არაა, ამიტომ სავარაუდებელია, რომ ისინი ამ გზით არც შემოსულან კავკასიასა და მცირე აზიაში. როგორც ჩანს, მათ შემოსევებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.[29]

---

25 Е.И. Крупнов. О походах скифов через Кавказ.- Вопросы скифо — сарматской археологии, М., 1954, с. 194.

26 История нородов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в., М. 1988, с. 71.

27 В.Б. Виногродов. Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время (VII-VI вв. до н.э.). грозный, 1972, с. 11 и след.

28 Б.В. Техов. Скифы и центральный Кавказ в VII-VI до н. э., М., 1980, с. 5-7.

29 Б.В. Техов. Тлийский могильник, II Т Б., 1981, с. 68.

ი. ვორონოვი იზიარებს შეხედულებას, რომ კიმერიელები შემოვიდნენ აფხაზეთის გავლით, მათ შემოჰყვნენ დასავლეთის სკვითური ტომები.[30] მ. არტამონოვის ვარაუდით, სკვითები კასპიის ზღვის სანაპიროთი მოდიოდნენ.[31] „ბაბილონის ქრონიკის“ (ძვ.წ. VII ს.) ცნობით 677 წელს კიმერიელები შეჭრილან ასურეთშიც.[32] სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია სკვითების უზარმაზარი ტალღის შეჭრაზე მიდიასა და ასურეთში 634 წელს.[33] ძველბერძნული წყაროებით ცნობილია, რომ კიმერიელების თარეშის არეში მოხვდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ახლად ჩამოყალიბებული ბერძნული კოლონიებიც.[34] გამოთქმულია მოსაზრება, რომ კიმერიელები და სკვითები უნდა დასახლებულიყვნენ მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ზოგიერთ რეგიონში.[35] არქეოლოგიური მასალები ამტკიცებენ, რომ სკვითებმა კავკასიაში არა მარტო გაიარეს, არამედ მათი ნაწილი აქ დასახლდა კიდეც და დაიარსეს თავიანთი სახელმწიფოებრივი ერთეულები. მათმა კულტურამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აბორიგენების კულტურაზე.[36] ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია (ნაჯახი, ხანჯალი, ისრისპირი, ცხენის შეკაზმულობის ნაშთები და სხვა)[37] სკვითურ-სამყაროსადმი, მის მატერიალურ-კულტურისადმი კავშირს ამჟღავნებს საქართველოში, ზეიანის მიწის ქვა-კაცის აღმოჩენა. იგი უდავო დადასტურებაა

---

30 Ю.Н. Воронов. К вопросу о локолизации кораксов и их крепости в Абхазии. ВДИ, 1968, №3, с. 138.

31 М.И. Артамонов. Киммерийцы и скифы. Л., 1974, с. 25.

32 В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1947, №1, с. 269.

33 ზ. კოსიდოვსკი. ბიბლიური თქმულებები, რუსულიდან თარგმნა ჟ. ბერიძემ. თბ., 1976, გვ. 371.

34 М.И. Максимова. Античные города Юго- Восточного Причерноморья, 1956, с. 37 и др.

35 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 222-223; История Азербайджана, в трех томах, т. I, Баку, 1958, с. 28; Б.В. Техов. Скифы и центральный Кавказ в VII-VI вв. до н. э. М., 1980, с. 7, 14; К.П. Патканов. Армянская география, VII в., СПБ., 1877, с. 51, прим. 170.

36 В.Б. Ковалевская. Кавказ и аланы, м., 1984, с. 70; М.Н. Погребова. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время, М. 1984, с. 16-17; С.А. Есаян, М.Н. Погребова. Скифские памятники Закавказья, М. 1985, с. 7-11 (აქვეა განხილული სათანადო წყაროები და ლიტერატურა).

37 გ. ავალიშვილი. ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974, გვ. 94-97; С.А. Есаян, М. Н Погребова. Скифские... с. 21 и сл.

სკვითების მოძრაობისა ამიერკავკასიაში.[38] ზოგიერთი ავტორის აზრით, კიმერიელთა მოძრაობაში მოყვანა ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს მომთაბარე თურქთა საკა ტომების დასავლეთით გადაადგილებამ გამოიწვია. კიმერიელებმა ძვ. წ. 720-714 წლებში ჭოროხის ხეობა დაიპყრეს და ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნეს. ადგილობრივ მოსახლეობას ურარტელების დახმარებით კიმერიელები განუდევნიათ. შემდეგ კი ეს მიდამოები საკადარების თაედასხმის წინაშე აღმოჩენილა. საკა თურქებს მცირე დროში დიდი სახელმწიფო ჩამოუყალიბებიათ.[39]

კიმერიელებს, რომ ზემოთ აღნიშნული მხარეებისათვის მიეღწიათ, თუ ისინი მართლაც შავი ზღვის სანაპიროთიც მოდიოდნენ, უნდა გაევლოთ კოლხას გაერთიანების ტერიტორია. ამიტომ უეჭველია, მათი პირველი დარტყმები სწორედ კოლხას უნდა მიეღო. ამას კი უნდა მოჰყოლოდა მისი ძლიერი დასუსტება.[40] გ. მელიქიშვილი იმას მიუთითებდა, რომ კიმერიული ტომი თრერები დასახლდნენ თრიალეთში, რამეთუ მომთაბარეთა სატომო სახელი კავშირში უნდა იყოს ქართლის ამ უძველესი ოლქის სახელთან.[41]

თ. მიქელაძე მიუთითებს, რომ ლეონტი მროველი კიმერიელებისა და სკვითების (იგი მათ ხაზარებს უწოდებს) შემოსევათა ისეთ გზას მიუთითებს, როგორსაც ჰეროდოტე. ოღონდ ლეონტის ცნობით, დარუბანდის გარდა, მათ არაგვის კარი (დარიალი) გამოუყენებიათ.[42] მქელევრის აზრით, ჰეროდოტეს ცნობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, კიმერიელებმა კოლხეთი გაანადგურესო.[43] ჰეროდოტეს ტექსტის ВДИ-ის კომენტატორს მიაჩნია, რომ სკვითებმა კავკასიონი დარუბანდის კარით გადმოლახესო.[44] ამასვე ფიქრობს ი. დიაკონოვიც.[45] მისი აზრით, კიმერიელები შემოვიდნენ მამისონითა და ქლუხორით.[46] ა. მაგომეტოვის

38 მ. ჩხაიძე. ქვა-კაცი ზეიანის მიწებიდან. თბ., 1991, გვ. 3 და შემდეგ.

39 Yusufeli ilcesi. KÖylere hizmet GÖTÜRME birli Ği Yayin no: AĞ ustos-1996, ud. 15.

40 გ. მელიქიშვილი. სკვითების და კიმერიელების შემოსევები– გვ. 393.

41 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 252.

42 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 11, 12 და შემდეგი.

43 თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 169-170.

44 ВДИ, 1947, №2, с. 251, прим. 3.

45 И.М. Дьяконов. История Мидии, Москва-Ленинград, 1956, с. 245.

46 И.М. Дъяконов. К методике иследований (по этнической истории) («киммерийцы»). — Этнические проблемы истории Центральной Азии в древности, м., 1981, с. 98 და შემდეგი.

მიხედვით, კიმერიელები ამიერკავკასიაში შეიძლება შემოსულიყვნენ ალაგირიდან თანამედროვე გორამდე, მამისონის გადმოსასვლელით ან დარიალით. შემდეგ ისინი მოვიდნენ სევანის ტბამდე, მდ. არაქსამდე, ქ. ყარსამდე და ლენინაკანამდე. აქედან მათ შეეძლოთ კვლავ მისვლა შავ ზღვამდე.[47]

ვფიქრობთ, რომ ლეონტი მროველის მონაცემებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ჰეროდოტეს ცნობას, რადგან ბერძენი ისტორიკოსი სკვითებისა და კიმერიელების შემოსევის[48] ეპოქასთან ახლოს ცხოვრობდა. ასევე იგი ნამყოფია კოლხეთში და კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ამ ტომების შემოსევების მარშრუტებზე. მეოტიდა-კოლხეთის გზით შემოჭრილ კიმერიელებს, რომელთა ძირითადი მასა, ეტყობოდა, ამ გზით მოდიოდა, ვერაფერი შეაკავებდა. კოლხა, რომლის ცენტრალური რაიონები ჭოროხის შესართავის მიდამოებში მდებარეობდა, ჩვენი აზრით, კიმერიელთა პირველ დარტყმას ვერ მიიღებდა. საქმე იმაშია, რომ კოლხას ჩრდილოეთის მიმართულებით ძვ.წ. VIII ს. შუა ხანებში ან იქნებ მანამდეც თავისი გავლენის სფეროში უნდა მოექცია ტერიტორია მხოლოდ რიონის სამხრეთით მდებარე. რომელი ტომები ცხოვრობდნენ რიონის ჩრდილოეთით და თუ ჰქონდა მათ რაიმე პოლიტიკური ერთეულები? ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ წყაროების ურთიერთშეპირისპირება და მათი ანალიზი იძლევა საფუძველს, რომ რიონის ჩრდილოეთით მოსახლე ტომებად სვანური ტომები (ჰენიოხები და სხვ.) გამოვაცხადოთ. ასეთი შეხედულება უკვე გამოთქმული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში.[49] ამ მოსაზრებას ეთანხმება ედ. ყიფიანიც.[50] პ. უშაკოვი[51] და მ. ინაძეც[52] მიუთითებდნენ ურარტულ ხანაში ფაზისის (რიონი) მიდამოებში ჰენიოხების არსებობის ფაქტზე.

---

47 А.Х. Магометов. Культура и быт осетинского народа. Орджоникидзе, 1968, с. 166 и след.

48 სკვითებისა და კიმერიელების ამიერკავკასიაში შემოსევა მოხდა ძვ.წ. VIII ს. 30-20- იან წლებში. ჰეროდოტე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 484-425 წლებში.

49 გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 63-68.

50 ედ. ყიფიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 129, 130.

51 П.Н. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье IX и VIII вв. до н. э., ВДИ, 1946, №2, с. 38.

52 მ. ინაძე. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები). — მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 14-15.

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კიმერიელების შემოსევის ჟამს, კულხას ჩრდილოეთით, განლაგებული იქნებოდა ჰენიოხების (სვანთა წინაპრების) ქვეყანა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰეროდოტესთან აია კოლხეთის (და არა კოლხას) სინონიმია,[53] ხოლო აია თუ ეა(ეია) ქალაქია რიონის შესართავის მახლობლად,[54] შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სამეფოს ჩრდილოეთით არსებულ გაერთიანებას, რიონის ჩრდილოეთით, უნდა რქმეოდა აია ანუ ჰაია, ჰენიოხების სახელის მიხედვით (ჰაია-აია-ჰენია-ჰენიოხი). სწორედ სვანების ქვეყანას უნდა მიეღო კიმერიელთა პირველი გამანადგურებელი დარტყმები. მომთაბარე ტომთა შემოსევის მეორე მსხვერპლი კოლხა უნდა ყოფილიყო. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, კოლხას (კოლხეთი) მოსახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლაში უნდა გაჟლეტილიყო, ნაწილი კი მახლობელ რეგიონებში უნდა გახიზნულიყო.[55] ასეთი შეხედულება, ვფიქრობთ, მართებულია, რადგან სწორედ კიმერიელთა შემოსევის შემდეგ მოხდა ამ ტომთა დასავლეთისაკენ გადმონაცვლება (ნაწილობრივ კოლხას ტერიტორიაზე), რომლებიც, ურარტული წყაროების მიხედვით, გაცილებით აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ. ერთი სიტყვით, კიმერიელთა და სკვითთა შემოსევებმა საგრძნობლად გადააკეთეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური რუკა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ნ. ლომოურმა. ამ არეულობის ჟამს ძველი გაერთიანებების დაშლამ და ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების წარმოშობამ მართლაც ხელი შეუწყო ტომების სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გადმონაცვლებას, მაგრამ კულხას გაერთიანების ჰეგემონი კოლხები არც გაწყდარან და არც სხვაგან გადასახლებულან. მოგვიანებით ისინი აქვე — ტრაპეზუნტის მიდამოებში ბინადრობდნენ. კოლხას პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთით გადმონაცვლებამ კი ანტიკურ წყაროებში გამოიწვია ტერმინების „კოლხიდისა“ და „კოლხების“ ასევე ჩრდილოეთით გადმონაცვლება და ამიერიდან კოლხეთი ეწოდა დასავლეთი სა-

---

53 ჰეროდოტე. ისტორია.

54 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, გვ. 30, იქვე სქოლიო I; ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. — მსკი, ნაკვ. 32, გვ. 45.

55 გ. მელიქიშვილი. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები... გვ. 393.

ქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფოს, ხოლო მის საზღვრებში მყოფ მოსახლეობას – კოლხები. მეცნიერის აზრით, ფაზისის (რიონის) მიდამოების ძველ მოსახლეობას ჰენიოხებს მწიგნობრული გზით უნდა შერქმეოდა კოლხები, ეს უკანასკნელნი კი სინამდვილეში აქ არასოდეს არ მოსახლეობდნენ.[56]

გ. ლორთქიფანიძე ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: ძვ.წ. VI საუკუნეში შექმნილი კოლხეთის სამეფო, როგორც ჩანს, არ იყო კოლხას მემკვიდრე. აქემენიდების ეპოქაში დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთიდან ჩრდილოეთში პოლიტიკური ცენტრის გადატანის თეორია ხელოვნურია. კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის მომენტში კოლხა უკვე აღარ არსებობდა ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრულიდან ჭოროხის შუა და ზემო დინებაში და მიმდებარე ოლქებში რაიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი წერილობით წყაროებში არ ჩანს. განსაკუთრებული სიმშვიდე მცირე აზიასა და მის აღმოსავლეთ პერიფერიებზე იწყება ძვ.წ. VI საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ. ასეთ ვითარებაში მკვლევარი საერთოდ გამორიცხავს კოლხების აქტივობას სამხრეთის მიმართულებით. ამ დროს კოლხა, რომც არსებულიყო, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კულხას ტერიტორია შევიდა კოლხეთის სამეფოში.[57]

მ. ინაძის აზრი ამ საკამათო საკითხის შესახებ ასეთია: ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ტერმინები „კოლხეთი" და „კოლხები", სახელწოდება „კოლას" უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ამას ადრე ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა. სახელწოდებას „კოლები" – „კოლხები" ატარებდნენ უთუოდ კოლას ოლქის მიდამოებში მოსახლე კოლხას გაერთიანების შემქმნელი ტომები – მთელი მისი არსებობის მანძილზე. ეს ტომები, როგორც ჩანს, არ გადაშენებულან მათი გაერთიანების დაშლის შემდეგაც. ისინი შემდეგში ადგილობრივ ტომებთან ერთად განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ „ე.წ. კოლხეთის სამეფოს შექმნაში და ამდენად გამოდიოდნენ ძველი კოლხური სახელმწიფოებრიობის ტრადიციების გამგრძელებლად". მ. ინაძის აზრით, ამით უნდა აიხსნას ახლად შე-

56 ნ. ლომოური. „კოლხიდის" და „კოლხების" გაგებისათვის, თსუ შრომები, $B_1$ (138), 1971, გვ. 19-29.

57 Г. Лордкипанидзе. Колхида в VI-II вв. до н. э., Тб., 1978, с. 28-29.

ქმნილი სამეფოსათვის კოლხთა სახელის მიკუთვნება.[58] მკვლევრის აზრით, ასეთ შეხედულებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ კოლხეთის ჩრდილოეთ მონაკვეთზე ძვ.წ. VI-IV სს-ის ბერძნულ წყაროებში იხსენიება კოლების ეთნოტერიტორიული ერთეული, კოლიკედ წოდებული ქვეყანა და მთები. კოლების ტომის დიოსკურიის (სოხუმი) ჩრდილო-აღმოსავლეთში გადმონაცვლება კოლხას დაცემისა და დაშლის კვალდაკვალ მომხდარ ძვრებს თან უნდა მოჰყოლოდა.[59] მ. ინაძის აზრით, ერთ-ერთი ტომი, რომელიც კრებითი მნიშვნელობის სახელწოდებით „კოლხებით“ დაიფარა, ფასიანთა ტომი იყო, რომელიც ფასისის (რიონი) მიდამოებში ბინადრობდა და რომლებსაც ამავე სახელწოდებით კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაშიც მოიხსენიებენ ქსენოფონტე და ჰიპოკრატე. ამრიგად, დაასკვნის მეცნიერი, რომ კოლხას ტომთა გაერთიანებამ თავისი სახელწოდება მიიღო მისი შემქმნელი ჰეგემონი ტომის საკუთარი ეთნიკური ტერმინიდან — კოლა. მოგვიანებით კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესში კვლავ აქტიურად მონაწილეობს კოლების-კოლხების ეთნიკური ბირთვი.[60]

ჩვენი აზრით, მტკვრის სათავის მახლობლად მდებარე კოლი (ახლანდელი გიოლი) და მისი მიდამოები ვერ იქნებოდა კოლხთა თავდაპირველი საბინადრო ადგილი და ვერ იქნებოდა ვერც კოლხთა სატომო სახელი კავშირში ამ ტოპონიმთან შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. ურარტული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მტკვრის სათავის მიდამოები უჭირავს იგანიეხს, კუარზანს, ხოლო მათ ირგვლივ ტერიტორია: ზაბახას, რაშუინს, ანიშტირგაეს და დაიაენის ოლქებს: შერიაზსა და ბიანას;
2. ამ მიდამოებში ან ახლომდებარე ოლქების ტერიტორიაზე ძველაღმოსავლურ წყაროებში არ ჩანს ტოპონიმი ან ეთნონიმი ფონეტიკურად ახლოს მდგომი კოლა-კოლხთან;
3. ტოპონიმი „კოლა“ ურარტულ ხანაში, თუკი იგი არსებობდა უნდა ყოფილიყო უმნიშვნელო და არ იყო არც მოხსენიების ღირსი. მისი თავდაპირველი ფორმა „კორა“ უნდა ყოფილიყო და

---

58 მ. ინაძე. ტერმინები „კოლხი“ და „კოლხეთი“ ანტიკურ მწერლობაში. — სქაუქტ. გვ. 50.

59 იქვე, გვ. 50-51.

60 იქვე, გვ. 51.

იგი უეჭველია მტკვრის ანტიკურ (უძველეს) სახელთანაა (კიროსი, კირნოსი, კურა) კავშირში;

4. ძნელი წარმოსადგენია, რომ მტკვრის სათავეებში მდებარე დინასტიამ მოკლე დროში (ალბათ ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარში) დაიმორჩილა მთელი დასავლეთი საქართველო და იქ (კოლის მიდამოებში) არ დატოვა თავისი საკუთარი სახელი და შემდეგ პირველსაცხოვრისიც მთლიანად მიატოვა;

5. არსაიდან ჩანს, რომ კოლხას სავარაუდო ვეებერთელა ტერიტორიები ეპყრა. ურარტელებს კოლხასთან შეხების წერტილი აქვთ მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნის შუახანებში და ისიც ილდამუშას (არტანუჯის) რაიონში ან ყოფილი დიაოხის ოლქის ხუშანის ტერიტორიაზე, რომელიც კულხახალის მეზობლად იყო სამხრეთიდან;

6. აქვეა დასახელებული დაიაენის ყოფილი ოლქი ხუშანი (ხუშალხი), რომელიც სარდური II-ის ერთ-ერთი ლაშქრობისას კოლხას შემადგენლობაში ჩანს და რომელიც ასევე არტანუჯის სიახლოვეს (ხოშის მიდამოებში) ლოკალიზდება.

ანტიკურ წყაროებში დასავლეთი საქართველოს ცენტრალურ რაიონებში არ ჩანს სატომო სახელი „კოლხი“, ამიტომ, შესაძლებელია მათი გაიგივება კოლებთან, რომლებიც კოლხეთის ჩრდილოეთ მთიანეთზე მოსახლეობდნენ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში (მაგრამ ამავე დროს საკითხავია თუ სად გაქრნენ ასე უკვალოდ მომდევნო ხანაში), ან ქსენოფონტის მიერ მოხსენიებულ კოლხებთან თუ ისინი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური შინაარსის მატარებლები არ არიან (როგორც ცნობილია, წყაროები ამ მიდამოებში — ტრაპეზუნტის სანახებში ძირითადად მაკრონებს ასახელებენ). ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო გვეჩვენება კოლხების ძიება ჭოროხის ქვემო წელის მიდამოებში, იქ, სადაც უწინ, ურარტულ ხანაში კულხახალი გამოჩნდა, ხოლო მოგვიანებით — კლარჯეთი. აქვე დასტურდება იმავე სახელის მქონე ტოპონიმი - „კოლი“. კულხახალი (კულხას ქვეყანა, შეადრ: კუმახა, კუმახახალი) პირველად ძვ. წ. 749 წლის ახლო დროში ჩნდება ურარტელების მიერ კოლხას სატომო გაერთიანების სამხრეთი თუ აღმოსავლეთი, უფრო სწორად ცენტრალური ოლქების დალაშქვრისას. თუ კულხახალის „სამეფო ქალაქ“ ილდამუშაში არტანუჯს შევიცნობთ, რაშიც ჩვენ არ გვეეჭვება, ნიშანდობლივი იქნება, რომ კულხახალი არტანუჯის მიდამოებში მდებარე „ქვეყანა“ უნდა იყოს. ამ სექტორში კი

ანტიკური, სომხური და ქართული წყაროების მიხედვით მდებარეობდა ქართლის სამეფოს პროვინცია — კლარჯეთი, რომლის თავდაპირველი ფორმა, როგორც ჩანს, კოლარჯეთი უნდა ყოფილიყო („ქართლის ცხოვრებაში" დასტურდება ფორმა „კალარჯეთი"). გ. მელიქიშვილის გამოკვლევით ურარტულ ტერმინ „კულხას" მოგვიანო ხანის „კოლხა" შეეფარდება. კულხასალში (კოლხასალი) გამოყოფილ ფუძეს ალბად კავშირი უნდა ჰქონდეს კლარჯეთისა და ტაოს სასაზღვრო ზოლში მდებარე პუნქტ კოლისთან. ასე, რომ ტერმინი „კულხალი" მომდევნო ხანაში რედუქცირებული ფუძით (კლარჯეთი) გვევლინება (შეადრ.: ეგურისი–ეგრისი).

მაშასადამე, ეთნიკური კოლხების საცხოვრისს კულხასალის ქვეყანა წარმოადგენდა, რომელიც უეჭველია ჭოროხის ხეობის ორივე მხარეს განიერცობოდა არტანუჯის მიდამოებში. მათი შემკვიდრენი კოლები (იგივე კოლარები–კლარჯები) არიან. თუ ტრაპეზუნტის მიდამოებში დასახელებულ კოლხებში ეთნიკური შინაარსის მატარებელ ელემენტს დავინახავთ, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ერთ დროს (ძვ.წ. VII ს–მდე) ტერიტორიულად დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ კულხასალის ტერიტორიაზე მოსახლე კოლხებთან, ან მათში უნდა დავინახოთ ჭოროხის ხეობიდან გადანაცვლებული კოლხური მოსახლეობა. თუ ვირწმუნებთ პირველ შეხედულებას, მაშინ კულხასალსა და ტრაპეზუნტს შორის ადრეანტიკურ წყაროებში დასახელებული ტომები (ეკხირიელები, ბექირები, მაკრონები) ძვ. წ. VII საუკუნეში შემოსულად უნდა ვიფიქროთ აღნიშნულ ტერიტორიაზე. მათ უნდა გაეთიშათ კოლხური მოსახლეობა ორ ნაწილად. ჩრდილოეთის კოლხები (კლარჯები) შევიდნენ ჯერ „მოსხიკეს ქვეყნის" („არიან-ქართლი"), ხოლო შემდეგ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ტრაპეზუნტელი კოლხები ე.წ. კოლხეთის სამეფომ შეიერთა.

თუ საკუთრივ კოლხების და მათი თავდაპირველი საცხოვრისის ასეთ ლოკალიზაციას მოვახდენთ, თავისთავად ადვილად გასაგები იქნება ის გარემოება, რომ ძველაღმოსავლურ ხანაში კოლხები ფლობდნენ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს — ჭოროხის შესართავსა და ტრაპეზუნტს შორის ტერიტორიას. როგორც ჩანს, კოლხებმა აიას ქვეყანასთან დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე ჰეგემონობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დამარცხება განიცადეს და ამ მიზეზით გაქრა მათი სახელი (ეთნიკური) ისტორიის არენიდან. ძველი ქართული წყაროები და-

საველურ ქართულ სამეფოს ეგრისს უწოდებენ (ამ სახელით იცნობენ პლინიუსი, პტოლემაიოსი), ალბათ იმის გამო, რომ ჰეგემონთა დინასტია მისი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრებიდან (აია, ქუთაისი, ციხე-გოჯი), ერთ-ერთი რომელიმედან მომდინარეობდა. დასავლეთი საქართველოს უძველესი ქვეყნის აიას სატახტო ქალაქი აია და მისი მიდამოები (რაიონის ქვემო წელი) მომთაბარე ტომთა (კიმერიელები, სკვითები) ძარცვა-რბევის არეში მოექცა. სავარაუდოა, რომ აიას ქვეყნის ერთ-ერთი ოლქი ქ. კვიტაიას სანახები მომთაბარე ტომების მოძრაობის მთავარი მიმართულების მიღმა დარჩა. ამ მთიანი მხარის „ქვეყანამ“ ეტყობა ძალა მოიკრიბა და ყოფილი სამეფო თავის ფარგლებში აღადგინა. ამ დროიდანაა (ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევარი) სავარაუდებელი ქუთაისის კოლხეთის სატახტო ქალაქად გადაქცევა (ამის ერთი მოწმობაა აპოლონიოს როდოსელის ცნობა: კოლხეთის სამეფოს დედაქალაქია — კვიტაია). ქუთაისის ქვეყანამ მალე, VI–V საუკუნეთა მიჯნაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომები (ბიძერები, ეკსირიელები, ბექირები, კოლხები, ხოლო მოგვიანებით მაკრონები და სხვები დაიმორჩილა. შესაძლებელია, ამის გამო ძველი ბერძენი ავტორები დასავლურ ქართულ სამეფოს კოლხეთისაც და აიასაც უწოდებენ, ზოგჯერ კი აია-კოლხეთისაც. კოლხეთის სამეფო ფაქტიურად ორი დიდი გაერთიანების აიასა და კოლხას გაერთიანებების შედეგად წარმოიშვა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში უიტერუხისა და დიაოხის ყოფილი ოლქების ნაწილიც მოექცა. ძველი ბერძენი მწერლების ცნობებს თუ გავიზიარებთ უნდა ვიფიქროთ, რომ კვიტაიას დინასტია ამარანტების ტომიდან უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, მომთაბარე ტომთა შემოსევების შედეგად კოლხას ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, როგორც ჩანს, გაიქლიტა, ნაწილმაც ჩრდილოეთისაკენ წაიწია, ნაწილი კი ადგილზე დარჩა და ნაწილმა სამხრეთ-დასავლეთისაკენ წაიწია. ჩრდილოეთში გადანაცვლებული კოლხები შემდეგში ისტორიულ არენაზე გვხვდებიან სახელით — ეკრიკტიკე, ე.ი. ეგრისი. ამ ტომის სახელწოდებაში „ე“ პრეფიქსად უნდა მივიჩნიოთ.[61] ფუძე „კრ“ (ვარიანტი „გრ“) შეკვეცილია, რადგან ის ჩვენ გვაქვს გურ სახითაც (ე-გურ-ისი,

61 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 138.

ე-გურ-ი, გურ-ია).[62] ამ სახელწოდებაში ჩვენ „კურ"-„კორ" ფუძეს ვხედავთ. ასეთი ფუძით კი კოლხებს არაერთი ანტიკური წყარო მოიხსენიებს.[63] ისინი არიან მეგრელთა წინაპრები. ამიტომაა, რომ პეტრო ბიცაროს (XVI ს.) მიხედვით, კოლხებს ახლა მეგრელებს უწოდებენ.[64] კოლხები შემდეგში გვხვდებიან ტრაპეზუნტის მიდა-მოებში, როგორც კოლხების, ისე „მა" პრეფიქსით შემოსილი სახელით (მა-კრ-ონი[65] ე.ი. მა-კორ-ონი). აქ ადგილზე დარჩენ-ილი (ჭოროხის შესართავის მიდამოებში) კოლხები კი აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებული ურარტული წყაროების უიტერუხის (ე.ი. ჭართა) ტომს უნდა შერეოდა. ურარტულ წყაროებზე დაკვირვებით გ. მელიქიშვილმა ეს ტომი ძვ. წ. VIII საუკუნის 30-20-იან წლებამდე თანამედროვე სამცხის ტერიტ-ორიაზე მოათავსა და მის ჩრდილო მიჯნად ოძრხეს (აბასთუმნის მახლობლად) მიდამოები მიიჩნია.[66] გ. მამულიას მიხედვით, ოძრხის გორამ IX-VIII საუკუნეებში დიდად გაიფართოვა ტერი-ტორია. იქვე მიუთითებს, რომ ლეონტი მროველი ოძრხეს სამცხის სინონიმით ხმარობს.[67]

ლეონტი მროველის მიხედვით ამ ტომის საცხოვრისის აღმოსა-ვლეთი საზღვარი შეიძლება ტაშისკარ-თუხარისის საზით განისაზ-ღეროს,[68] ხოლო მის ძირითად რაიონებს, როგორც გ. მელიქიშვი-ლი ფიქრობს, ოძრხე-სამცხეს მიდამოები წარმოადგენდა. რაც შე-ეხება ლეონტი მროველის ცნობას ოძრხოსის (ო-ძერ-ოხი) სამფ-ლობელოს განერცობაზე ზღვამდე,[69] იგი დაახლოებით ძვ. წ. 720-იან წლებში, მოსახლეობის დასავლეთისაკენ გადანაცვლების შედ-ეგად უნდა გაჩენილიყო. დასავლეთში გადმონაცვლებული ჭართა ტომი იცვლის სახელსაც. იგი ბერძნულ-რომაულ მწერლობაში დი-ძერ-ბიძერ-ვიზარ-ბიზირ და სხვა სახენაცვალი ფორმებით გვხვ-

---

62 იქვე. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 247.

63 В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1947, №1, с. 300.

64 ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, წ. I, თბ., 1984, გვ. 119.

65 Ксенофонт. Анабасис, М-Л., 1951, с. 122-125.

66 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 210.

67 გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 53.

68 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 9.

69 იქვე.

დება. როგორც ჩანს, ვიტერუხის ტომი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თავის პოზიციებს თმობს აღმოსავლეთში, რაც გამოწვეული უნდა იყოს ძირითადად მესხების და სხვათა შემოსევით თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე. მესხებს ბიძერებისათვის უნდა წაერთმიათ სამცხის ტერიტორია. მესხებისავე დაწოლით, ეტყობა, ვიტერუხებმა ადრევე დათმეს პოზიციები სამხრეთში, თუხარისის მიდამოებში (ჭოროხის ხეობაში). ყოველ შემთხვევაში თუხარისის მიდამოებში ასურულ და ურარტულ ხანაში არსებული ქ. უტუხაი (იკითხებოდა ალბათ ო-თუხაი, ოთუხა-არ-ის-ი) დიაოხის შემადგენლობაში იმყოფებოდა. შესაძლებელია ეს მიდამოები ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულს სასპერთა გაერთიანების ფარგლებში მოექცა. ამგვარად, ანტიკური ხანის დასაწყისისათვის ვიტერუხების სამფლობელოს წარმოადგენდა შემდეგი ტერიტორიები: თანამედროვე აჭარა, აღმოსავლეთ-ოძრხეს მიდამოები, ჩრდილოეთით მდ. რიონი, სამხრეთით მათვე ეკუთვნოდა ქ. ვიწე[70] (თანამედრ. ფინდიკლი). ისინი ჩანან კიდევ უფრო სამხრეთით.[71]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხას ქვეყნის განადგურებით ისარგებლეს, აგრეთვე, სხვა მთიელმა ტომებმა — ქათარზამ და იგანმა (რომლებიც ლუშასა და სხვა ტომების გვერდით ოლთიხევ — მტკვრის სათავის-ჩილდირის ტბის — ლენინაკან-არაქსის ზემო დინებას შორის მოქცეულ მიწა-წყალზე სახლობდნენ) და მოაშურეს სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ არ ვიზიარებთ ქათარზასა და კლარჯეთის იგივეობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ქათარზას სახელი შემონახული უნდა იყოს აჭარიდან სამცხეში გადასასვლელ გოდერძის სახელში.[72] თუ რა თქმა უნდა, ეს ტოპონიმი ადამიანის საკუთარი სახელიდან არ მომდინარეობს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „კედარის ქვეყანასა“ და ურარტული წყაროების ქათარზას (კატარ-ზა) შორის რაღაც კავშირი უნდა იყოს. რაც შეეხება იგანის ტომს, მკვლევრები მასში იჰანი-ჰენიოხებს ხედავდნენ.[73] ეს ტომი ჩილდირის ტბისა და მტკვრის შესართავის რაი-

---

70 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 484.

71 სტრაბონის მიხედვით ისინი შკიდისის მთების სექტორამდე აღწევდნენ: Страбон. География. в 17 книгах. перевод, статьи и коментарии Г.А. Стратановского, М., 1964, с. 515.

72 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 210.

73 П.Н. Ушаков. დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

ტონში მოსახლეობდა. ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი ქ. ფაზისის მიდამოებში მოსახლე ჰენიოხებთან, არ ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგანის ტომმა გადმოინაცვლა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და ბერძნულ-რომაულ მწერლობაში გამოჩნდა ჰენიოხების სახელით. ამათ მაქელონებთან ერთად ჰქონდათ გაერთიანებული სამეფო ახ. წ. პირველ საუკუნეში. არიანე მათ ქვეყანას მახელონებისა და ჰენიოხების სამეფოს უძახის;[74] გოროასტრის ქააბის წარწერის ბერძნულ ტექსტში ამ ქვეყანას ჰქვია მახელონია, ხოლო ფალაურ ტექსტში — სიკან.[75] პ. ინგოროყვას თქმით ამ ქვეყანას ანტიკურ ხანაში ეწოდებოდა მაკრონთა-სანთა და ჰენიოხთა ქვეყანა, სანეთი, იგივე სოსანეთი, სანიგეთი (სოსანიგეთი).[76] თუმცა შესაძლებელია, რომ ურარტული წყაროების იგანი იგივე ი-ჭანის გამოხატულება იყოს. მკვლევართა ვარაუდით ჰენიოხები იგივე ჭანები არიან. დასაშვებია, რომ ძველბერძნულში „ჭ" ბგერის უქონლობით აიხსნას ჭანის გადმოცემა ჰენიოხად, ან სანად და ხანაც „მო-სხინ-იკ"-ად. ჭან-ჰენიოხები, ანტიკური ხანის მეორე ნახევარში, ჩრდილოეთი კოლხეთის გარდა, მოსახლეობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხის ქვემოწელის მიდევნებით განლაგებულ მთებში, რომელსაც ფეოდალურ ხანაში ჭანეთის, ხოლო ახლა ლაზეთის მთებს უწოდებენ.

ამრიგად, სკვითებისა და კიმერიელების შემოსევამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე. მან მოძრაობაში მოიყვანა ქართველურ ტომთა ერთი ჯგუფი. ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ტომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, აგრეთვე, მცირე აზიელი და სამხრეთი კავკასიის ქართველური თუ ქართველთა მონათესავე ტომთა სამეფოების დასუსტებასა და განადგურებაში. ამ არეულობის ხანაში (ძვ. წ. 720-იანი წლები — VI ს. დასაწყისი) სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მთიანეთის ქართველური თუ მათი მონათესავე ტომები მოაწყდნენ. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, მიდია-სპარსეთის ექსპანსიამაც შეუწყო ხელი.

---

74 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 42, 85, 90.

75 ნ. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975, გვ. 13; დ. ბრაუნის აზრით, «syko» შესაძლებელია იყოს იგივე მახელონები (D. Braund. Georgia in Antiquity. Oxford, 1994, p. 240, სქოლიო 18).

76 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 202 და სქოლიო.

სკვითებსა და კიმერიელებს ბევრნი მიემხრობოდა და მათთან ერთად არბევდნენ და ძარცვავდნენ ქვეყნების მოსახლეობას. ზოგი შედარებით ძლიერი გაერთიანებები მათ იყენებდა მეზობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. „სკვითებისა და კიმერიელების ლაშქრობები ხელს უწყობდნენ ძალთა განწყობილების შეცვლას, ერთთა აღზევებას და მეორეთა დაცემა-განადგურებას“.[77] მცირე აზია მათ სამოქმედო ასპარეზად იქცა. მომთაბარე ტომთა შემოსევებამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებული იყო რამდენიმე დიდი პოლიტიკური ერთეული: ურარტუსა და მუშქების სამეფოები, თაბალისა და დიაოხის გაერთიანებები. ესენი იყვნენ ქართველური მოდგმის პოლიტიკური წარმონაქმნები. ტომთა გარკვეული ნაკადი, რამდენიმე გარემოების გამო, შემოვიდა და სხვა ქართველური ტომების გვერდით დასახლდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შესახებ ნაწილობრივ ითქვა ჩვენს სხვა ნაშრომში.[78] მკვლევარნი ფიქრობენ, რომ მთვარის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიული სახელის „არმაზის“ საქართველოში გამოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს მესხების მცირე აზიიდან თან. საქართველოს ტერიტორიაზე გადმონაცვლებასთან.[79] ასევე, მეორე იბერიულ ღვთაებას „გაცის“ პარალელები მოეპოვება ძვ.წ. XIII–XII საუკუნეებში ხეთურ ლურსმნული წარწერების კერპთან „ხაცისთან“.[80] გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულში ხათუსასის მმართველის ფჳუსტის სახელი ასოციაციას იწვევს სვანური ღვთაება ფუსტის სახელთან.[81] მისიმიანებს (მუშვან?) გააჩნდათ ფუსტის სახელობის ციხე-ქალაქი. ფუსტის სახელობის ეკლესიები სვანეთშია მხოლოდ. ფუსტ-სვანების გაგებით არის — უფალი-ბატონი, ქვეყნის გამგებელი, მთავარი.[82] ასევე საინტ-

77 გ. მელიქიშვილი. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები... გვ. 394.

78 ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველური ტომები ურარტუს ძლიერების ხანაში. ქ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1992 წლის წლიური თემა: მისივე, მატიენას ტომის ეთნიკური წარმომავლობისა და ლოკალიზაციისათვის (ამავე წიგნში).

79 Г.А. Меликишвили. Наири-Урарту, Тб., 1954, с. 420; მისივე, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 139.

80 ვ. გოილაძე. წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1986, №2, გვ. 150.

81 გ. მელიქიშვილი. ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, გვ. 342–343.

82 თ. მიბჩუანი. მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1987, №5, გვ. 161.

ერესოა თუ რა კავშირი აქვს ფრიგიელების (მუშქების) დედა-ღმერთ ნანასა[83] და ქართლის მეფეების საურმაგისა და მირვანის მიერ აღმართული კერპების აინინასა და დანინას შორის.[84] მ. ჯანაშვილის მიხედვით, სამეგრელოსა და გაჩიანში არსებული მთების სახელი „ურთა" კავშირში უნდა იყოს ურარტუს ბაბილონურ სახელთან — ურთუასთან.[85] სვანეთის ერთ-ერთი ხეობის სახელი — ხალდე შეიძლება კავშირში იყოს ურარტუს ძირითად ტომ ხალდის სახელთან, რომელსაც ლ. მელიქსეთ-ბეგი ქართის სახესხვაობად მიიჩნევს.[86] ა. აბდალაძის გამოკვლევით, ლეჩხუმში დადასტურებული ტოპონიმი — „ნასპერი" აშკარად ეთნიკური სახელიდან უნდა მომდინარეობდეს და უკავშირდებოდეს სპერისა და სასპერების სახელს.[87] ლ. ისარლოვის გადმოცემით, პაფლაგონიაში აქამდეა შემორჩენილი ქართული სახელწოდებები: თემი, ენგური, ქიმიყი.[88] მ. ჩართოლანის აზრით, სვანთა წინაპრები მოვიდნენ ჭოროხის ხეობიდან, რომლებმაც ლითონის დამუშავების წესებთან ერთად გეოგრაფიული სახელებიც გადაიტანეს — შან, ჭანარ, ჭოროხი, კალდე, მისიმიანი. მადნის ადგილობრივი სახელწოდებიდან (შანარ) უნდა მომდინარეობდეს სვანეთის ადგილობრივი სახელწოდება — შუან, შან.[89] ა. სვანიძეს მოჰყავს მცირეაზიული გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც პარალელებს პოულობენ საქართველოს (ქართულ) ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებთან, კერძოდ, ლორი, სორი, ქუთაია, გაგრა (განგრა), გორდი (გორდიონი), მესტია (მისტია), თიანეთი, ქობულ-

83 ფრიგიელებს ჰყოლიათ დედა-ღმერთი ნანა. ასევე ფრიგიის ერთი მდინარის ღმერთის სახელად ნანა რქმევია: ს. ფირცხალავა. ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში, 40-6 სს. ძვ. წ., თბ., 1948, გვ. 111.

84 შატბერდის კრებული (X საუკუნისა), გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 320; ლეონტი მროველის თანახმად ეს ორივე კერპი შეუქმნია მეფეს საურმაგს (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 27).

85 მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906, გვ. 19.

86 Л. Меликсет-беков. Введение в историю государственных образований юго-Кавказа^ Тиф., 1924, с. 96.

87 ა. აბდალაძე. მიკერძოების სენი ისევ მძვინვარებს, ჟურნ. „მნათობი", 1988, №9, გვ. 143.

88 Л.С. исарлов. Письма о Грузии, Тиф., 1899, с. 246.

89 მ. ჩართოლანი. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის.- მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის... 1992, №2, გვ. 81.

ეთი (ქობულათუს), კვარაჯიკ (კვარაცისე) და ა.შ.[90] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი ოლქის სახელი (სამცხე), აგრეთვე ქართლის სამეფოს უძველესი დედაქალაქის სახელი მცხეთა, კავშირში უნდა იყოს მესხების სახელთან.[91] მესხების სახელთან დაკავშირებული უნდა იყოს, აგრეთვე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვა ტოპონიმიკური მოდელები „მოსხიკე" (მოსხების ქვეყანა) და მესხეთის მთები, სამცხე.[92] ეს სახელები, რომლებიც მესხების სახელს უკავშირდებიან, ქართველური ტომის მუშქების მცირე აზიიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმონაცვლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მკვლევართა ვარაუდით, მესხთა შემოსვლა და დასახლება ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე მუშქთა სამეფოს 676 წლის კატასტროფის შემდგომ უნდა მომხდარიყო. ეს აქცია, რომელიც მიმართული იყო მითა მესხელის ქვეყნის წინააღმდეგ, განახორციელეს ურარტებმა და კიმერიელებმა.[93]

კიმერიელთა ნაწილი, როგორც ჩანს, მუშკების ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს დაეპატრონა; დამპყრობლის სახელის მიხედვით კაპადოკიის ამ ნაწილს, მათი სახელის მიხედვით, ამიერკავკასიის ზოგიერთმა ხალხმა (მაგ. სომხებმა) უწოდა — „გიმირ". რუსა II-ის მიერ მოხსენიებული მუშკინი[94] იმავე ტერიტორიაზე უნდა მოთავსდეს, სადაც სართაფუს (ძვ.წ. X-IX სს. მიჯნა) დროინდელი მუშქები. ურარტელებისა და კიმერიელების ძვ. წ. 776 წელს ერთობლივი ლაშქრობისა და მუშკების ქვეყნის განადგურების შემდეგ სდება ამ ტომის ნაწილობრივ ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლება. ადგილშეცვლილი მუშკები (მოსხები) ჰეროდოტეს

---

90 გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (მოკლე სიტყვა-ცნობარი), შედგენილი გ. გასტმანის მიერ, თბ., 1965, გვ. 4.

91 იქვე, გვ. 78; ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები უძველესი წერილობითი ცნობების მიხედვით, 1991 წლის საინსტიტუტო წლიური ნაშრომი. ზოგიერთი მკვლევარი მცხეთას ეტიმოლოგიურად ხეთას, ხეთების სატომო სახელთან აკავშირებს: გ. ალაზნისპირელი. მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა, წ. 1, თბ., 1994, გვ. 245.

92 А. Хаханов. Древнейшие пределы расселения грузии по Малой Азии. Тиф., 1891, с. 37; გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 10.

93 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 115; მისივე, სკვითების და კიმერიელების შემოსევები... გვ. 395-396.

94 Г.А. Меликишвили. УКН, М., 1960, с. 341.

(ძვ.წ. V ს.) ცნობით, აქემენიდებს მე-19 სატრაპიაში შეუყვანიათ. ამ პერიოდის წყაროებში (ჰეკატეოს მილეტელი, ფსევდოსკილაქსი) მოსხები ზღვის სანაპირო ზოლში ტიბარენ-მოსინიკ-მაკრონთა შორის არაა მოხსენიებული და თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი ტიბარენებთან ერთად ერთ სპარსულ საბრძოლო ჯგუფში არიან საერთო ხელმძღვანელობით, საფიქრებელია, რომ ისინი ტიბარენების და მათი მეზობელი ხალიბების სამხრეთით, ე.ი. ამისოს (სამსუნი) და კოტიორას (ორდუ) სანაპირო ზოლის სიღრმეში, ჰალისის შუა და ზემო წელის ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ. იმავე დროის მეორე ბერძნული წყარო ჰელანიკე მიტილენელი ჰეროდოტესგან განსხვავებით, მეშქებს (მოსხებს) ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულად გვავარაუდებინებს. ჰელანიკეს ცნობით, კერკეტებს ზემოთ ცხოვრობდნენ მოსხები და ქარიმატები, და შემდეგ ქვემოთ ჰენიოხები ზემოთ კი კორაქსები.[95] მსგავსი ცნობა გააჩნია პალეფატე აბიდოსელსაც (ძვ.წ. IV ს). მისი გადმოცემით, კერკეტებს ემიჯნებიან მოსხები, აგრეთვე ქარიმატები ევქსინის პონტომდე.[96] მაშასადამე, ჰელანიკეს და პალეფატეს ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მესხები ძვ.წ. V საუკუნეში მესხეთის ტერიტორიაზე უკვე შემოსახლებულები არიან. ამ დროს „მოსხიკეს“ მესხები დამოუკიდებელი ტომია თუ ისინი შედიან სასპერეთის ან კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში ძნელი სათქმელია. იქნებ ცნობა – კერკეტებს ზემოთ მესხებთან გვერდით მოსახლე ქარიმატებში (მათში, ჩვენი აზრით, ქართები იგულისხმებიან) აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიის პოლიტიკურ სიტუაციას იძლეოდეს. ჩვენი ვარაუდი თუ სწორია, მაშინ საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში ორი პოლიტიკური ერთეული ქართლი (ქარიმატი) და მესხეთი (მოსხიკე) უნდა ვივარაუდოთ. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა პალეფატეს მოღვაწეობის დასასრულს საქართველოს ამ ნაწილებში ქართული წყაროების მიხედვით ორი პოლიტიკური ერთეულის (ქართლი და არიან-ქართლი (მოსხიკე და სასპერეთი) არსებობა, ნიშანდობლივია, რომ ისინი ცოტა ხნის უწინარესაც უნდა არსებულიყვნენ.

---

95 В.В. Латышев. СК. – 1947. №3. с. 250.

96 იქვე.

თაბალები, ასურული წყაროების მიხედვით, მცირე აზიის სიღრმეში, რამდენადმე სამხრეთით ჩანან, ვიდრე ბერძნულ-რომაული წყაროებით. შესაძლოა, ისეთივე ბედი ეწიათ ტაბალებს, როგორიც მესხებს. ამიტომაა, რომ მათი გარკვეული ნაწილი ძვ.წ. VI და მომდევნო საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე ჩანან.[97] მაშასადამე, მათი ნაწილი წაწეულა ჩრდილოეთისაკენ კოტიორას (ორდუს) მიმართულებით, ნაწილმა კი ეტყობა შეაღწია ჭოროხის სათავეებშიც. აქ მათ შექმნეს პროვინცია სპერი. სპერი იგივეა, რაც ჰბერი, ჰიბერი (იბერები ამ უკანასკნელი ფორმით მოიხსენიებიან ლათინურ მწერლობაში),[98] რომელიც უნდა იყოს თობელი-ტიბარის ფორმანაცვალი სახე.[99] სპერი ან სა-სპერი უნდა უდრიდეს ვერებს, ან სა-ვერებს (ბერძნულში „ვ" უქონლობით იგი „სპ" კომპლექსით გადმოიცემოდა, ხოლო მოგვიანებით „ბ"-თი). თობელი II თობერი-ში, რომ ბერ-ვერ ფუძეა ამაზე მეტყველებს თობელის სხვა ფორმა ო-ბარ-ენე. რომაელ ისტორიკოს ასანი კვადრატთან (160-230 წწ.) „პართიის საქმეში" ნათქვამია, რომ ისინი კირთიან (მტკვართან) ცხოვრობენ.[100] სისპირიტიდა (ეარიანტ. სასპერეთი), პისპირიტიდა ქართული ჰი-ვერ-ეთ-ი („ჰ"-ს გაქრობით) ივერიის, ანუ იბერიის გამოხატულება უნდა იყოს. რადგან ნ.მართან სი (ჰი) მეგრული „ო"-ს პარალელია.[101] ამიტომ ამ ეთნონიმში „სი" ან „ჰი" პრეფიქსად უნდა მივიჩნიოთ. თობელებისა და სასპერების (იბერების) ერთიანობის იდეას მრავალი მკვლევარი შეეხო (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, პ. ინგოროყვა...). ჩვენი აზრით, საქართველოს დედაქალაქის თბილისის სახელი კავშირში შეიძლება იყოს „თობელი" სახელთან.[102]

თ. ქემერტელიძე მიიჩნევს, რომ სკვითებისა და კიმერიელების ექსპანსიასთან უნდა იყოს დაკავშირებული ჭოროხის აუზში სპერელთა თაოსნობით გაერთიანების ჩამოყალიბება. სპერელი თემე-

---

97 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии с. 175; საკითხთან დაკავშირებით იხ. ნ. ხაზარაძის საინტერესო გამოკვლევა — „მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I, ათასწლეულის პირველ ნახევარში", თბ. 1978.

98 ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალ ტიბარენი იბერი.- შრომები, II, თბ., 1952, გვ. 61.

99 იქვე.

100 В.В. Латышев. СК. — 1948, №2.

101 იხ. თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 37.

102 ს. გოგიტიძე. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., 1998, გვ. 94.

ბის სახელით წარმოდგენილი იყო სეანურენოვანი მესხები, რომლებიც ძვ.წ. VI საუკუნეში იმორჩილებენ ქართლსაც.[103]

მართალია, სპერის ოლქის სათავეში მდგომი დინასტიისა და მესხების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ, სადავო არ უნდა იყოს ის, რომ სპერის მეზობელი ოლქები პარიადრისა და სკიდისის მთების სექტორი და მისი მიდამოები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მართლაც სეანურენოვანი მოსახლეობის საბინადრო უნდა ყოფილიყო. საერთოდ, ეტყობა, სპერის ოლქი, რომელიც დაიაენ-დიაოხის შემადგენელი ნაწილი იყო და მოშორებული იყო ურარტელების გაუთავებელი ლაშქრობების არეალს, დიაოხის დასუსტებისა და დაშლის შემდეგ ძალას იკრებს და იმორჩილებს მის მეზობელ ოლქებს. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ძვ.წ. VI საუკუნეში მისი წინა აზიის ერთ-ერთ, დიდი კოლხეთის, მიდიისა და სპარსეთის სამეფოების თანატოლ პოლიტიკურ ერთეულად წარმოდგენა. ფართო ასპარეზზე მისი გამოსვლა ურარტუს დასუსტებით და იქ შინაური აშლილობით (მაგ. ეიაინას და არამეს დინასტიებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლა) იყო განპირობებული.

რუსა II-ის (685-645 წწ.) ერთ-ერთ წარწერაში ლაპარაკია ურარტულთა მიერ მუშკების, ხატესა და ხალიტუს ქვეყნების დალაშქრეაზე. გ. მელიქიშვილის აზრით, ეს ლაშქრობა შეიძლება ურარტელების კიმერიელებთან ერთად ძვ. წ. 776 წლის ლაშქრობას ესება, რის შესახებაც გვაუწყებს ჰეროდოტე. მისი ვარაუდით, ხალიტუ შეეფარდება ასურული წყაროს ტაბალს, ან ხალიტუ შეიძლება იყოს ერთ-ერთი თაბალური გაერთიანება.[104] გვინდა შევნიშნოთ, რომ ასურული წყაროს თაბალს თუ ურარტული წყაროს ხალიტუ შეეფარდება, მაშინ როგორ უნდა აიხსნას თაბალიდან ტიბარენის, ხოლო ხალიტუდან სალიბის თუ ხალდის მომდინარეობა. მართალია, დღეს ეჭვის ქვეშაა დაყენებული თაბალისაგან ტიბარენის მომდინარეობა, მაგრამ თაბალების სამოსახლოს ხალიბების საბინადრო იმდენადაა დაშორებული, რომ თაბალებისა და ხალიტუს რაიმე კავშირზე მსჯელობა ჭირს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თაბალების ხალიტუსთან ურთიერთმი-

---

103 თ. ქემერტელიძე. სასპერთა გაერთიანების შესახებ. ჟურნ. „ცისკარი“, 1992, 9-10, გვ. 174-176.

104 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. с. 253.

მართების საკითხი იმ შემთხვევაში შეიძლება დავაყენოთ, თუ ხალიტუს ანტიკური წყაროების ხალიბების კავშირში განვიხილავთ. წყაროთა ერთი რიგის მიხედვით (ბიბლია, მხითარ აირივანეცი...), თუბალები რკინისა და სპილენძის საუკეთესო ოსტატები არიან, ხოლო ბერძნულ-რომაული წყაროების ცნობით, ხალიბები არიან ამავე ლითონების პირველგამომგონებლები და საუკეთესო ხარისხის რკინის მწარმოებლები მთელ მსოფლიოში. თუმცა ხალიტუს მოულოდნელი გამოჩენა მუშკებისა და ხათეს ქვეყნის გვერდით, იქნებ გამოწვეულია სხვა გარემოებით. დაიაენის ოლქებად დაშლისა (ძვ.წ. VIII ს. 60-იანი წწ.) და მომთაბარე ტომების შემოსევების გამო ურარტელების დასუსტების შემდეგ, დაიაენის ყოფილმა შემადგენელმა ნაწილმა – „ქვეყანა ხალდირიულხიმ“ (ევფრატის სათავესთან, არზრუმის დასავლეთით) შესაძლებელია თავისი ძალაუფლების ქვეშ შექმნა ტომთა კავშირი ხალიტუს – ხალიდუს სახელწოდებით. ამავე დროს ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ამ მიდამოებში ძვ.წ. V საუკუნიდან მოყოლებული ჩნდება ეთნონიმი სალდ-ხალიბი (ქსენოფონტი, დიოდორე სიცილიელი, სტრაბონი) და რაც მთავარია, ფიგურირებს თემი „ხალდიას“ სახელწოდებით. ტაოხები ასურულ წყაროებში იხსენებიან დაიაენის, ხოლო ურარტუში დიაოხის (დიაუეხი) სახელით. ამ ტომის საცხოვრისის სამხრეთი პერიფერიები დღევანდელი არზრუმისა და დასავლეთი ევფრატის (ყარა-სუ) სათავეების რაიონი იყო. ამ მიდამოებიდან დაიაენის ქვეყნის ტერიტორია განივრცობოდა ჩრდილოეთით მდ. ჭოროხისა და შავი ზღვის მიმართულებით.[105] ეს ტომი პირველადაა მოხსენიებული ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) წარწერაში.[106] რამ განაპირობა, ამ ტომის მოუხსენიებლობა ადრინდელ ხანაში?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაიაენი ადრინდელ ხანაში ისტორიულ არენაზე ჩანდა მიტანის სახით. მიტანში შეიძლება გამოიყოს მი (ვარიანტული „მა“, „მო“, „მუ“) პრეფიქსი; ფუძეა „ტანი“. მიტანელები, მკვლევართა აზრით, ხურიტები არიან. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დაიაენ-დიაოხის საკუთარ სახელთაგან ბევრი ხურ-

105 გ. მელიქიშვილი. ურარტუ. თბ., 1951, გვ. 33; В.И. Абдиев. История древнего востока. М., 1953, с. 465.

106 И.М. Дьяконов. АВИИУ., с. 273-274.

იტულ ელფერს ატარებს (მაგ: დაიაენის მეფეთა სახელები: ასია, სიენი, უტუფურშინი, სატომო სახელი შაშქი, ზოგიერთი ოლქისა თუ ქალაქის სახელები: უტუხაი, შაშილუნი, შერიაზი და სხვა). თვით ქვეყნის სახელიც დაიაენი-დიაუხიც ხურიტულია.[107] ამ ტომის მიერ თავდაპირველად (ძვ.წ. XVII ს.) გაერთიანებული ქვეყანამითანი მდებარეობდა ჩრდილო მესოპოტამიაში.[108] ძვ.წ. XIII საუკუნეში ეს ქვეყანა გაანადგურა ხეთის სამეფომ. მისი სამხრეთი პერიფერიები ასურეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა,[109] ხოლო დანარჩენი ტერიტორია დაიყო რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ გაერთიანებად. მათ თანდათან დაეპატრონენ სამხრეთიდან მოსული არამეული ტომები.[110] ამ ტომებმა, როგორც ჩანს, მიტანელები განდევნეს თავიანთი საცხოვრისიდან. სამხრეთიდან დაწოლის შედეგად მოხდა ამ ტომთა ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლება. აქ მათ (მიტანელებმა) ძვ.წ. XII საუკუნეში ჩამოაყალიბეს დიდი გაერთიანება, რომელსაც მათი სახელის (ტანი) მიხედვით ასურელები დაიაენის (ტაიაენი, იგივე ტანა, მიტანი) უწოდებდნენ, ხოლო ურარტები (სალდები) — დიაოხს (ტიაოხს). ეს ტომი, ჯერ ასურეთის გაძლიერებულმა ექსპანსიამ, ხოლო შემდეგ ურარტელთა გაუთავებელმა ლაშქრობებმა, თანდათან ჩრდილოეთისაკენ წასწია.

ამ ტომს ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (435/34-355/54 წწ.) ტაოხებს უწოდებს. სახელწოდება ტაოხი იგივეა, რაც ტაონი (ტანი-მი-ტანი), ხური-ურარტული სუფიქს „ხი“-ს ჩამოცილებით კი ვიღებთ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი ოლქის „ტაო“-ს სახელს. ქსენოფონტეს ცნობიდან ჩანს, რომ ტაოხები ჯერ კიდევ ძვ.წ. 401 წლისათვის მოსახლეობენ მდ. ჭოროხის სათავეების სამხრეთით. მისი ცნობით, ელინებმა ჰარპასოსამდე (ჭოროხი) ჯერ ტაოხების, ხოლო შემდეგ ხალდების მიწა-წყალზე გაიარეს.[111] ამიტომ ტაოხთა შემოსვლა და დამკვიდრება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე (კერძოდ, ჭოროხის აუზში) ძვ. წ. 401 წლის შემდგომი დროით უნდა განისაზღვროს. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ჰეროდოტეს (484-425 წწ.) ისტო-

---

107 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 33-34.
108 გ. გიორგაძე. ხური-მითანის სამეფო. — ძასი, იბ., 1988, გვ. 183.
109 ნ. ლომოური. ასურეთის სამეფო. — ძასი, გვ. 313.
110 გ. გიორგაძე. ლასას. ნაშრ., გვ. 195.
111 თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 1967, გვ. 80-82.

რიაში ამ ტომმა ასახვა ვერ ჰპოვა. გასარკვევია თუ რითი უნდა აიხსნას მათი მოუხსენებლობა, არადა, ბერძენი ისტორიკოსი მათი საგულვებელი საცხოვრისის ირგვლივ მოსახლე ყველა ტომს ასახელებს. მისი ცნობით, სპარსეთის მე-18 სატრაპიაში გაერთიანებული იყვნენ ალაროდიელები, სასპერები და მატიენები.[112] აქ მოხსენიებული არ არიან ტომები, რომლებიც სასპერებისგან — სამხრეთით, ხოლო ალაროდიელებისაგან ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ.[113] მეორეს მხრივ, გაურკვეველია, თუ ვინ არიან მატიენები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია, რომ მატიენები, იგივე მიტანები, იგივე ტაოხები არიან. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული ზოგი მკვლევრის მიერ მატიენებისა და ტაოხების არზრუმის სანახებში ერთად მოქცევა რუკაზე.[114] ასე მოვიდა, ჩვენი აზრით, ეს ტომი ქართველური (ხურიტული) სამყაროდან და ბინა დაიდო ჭოროხის აუზში. ამ ტომის შთამომავლებმა დიდი როლი ითამაშეს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში.

მკვლევართა მითითებები იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ურარტუს მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლდება თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ზოგი მკვლევრის მიხედვით, ურარტუს სამეფოს ძირითადი მოსახლეობა — ხალდები, იგივე ქართები არიან. ქართი არის ხალდის ფორმანაცვალი სახე.[115]

და მაინც როდის უნდა მომხდარიყო ურარტელთა (ხალდთა და სხვა ჰურიტული წარმოშობის ტომთა) შემოჭრა ქართველი ტომების განსახლების არეალში?

მიდიის მეფეს კიაქსარს ძვ. წ. 609 წელს დაულაშქრია ურარტუ.[116] საბოლოოდ კი მიდიელებს ურარტუ ძვ. წ. 585 წელს უნდა გაენადგურებინათ, იმ დროს, როცა ისინი (მიდიელები) ლიდიის წინააღმდეგ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ; მათ ურარტუს ცენტრალურ რაიონებს გადაუარეს, დაანგრიეს და დაწვეს მისი

---

112 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 226.

113 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959, იხილეთ თანდართული რუკა.

114 იქვე.

115 ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, გვ. 29, 35; Л. Меликсет-беков. დასახ. ნაშრ., გვ. 96; გ. მელიქიშვილი. ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953, გვ. 28; В.Н. Худадов. Халды-урартийцы после падения Ванского царства. — ВДИ, 1938, №2, с. 125.

116 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 107.

დედაქალაქი ტუშპა (ახლანდელი ვანი), ამას კი ურარტუს სამეფოს დაცემა მოჰყვა.[117] ურარტუს დაცემაში, ეტყობა, დიდი როლი შეასრულეს აგრეთვე სამხრეთი კავკასიის ტომებმაც და სკვითებმაც.[118] ურარტუს ცენტრალური რაიონები მიდიის სამეფოს ფარგლებში შევიდა. სომეხი ტომები, რომლებიც ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში მის დასავლეთით მოსახლეობდნენ, ურარტუს დაცემის შემდეგ მის დასავლეთ რაიონებში გავრცელდნენ. ურარტელთა ნაწილი სომხებს შეერია, ნაწილი კი ჩრდილოეთისაკენ წამოვიდა და ქართველ ტომებს შეემატა. ქალდები ორ ნაკადად უნდა შემოსულიყვნენ ქართველი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე. ერთი იყო ჩრდილოეთის მიმართულებით, მეორე კი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირისაკენ. აქ მათ მოსინიკების სამხრეთით დაიდეს ბინა.[119] ურარტელთა გარკვეული ნაკადის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე როგორც სპეციალურ გამოკვლევებშია მითითებული ცნობილი ფაქტები მიგვანიშნებენ. ქართულში შემონახულია გამოთქმები, რომლებიც მხოლოდ ურარტული ენის მეშვეობით აიხსნება, მაგალითად „ყირამალა", „ყირაზე გადასვლა". ეს სიტყვები გასაგები ხდება მაშინ თუ მოვიშველიებთ ურარტულ სიტყვებს („ყირა"=„მიწა"), მაშინ „ყირამალა" — „მიწა მაღლა", „თავდაყირა" — „თავით მიწისაკენ", „ყირაზე გადასვლა" — „მიწაზე გადასვლა თავით".[120] ასევე ურარტული ენის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას ქართული სიტყვა „შარშან" (ურარტულად „შალიშანი") ნიშნავს „იქითა წელს, იმ წელს") და სხვა მრავალი.[121] ხურიტული ხალხის კვალი შემორჩენილია ტოპონიმიკაში.

---

117 Б.Б. Пиотровский. Урарту, Л., 1939, с. 35; его же, Кармир-блур. I. Ер., 1950, с. 86; Г.А. Меликишвили. Наири-Урарту. с. 319.

118 Б.Б. Пиотровский. История и культура Урарту. Ер., 1944. с. 301; აპ. სილაგაძე, ე. გურული. საქართველო და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა (ისტორიულ-პოლიტიკური არე), გაზ „საქართველოს რესპუბლიკა," 1996, 28 თებერვალი; მოგვიანებით ბ. პიოტროვსკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სკვითები და კიმერიელები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ ურარტელებთან (Б.Б. Пиотровский. Урарту, Л., 1939, с. 34; его же: Кармир-Блур, Ер., 1950, с. 87; Кармир-Блур, II, Ер., 1952, с. 13.).

119 საქართველოს სსრ ატლასი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 245.

120 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 144; მისივე, К истории древней Грузии. с.116-117.

121 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 143-145; მისივე, სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები... გვ. 398; მისივე, Наири-Урарту, с. 417.

გ. ქორიდანიას აზრით, ხური-ურარტელების სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული ქალაქი ჰური (არტაანი), მესხურა (ტყიბულის რაიონი), მესხური (ცხაკაიას რაიონი), მესხური (ჩხოროწყუს რაიონი), მესხური (გალის რაიონი), მეხურჩა (აბაშის ახლოს), მესხურჯინჯა (მდ. ჭურის მარჯვენა შენაკადი), მთა მესხურშა (ბზიფის ქედზე), ადგილი მეხურშა (მდ. ბზიფის ხეობაში), სიტუს მესხური (პუნქტი მდ. ენგურზე) და სხვა.[122] ბოლო დროს ზოგიერთი აღიარებული ურარტული სიტყვის ქართული ენის გამოყენებით ახსნის თავისებური ვერსია წამოაყენა ა. ლორთქიფანიძემ. მაგ: „ყირამალა“ ნიშნავს „ყირაზე გადავიდა“, ანუ „ყელზე გადავიდა“, „თაედაყირა“ — „თაედაყირავებულს“, „ჰარი ჰარალო“ — „აბა გავსწიოთ“. ავტორი ამავე სტატიაში კიმერიელებს ჩერქეზ-აფხაზთა წინაპრებად წარმოგვიდგენს,[123] რაც ასევე აბსურდია.

ხათური და ქართველური ენების ურთიერთშეჯერებაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ ორ დიდ ჯგუფს შორის არსებობდა ახლო კონტაქტები, რომლებიც შეიძლება საკუთრივ ხეთას თუ მისი იმპერიიდან გამოსული ელემენტის თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებით აიხსნას. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი გამოვლენილი ფაქტი, მაგალითად, ხათური წარმომავლობის სუფიქსი-ილ თითქმის იდენტურია იმავე დანიშნულების ქართველური-ელ სუფიქსისა (შდრ. ხათური „ნერიქაილ“ და ქართული „ნერიქელი“; ხათური „ხათუსაილ“ და ქართული „ხათუსელი“ და სხვა). ხათურ-ქართველური ენობრივი პარალელების გამოვლენა (მაგ. ხათური „თეთე“, ქართული „დიდი“), ისევე როგორც ხათების ეთნიკური ვინაობის საბოლოოდ დადგენა, მომავლის საქმეა.[124] მკვლევრები დიდი ხანია ყურადღებას აქცევენ ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტებს. ამ მხრივ საგულისხმოა ხეთური ენის მონაცემები: ანატოლიურ-ხეთურ და ქართველურ ენებში ვლინდება არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ზოგიერთი ბრუნვის ნიშნის მსგავსება ან სრული იდენტურობა. ასევე საინტერესო სურათს იძლევა ხეთურ-

122 გ. ქორიდანია. მესხურელთა და არამ ხუტუს ვინაობის შესახებ, თბ., 1956, გვ. 50, 56.

123 ა. ლორთქიფანიძე. ზოგიერთი შენიშვნა, გაზ. „აჭარა“, 1996, 9 მარტი.

124 გ. გიორგაძე. ხეთების ქვეყანა და ხეთების ვინაობა, გაზ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1985, 26 იანვარი.

ქართველური ლექსიკური პარალელები: „ესხარ“ – „სისხლი,“ „ის-
თამანა“ (ყური) – „(მო)სმენა,“ „კარდ“ („გული“) – „მკერდი“, „სუ-
ფფი“ („წმინდა“) – „სუფთა“, „ველლუ“ („მდელო“) – „ველი“, „ვია-
ნა“ – „ღვინო“ და სხვა მრავალი.[125] ქართულ-ხეთურ პარალელ-
ებზე მიუთითებდნენ სხვებიც.[126]

მაშასადამე, მოუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიური, ლინგვ-
ისტური და ეთნოგრაფიული მასალები ქართველ ტომთა ავტოქტ-
ონობას ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე, არაა გამორ-
იცხული ქართველურ ტომთა მიგრაციული პროცესები, როგორც
ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გა-
რეთაც. წერილობითი წყაროების ურთიერთშეჯერება გვაძლევს
საფუძველს, ვთქვათ, რომ ქართველური სამყარო ესაა არა მარ-
ტო ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები,
არამედ მის გარეთაც, კერძოდ, მცირე აზიასა და ვანის ტბის ჩრ-
დილოეთით მცხოვრები ტომები. ხეთის სამყაროს ხალხები მუშქ-
ები, თუბალები, ჰალიძონები, ხურიტული და ქართველური წარმ-
ომავლობის ტომები დიაოხები, კოლხები, ხალდები, ეგრულ, სვან-
ურ და აღმოსავლურ ქართულ ტომებთან (უიტერუხი, ლუშა, ქათ-
არზა, კურიანი, ზაბახა, იგანიეხი, აფუნი, სირიმუთარა, ფუზუნია,
ერიახი, კუარზანი, თარიუნი, კადიანი) ერთად განეკუთვნებიან ქა-
რთველური მოდგმის ტომებს და ყველა ისინი მონაწილეობას ღე-
ბულობდნენ ქართველთა ეთნოგენეზის ჩამოყალიბებაში. მოსანე-
ლების, მესხების, თაბალებისა და ხალდი-ურარტელების მაგალი-
თზე ვნახეთ, თუ როგორ დაიმკვიდრეს ქართველურმა ტომებმა ბინად-
რობის არეალი მცირე აზიასა (ჰალისის აუზში), ჩრდილოეთ მეს-
ოპოტამიასა და ვანის ტბის მიდამოებში, რის შედეგადაც ძვ.წ.
VII-VI საუკუნეებში მხოლოდ ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწი-
ლითა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთით შემოიფარ-
გლენ. აქ მათ ძვ.წ. VI საუკუნეში ჩამოაყალიბეს ორი დიდი გაერ-
თიანება კოლხეთისა და იბერიის (ჰიბერია, ჰისპირეთი, სასპერე-
თი) სამეფოების სახით. ოღონდ ჯერ კიდევ განუსაზღვრელია ახ-

---

125 იქვე.

126 **Т.В. Гамкрелидзе, В.В. Иванов.** Миграции племен – носителей индоевропейских диалектов... ВДИ, 1981, №2, с. 13; **რ. ჩხეიძე.** პაულე ინგოროყვა და ხეთების პრობლემა, ჟურნ. „მნათობი“, 1990, № 10, გვ. 154; **თ. მიქელაძე.** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 9, 19.

ლად შექმნილი იბერიის ტერიტორიის გარშემოწერილობა. იგი ამ დროს მოიცავდა მხოლოდ ჭოროხის აუზს (სპერის ოლქს და მიმდებარე ტერიტორიას) თუ ისტორიული ქართლის აღმოსავლეთ ნაწილსაც. შესაძლებელია სპერის, ტაოს, კლარჯეთის, ოძრხეს, უფლისციხის, არმაზ-ქართლის, ჯავახეთისა და ხორძენას ქვეყნებს შორის წარმოებული ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში ჰეგემონობის მოსაპოვებლად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში მიმდინარეობდა. მანამდე მათ შთანთქეს ისეთი ოლქები, როგორიც იყო, ბიანა, ულთუზა, ქადა, ხუშალხი, კულხახალი, შეშეთი, დიდინი, ერიახი, პუზუნია, ქათარმა, ლუშა, სირიმუთარა, თარიუნი, იშტელუანი, კადიანი და ზოგიერთი სხვა. საბოლოოდ ქართლის გაერთიანებას არიან-ქართლისა (სპერის ქვეყანა? „ყოველი კლარჯეთი"? „მოსხიკე"?) და არმაზ-ქართლის გაერთიანებებს შორის ბრძოლამ დაუდო საფუძველი.

# თავი IV
# სამხრეთ-დასავლეთი საქართველო უძველესი ბერძნული წყაროების მიხედვით

## § 1. ძველი ბერძენი მწერლების ცნობები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომების განსახლების შესახებ

სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ ბერძნულ წყაროებს. ეს წყაროები, ერთი მხრივ, თითქოს წარმოადგენენ ურარტული წყაროების ქართველური მოდგმის ტომების შესახებ თხრობის გაგრძელებას, ხოლო მეორე მხრივ, ურარტული წყაროებისგან განსხვავებით, გვაძლევენ ნათელ სურათს სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველეს წარსულზე; წყაროები მოგვითხრობენ, თუ რომელი ტომები მოსახლეობდნენ აღნიშნულ მიწა-წყალზე, ზოგჯერ ზედმიწევნით განსაზღვრავენ კიდეც ბინადრობის ადგილს. ისინი მოგვითხრობენ აგრეთვე მათი განსახლების არეალის, სამეურნეო საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების, მეზობელ ტომებთან ურთიერთობისა და სხვათა შესახებ.

პირველი ბერძენი მწერალი, რომელსაც დაცული აქვს ცნობები უძველესი ქართველური ტომების შესახებ, ჰომეროსია, რომელიც ძვ. წ. IX საუკუნეში ცხოვრობდა. იგი მიჩნეულია პოემების „ილიადა“ და „ოდისეა“-ს ავტორად. „ილიადა“-ს ორგანული ნაწილი „ხომალდთა კატალოგი“ მკვლევართა აზრით ძვ. წ. XIII საუკუნის მიწურულს ეგეოსის ზღვის აუზის რეალურ ისტორიულ-

პოლიტიკურ ვითარებას აგვიწერს.[1] მასში დაცულია ცნობა: „ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მიუძღოდნენ, შორეულ ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არის."[2]

აზრი ჰომეროსის ჰალიძონები რომ მომდევნო ხანის ხალიბები არიან პირველად გამოთქვა სტრაბონმა (ძვ.წ. 64–ახ. წ. 24).[3] მისი თქმით, ზოგი მწერალი ჰალიძონებს — ალაძონებისა და ამაძონების, ხოლო ალიბისა და ალოპის სახით ცვლიან (XII, III, 21). სტრაბონი იმასაც მიუთითებს, რომ ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენო (XII, III, 19). ასეთი შეხედულება გაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (თ. ყაუხჩიშვილი,[4] გ. გოზალიშვილი,[5] თ. მიქელაძე[6]). ნ. ადონცი უარყოფს ალიბების კავშირს ხალიბებთან. მისი თქმით, სტრაბონი ამ შეხედულებას აგებს გარემოებაზე, რომ ეს ორივე ტომი ფლობდა ლითონურ მადნებს. მაგრამ ჰომეროსის ალიბები ამუშავებდნენ ვერცხლს, ხოლო ხალიბები სტრაბონის დროს აწარმოებდნენ მხოლოდ რკინას. ჰალიზონი და ალიბი არ უნდა აღნიშნავდეს СОЛЯНИЯ КОПИ-ს, დამმუშავებელ ხალხს. კლასიკური ალიბი სომხურ Aliun ‖ alibn ან an-aliba-ს უნდა შეეფარდებოდეს. მდინარის სახელწოდებას Halys, ყველასაგან დამოუკიდებლად ახლო ნათესაური კავშირი აქვს ლაზურ Gala–ღელემდინარესთან.[7] ВДИ-ის კომენტატორის აზრით, სტრაბონის სასარგებლოდ მეტყველებს ჰალიძონების გაიგივება ხალიბებთან, რამდენადაც ეს სახელწოდებები კავშირში უნდა იყოს მდინარე ჰალისის სახელთან; და, აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს ტომი უძველეს ხანაში ფართო არეალის მომცველი იყო.[8]

---

1 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 34

2 Страбон. География. М., 1964, с. 515; შეადარე: ჰომეროსის „ილიადა", ძველბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო რ. მიმინოშვილმა, თბ., 1979, გვ. 22.

3 Strabo. XII, III, 20.

4 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 34-35.

5 გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 79, 87.

6 თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 124-125, 130, 148.

7 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Ер., 1971, с. 59.

8 ВДИ, 1947, №4, с. 237, ком. 6.

ხალიბები ხეთურ წყაროებში Halluwa-ს ფორმით გვხვდება.[9] ისინი ანტიკურ წყაროებში არაერთხელ იხსენებიან (ჰეკატეოს მილეტელი, ჰეროდოტე, ფსევდოსკილაქსი, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, ჰელიუს ჰეროდიანე, ევსტატი ანტიოქიის ეპისკოპოსი, ფსევდოორფეოს და სხვა). წყაროთა უმრავლესობა ხალიბებს ტიბარენების დასავლეთით ათავსებს.[10] ანტიკური წყაროების ტიბარენები კი კოტიორას (ორდუ) მიდამოებში თავსდებიან. ამიტომ ხალიბები ორდუს მიდამოების დასავლეთით უნდა ვიგულოთ. მართლაც, ჰეროდოტე (484-425წწ.) ხალიბებს მდინარე ჰალისის შესართავის მიდამოებში ათავსებს.[11] ლიკოფრონი (ძვ.წ. III ს.) ამბობს, რომ ხალიბები ცხოვრობენ პაფლაგონიაში.[12] სკილაქს კარიანდელი (ძვ.წ. IV ს.) და აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. III ს.) მათ ტიბარენების დასავლეთით მოიხსენიებენ.[13] ჰეკატეოს მილეტელის (VI-V სს.) ხალიბები თერმოდონტზე ცხოვრობენ.[14] სკიმნოს ქიოსელის (III-II სს.) მიხედვით ხალიბები მცირე აზიის სიღრმეში კაპადოკიის მეზობლად ბინადრობენ.[15] ამ და ზოგიერთი სხვა მონაცემის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალიბები უძველესი დროიდან მოყოლებული მოსახლეობდნენ ჰალისის (ყიზილ-ირმაკი) ქვემო წელის ორივე — უფრო მეტად აღმოსავლეთ მხარეზე განლაგებულ რაიონებში, აღმოსავლეთით ისინი განივრცობოდნენ მდ. თერმოდონტის მიდამოებამდე. ვ. ლატიშევის რედაქც-

9 თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 34-35. ი. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის. — მაცნე, 1966, №3, გვ. 132-133, 135, 136.

10 В.В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. — ВДИ, 1947, №3, с. 242, 280.

11 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1975, გვ. 45; თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 118. მკვლევარი J. G. Hind თავის რუკაზე „ევქსინის პონტის ჩრდილოეთი სანაპიროები ძვ. წ. V-VI სს.-ში ალაზონებს თანამედროვე უკრაინის შუაგულში ათავსებს (J.G. Hind. Herodotus' Geography of Skythia: the rivers and the 'rugged peninsula. — Причерноморье в VII-V вв. до н.э., Тб., 1990, с. 139.

12 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980, გვ. 36, 62.

13 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 88; აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 107.

14 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961, გვ. 80, კომენტარი 55.

15 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 89.

იით ВДИ-ში დაბეჭდილ ჰეკატეოს მილეტელის შრომაში დაცულ ხალიბებს გაკეთებული აქვს კომენტარი: ეს ხალხი თავის თავს უწოდებდა ურარტუს, რომელიც იყო ძველი ხალხი სსრკ-ის ტერიტორიაზე.[16] ი.მ. დიაკონოვი წერს: ბ. პიოტროვსკიმ დაამტკიცა, რომ ხალიბები არის იბერიული ტომი — ჭანები ან ლაზები.[17] პ. ინგოროყვას მიხედვით ხალიბები იგივე ხალდები ანუ ქალდები არიან.[18] გ. გოზალიშვილის ვარაუდით, ჰომეროსის ჰალიძონები უნდა ნიშნავდეს ზანებს-ჭანებს.[19] სხვაგან განმარტებული აქვს, რომ ჭანები ხალიბები არიანო.[20] ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ხალიბები იგივე ხალდები, იგივე ჭანები არიან,[21] ე.ი. ითვლებიან დასავლურქართულ-კოლხურ (მეგრულ-ჭანურ) ტომად.[22] გ. მელიქიშვილის მიხედვითაც ხალიბები ხალდებ-ჭანები არიან.[23] მეორე ნაშრომში ხალიბ-ხალდების იგივეობის დასამტკიცებლად მოაქვს საინტერესო არგუმენტები: მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული ცნობები შავიზღვისპირეთში მოსახლე ხალიბებისა, მოგვიანებით არავითარი კვალი არ ჩანს მათი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ წყაროების გამეორებას). ამავე დროს სახელი ხალდებისა დიდხანს ჩანს ამ ტერიტორიაზე: აქ ბიზანტიურ პროვინციას ჰქონდა სახელი „ხალდია." ამ სახელს იცნობდნენ ძველი სომხები.[24] ამავე დროს ძვ.წ. VII ს. წყაროებში (ურარტუს მეფის რუსა II-ის წარწერაში) ჩანს ხალიტუ,[25] რომელსაც მისივე შენიშვნით აქვს კავშირი სახელ „ხალდთან."[26] ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სახელწოდება „ხალიბი" წარმოიშვა სატომო სახელწოდება „ხალდზე" ქართული მეგრულ-ჭანუ-

---

16 ВДИ, 1947, №1, с. 301, сколио 7.

17 И.М. Дьяконов. Заметки по урартской эпиграфике. — «Эпиграфика востока», VI, 1952, с. 111.

18 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 203.

19 გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი, გვ. 79.

20 იქვე, გვ. 87, 89.

21 О. Лорткипанидзе. Наследие древней Грузии, Тб., 1989, с. 185.

22 იქვე, გვ. 263, შენ. 43.

23 გ. მელიქიშვილი. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 416.

24 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 71.

25 Г.А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, Тб., 1960, с. 341-342.

26 Г.А. Меликишвили. К истории... с. 71.

რი მრავლობითი რიცხვის სუფიქსის — ip (ib) დართვით: ხალდიბ>ხალიბ.[27] არაა გამორიცხული სახელის ასეთ შენაცვლებაზე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ბერძნულ სახელს (სალიფს) „რკინა." შესაძლებელია ეს უკანასკნელი ტერმინი კი არ წარმოიშვა სატომო სახელიდან „ხალიბი," არამედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიდიონის ოსტატების სახელის ხალდის ხალიბად ქცევაში.[28]

კ. მიულერი და რ. შმიდტი წერდნენ, რომ ეთნიკური სახელი „ხალიბი" ერცელდებოდა იმ ტომებზე, რომლებიც მისდევდნენ მეტალურგიას.[29] არ. ბარამიძის აზრით, ჰომეროსთან მოხსენიებული ალიძონების სახელწოდება შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად — „ალი" და „ძონ". „ალი" შეიძლება „ღალი"-ს ნაშთი იყოს, ხოლო „ძონ" „ზონ"-ების ანუ „ზან"-ების, იგივე ჭანების სახელწოდება. ისინი უძველესი დროიდან ჰალისისა და ჭოროხის აუზებში მოსახლეობდნენ.[30] მკვლევარი არ იზიარებს ს. ბარათაშვილის შეხედულებებს, რომ ხალიბები მოსახლეობდნენ ტაოსა და მაკრონებს შორის, კერძოდ, იქ, სადაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა კლარჯეთის საერთისთავო. ასევე არ იზიარებს ხალიბების სახელწოდების „ხელობის კაცნი"-დან მომდინარეობას და რომ თითქოს ხალიბები ძლიერი და ხალხმრავალი ტომია.[31]

ვ. ხუდადოვის მიხედვით სახელწოდება „ხალიბი" შეიძლება ადვილად აეხსნათ ქართველური ენების დახმარებით. მეგრული სიტყვიდან „ხალ" (обжигать) და ქართულიდან „ხალვა" (обжиг, обжигание), „მხალავი" (обжигающий) ადვილად მიიღება „ხალივი", რომელსაც კლასიკური წყაროები იცნობენ, როგორც მეტალურგებს.[32] ა. ხახანაშვილის აზრით, ჰეკატეოსის ხალიბები თერმოდონტთან ბინადრობდნენ. ისინი ქსენოფონტეს დროს მოსინიკებსა და ტიბარენებს შორის მოსახლეობდნენ. სტრაბონის დროს

---

27 იქვე.

28 იქვე.

29 მასალები თავმოყრილია: М.И. Максимова. Античные города Юго-восточного причерноморья. М-Л., 1956, с. 27.

30 არ. ბარამიძე. საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. — თსუ-ის შრომები, III, თბ., 1964, გვ. 135, შენ. 2, 170.

31 იქვე, გვ. 142.

32 В.Н. Худадов. Халды-урартинцы после падения Ванского царства, ВДИ, 1938, №2, с. 123.

ხალდების სახელით იყვნენ ცნობილი. მკვლევარი იმოწმებს მონპერეს, რომ ხალიბები მცირე აზიაში ალაზნის ნაპირებიდან გადავიდნენ და გადაიტანეს სახელი ალაზანი და მიუთითებს, რომ შესაძლებელია ეს მიგრაციული პროცესი პირუკუ მომხდარიყოს.[33] ზ. ჭუმბურიძის ვარაუდით (იმოწმებს თ. მიბჩუანს), ტერმინ „ალაზანში" იმალება „ლაზან" (ლაზიკა) და შენიშნავს, რომ შესაძლებელია კოლხეთიდან იყოს კახეთში გადატანილი მდინარის სახელი „ალაზანი".[34] პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.) ცნობით, „პაფლაგონიასთან ყველაზე ახლოს მყოფ ხალიბებს აქვთ სახელგანთქმული ქალაქები ამისოსი და სინოპე-ცინიკოსი დიოგენეს სამშობლო, მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი..."[35] ამ ცნობაზე მიუთითებს გ. ქავთარაძე და შენიშნავს, რომ ეს ცნობა უნდა მიგვანიშნებდეს სხვა, პაფლაგონიელებთან უფრო შორს მოსახლე ხალიბების არსებობაზე. აქ ეტყობა მისი დროის რეალური სურათი კი არ არის გადმოცემული, არამედ ძველი წყაროების მიხედვით.[36] აღსანიშნავია ისიც, რომ ლიკოფრონის (ძვ. წ. III ს.) გადმოცემით ხალიბები პაფლაგონიის ხალხია. ამ ცნობით კი გამოდის, ხალიბების ჰალისის დასავლეთითაც განვრცობა.[37]

დ. ხახუტაიშვილი მიუთითებს, რომ ხალდი და ხალიბი სხვადასხვა პროვინციაა (იმოწმებს მის. პანარეტოსს), ამიტომ სტრაბონის ცნობა ხალიბებისა და ხალდების იგივეობის შესახებ მას არ მიაჩნია სარწმუნოდ. მკვლევრის აზრით, სტრაბონის ეს ცნობა ემყარება მისი ან მისი წყაროს დროისათვის ხალდების ხალიბებზე პოლიტიკური ჰეგემონობის ფაქტს.[38] აქვე დ. ხახუტაიშვილს გამოთქმული აქვს კრიტიკული შენიშვნები იმ მკვლევართა მიმართ, რომლებსაც ხალიბები მდ. ალაზნის სანაპიროდან გადმოჰყავთ მცირე აზიაში (დიუბუა დე მონპერე) და რომლებიც იზიარებენ სტრაბონის ცნობას ხალდებისა და ხალიბების იგივეობის შესახებ (ალ. ხახანაშვილი). ასევე დამაჯერებლობასაა მოკლებული ხალიბთა განსახლების ვრცელ ტერიტორიაზე წარმოდგენა.[39] დ. ხახუტ-

---

33 А. Хаханов. Древнейшие пределы... с. 13, 23-24.

34 ზ. ჭუმბურიძე. მცდარი ეტიმოლოგიური ძიებანი. — მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1992, №2, გვ. 140.

35 Pomp. Mela, I, 19, 105.

36 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში... გვ. 74-75.

37 ВДИ, 1947, №4, с. 237, сколии.

38 დ. ხახუტაიშვილი. შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით ძვ.წ. VI — ახ. IV სს. (ავტორეფერატი), 1954, გვ. 41.

39 იქვე, გვ. 49-50.

აიშვილის მიხედვით, ხალიბების სხვადასხვა ადგილას „ანაბასისში“ მოხსენიება შეიძლება უფრო ბუნებრივად აიხსნას თუ დავუშვებთ, რომ „10 000-ის“ გზამ, რომელიც ზამთრის მძიმე პირობებში მთებში მიემართებოდა, ტომთა საცხოვრისების საზღვრების ურთიერთშეჭრილობის გამო, რამდენჯერმე გადასერა ერთი და იგივე ტომის, ან ნახა იმავე ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა თემის ტერიტორია, რამაც შექმნა ილუზია ამ ტომის მრავალ ადგილას ბინადრობაზე.[40]

ნ. ხახუტაიშვილი მიიჩნევს, რომ ხალიბთა ტომები განივრცობოდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ჭოროხისპირეთიდან ჰალისის აუზამდე და, როგორც ჩანს, ამის გამო აპოლონიოს როდოსელი მათ ქვეყანას „უსასრულოს“ უწოდებს. ხალიბები ზღვის სანაპირო ზოლის გარდა ხმელეთის სიღრმეშიც მოსახლეობდნენ.[41]

თ. მიქელაძის გამოკვლევით, ხალიბების სახელწოდებით ორი ტომი იყო ცნობილი — ერთი არმენიელების ახლოს, მეორე ტიბარენების დასავლეთით. მკვლევარს ასეთი დასკვნის გაკეთებაზე საფუძველს ქსენოფონტი აძლევდა. იგი იქვე შენიშნავდა, რომ მათ იმის გამო კი არ ერქვათ ხალიბები, რომ ისინი რკინას აკეთებდნენ, არმენიელების მეზობელი ხალიბები არც კი იყვნენ მეტალურგები.[42] ყოველ შემთხვევაში თუ სინოპი არა, მდინარე ჰალისის შესართავის აუზი ხალიბებს მაინც ეჭირათ. ჰალისის სახელთან ახლოსაა ხეთური ფორმა მდინარე Hulaijas ქვეყანა, რაც ცხადყოფს, რომ ჰალისი ამ მდინარის უძველესი და ადგილობრივი სახელია.[43] მეცნიერის აზრით, ხეთური წყაროების Haliwa შეეფარდება ურარტული წყაროების ხალიტუს და სომხური წყაროების ხალდო-ძორს. „ხალდ“ ფორმა ადგილობრივ ონომასტიკონს ეკუთვნის, ხალიბში გამოყოფილი „იბ“ ქართული მრავლობითი რიცხ-

---

40 იქვე, გვ. 50. ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. ს. გოგიტიძე. დ. ხახუტაიშვილი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველური ტომების საკითხი. — დ. ხახუტაიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთ. რესპ. სამეცნ. სესიის მასალები, ბათ., 1999, გვ. 12-15.

41 ნ. ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მელითონე ტომები ადრეურკინის ხანაში, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტის 1992 წლის ფონდები, გვ. 49, 51.

42 თ. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის.-მაცნე, ისტ. სერია, 1966, №3, გვ. 129.

43 იქვე, გვ. 131.

ეის ნიშანია.[44] ზოგიერთები ხალიბების სკვითურ წარმომავლობაზეც მიუთითებენ,[45] რაც ჩვენი აზრით, ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული.

მ. მაქსიმოვა მიუთითებს, ანტიკურ წყაროთა ჩვენებებზე, რომლებიც ხალიბების სამოსახლოს რამდენიმე ერთმანეთისაგან დაშორებულ ტერიტორიაზე წარმოადგენენ და შენიშნავს, რომ მათი ამგვარი ლოკალიზაცია არ არის ზუსტი. მისი აზრით, მელა შეცდა იმ ცნობით, რომ სინოპსა და ამისის გავლით ხდებოდა ექსპორტი ხალიბების მეტალურგიული ნაწარმისა.[451]

გრ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ ხალიბები, განსახილველია, როგორც ხაიები, საბოლოო ჯამში კი, როგორც ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომები (დამოწმებულია ვ. ივანოვი). მეცნიერის აზრით, ხალიბების სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ხათურ სიტყვას „საფალქი," რაც „რკინას" ნიშნავს. ხეთებისაგან ეს სიტყვა უნდა გადაეღოთ ბერძნებს და ამ ტომს მოგვიანებით დაარქვეს „ხალიბები" - რკინის მკეთებელნი," მათი საქმიანობიდან გამომდინარე. მაგრამ ეს სრულიადაც არ მიუთითებს მათი ეთნიკური სახის ჩარჩოების ჩრდილოეთი კავკასიის მოდგმასთან დასაკავშირებლად, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული მოდგმის ტომები ბინადრობდნენ.[46]

ჰალიძონში, რომ „ლი", იგივე ქართული „მა"-ს ტოლია, ამას ადასტურებს თვით ამ ტომის სახელწოდება შემონახული ანტიკური ხანის მწერლებთან ამაძონი (ჰამაძონი) შეადრ: ჰა-მა-ძონი, ჰა-ლი-ძონი). ეს სახელწოდებები რომ ერთი და იმავე ტომის სახელია, ჩანს ფლავიუს არიანეს ცნობიდანაც, რომლის მიხედვით ჰამაძონები მდ. თერმოდონტის ხეობაში ცხოვრობდნენ.[47] ხალიბებიც, სხვა ავტორთა ცნობით, ამ პატარა მდინარის ხეობის მკვ-

---

44 თ. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. — მაცნე, ისტ. სერია. 1967, №3, გვ. 88.

45 М.Н. Погребова. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время. М.. 1984. с. 19.

451 М.И. Максимова. Античные... с.27-28.

46 გრ. გიორგაძე. ხეთების ქვეყანა და ხეთური ეთნოსი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1985, 26 იანვარი.

47 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, 1983, გვ. 119; ს. გოგიტიძე. ხალიბთა ტომის ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, ხელნაწერი (ამავე წიგნში).

იდრები არიან.[48] ხალიბები (ჰალიბები) უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ მდ. პალისის ქვემო წელის ორივე მხარეს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას თითქოს იმ მდინარის სახელიც ადასტურებს, რომლის ქვემო წელის მიდამოებშიც ხალიბები ცხოვრობდნენ. მდ. ჰალისის სახელი კავშირშია სატომო სახელთან პალიბი (შეადრ: პალისი → პალიძი → პალიძ-ონი); პალიძონები ნიშნავს მდ. ჰალისის აუზში მცხოვრებ ხალხს. ახლა ძნელია იმის გარკვევა, რომ მდინარის სახელი იქცა სატომო სახელად თუ პირიქით მოხდა, მაგრამ ერთია, რომ თუ სატომო სახელი იქცა მდინარის სახელად, ეს იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ისინი ამ მდინარის დინების მიდამოების დიდ სივრცეზე განივრცობოდნენ ძველად. მაშინ ჰალისი უნდა ნიშნავდეს (თავდაპირველად ალბათ ჰალიძი, ჰალიძის მდინარე) პალიძონების-ხალიბების მდინარეს. თუ პირიქით მოხდა, ე.ი. მდინარის სახელი იქცა სატომო სახელწოდებად, ამ შემთხვევაშიც ხალიბები უნდა მივიჩნიოთ მდინარის მნიშვნელოვან ნაწილზე მოსახლე ტომად. ამ სატომო სახელწოდებაში შეიძლება იმალებოდეს ხალდი-სონი (პალდი (ქალდი) + სანი (ჭანი), ან სატომო სახელზე „სანი“-ზე თავდაპირველად სვანური პრეფიქსის „ლი“ (ვარიანტ: ლა, რომელიც ქართული „მა“-სა და „სა“-ს ტოლი უნდა იყოს), ხოლო შემდეგ „პა“-ს (ასეთი პრეფიქსი სხვა სატომო სახელებშიცაა დამოწმებული: პა-ბარენი, პი-სპირიტიდა, ჰი-ბერია) დართვით იწარმოა სატომო სახელწოდება (იქნებ პირველად სატომო სახელი ლი-სონი, შემდეგ ქვეყნის სახელი ჰა-ლისონი) პა-ლი-სონი, ე.ი. ჰალიძონი, ანუ პალიჭანი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კალიმაქსთან (ძვ.წ. III ს.) დაცულია სატომო სახელწოდების წარმომავლობის სხვაგვარი ვერსია. მისი ცნობით, სკვითური ტომის ხალიბების სახელწოდება, რომელთა მიწაზე ამუშავებენ რკინას, მომდინარეობს არესის შვილის ხალიბის სახელისაგან.[49] პლინიუსის გადმოცემის თანახმად ჰალიძონების სახელწოდება „ზღვით შემოსაზღვრულებს“ ნიშნავს.[50]

ახლა, რაც შეეხება ამ ეთნონიმის ურარტული წყაროების „ხალიტუსთან“ მიმართებას. ეს უკანასკნელი წყაროებში პირველად

48 ფლავიუს არიანე... გვ. 80, კომენტარი, 55.

49 Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997, с. 167.

50 Plin. NH, V, 143.

ჩანს რუსა II-ის მეფობის პერიოდში ძვ. წ. 776 წლის ამბების აღწერისას.[51] ურარტელებისათვის არ იყო ცნობილი სახელი თაბალი, ასურელებისათვის კი - ხალიტუ.[52] რადგან ეს გაერთიანება (ხალიტუ) ძვ. წ. 776 წლამდე არ იხსენიება და ამავე დროს, რამდენადაც ურარტუს მეფეს მუშკინისა (მუშქები) და ხეთას (იგულისხმება ხეთის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნარჩენი) მეზობლად არ ხვდება თაბალი, ხომ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ამ დროს ტაბალების საცხოვრისი მკვეთრად შეკვეცილია, ან კიდევ უკვე წაწეული არიან კოტიორას (ორდუ) მიდამოებისაკენ. რამდენადაც ეს რაიონი მომდევნო ხანის წყაროებში ხალიბების საცხოვრისის მომიჯნავე რაიონი ჩანს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ხალიტუ მცირე აზიის სიღრმეში თაბალების მიერ უნდა იყოს გამოდევნილი. ასე რომ, ხალიტუ შეიძლება იყოს ხალიბი და არა ხალდი. ჩვენი აზრით, ხალიბი (ჰალისის აუზში მცხოვრები) და ხალდი (ურარტუს მცხოვრები, ხურიტული ტომი) ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს. ხალდები, რომლებიც ქსენოფონტეს ხვდებიან ჰარპასოსის (ჭოროხი) ზემო დინებიდან სამხრეთისაკენ, ურარტუს განადგურების შემდეგ, თავიანთი საცხოვრებლიდან აყრილი ტომი უნდა იყოს. ისინი, შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გვევლინებიან. მათი გარკვეული ნაკადი ქართისენოვან მოსახლეობასაც შერევია, რასაც ამტკიცებს ენობრივი მონაცემები.[53]

ამრიგად, ტროელთა მოკავშირე ჰალიძონები, რომლებიც პაფლაგონიელებთან ერთად იხსენიებიან „ილიადაში" ძვ.წ. XIII ს. დასასრულის ამბებთან დაკავშირებით, ჰალისის ქვემო წელის აღმოსავლეთით ბინადრობენ. თუ ჰალიძონებში მერმინდელი ბერძენი მწერლების ხალიბებს ვიგულისხმებთ, რასაც, როგორც ნაჩვენები იქნება, გარკვეული საფუძველი აქვს, საქმე გვექნება ხალიბების ყველაზე ადრეულ მოხსენიებასთან ძველ ბერძნულ მწერლობაში."[54]

ანტიკურ წყაროებში ხალიბების ორი ჯგუფია დასახელებული

---

51 Г.А . Меликишвили. Наири-Урарту. Тб., 1954. с. 315-316.

52 Г.А Меликишвили. К истории... с. 53.

53 გ. მელიქიშვილი. ურარტუ. თბ., 1951, გვ. 143-145.

54 თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, გვ. 81.

ერთი მდ. ჰალისის ქვემო წელის ორივე მხარეს, რომელთაც ტიბარენებთან გენეტესსა და კოტიორას შორის ჰქონდათ საზღვარი, და მეორე — არმრუმის სანახებში; თვით არმრუმის რაიონი (კარნუ, კარენიტი) ხალიბების ოლქს წარმოადგენდა. ჯერჯერობით ხალიბების ამ ჯგუფებს შორის კავშირის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია: მათ ჰქონდათ თუ არა ერთმანეთთან სახმელეთო ან ეთნიკური კავშირი. იქნებ ხალიბთა ერთ ან ორივე ჯგუფს, როგორც მეტალურგებს უწოდეს ბერძნებმა რკინის აღმნიშვნელი ბერძნული სახელი (χαλνψ). თუ დავუშვებთ, რომ ორი ჯგუფის ხალიბებს შორის რაიმე კავშირი არ არსებობდა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე მოსახლე ხალიბებიც დიდ სივრცეზე ბინადრობდნენ, რადგან, როგორც ცნობილია ძვ. წ. 189 წ. მახლობლად ძლევამოსილმა არმენიელებმა (სომხებმა) მათგან მხოლოდ ერთი ოლქის — კარენიტის წართმევა შეძლეს. როგორც ჩანს, ამ მეორე ჯგუფის ხალიბების კავშირი ხეთური წყაროების Haliwa-სა და Karna-სთან უდავოა.

ჰომეროსის „ილიადა"-ში მდინარე პართენიონის (თან. ბარტან-სუ) და ჰალიძონების — ხალიბების) ახლოს დასახლებულია ენეტები,[55] რომლებსაც შესაძლებელია კავშირი ჰქონდათ ქართველურ სამყაროსთან. ამ ტომის სახელი კავშირშია ხალიბების ნავსადგურის-გენეტეს-სახელთან.[56] სტრაბონთან დასახელებულია გენეტეს კონცხი (ახლ. ხანეტ-კალესი), სოფელი ენეტი (ამასტრიასთან) და მდ. გენეტი კოტიორას დასავლეთით.[57] მისი ცნობით, გენეტების ტომი პართენიის ახლოს მოსახლეობს.[58] სტრაბონის გადმოცემით, მისი მოღვაწეობის პერიოდში ენეტები მითითებულ მიდამოებში უკვე აღარ მოსახლეობდნენ, აქ კავკონები || კავკონიტები ბინადრობენ,[59] რაც შესაძლებელია, ეს ცნობა, ამ ორი ეთნიკური ელემენტის იგივეობაზე მეტყველებდეს.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე დასაშვებად მიგვაჩნია ენეტების ტომის კავშირი ჰენიოხებთან შემდეგი გარემოებების

---

55 თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 78.
56 იქვე. გვ. 78.
57 Страбон. География, с. 510, 514-515.
58 იქვე. გვ. 509.
59 იქვე. გვ. 509, 511.

გათვალისწინებით: 1. სახელწოდებები ენეტი-ვენეტი-ხანეტის თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს ჰენეტი (← ჰენიოტი ‖ ჰენიოხი); 2. შესაძლებელია ჰენეტები იგივე კავკონ-კავკონიტები კავკასიელები იყვნენ, იმ თვალსაზრისით, რომ ჰენეტები ძველი, ხოლო კავკონები შედარებით ახალი სახელია ერთი და იმავე ტომისა, ან მათ როგორც კავკასიონის კალთებიდან მოსულებს კავკონიტებსაც ეძახდნენ. არც ისაა გამორიცხული, რომ ენეტები თავიანთ თავს ჰენიოთს ან ჰენიოხს უწოდებდნენ, ხოლო მათი მეზობლები მათი თავდაპირველი საბინადრო ადგილის მიხედვით — კავკონიტებს ე.ი. კავკასიონელებს.

ჰომეროსს „ოდისეა"-ში გააჩნია აგრეთვე საინტერესო ცნობები, რომლებიც შეიძლება ქართველი ტომების სამყაროს დავუკავშიროთ. ესაა აიეტისა და არგონავტების მოხსენიება, მაგრამ აქ ჰომეროსი არგონავტების შესახებ თქმულებას მთლიანად არ გადმოგვცემს; არგონავტების ლაშქრობას გაკვრით ახსენებს კირკეს ოდისევსთან დამშვიდობებისას. იგი მოუთხრობს ოდისევსს საზარელი პლანქტების შესახებ, რომელნიც შთანთქავენ ყველას, ვინც კი გაბედავს და ჩაუვლის მათ. ეს ადგილები „გასცურა მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა — ყველასათვის ცნობილმა არგომ, რომელიც აიეტისაგან მოდიოდა."[60] აქვეა კუნძული, ოლქი, სამეფო და ღვთაება აიას სახელწოდებით მოხსენიებული.[61]

ძველ ბერძნულ მწერლობაში ამა თუ იმ ავტორთან ხშირადაა მოხსენიებული არგონავტების მითის პერსონაჟები და მათთან დაკავშირებული არგო და ოქროს საწმისი. ამ მიმართებით გამოირჩევიან ევმელიოს კორინთელი (ძვ.წ. VIII ს.), ჰესიოდე (ძვ.წ. VII ს.), მიმნერნი (VII ს. ბოლო — VI ს. დასაწყისი), ჰეკატეოს მილეტელი (ძვ.წ. VI–V სს.), აკუსილაი (ძვ.წ. VI–V სს.), პინდაროსი (ძვ.წ. VI–V სს.), სოფოკლე (ძვ.წ. V ს.) და ბევრი სხვა მომდევნო ხანის მწერალი.[62] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნულ წყაროებში კოლხეთი პირველად მოიხსენიება ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრის მწერალთან — ევმელიოს კორინთელთან,[63] მდინარე ფას-

60 Гомер. Одиссея, перевод с древнегреческого В. Жуковского, М.,1981.
61 იქვე, 157, 158, 167, 171, 173.
62 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 16-17; В.В. Латышев. СК. — ВДИ, 1947, №1, с. 295, 297, 300, 302, 308-309, 315; ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 111 და შემდეგი.
63 О. Лорткипанидзе. Наследие древней Грузии, с. 27.

ისი კი — ძვ.წ. VII ს. პირველი ნახევრის ძეგლში, ჰესიოდეს „თეოგონიაში."[64] ურარტულ წყაროში (სარდურ II) კოლხეთის (აქ მოხსენიებულია ფორმით „კულხა") მოხსენიებაც ამავე პერიოდს ეკუთვნის (ძვ.წ. VIII ს. 40-იანი წწ.), მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქვეყანა ასეთი სახელით („კულხა") ადრეც არ არსებობდა.

რომელი მდინარეა ჰესიოდეს „თეოგონიაში" მოხსენიებული ფასისი? მკვლევართა უმრავლესობა მას რიონში აიგივებს, ხოლო ზოგი ჭოროხში. ამ უკანასკნელს რომ უძველეს ხანაში ფასისი ერქვა, ეს დავას არ უნდა იწვევდეს. ძველ ბერძენ-რომაელ ისტორიკოსთა შრომებიდან ჩანს, რომ იქ, სადაც ლაპარაკია ფასისზე ხშირად ჭოროხი უნდა ვიგულისხმოთ. ასე მაგალითად: ერატოსთენის (285-205 წწ.) მიხედვით ფასისი მოედინება არმენიის მთებიდან.[65] როგორც ჩანს, ჭოროხი იგულისხმება აპოლონიოს როდოსელთანაც (ძვ.წ. III ს.), როცა ამბობს, რომ არაქსს შორდება ლიკა და უერთდება ფასისს.[66] სტრაბონის (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24) მიხედვით ფასისი და ლიკოსი არმენიის მდინარეებია და პონტოს (შავი ზღვა) ერთვიან.[67] ბერძენი დიონისეს (იმპერატორების დომიციანესა და ადრიანეს თანამედროვე) ცნობითაც ფასისი სათავეს იღებს არმენიის მთებიდან.[68] ლათინი ისტორიკოსის სოლინის (ახ.წ. III ს.) ცნობით, „ჰენიოხური მთები არაქსს გადმოღვრიან, მოსხური კი ფასისს."[69]

მკვლევართა შეხედულებით თავდაპირველი (უძველესი) კოლხეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მოიცავდა და მისი პოლიტიკური ცენტრი სადღაც ჭოროხის შესართავის რაიონში უნდა ყოფილიყო. კოლხეთის ამ მთავარ მდინარეს ფასისი უნდა რქმეოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ცენტრმა ჩრდილოეთით, მეორე დიდ მდინარეზე გადმოინაცვლა, მასაც ფასისი ეწოდა.[70] ჰესიოდე VIII-VII საუკუნის ავტორია, რადგან მისი დროის

---

64 ВДИ. 1947. №1. с. 294.

65 ВДИ. 1947. №3. с. 289.

66 **აპოლონიოს როდოსელი.** არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი წერილი აკ. გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკ. ურუშაძისა. თბ., 1975. გვ. 159.

67 **თ. ყაუხჩიშვილი.** სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957. გვ. 190.

68 ВДИ. 1948. №1. с. 240.

69 ВДИ. 1949. №3. с. 243.

70 **Г.А. Меликишвили.** К истории... с. 236.

კოლხეთი ჭოროხის აუზში იგულისხმება, ამიტომ ჰესიოდეს ფასისში მდ. ჭოროხი უნდა იგულისხმებოდეს. ფასისი რომ რიონის თავდაპირველი სახელი არ უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ისევ თვით ჰესიოდეს „თეოგონიის" ერთ-ერთი ცნობა; აქ მოხსენიებულია როგორც ფასისი, ისე რესოსი.[71] ჰესიოდეს რესოსი იგივე ფსევდოსკილაქსის რის და რიონის გადმოცემა უნდა იყოს.[72] გამოთქმულია მოსაზრება, რომ მდ. რიონის ახლანდელი სახელი მიღებულია რესოს-რისის სახეცვლილებით.[73] ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰესიოდესთან მოხსენიებული მდინარე ფასისი ჭოროხს, ხოლო რისი რიონს უნდა შეესაბამებოდეს. ფსევდოსკილაქსთან (ძვ.წ. IV ს.) თუ მის წყაროებში (ძვ.წ. VI-V სს.) უკვე ფასისი რიონის ქვემო წელს, ხოლო რისი ზემო წელს შეეფარდება.[74] აქვე პირველად ჩნდება ჭოროხის ახალი სახელწოდება „აფსარი."[75]

უძველესი ხანის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძვ.წ. VI-III სს. მოღვაწე ბერძენი მწერლები ჰეკატეოს მილეტელი, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ფსევდოსკილაქსი, აპ. როდოსელი და სხვ. ჰეკატეოსი პირველი წყაროა მათ შორის, ვინც ფართოდ გვაწვდის მასალებს სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიის შესასწავლად. მის ნაშრომში „დედამიწის აღწერა" პირველად ვხვდებით ზოგიერთი კოლხური ტომის დასახელებას (მელანხლენები, მოსინიკები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოიები, ბეხირები, დიძერები, მაკრონები, მარები, ტიბარენები და ხალიბები). ჰეკატეოს მილეტელი ზოგჯერ იძლევა თვით ამ ტომთა განსახლების და ეთნიკური კუთვნილების შესახებ ცნობებს. ასე, მაგალითად: „კორაქსები-ტომი კოლხების, კოლების ახლოს." მისივე ცნობით, არის კორაქსული სიმაგრე და თვით ამ ხალხს აქვთ საკუთარი ქვეყანა-კორაქსიკა. კოლების შესახებ ამბობს: „კოლები-ხალხი კავკასიასთან" (მთასთან); მათ ქვეყანას

---

71 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის.. გვ. 37.

72 ა.კ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 19-21, 139, 494.

73 გ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 8, სქ. 7. ეს შეხედულება სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. მდ. ფასისს ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ჩანს რიონს უწოდებდა.

74 ВДИ, 1947, №3, с. 242 и сноско 11.

75 იქვე, გვ. 242.

ჰქვია კოლიკე. არის აგრეთვე კავკასიის მთის ძირში კოლების მთები.[76] ჰეკატეოსი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მოსხების (მესხების) შესახებ: „მოსხები-კოლხური ტომი მატიენების მეზობლად."[77] ხოიების შესახებ ამბობს: ხალხი ბექირების ახლოს. ხოიებს აღმოსავლეთისაკენ ემეზობლებიან დიძერები. მისი ცნობით სალიბებს სამხრეთით ესაზღვრებიან არმენიელები.[78] ზემოაღნიშნულის გარდა აქ მოხსენიებულია ქალაქები: ქო?რადესი-მოსინიკებისა და სტამენე-სალიბებისა.[79]

ზოგიერთი მკვლევრის დაკვირვებით მელანქლენები, კორაქსები და კოლები ცხოვრობენ ჩრდილოეთ კოლხეთში (თან. აფხაზეთის ტერიტორიაზე),[80] ხოლო დანარჩენი ტომები სამხრეთ კოლხეთში თუ მის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებულ რეგიონებში.[81] ფსევდოსკილაქსის მიხედვით, აფსაროსამდე იყო კოლხთა საზღვარი, ეს არის არა საკუთრივ კოლხთა ტომის განსახლების ფარგლები, არამედ კოლხეთის სამეფოს ტერიტორია.[82] ჰეკატეოს მილეტელის მიერ ჩამოთვლილ ტომთა შორის, რომლებიც მოსახლეობდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და როგორი იყო თითოეული ამ ტომის განსახლების არეალი?

მდ. ჭოროხის შესართავის რაიონში მოსახლეობდნენ დიძერები. ესენი იგივე ბერძნულ-რომაული წყაროების ბიძერები — ვიზარები არიან.[83] არიანე ამათ ძიდრიტების სახელით მოიხსენიებს.[84] როგორც ჩანს, ეს იგივე ტომია, რაც პლინიუსის ამპრევტი (აჭარები?).[85] ბიძერებს (ძიდრიტები) ეკავათ თანამედროვე აჭარა

---

76 ВДИ, 1947, №1, с. 300.

77 იქვე. გვ. 301.

78 იქვე.

79 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 43.

80 იქვე. გვ. 43-44; მ. ინაძე. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა, ჟურნ. „მნათობი", 1992, №2, გვ. 159.

81 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 44.

82 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. — მსკი, 35, გვ. 24-25.

83 ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, №1.

84 ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, გვ. 120-130.

85 ს. გოგიტიძე. „ფარნავაზიანი" და აჭარა. — ბსკი, ბათ., 1996, გვ. 12-13.

და მის ირგვლივ მდებარე მიწა-წყალი.[86] სატომო სახელიდან „ვი-ძარ (ბი-ძერ) უნდა მომდინარეობდეს ტერმინი „აჭარა“.[87] ძვ. წ. IV ს. ანონიმი ავტორის ცნობით, მდ. ფასისის შემდეგ კოლხეთის ტერიტორიაზე მომდინარეობენ: რისი (რიონი?), ისისი (ნატანები), ყაჩაღთა წყალი (კინტრიში ან აჭარისწყალი) და აფსაროსი.[88] ბიძერების ტომის ტერიტორიაზე ორ მდინარეს — დარაანონსა და არიონს ასახელებს.[89] ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით დარაანონი არსაბს-არდაშენას, ხოლო არიონი აბუს (ფორტუნის კონცხის მახლობლად) შეეფარდება.[90] ტომაშეკის ცნობით, დარაანონი არის არსაბისი. ნ. ლომოურის დასკვნით დარაანონი მდ. ორხოფაა. არიონი-მდ. არხავე.[91] ბიძერების ტომის ტერიტორიაზე ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მრავლადაა აღმოჩენილი ე.წ. კოლხური ნამოსახლარები და სამაროვნები. აქ წარმოებული გათხრები მდიდარ მასალებს გვაწვდიან ძე.წ. VI-IV საუკუნეების ნივთიერი კულტურის ისეთი დარგების დასახასიათებლად, როგორიცაა კერამიკული წარმოება, რკინის დამუშავება, ოქრომჭედლობა, საფეიქრო ხელოსნობა და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე ადრეული რკინის სადნობი ღუმელი ბიძერების ტომის ტერიტორიაზეა მიკვნებული სოფელ ასკანაში (მახარაძის რაიონი), რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.[92]

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ბიძერების ტომის ტერიტორია — აჭარა ერთიან მთლიან ეკონომიკურ რეგიონად ივარაუდება. დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით ამ ეპოქის ბოლოსათვის

---

86 The Greeks in the Black Sea. From the Bronze Age to the Early Twentieth Century. თანდართული რუკა, გვ. 10-11; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 68.

87 ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია. — ბლკ, ბათ., 1994, გვ. 28-29; მისივე: კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი“, 1996, №3, გვ. 143-150; აჭარა ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიურ მასალების მიხედვით, ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 2001, №1, გვ. 61-68.

88 თავდაპირველად ვიწრო ეთნიკური შინაარსის მქონე ტომი კოლხი გახდა პოლიტიკური შინაარსის — კოლხეთის სამეფოს მთელი მოსახლეობის აღმნიშვნელი. ამიტომაა, რომ ბიძერების ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი მდინარე კოლხეთის სამეფოს საზღვრებშია მოქცეული.

89 ВДИ, 1947, №3, с. 242.

90 იქვე, გვ. 242, სქოლიო 14.

91 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები... გვ. 13-14.

92 Д.А. Хахутаишвили. Письменные источники о халибах — «Железоделателях» и новейшие археологические открытия. — ИР, 1985, Тб., 1988, с. 236.

ცალკეულ ხევთა შერწყმის საფუძველზე წარმოიქმნა ერთიანი ხევი აჭარისა. ეს მოულოდნელი არ იქნება, თუკი გავიხსენებთ, რომ უკვე ძვ.წ. IX–VIII საუკუნეების ურარტულ წყაროებში მოიხსენიება „ქვეყანა შეშეთი" (შავშეთი), „ქვეყანა ზაბახა" (ჯავახეთი), „ქვეყანა დიაოხი" და სხვა.[93] როგორც ჩანს, აჭარა ასეთივე ქვეყანას წარმოადგენდა ბიძერების ტომის განსახლების არეალში. ამის დასტურია ის, რომ ძვ. წ. IV–III საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის სამეფოში გაერთიანებულ ერთ-ერთ საერისთავოში სამცხესთან ერთად აჭარაც შედიოდა. დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით აჭარა სამცხესთან და ჭოროხის აუზის „ქვეყნებთან" ერთად „მოსხიკეს" შემადგენელი თემებია. ძვ.წ. II–I საუკუნეებში აჭარა მთლიანად კოლხეთის შემადგენლობაშია და, როგორც ჩანს, მის ერთ-ერთ „სკეპტუხიას" (საერისთავოს) შეადგენდა.[94]

ძვ.წ. VI–IV საუკუნეების წყაროებით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთიანი კოლხეთის სამეფო და მაღალგანვითარებული საზოგადოება არსებობდა. ნუმიზმატიკური მასალები მოწმობენ, რომ აქ ამ დროს იჭრება კოლხური თეთრი. ამ დროის, საისტორიო წყაროებში მოხსენიებული ქალაქების გარდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამავე პერიოდის ფენებში არქეოლოგთა მიერ მიკვლეულია არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. საერთოდ კი ძვ.წ. VIII–VI საუკუნეები ადრეკლასობრივი ქალაქების ფორმირების ხანაა. ძვ.წ. V საუკუნიდან აჭარის ზღვისპირეთში წამყვანი ადგილი ეკავა ქალაქური ტიპის მსხვილ დასახლებას. ეს პერიოდი და მომდევნო (V–III სს.) ქალაქური ტიპის დასახლებების აყვავების ხანაა.[95] ძვ.წ. V საუკუნეში ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე ფიჭვნარის მიდამოებში არსებობდა ქალაქური ტიპის დასახლება, ხოლო კვაშტაში ნამოსახლარი. სოფელ კაპნისთავსა და სოფელ პაქსაძეებში მიკვლეულია ძვ.წ. V–IV საუკუნეების ნამოსახლარი. ამ დროს არსებობას განაგრძობდა ბათუმის გორა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ცხადყოფენ, რომ ძვ.წ. VI–IV საუკუნეებში ფიჭვნარის ტერიტორ-

93 დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ხელნაბეჭდი, 1997, გვ. 39.

94 იქვე, გვ. 94.

95 დ. ხახუტაიშვილი. ფურცლები აჭარის წარსულიდან, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1990, 24 თებერვალი.

იაზე მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლება არსებობდა, რომელსაც ბერძნები კიკნისს უწოდებდნენ.[96] 1966-1967 წლებში და შემდეგ „საპურვალას" ბორცვზე აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვანი, რომელიც არქეოლოგთა მიერ ძვ.წ. V საუკუნითაა დათარიღებული. გათხრილია 300-მდე სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა საინტერესო მასალები: მაღალი ოსტატობით შესრულებული და მდიდრულად ორნამენტირებული ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი, მინის, ვერცხლის და ქარვის მძივები, ვერცხლისა და რკინის სამაჯურები, ოქროსა და ვერცხლის ყურსაკიდები, ბეჭდები, კოლხური მონეტები და ა.შ.[97]

განსაკუთრებით მდიდარი და საინტერესო მასალები აღმოჩნდა ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე. 1967-1968 წლებში და შემდეგ გაითხარა 250-მდე სამარხი. აქ მოძიებულ მასალათა შორის მნიშვნელოვანია წითელფიგურიანი კრატერი, რომელიც წარმოადგენს ბერძნული ვაზათმომხატველობის ბრწყინვალე ნიმუშს. არის იონური და ატიკური ჭურჭლები, ბევრია სადა ზოლებიანი იონური და ატიკური შავლაკიანი თიხის ჭურჭელი (თასი, სამარილე, ჯამი) ქიოსური და თაზოსური ამფორები. მოპოვებულია ბრინჯაოს ჩამჩა და საწური. ვხვდებით ვერცხლის თასებს, დოქებს, საკრეჭს, საწურს და ა. შ. წარმოდგენილია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები: ყურსაკიდები, ბეჭდები, მძივები, სამაჯურები და ა.შ. მოპოვებულია ფინიკური ფერადი მინისაგან დამზადებული ჭურჭლები. გამოჩნდა უცხოური მონეტები.[98] აღსანიშნავია ისიც, რომ ძვ.წ. V საუკუნის კოლხური მონეტები შემონახულია სტამბოლის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში.[99]

ძვ.წ. V საუკუნის ძეგლი სოფელ კვაშტის დასახლება წარმოადგენს აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთ უძველეს საფორტიფიკა-

96 ს. გოგიტიძე. ფიჭვნარის ნაქალაქარის ანტიკური სახელწოდება, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, № 10.

97 ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ძეგლები, ბათ., 1971, გვ. 15.

98 ა. კახიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათ., 1975; მისივე, ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-1968 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. — მაცნე, ისტ. სერია, 1974, № 3, გვ. 79-85; ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ბერძნული ნეკროპოლი საიდუმლოს გვიმხელს, გაზ. „აჭარა", 1999, 9 სექტემბერი.

99 ა. კახიძე. ფიჭვნარის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი სინოპესთან ანტიკურ ხანაში. — საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა, ბათ., 1993, გვ. 27.

ციო ნაგებობას. გათხრების დროს აქ გამოვლინდა კერამიკული ნაწარმი — ქვევრის, ქოთნის, დერგის, კეცის, ლანგრის, სასმისის, ჯამების, ტაფისებური ჭურჭლისა და სხვა სახის ჭურჭლის ნატეხები; მცირე რაოდენობით აღმოჩნდა იმპორტული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებიც. მოპოვებულ იქნა ბრინჯაოს სამაჯური, სიტულისა და რკინის შუბის ფრაგმენტები, თიხის საბეჭდავები, სალესები, ხელსაფქვავები, შურდულის ქვები, სარდიონის მძივები და ა.შ.[100] კვაშტის ანტიკურ ნამოსახლარზეა ნაპოვნი რკინის წალდის უძველესი ნიმუში.[101] წალდის სამეურნეო ყოფაში გამოყენების ინტენსივობით სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთი საქართველო გამოირჩევა. იგი კოლხური კულტურის მონაპოვარია.[102]

წინაანტიკურ ხანაში სოფელ კვაშტის თავდაცვითი დასახლების მსგავსი საფორტიფიკაციო სისტემის უმნიშვნელოვანეს ფორპოსტად გვევლინება გვარიქედი (კირნათი). აქ ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთი გამოდგა კოლხური კულტურისათვის კარგად ცნობილი პირველი სახეობის ნაკლული ცული. შუშანეთის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი და ზედაპირულად შეგროვებული არქეოლოგიური მასალის მეცნიერული მნიშვნელობა დიდია. საყოველთაოდ ცნობილია მდ. ჭოროხის აუზის წვლილი მცირე აზიის ცივილიზაციებთან ურთიერთობის და პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების (კოლხა, დიაოხი, უიტერუხი) გენეზისის საქმეში. კირნათის ტერიტორიაზე უძველესი ხანის განძები ადრეც იყო მიკვლეული, მაგრამ დასახლების ნაშთები პირველად გამოჩნდა. გვარიქედი კოლხური და ცენტრალური კავკასიური კულტურებისათვის დამახასიათებელ გორასამოსახლოს უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი საფორტიფიკაციო დასახლება უნდა არსებულიყო მთავარანგელოს ტერიტორიაზეც (ხერთვისის წყლის სათავე). იგი გადაჰყურებს ბერაძეებ-კაპნისთავის უძველეს დასახლებას, სადაც შეგროვებულია ანტიკური ხანის მასალები.[103]

---

100 ა. კახიძე, შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993, გვ. 57-80.

101 ა. კახიძე, შ. მამულაძე. კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. — სდსძ., XVII, თბ., 1988.

102 ნ. კახიძე. ხელოსნობა აჭარაში. — სდსკკ. თბ., 1990, გვ. 19.

103 ა. კახიძე. გვარიქედი, მთავარანგელი, მარიამწმინდა, წალკოტი... გაზ. „აჭარა", 1997, 16 აგვისტო.

მდ. ყოროლისწყლის (ისტორიული ბათისი) შესართავთან მაღალ ბორცვზე, ე. წ. ბათუმის გორაზე ცხოვრება არ შეწყვეტილა ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულებში. აღმოჩენილია ამ პერიოდის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტების დიდი რაოდენობა (ქვევრები, დოქები, დერგები, ჯამები და სხვ.). ამავე პერიოდში, როგორც ჩანს, თანაარსებობდა ერგე-ჯოჭოს სამოსახლო ბორცვები, რასაც აქ აღმოჩენილი ოთხი მნიშვნელოვანი განძი[104] ადასტურებს. ძვ.წ. V და მომდევნო საუკუნეებში ბათუმის მოსახლეობას სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონია ძველ ბერძნულ ქალაქებთან.[105]

სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ძვ.წ. VI-V საუკუნეებში, როგორც ადრეულ ეპოქაში წარმოადგენდა რკინის მეტალურგიის ძირითად კერას ამიერკავკასიაში. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა 400-მდე ობიექტი, რომელშიც რკინის მოპოვება ან დამუშავება მიმდინარეობდა. მათგან ყველაზე ადრეული ძვ.წ. XVIII საუკუნით თარიღდება. ძეგლების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია 4 მთავარ საწარმოო კერაში, რომლებიც განლაგებულია მდ. ჭოროხის ქვემო წელზე, მდ. ჩოლოქისა და ოჩხამურის შუა დინების რაიონში, მდ. სუფსისა და გუბაზეულის შუადინების რეგიონში და ა.შ. ამათგან ზოგიერთი სახელოსნო ძვ.წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება.[106] ძველი კოლხეთი ის მთავარი რეგიონი იყო, საიდანაც რკინა-ფოლადით მარაგდება კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს მეურნეობრივად დაწინაურებული მხარეები.[107]

ჰეკატეოსთან მოხსენიებულია ტომი ხოი. ესენი ცხოვრობენ ბიძერების ახლოს. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით ხოი შეიძლება იყოს ტაო (ტაოხები).[108] თ. ყაუხჩიშვილი ამ საკითხთან დაკ-

---

104 ა. რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათ., 1974, გვ. 6-9.

105 ა. ინაიშვილი, დ. ხახუტაიშვილი. ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1962, 26 აგვისტო; დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. — სდსძ, XVIII, თბ., 1989.

106 დ. ხახუტაიშვილი. შავი მეტალურგიის უძველესი საწარმოო ცენტრი შავიზღვისპირეთში. — ბსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის კრებ: „საისტორიო მაცნე", ბათ., 1995, გვ. 5-6.

107 დ. ხახუტაიშვილი. აჭარის მიწისქვეშა საუნჯენი, გაზ. „კომუნისტი", 1989, 10 მარტი.

108 ВДИ, 1947, №1, с. 301, сноска 2.

ავშირებით ასეთი შესედულებისაა: „ხოიებს, ჩვეულებრივ ტაოხოის მერყენილ ფორმად მიიჩნევდნენ, მაგრამ მათი (ხოიების) საცხოვრისი (ქ. რიზეს მახლობლად) იმდენადაა დაშორებული ტაოხების საბინადროს, რომ ეს საკითხი ღიად უნდა დარჩეს.[109] პ. უშაკოვის აზრით, ხოიები სომხური ტომი ხაიასაა, რომლებზეც ბევრს ლაპარაკობს ხეთური წყაროები.[110] ი. დიაკონოვის აზრით, „ხოი" ტერმინ „ხოტენეში" ფუძის „ხოტ"-ის იდენტური შეიძლება იყოს, „ტ"-ს „ი"-ში კანონზომიერი გადასვლის საფუძველზე.[111] გ. ქავთარაძის აზრით, პეკატეოსის მიერ დასახელებული ხოის და ტაოხის ერთი და იმავე ტომის აღსანიშნავად გამოყენება დასაშვები უნდა ჩანდეს. მაგრამ თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ხოიებს ლაზისტანის ქედის გადაღმაც ეკავათ ტერიტორია, შესაძლებელი გახდება მათი დაკავშირება ხაოი-ტაოხებთან.[112] ვფიქრობთ, მართებულია მოსაზრება, რომ ხოიები შეუძლებელია იყვნენ იგივე ტაოხები. სტეფანე ბიზანტიელის ცნობით (შემონახული აქვს პეკატეოსის ცნობა), ხოიები მოსახლეობენ „ბეხეირიკას" მეზობლად და მათ აღმოსავლეთით ბიძერები ესაზღვრებიან. ამ ცნობის მიხედვით, ხოიები უნდა მოთავსდნენ შავიზღვისპირეთში ბექირებსა და ბიძერებს შორის. თუ ბექირები რიზეს მახლობლად ცხოვრობენ, ხოლო ბიძერები ქ. ვიწესა თუ მდ. არქაბეს ჩრდილოეთით,[113] უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხოიები ცხოვრობდნენ დაახლოებით ოფიუნტი-ვიწეს თუ არქაბეს შორის. ფსევდოსკილაქსით აღნიშნული ტერიტორია უკავია ეკხირიელების ტომს. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, მათ ამ ტერიტორიის ნაწილი უნდა სჭეროდათ.[114] ფსევდოსკილაქსთან არ არის დასახელებული ხოი, ხოლო პეკატეოსთან ეკხირიელები. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ პეკატეოსის ხოი ფსევდოსკილაქსის ეკხირიელს შეესატყვისება. ეკხირიელში „ე" პრეფიქსი, ხოლო „კხირ" ფუძე უნდა იყოს.

---

109 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 44.

110 П.Н. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н.э. — ВДИ, 1946, №2, с. 36.

111 И.М. Дьяконов. Хетты, фригийцы и армяне. — «Переднеазиатский сборник», с. 367.

112 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა... გვ. 103-104.

113 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 84.

114 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 33.

ამ ტომის სახელს ზოგიერთი მკვლევარი აკსირიელების ფორმით კითხულობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნახურ ენებში „აკხაი“ (აკხაელები) ნიშნავს „აკხას შთამომავლებს“, თუ ამ ეთნონიმში „ა“-ს პირველ ძირად მივიჩნევთ, მაშინ „კხა“ მეორე ძირი ნიშნავს „მიწას“, „Пашня“, „нива“. ნახურ ლექსიკონში „აკხა“ განმარტებულია, როგორც „მხეცი“, „ველური“ და სხვა.[115] როგორც ჩანს, რ. პლიევი ფიქრობს, რომ აკხას ტომის მამამთავარი უნდა ყოფილიყო ვინმე აკხა. იქვე მიუთითებს, რომ არის დოკუმენტური მასალა იმისა, რომ აკხას შთამომავლები ნახების მონათესავენი არიან.[116] მკვლევარი არაფერს გვეუბნება ჭოროხის შესართავის სამხრეთით მოსახლე აკსირებისა და ნახების მონათესავე ტომის აკხიების შესაძლებელ კავშირზე. საერთოდ ნახურში „კხერ“ ქვას ნიშნავს.[117] ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ ეთნონიმს თარგმნიან, როგორც „спокойно живушие“[118] ეს იგივე ტომია, რაც მახერონი (მაკერონი, მაქელონი), ოღონდ „მა“ პრეფიქსით შემოსილი. რადგან ამ სატომო სახელწოდებაში ფუძის პირველი ბგერა „ხ“, „კხ“, „ქ“ და „კ“ ბგერებითაა გამოხატული, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ჩვენ უნდა დავუშვათ ისეთი თანხმოვანი, რომელიც ძველბერძნულსა და რომაულს არ გააჩნდა.

ფსევდოსკილაქსი ეკხირიელების ტერიტორიაზე ასახელებს მდინარეებს — პორდანისსა (ფორტუნა-სუ) და არაბის (სუხა-დერე), ქალაქებს ლიმნასა და ელინურ ქალაქს ოდინს.[119] კლავდიოს პტოლემაიოსი (II ს.) ეკხირიელების ტერიტორიაზე ასახელებს ქალაქებს რიძუს, ათენის ციხეს, კორდილეს, მორთულას და მდ. არქაბიოსს.[120]

ეკხირიელების შემდეგ, სამხრეთისაკენ, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, როგორც აღინიშნა, მოსახლეობდნენ ბესირები (ბექირები). ამ ტომის კავშირის შესახებ პლუტარქეს (II ს.) ბაკხირებთან ვერაფერს ვიტყვით. ეს უკანასკნელნი შესაძლებელია ეკხირიელებს უკავშირდებოდნენ. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ბექირები რიზეს

---

115 Р. Плиев. Хранитель тайн — язык. М., 1997, с. 12, 14.

116 იქვე. გვ. 14.

117 იქვე. გვ. 61, 101.

118 Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия... с. 160.

119 ВДИ, 1947, №3, с. 242.

120 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. — მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 42.

რაიონში მოსახლე თემი ჩანს.[121] ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, ისინი ჭოროხის ხეობაში მოსახლე ტომია.[122] ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, აპოლონიოს როდოსელისა და სტრაბონის ცნობების შეჯერების საფუძველზე — თ. ქემერტელიძე ვარაუდობს, რომ „ბექირი“ იყო სკვითინების სათემო სახელწოდება. ბექირები (იგივე ბოხები) ანუ ე.წ. სკვითინები სახლობდნენ ჭანეთის (ლაზეთის) ანუ სკიდისეს მთის კალთებზე კლარჯეთისა და პარხლის ქვეყანათა მსაზღვრელი მთა ორჯოხიდან, ვიდრე თეხე-ზიგანი დაღის მიდამოებამდე, სადაც ისინი ემიჯნებოდნენ მაკრონებს. სამხრეთ-დასავლეთიდან მათ ეკლეცი (აკილესენა) საზღვრავდა. ბექირებს ტაოელთაგან მდინარე ჭოროხი ყოფდა. ჭოროხი მიჯნავდა ბექირებს სპერელი ხალიბებისაგან, რომლებიც ჭოროხის ზემო დინების ასევე მარჯვენა მხარეს სახლობდნენ. ამრიგად, ბექირებს სჭერიათ მდინარე ჭოროხის სათავეები და ზემო და შუა დინების მარცხნით მდებარე ადგილები.[123] ბექირების ასეთ განერცობაზე სამხრეთის მიმართულებით წყაროები დუმან. ჯერჯერობით არ არსებობს ხელმოსაკიდი მასალა, რომლებიც დახმარებას გაუწევდა მსგავსი აზრის განვითარებისათვის.

ფსევდოსკილაქსის მიხედვით, ბექირების მიწა-წყალზეა ელინური ქალაქი ბექირიადა,[124] რომელსაც ჩვეულებრივ რიზესთან აიგივებენ. ჩვენი აზრით, უფრო მართებული უნდა იყოს პ. ინგოროყვას მსჯელობა ბექირიადას ადგილმდებარეობის ძიების საკითხში და აქედან გამომდინარე ბექირების საცხოვრისის ლოკალიზაცია. მკვლევრის აზრით, ბექირების სატომო სახელი კავშირშია პუნქტის სახელთან ბექირი, რომელიც ადრე ერქვა დაბა სურმენეს.[125] მართლაც და, თუ ოფიუნტსა და არქაბესს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ ეკხირები (V ს. ბერძენი ანონიმი), მაშინ რიზეს მიდამოებში ბექირების ლოკალიზაცია თავისთავად გამორიცხულია. ბექირების ტომის ტერიტორია ოფიუნტის წყლისა და ქალაქ ოფისს შემდეგ დასავლეთის მიმართულებითაა საძებარი. მათი საცხოვრისი ძირითადად მაინც პისოსის (ყა-

121 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 44.

122 ВДИ. 1947, №3, с. 242, сколио 15.

123 თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1998. გვ. 24.

124 ВДИ. 1947, с. 242.

125 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 203, სქოლიო 2 ა, 272.

რა-დერე) ხეობით შემოიფარგლებოდა. ამავე მდინარის შესართავთან მდებარე ანტიკური ხანის პისოსი და შემდეგდროინდელი სურმენე უნდა იყოს ბექირების ტომის ცენტრი — ბექირიადა. ზოგიერთი მკვლევარი ბექირების სიახლოვეს ყარა-დერეს ხეობაში კოქსილანის ჭანებს ათავსებს. ამჯერად, მათი ურთიერთმიმართების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ქრება სატომო სახელი ბექირი და მათ ადგილს ჭანი იმკვიდრებს.

ბექირების ახლოს, დასავლეთით, შავი ზღვის გასწვრივ, ჰეკატეოს მილეტელის მიხედვით, უნდა მოთავსდეს ტომი მაკრონები. ესენი ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის სანახებში.[126] ფსევდოსკილაქსის თანახმად მაკროკეფალებს აქვთ ელინური ქალაქი ტრაპეზუნტი (თანამედროვე ტრაპზონი) და ნავსადგური ფსორონი (ახლანდელი ფოლბაზარის მახლობლად).[127] ამ ტომის სახელწოდება ბერძნულ-რომაულ მწერლობაში სამი ფორმითაა წარმოდგენილი. მაკრონების შესახებ ცნობები დაუცავთ: ჰეკატეოს მილეტელს, ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, ფსევდოსკილაქს, ქსენოფონტეს, აპოლონიოს როდოსელს, დიოდორე სიცილიელს, სტრაბონს, არიანეს, პომპონიუს მელას, პლინიუს უფროსს, ფსევდოარიანესა და სხვებს. სტეფანე ბიზანტიელი მაკროკეფალებს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ნახევრად ძაღლები, გრძელთავიანები და პიგმეები..."[128] მაკროკეფალი ი. სიხარულიძის აზრით, მაკრონის ბერძნული გააზრების შედეგად უნდა იყოს მიღებული. ეს უკანასკნელი ბერძნული „მაკროს"-იდან (გრძელი) მომდინარეობს, ე.ი. მაკროკეფალი ნიშნავს გრძელთავიანს.[129] ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მაკრონი მარგალ-მეგრელს უნდა უკავშირდებოდეს.[130] ი. სიხარულიძის ვარაუდით მაკრონი უნდა უკავშირდებოდეს არა ქართულ „მეგრელს", არამედ მეგრული ტერმინის „მარგალ"-ის თავდაპირველ ფორმას

---

126 ა. ხახანაშვილის აზრით, მაკრონები ცხოვრობდნენ მდ. ირისის აღმოსავლეთით ტრაპეზუნტამდე (А. Хаханов. Древнейшие пределы... с. 9). მისივე აზრით, მაკროკეფალები ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ბინადრობდნენ, სადაც ახლა მოსახლეობენ ლაზები. თუმცა აქვე მაკრონებსა და მაკროკეფალებს შორის ტოლობის ნიშანს სვამს (იქვე. გვ. 12); ნ. კეჭაყმაძის ვარაუდით, ისინი რიზე-ათინას მიდამოებშია საძებარი (ფლავიუს არიანე... გვ. 113-114).

127 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 86.

128 გეორგიკა. ტ. III, ტფ., 1936, გვ. 281.

129 ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა. II, ბათ., 1959, გვ. 19.

130 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. 1, თბ., 1913, გვ. 29.

„მაგრ-ალ-ი“.[131] გ. მელიქიშვილი იზიარებს ა. ჩიქობავას შეხედულებას, რომ მაკრონში გამოიყოფა ფუძე არგ-აგრ-აკრ-ეგრ (მ-არგ-ალი, მე-ეგრ-ი, მ-ეგრ-ელი, ეგრ-ისი). მაკრონი არის ქართული ტერმინის „მეგრელი“ ეკვივალენტი და წარმოებულია ჭანური სუფიქსით „ონ“-ით.[132] თ. მიბჩუანის მიხედვით, მაკრონების მეგრელებთან გაიგივება მოჩვენებითია. თუ „მეგრელი“ მომდინარეობს სიტყვიდან ეგრისი, მაშინ რა შუაშია აქ ბერძნული „მაკრონი“? (ბერძნულად მაკრო ნიშნავს დიდს).[133] გამოთქმულია შეხედულება, რომ მაკრონი — ბერძნულია და „გაშლილ ნაპირს“ ნიშნავს.[134] ჩვენი აზრით, მაკრონი ბერძნული ტერმინი არ უნდა იყოს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ ტომის წარმომადგენლები ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი მაკრონების სვანური წარმომავლობის შესახებაც.[135] ქართულ ლექსიკონში „მაკროკეფალი“ განმარტებულია, როგორც „დიდთავიანი ადამიანი“.[136] არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ბერძნული „მაკრო“, სვანური „მეგრე“ და ტერმინი „მეგრე-ლი“ ერთი წარმომავლობის სიტყვები იყოს.[137] ტერმინ მაკრონის წარმომაელობისა და მისი სავარაუდო კავშირის შესახებ ეთნონიმ მეგრელთან (მარგალთან) საინტერესო შეხედულება გამოთქვა ედ. ყიფიანმა. მისი აზრით, მაკრონში ფუძეა „მაკრ“. ეს სიტყვა ქსენოფონტმა თვით მაკრონთაგან გაიგონა, ამიტომ, ნამდვილად ასე გამოითქმებოდა, აქ კ გ-ს სახეცვლილებაა, ე.ი. სანამ მეტათეზისი მოხდებოდა, კოლხების ერთ-ერთი ტომი თავის თავს მაკრებს (მაგრებს) უწოდებდა. მეგრელი თავის თავს მარგალს უწოდებს, რაც ნიშნავს იმას, რასაც ქართულად მეგრელი. პირველად უნდა ყოფილიყო ან ეგრ (აგრ) ან ერგ (არგ), როგორც ჩანს, მეტათეზისი მოხდა მეგრულში.[138]

---

131 ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 20.

132 Г.А. Меликишвили. К истории... с. 79.

133 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 160.

134 А. Доватур и др. Народы нашей страны... с. 198, ком. 109.

135 მ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი, თბ., 1996, გვ. 141, 272.

136 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედ., ტ. V, თბ., 1958, გვ. 26.

137 ზ. ჭუმბურიძე. მცდარი ეტიმოლოგიური ძიებანი. — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1992, №2, გვ. 141.

138 ედ. ყიფიანი. დასაბამიდან ფარნავაზამდე, ჟურნ. „ცისკარი“, 1991, №4, გვ. 136.

ძვ. წ. I საუკუნეში მაკრონთა სატომო სახელი დაფარული ყოფილა სანთა (ჭანთა) სახელით. როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფოს დასუსტებით ისარგებლეს პარიადრ-ჭანეთის მთის სექტორში მოსახლე ჭანებმა და ტრაპეზუნტისა და ხარშუტის ხეობის მიდამოებში მცხოვრები მაკრონები დაიმორჩილეს. ტრაპეზუნტ-არქაბეს შორის ანტიკური წყაროები, რამდენიმე ტომს ასახელებენ. ისინი დღეს ორი საერთო სახელის ჭანისა და ლაზის სახელებითაა ცნობილი. ისინი არც ადრე არ წარმოადგენდნენ ენობრივად დაყოფილ ერთეულებს. ეს თემები სხვადასხვა დროს განსხვავებული სახელით გვევლინებიან, იმის მიხედვით თუ რომელი ტომი ან თემი ჰეგემონობდა, ხოლო, როცა არ არსებობს მათი ერთობა, ან ანტიკური ავტორები ახლოს ეცნობიან მათ, აშკარავდება მათი დაყოფა თემებად, ხეობებად თუ ტომებად. როგორც ჩანს, მარტო მაკრონები არ მონათლულან სანებად, არამედ დრილებიც — შენიშნავს დ. ხახუტაიშვილი.[139] სან-მაკრონების სახელი VI-II საუკუნეებში ზღვის სანაპიროზე „კოლხ" სახელს ჰქონია დაფარული და აქა-იქ თუ გაიელვებდა აქ მოსახლე ტომის ნამდვილი სახელი. სომხური წყაროები ტრაპეზუნტის მიმდგომ ქვეყანას ჯანიკს ან ხალტიქს უწოდებენ. მ. ჰანარეტი, იოანე საბანის ძე და მატიანე ქართლისაის ავტორიც ამ ქვეყანას ხალდი-ქალდიას უწოდებენ, ვახუშტი ბაგრატიონი - ჭანეთს. დ. ხახუტაიშვილის აზრით, კერასუნტ-ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრებთათვის ძირითადი სატომო სახელი ჭანი ყოფილა. ლაზები მათ მწიგნობრული გზით შეერქვათ.[140] XV საუკუნეში ჭანებს უკვე „კოლხიდის ადგილები ქ. ამასტრიამდე" უჭირავთ.[141]

ჰეკატეოს მილეტელთან მოხსენიებულია ტომი მარები. მათ ზოგიერთი მკვლევარი ქართველ ტომებად მიიჩნევს.[142] ამ ტომს იცნობს ჰეროდოტეც. მომდევნო ხანის მწერლები (ფსევდოსკილაქსი, აპოლონიოსი) მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ყველა ტომს მოიხსენიებენ, რატომღაც მარებს არ ასახელებენ. სად მოსახლეობენ მარები? ჰეკატეოსი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომთა ჩამოთვლისას მარებს მაკრონებსა და მოსინიკებს შორის ასახე-

139 დ. ხახუტაიშვილი. შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები... გვ. 54
140 იქვე.
141 გეორგიკა, ტ. 8, თბ., 1970, გვ. 107.
142 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 47.

ლებს.[143] ჰეროდოტეს ცნობის მიხედვით, მარები კოლხების მეზობლები არიან, იმ კოლხებისა, რომლებიც ტრაპეზუნტის რაიონში მოსახლეობდნენ.[144] სტეფანე ბიზანტიელი „ტომების აღწერაში" ამბობს: მარები მოსინიკების მეზობელი ტომია.[145] გ. მელიქიშვილის აზრით, მარები შესაძლოა წარმოადგენდნენ ჩრდილო ანატოლიის მთებში მოსახლე ტომს. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი ნაწილობრივ ფარავს ხალდების სახელს, რადგან ჰეროდოტესთან, მე-19 სატრაპიაში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მოიცავს, ეს ტომი არ მოიხსენიება. მკვლევარი ვარაუდობს, რომ მარები კოლხების მეზობლები არიან.[146]

ა. ხახანაშვილის აზრით, ჰეკატეოსის მარები მოსინიკების დასავლეთით მოსახლეობდნენ. მკვლევარი იქვე იმოწმებს რაულინსონს და მიუთითებს: მარები შეიძლება იყოს ის კოლხები, რომელთაც ქსენოფონტი მაკრონებსა და მოსინიკებს შორის მთებში ათავსებს. ეს შეხედულება თუ სწორია, ამბობს ა. ხახანაშვილი, მაშინ ისინი პარიადრის ოლქის ტერიტორიაზე უნდა მოთავსდნენ.[147] მარების საცხოვრისს ჭოროხის ხეობაშივე ეძებს გ. ქავთარაძეც. იგი აპოლონიოს როდოსელის მიერ დასახელებულ ორონიმ ამარანტში, რომლიდანაც ფასისი მოედინება, გამოჰყოფს პრეფიქს „ა"-ს და სუფიქს nd || hth და აკავშირებს ეთნონიმ „მართა"-ნ. მკვლევარი ამ შემთხვევაში ფასისს ჭოროხად მიიჩნევს, რადგან მის შენაკად ლიკოსში შეიძლება ოლთისი შევიცნოთ.[148] მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჰეროდოტეს მიხედვით მარებსა და კოლხებს საერთო მხედართმთავარი ჰყავთ სპარსულ არმიაში. რადგან ისინი კოლხებსა და მოსინიკებს შორისაა საგულვებელი, ამიტომ არაა გამორიცხული მათი საბინადრო ადგილები მდ. ჭოროხის ზემო წელთან თუ მის მახლობლად ყოფილიყო.[149]

როგორც აღინიშნა, ჰეკატეოსის მიხედვით, მარები მაკრონებსა და მოსინიკებს შორის მოსახლე ტომია, ხოლო ჰეროდოტეს ცნო-

---

143 ВДИ, 1947, №1, с. 301.
144 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. II, თბ., 1976, გვ. 435.
145 ВДИ, 1948, №3, с. 322.
146 Г.А. Меликишвили. К истории... с. 255.
147 А. Хаханов. Древнейшие пределы... с. 14.
148 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში... გვ. 88.
149 იქვე, გვ. 89.

ბით, ისინი ტრაპეზუნტელი კოლხების სიახლოვეს ბინადრობენ, ეს ორივე ტომი ერთ სატრაპიაში მოქცეული და ამავე დროს მათ სპარსეთის არმიაში საერთო მხედართმთავარი ჰყავთ. სტეფანე ბიზანტიელის გადმოცემით კი მარები კოლხებისა და კერასუნტის მიდამოებში მოსახლე მოსინიკებს შორისაა სავარაუდებელი. მარები, როგორც ჩანს, მოსინიკების თანამეტომეები, სვანურენოვანი ჯგუფი იყო, მაგრამ, არც ისე მცირერიცხოვანი, რადგან ამ შემთხვევაში ისინი ვერ მოხვდებოდნენ ჰეროდოტეს თვალთასედვის არეში. არ გამოვრიცხავთ, რომ მოგვიანებით — აპოლონიოს როდოსელთან დასახელებული ფილირები იყო იგივე ტომი, რაც მარები. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ორი სატომო სახელწოდება ერთმანეთს ფარავს კიდეც. მარების სატომო სახელწოდება ძვ.წ. V საუკუნის დასასრულისათვის უკვე გამქრალია, ამ დროს ქსენოფონტს ისინი არ შეხვედრია, რომელმაც ტრაპეზუნტ-კერასუნტს შორის მანძილი ფეხით გაიარა. ბერძენი მწერლის გადმოცემით, მაკრონებისა და კოლხების ტერიტორიის შემდეგ მოსინიკები მოსახლეობდნენ და არა მარები. ამ დროს მარები მოსინიკების სატომო სახელითაა დაფარული ან ისინი აქედან აყრილნი და მოშორებულ ტერიტორიაზე გადასახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ტერმინი „მარი“ შესაძლებელია მომდინარეობდეს სვანური „მარე“-დან („კაცი“-ვაჟკაცის მნიშვნელობით), ადამიანის საკუთარი ან გვარსახელიდან (მარი, მარსიესი), ან როგორც ფიქრობენ ჭურჭლის ერთგვარი ტიპის სახელიდან (მარი),[150] ამ ეთნონიმის სახელის კავშირის შესახებ ამარანტებთან, მარიანდინებთან, მარ-მიდებთან, მარითთან, მარგუსთან (არგვეთი), მარგალთან (მეგრელი) ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

ჰეკატეოსის, ქსენოფონტეს, ფსევდოსკილაქსისა და აპოლონიოსის ცნობები ტრაპეზუნტის რაიონისა და მაკრონების (ზოგჯერ დასახელებულია კოლხები ან მარებიც) შემდეგ მოსახლეობენ მოსინიკები, რომელთაც აქვთ ქალაქი ქოირადესი.[151] ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, სოირადესი იგივე კერასუნტია.[152] ზემოთ აღნიშნული წყაროების გარდა, მოსინიკებს იცნობენ სხვა

---

150 ვ. მაკარაძე. მარითის ხეობის ისტორიისათვის, გაზ. „აჭარა“, 1995, 28 ივნისი.

151 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 43; ВДИ, 1948, №3, с. 242.

152 იქვე, გვ. 242, სქოლიო 17.

წყაროებიც (ჰეროდოტე, ეფორისი, სტრაბონი, სკიმნოს ქიოსელი, დიდიმი ალექსანდრიელი, ნიკოლოზ დამასკელი, დიოდორე სიცილიელი, პომპონიუს მელა, დიონისიოს პერიეგეტი და სხვები).

მოსინიკები, მკვლევართა დაკვირვებით, ბინადრობდნენ კერასუნტის მიდამოებიდან მოყოლებული, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დიდ სივრცეზე.[153] მოსინიკებს სამხრეთში ეკუთვნოდათ ოლქი ქსერქსენა (დერჯანი), რომელიც ძვ.წ. 189 წელს სომხებმა მიისაკუთრეს.[154] აპოლონიოსის მიხედვით, მოსინიკებს იმიტომ უწოდებენ, რომ ისინი ცხოვრობენ ხის კოშკებში, რომელთაც მოსინები ეწოდებათ.[155] მსგავს ცნობას იძლევა სტრაბონი და დიონისიოსიც.[156] სტეფანე ბიზანტიელის გადმოცემით, მოსინიკები ჰქვიათ „ჰიპემოლგებს", მათი ბინების გამო, ხოლო ჰიპემოლგები იმის გამო, რომ ისინი ცხენებს წველიან.[157]

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული ეთნონიმ „მოსინიკის" ეტიმოლოგია. იგი ამ სატომო სახელწოდებაში გამოყოფდა ძირს სსინ || სსან, რომელიც უდრის ჭანს, ხოლო მო || მა პრეფიქსია.[158] გ. მელიქიშვილის აზრით, მოსინიკი შეიცავს ბერძნულ სიტყვას „მოსსინ" — „კოშკი". ითვლებოდა, რომ ეს სახელწოდება წარმოიშვა კოშკი-მოსინებისაგან, რომლებშიც ამ ტომის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ; მაგრამ ეს სახელწოდება ბერძნული არ უნდა იყოს. იგი უფრო რომელიმე ქართული, ადგილობრივი სახელწოდების გაამრება ჩანს.[159] ეს ტომი თავისი სახელით ახლოს დგას ჩრდილოეთ კოლხეთში (თან. აფხაზეთის ტერიტორიაზე) მოსახლე ტომის, სანიგების სახელთან. ამიტომ შესაძლებელია, რომ მოსინები იყვნენ ამ ტომის ნარჩენი სამხრეთში, ჩრდილოეთის მიმართულებით გადმონაცვლების შემდეგ. ასეთ შეხედულებას თითქოს ამ ორივე ტომის საცხოვრებელი-მოსინური სახლებიც ადასტურებს.[160]

---

153 Г.А. Меликишвили. К истории... с. 79 და თანდართული რუკა;

154 Страбон. География, с. 498.

155 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 90.

156 Страбон. География, с. 515; ВДИ, 1948, №1, с. 241.

157 გეორგიკა, III, ტფ., 1936, გვ. 282.

158 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 404-405.

159 Г.А. Меликишвили. К истории... с. 79.

160 იქვე, გვ. 80.

თ. მიქელაძის აზრით, შესაძლებელია, მოსინიკები თუ მოსინები სვანთა ერთ-ერთი ტომი იყოს; იგი სატომო სახელსა „მოსინ“-სა და სვანების თვითსახელს „მუშუან“-ს შორის კავშირს ხედავს.[161] თ. მიბჩუანიც მიიჩნევს, რომ მოსინიკები სვანები არიან. ტერმინ „მოსინიკში“ უნდა გამოიყოს მო || მუ პრეფიქსი და ფუძე შინი || შვან. მოსინიკის ნაირსახეობაა „მუშუანი“ და „მისიმიანი“,[162] რაც სარწმუნო ჩანს. მეცნიერი სხვა ნაშრომში იძლევა ტერმინის ეტიმოლოგიასაც. მისი აზრით, „მუშუნ“ ნიშნავს „მელითონეს“. აქვეა მითითებული, რომ ძველ ქართულ ტომთა სახელები — ხალიბები, თუბალები, ტიბარენები ლითონის სახელთანაა დაკავშირებული.[163]

ალ. სახანაშვილის აზრით, ტიბარენების მეზობელი მასნაკი, ბიბლიის მეშეხი, ასურული წყაროების მუსკი, მუშქი, ქართული წყაროების მესხი და ჰეროდოტეს მიერ მოხსენიებული მოსინიკი ერთი და იგივე ტომია.[164] შ. ინალ-იფას ვარაუდით, მოსინიკი დაკავშირებული უნდა იყოს ჩრდილოეთის აფსაზურ ტომთან სანიგსანებთან.[165] ზოგიერთების აზრით, მოსინიკები მაჭახლელები არიან, ან კიდევ მაჭახლელების, შავშებისა და არტანუჯელების წინაპრები.[166] ასეთი შეხედულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

თ. ყაუხჩიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ საეჭვოა ამ ქართველურ ტომს (ე.ი. მოსინიკებს) წმინდა ბერძნული ეტიმოლოგიის სახელი ჰქონოდა. დასაშვებია, რომ ადგილობრივი სახელი ბერძნებმა დაუკავშირეს მათთვის ცნობილ სიტყვას, ფონეტიკური მსგავსების ნიადაგზე.[167] მას მოსინი მიაჩნია ქართველურ ტომთა საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ფორმად.[168] ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას აზრით, მოსინიკი ქართული სიტყვისაგან „მოშენა“, ან მოშკი (კოშკი), ან ირანული მასუგ (კოშკი) უნდა მომდინარეობდეს.[169]

---

161 თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 13-14.

162 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 42-46.

163 თ. მიბჩუანი. სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის. — სქაუქბ, გვ. 468.

164 А. Хаханов. Древнейшие пределы расселения Грузии по Малой Азии. Тф., 1891. с. 4.

165 Ш.Д. Инал-ипа. Абхазы, изд. «Алашара» 1965, с. 90, 97.

166 Л.С. Исарлов. Письма о Грузии, Тиф., 1899, с. 246.

167 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 133.

168 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980, გვ. 102.

169 Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия — историческая область Грузии. Тб., 1997, с. 545.

თუ მივიჩნევთ, რომ მოსინიკები იგივენი არიან, რაც სანები (ჭანები), ან სანიგები, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სატომო სახელი არ უნდა მომდინარეობდეს სის კოშკის სახელ მოსინისაგან, რადგან ამ ტომის სახელის საწყისი „მო" პრეფიქსადაა მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში საესებით დასაშვებია ეთნონიმის სახელწოდების მომდინარეობა სის საცხოვრებლის ერთ-ერთი ტიპის სახელიდან „მოსინები" დაერქმიათ უცხოელებს. მეორე მხრივ, თუ მივიჩნევთ, რომ მოსინიკები იგივე სვანთა ტომია ან სახეცვლილი ფორმაა მუშუასისა, მაშინ გამოდის, რომ სანებიც (სანიგები, ჭანები) სვანური ტომი უნდა იყოს.

უცხოელ მეცნიერთა უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთს მიიჩნევს მეტალურგიის სამშობლოდ. ქართველური მოდგმის ტომებს ხალიბებს, ხალდებს და მოსინიკებს ფერადი ლითონებისა და რკინის პირველმწარმოებლად მთელ მსოფლიოში. ინგლისელმა მეცნიერმა ჰ. კარპენტერმა და პოლონელმა მკვლევარმა შტ. პშეორსკიმ მოსინიკები აღიარეს განსაკუთრებული და მაღალი ხარისხის სპილენძ-ბრინჯაოს მაწარმოებელ ტომად მსოფლიოში. ამავე ავტორების აზრით, თითბრის წარმოების ხელოვნება პირველად მოსინიკებმა აღმოაჩინეს, რომელიც შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა.[170] გამოთქმულია მოსაზრება, რომ არა მარტო ევროპულში, არამედ აღმოსავლურ ენებში (კერძოდ, სპარსულში) სპილენძის აღმნიშვნელი ტერმინი „მეს", „მესინგ" მოსინიკების სატომო სახელისაგან წარმოდგება.[171]

მოსინიკების დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ჰეკატეოსის, ქსენოფონტის, ფსევდოსკილაქსისა და აპოლონიოსის ცნობების მიხედვით, ლოკალიზდებიან ტიბარენები.[172] ესენი მოსახლეობდნენ კოტიორასთან (თანამედროვე ორდუ), აგრეთვე მის აღმოსავლეთით 2 დღის სავალ გზამდე.[173] მკვლევართა დაკვირვებით ეს ეთნიკური ჯგუფი ნაშთია თობელთა იმ დიდი ჯგუფისა, რომელსაც სალმანასარ III-ის (859-824 წწ.) დროს, მცირე აზიის სიღრმეში ჰქონდა 24 სამეფო თუ სამთავრო. ეტყობა, ბევრი გარემოების გამო, ამ ტომთა გარკვეულმა ნაწილმა გამოიწია

170 გ. კეირკველია. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976, გვ. 15.

171 იქვე, გვ. 16.

172 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები... გვ. 30, 34.

173 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 44, 85.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ნაწილმა კი თავი შეაფარა ჯერ ჭოროხის ქვემო დინების მიმდინარე ტერიტორიას, ხოლო შემდეგ, მათი გარკვეული ნაწილი, აღმოსავლეთი საქართველოს მიწა-წყალს შეეფარა,[174] სადაც მათ დააარსეს დასახლება თბილისი.[175]

მკვლევართა გარკვეული ნაწილი არ იზიარებს თაბალებისა და ტიბარენების იგივეობას. მათი აზრით, ტიბარენები კასკეის ოლქის სახელწოდებიდან — „ტიბია" მომდინარეობს. ტერმინი ტიბარენი ტაბალის სახელწოდებას ჰგავს მხოლოდ გარეგნულად, და არ მტკიცდება არც გეოგრაფიულად, არც ლინგვისტურად.[176] მართლაც, თობალები საქვეყნოდ განთქმული მეტალურგები იყვნენ,[177] ხოლო ტიბარენები ცხვრების სიმრავლით განთქმულნი.[178] ლ. მელიქსეთბეგის მიხედვით, თუბალ-კაინები იგივე ივერო-ჭანები არიან.[179] ნ. მარის, ს. გორგაძისა და ს. ჯანაშიას მიხედვით თობალები ტიბარენები — იბერები არიან.[180] თ. სახოკიას აზრით, ტიბარენები თანამედროვე მეგრელების წინაპრები არიან. „ტიბარენი" მეგრულად „ტბაზე მოსახლეს" ნიშნავს.[181] ანტიკური წყაროებიდან ჩანს, რომ ამ ტომის სახელწოდებაში (ტიბერენი, ობარენი, პაბარენი) უნდა გამოიყოს პრეფიქსები ტი-პა-ო. როგორც ჩანს, ამ ეთნონიმში „ბარ"-„ბერ" ფუძეა. მაგრამ ეს გარემოება ტიბარენისა და იბერის გაიგივებისათვის საკმარისი არაა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველ წყაროებში (იოსებ ფლავიუსი, ევსტატი,

---

174 ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 1915, გვ. 34.

175 ს. გოგიტიძე. ასურულ-ურარტული ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ (ძვ.წ. IX-VIII სს. შუა ხანები), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. XXI რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, 1993, გვ. 3; მისივე ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., 1998, გვ. 80-95.

176 И.М. Дьяконов. Малая Азия... с. 52.

177 „თობელ იყო კუერით სურო მჭედელი რვალისა და რკინისა" (დაბად. 4,22); თობელი იყო მჭედელი და მესპილენძე (მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა ლ. ღაღლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 42).

178 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 90.

179 Л. Меликсет-беков. Введение в историю государственных образований Юго-Кавказа, Тиф., 1924, с. 29, 98.

180 ს. ჯანაშია. შრომები. III, თბ., 1959, გვ. 58 და შემდ. ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, გვ. 26; По этапам развития яфетической теории, сборник статей Н. Марра, М-Л., 1926, с.79.

181 თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 1956, გვ. 75. სქოლიო.

იოანე ზონარა) ერთხმადაა მითითება იბერების თობალებისაგან მომდინარეობა.[182] აღსანიშნავია ისიც, რომ ტიბარენების ტერიტორიაზე ორდუს მიდამოებში ნაპოვნია კოლხური ცულების განძი, რაც მკვლევართ აფიქრებინებს, რომ კოლხური კულტურის გავრცელების არეალი დასავლეთის (სამხრეთ-დასავლეთის) მიმართულებით კოტიორას სწვდებოდა.

ძველ ბერძენ ლოგოგრაფოსთა ცნობებიდან ჩანს, რომ ტიბარენთა დასავლეთით მოსახლეობდნენ ხალიბები. ჰეკატეოსთან დასახელებულია მათი ქალაქი სტამენე,[183] რომელიც თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით ქ. ორდუს მახლობლად არის საძებარი.[184] ფსევდოსკილაქსი სტამენას ელინურ ქალაქად ასახელებს. გარდა ამისა, ხალიბებს ჰქონიათ დახურული ნავსადგური გენეტისი და ელინური აკროპოლისი იაზონია.[185] მკვლევართა ვარაუდით გენეტისი თანამედროვე ხანეტ-კალესია, ხოლო იასონია იაზუნ-ბურნუ.[186] ხალიბები ცხოვრობდნენ ჰალისის ქვემო წელისა და შესართავის რაიონში. ჰეკატეოსის ცნობით, მათ სამხრეთიდან არმენიელები ესაზღვრებოდნენ.[187] ВДИ-ის მიხედვით ეს ხალხი თავის თავს უწოდებდა ურარტუს და იყო ძველი ხალხი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.[188]

ცნობილია, რომ ურარტელებად იხსენიებიან არა ხალიბები, არამედ ხალდები. მეორეც, ამ ქვეყნის მოსახლეობას თავისი თავისთვის ურარტუ არასოდეს უწოდებია. ხოლო, რაც შეეხება ცნობას, რომ ხალიბების სამხრეთით არმენიელები ცხოვრობდნენ, აქ ნ. ლომოურის დასკვნით, უდავოდ მცირე არმენია უნდა იგულისხმებოდეს.[189] სწორედ, ხალიბების ტერიტორია წარმოადგენდა კოლხური ეთნიკური მასივის (ქართულ-ზანური ენობრივი ერთობა) გავრცელების არეალის დასავლეთ საზღვარს.[190]

---

182 ВДИ. 1948, №3, с. 237; გეორგიკა, ტ. 6, თბ., 1966, გვ. 182.

183 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები... გვ. 30; ВДИ, 1947, №1, с. 301.

184 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 44.

185 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები... გვ. 34.

186 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 86.

187 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები... გვ. 30.

188 ВДИ, 1947, №1, с. 301. сколио 7.

189 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები... გვ. 18.

190 დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა", I, ბათ., 1995, გვ. 44.

მაშასადამე, ძველბერძენ ავტორთა (ჰეკატეოს მილეტელი, ფსევდოსკილაქსი) ცნობებიდან ჩანს, რომ ძვ.წ. VI-IV სს.-ში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეობდნენ: ბიძერები, ეკხირიელები (ხოი), ბექირები, მაკრონები (მაკროკეფალები), მარები (ამ ტომს ფსევდოსკილაქსი არ ასახელებს), მოსინიკები, ტიბარენები და ხალიბები. ძვ.წ. III ს. მწერალი აპოლონიოს როდოსელიც მდ. ჰალისის მიდამოებიდან ფაზისის კოლხებამდე მცხოვრებ ტომთა ასეთ სიას იძლევა: ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ფილირები, მაკრონები, ბექირები და საპირები.[191]

ზემოთ მოტანილი ცნობების შედარებიდან ჩანს, რომ იქ, სადაც ძვ.წ. VI-IV სს-ის ავტორები ეკხირიელებს (ხოი) ასახელებენ, ძვ.წ. III ს. ავტორთან საპირები მოიხსენიება, ე.ი. ბექირებსა და ბიძერებს შორის. ხოლო იქ, სადაც ჰეკატეოსი მარებს ასახელებს (ე.ი. მაკრონებსა და მოსინიკებს შორის), აპოლონიოსი ფილირებს მოიხსენიებს.

რითი უნდა აიხსნას ძველი ბერძნული წყაროების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები?

ჰეკატეოს მილეტელი და აპოლონიოს როდოსელი ტომებს ასეთი რიგით ასახელებენ:

1. მოსინიკები-მარები-მაკრონები, 2. მოსინიკები-ფილირები-მაკრონები.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მარები და ფილირები ერთი და იგივე ტომი უნდა იყოს. ასეთ შეხედულებას თითქოს ჰეროდოტეც ემოწმება. ქართველ ტომთა ჯგუფში, რომელიც სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდნენ და შედიოდნენ აქემენიანთა ორ სატრაპიაში (18, 19), ასახელებს მხოლოდ მარებს,[192] ხოლო ფილირებს საერთოდ არ მოიხსენიებს. აპოლონიოს როდოსელი კი პირიქით.

პ. ინგოროყვას მიხედვით, ფილირები მოსინიკთა სატომო ჯგუფს ეკუთვნოდნენ.[193] შესაძლებელია ქსენოფონტეს „პირიქითელ“ და „პირაქეთელ“ მოსინიკებში ფილირებიც (მარები?) იგულისხმებოდეს. აკ. ურუშაძე (იმოწმებს K. Hausen-ს) მიიჩნევს, რომ ფი-

191 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 90 და შემდეგი; ВДИ, 1947, №3, с. 280.

192 თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ისტორია, ტ. II, გვ. 435; მისივე, საქართველოს ისტორიის... გვ. 47.

193 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 203, სქოლიო 4.

ლირების საცხოვრისი ძეფირიონის (ახლ. ზეფრე, კერასუნტის აღმოსავლეთით) მთისწინეთში უნდა მოთავსდეს. მათი სახელი კუნძულ ფილირესაგან მომდინარეობს, რომელიც არესის კუნძულის შემდეგ (აღმოსავლეთით) მდებარეობს[194] აპოლონიოსის ცნობით, კერასუნტის პირდაპირ კუნძულზე არის არესის ტაძარი, ხოლო „კუნძულის მიღმა მოპირდაპირე ნაპირზე ცხოვრობს ფილირთა ტომი“. შემდეგ ნათქვამია: „ფილირებს ზემოთ მაკრონებია, მაკრონებს იქით — ბექირთა გვარი“.[195] იმავე ავტორის ცნობით, კ. არესის შემდეგ არის კუნძული ფილირე. ფილირე ქალის სახელი ყოფილა.[196] ორფიკული არგონავტიკის ავტორი კი წერს: გავირბინეთ სინოპეს კლდოვანი შვერილი, ფილირები, ნაპატები და საპირთა მჭიდროდ (დასახლებული) ქალაქები; მათ შემდგომ (კი) — ბიძერები და სიგინთა უცხოთმომძულე ტომები.[197] ფილირებს მომდევნო პერიოდში სხვა წყაროებიც (დიონისიოს პერიეგეტი, პელიუს ჰეროდიანე, რუფიუს ავიენი, ამიანუს მარცელინუსი, პრისციანე, სტეფანე ბიზანტიელი) მოიხსენიებენ, მაგრამ, მათთან რაიმე საბუთი ამ ტომის ლოკალიზაციის განსაზღვრისათვის არ მოიპოვება. თანაც ამ წყაროებს ფილირების შესახებ ცნობები, როგორც ჩანს, აპოლონიოს როდოსელისაგან უნდა ჰქონდეთ აღებული.

ჰეკატეოსისა და ფსევდოსკილაქსის მიერ მოხსენიებული ეხირიელები (ხოიები) გამოტოვებულია აპოლონიოს როდოსელთან და მათ ადგილას მასთან დასახლებულია საპირები. „არგონავტების“ საპირები ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით სასპირები არიან.[198] ამ პოემის ტექსტის ქართულად გამომცემლები წერენ: საპირები ბექირებსა და ბიძერებს შორის მოსახლე ქართველური ტომია. ესენი ჰეროდოტესთან სასპირებად მოიხსენიებიან. ალ. ჭყონიას მიხედვით, სასპირები ტიბარენებია, ხოლო ს. ჯანაშიას მიხედვით, იბერ-ქართები, რომლებიც ძველი ურარტუს ტერიტორიაზე, სამხრეთ ამიერკავკასიაში, მოსახლეობდნენ.[199] უფრო რეალური ჩანს შეხედულება, რომ საპირებში სასპირები იგივე იბერები

194 აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 23, 208, კომ. 6.

195 იქვე, გვ. 90.

196 იქვე, გვ. 113, 114.

197 ორფიკული არგონავტიკა, გვ. 104.

198 ВДИ, 1947, №3, с. 280. შენიშვნა 10.

199 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 57; Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашия. История Грузии. Часть I, Тб., 1950, თანდართული რუკა.

ვიგულისხმოთ. აპოლონიოს როდოსელის მოღვაწეობის ხანაში (ძვ.წ. III ს.) ახლად ჩამოყალიბებული და გაძლიერებული იბერიის სამეფოს მიერ (გაიხსენეთ ფარნავაზ მეფის ეპოქა) დასავლურ-ქართული ტომის ეკხირიელების დამორჩილების რეალური სურათი უნდა დავინახოთ. იბერიის სამეფო ძვ.წ. III საუკუნეში პირველად გამოვიდა შავ ზღვაზე მდ. ჭოროხის შესართავის რაიონში. ლეონტი მროველი ამ დროისათვის აჭარასაც ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციად მიიჩნევს. შესაძლებელია სწორედ ამიტომაა ლეონტი მროველთან აჭარელთა მიწა-წყალი ფარნავაზის ეპოქაში დაკავშირებული აღმოსავლურ ქართულ სამეფოსთან.

ახლა იმის შესახებ, თუ რომელი ქართველური ტომები მოსახლეობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის შიდა რაიონებში. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჰეკატეოს მილეტელის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობა: „მოსხები, — კოლხური ტომია, მატიენების მეზობლად."[200]

ამ ცნობის მიხედვით ძნელია მოსხების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რადგან ზუსტად არც მატიენების სამოსახლოა ცნობილი. საქმეს ისიც აბრკოლებს, რომ ჰეკატეოსის უმცროსი თანამედროვე ჰელანიკე მიტილენელი „ქალაქების დაარსებაში" იძლევა განსხვავებულ ცნობას მოსხების საცხოვრისის შესახებ: „კერკეტებს ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ქვემოთ — ჰენიოხები, ზემოთ კი — კორაქსები.[201] მსგავს ცნობას იძლევა პალეფატე აბიდოსელი[202] (ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე), სადაც დაზუსტებით არც ამ ტომთა ადგილსამყოფელია განსაზღვრული. კერკეტებში ზოგი მკვლევარი ჩერქეზებს, ზოგიც ეგრისელებს ხედავს. ჰენიოხების სამოსახლო შეიძლება ჩრდილოეთ კოლხეთით (აფსაზეთი), ან ფაზის-რიონის მიდამოებით, ან კიდევ ჭანეთის მთების რაიონით განისაზღვროს. არსებული შეხედულების თანახმად, ქარიმატები ცხოვრობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდ. ფორტუნას ხეობაში,[203] ან იბერების აღმოსავლეთით.[204] ჩვენი აზრით, ქარიმატები დიონისი-

200 ВДИ. 1947. №1. с. 301.
201 იქვე. გვ. 316.
202 ВДИ. 1947. №3. с. 250. შენიშვნა 1.
203 ВДИ. 1947. №3. с. 250.
204 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 91-92.

ოს პერიეგეტისა (ახ.წ. II ს.) და ამიანეს მარცელინუსის (ახ.წ. IV ს.) მიერ მოხსენიებულ კამარიტებთან (ვარ. მაკარიტები) უნდა გაიგივდეს. მაკარიტების კავშირი ურარტული წყაროს მაკალტუნთან დასაშვებად მიგვაჩნია. დასაშვებად მიგვაჩნია ამ სატომო სახელწოდების ტერმინ ქართთან დაკავშირება: ქარიმატი-მაქარიტი-ქარ(ი)ტი-ქართი. მკვლევართა აზრით, ქარიმატი ნიშნავს „სასიამოვნო თვალებით"[205] ე.ი. ადამიანს, ხალხს, რომლებსაც აქვთ სასიამოვნო თვალები, ხალხი გამორჩეული სილამაზით.

ჩვენი აზრით, ჰეკატეოსისა და ჰეროდოტეს მატიენები ქსენოფონტის ტაოხებთან უნდა გავაიგივოთ. ამ შემთხვევაში ტაოხების სახელწოდება გაფორმებულია ქართული „მა" თავსართით (შეადრ. მა-ტიენა, დაიაენი, ტაო(ტაონი), ტიანა).

თუ სწორია ჩვენი დაშვება, მაშინ ახლებურად უნდა განისაზღვროს მატიენების მეზობელი კოლხური ტომის, მესხების განსახლების არეალი ძვ.წ. VI-V სს-ში. ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ, რადგან მოსხები ამ ცნობაში კოლხურ ტომადაა წარმოდგენილი, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში მესხები ძველი დაიაენის მიწა-წყალზე (ჭოროხის აუზში) თუ არა, მათთან ძალიან ახლოს მოსახლეობენ.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე გარდა ტაოხებისა (მატიენები) და მესხებისა, რომელთა შესახებ მოგვითხრობს ჰეკატეოსი, ქსენოფონტეს მიხედვით კიდევ ბევრი სხვა ქართველური ტომი მოსახლეობდა. ძვ.წ. 401 წელს ქსენოფონტემ და ბერძენმა დაქირავებულებმა ბაბილონის სანახებიდან გეზი სამშობლოსაკენ აიღეს. ისინი წამოვიდნენ ჩრდილოეთისაკენ, რათა არმენიისა და აღმოსავლეთი მცირე აზიის გამოვლით მისულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე, შემდეგ კი ზღვით სამშობლოში წასულიყვნენ. აღნიშნული გზის გადალახვას ისინი მრავალი თვე მოუნდნენ. ამ გზაზე მოსახლე ზოგიერთ ტომთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარეს, ზოგანაც იარაღის დახმარებით გაიკაფეს გზა. ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის სურსათისა და ქონების წართმევის შემთხვევებს.[206]

ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ბერძნებს შებრძოლება მოუხდათ კარდუხებთან, რომელთაც ჩრდილოეთიდან არმენები ესა-

---

205 Дж. Гамахария, Б. Гогоя. Абхазия... с. 325.
206 Г.А. Меликишвили. К истории... с. 257.

ზღვრებოდნენ. ისინი ცხოვრობდნენ მთებში და არ ემორჩილებოდნენ სპარსეთის მეფეს. ელინები 7 დღის განმავლობაში მიდიოდნენ კარდუხების მიწაზე.[207] მათი ტერიტორია ვრცელდებოდა მდ. კენტრიტამდე (თან. ბოტან-ჩაი), დასავლეთით მდ. ტიგროსამდე, სამხრეთით ქ. ჯიზრეს მიდამოებამდე.[208] ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ეს კარდუხები, იგივე ბერძნულ-რომაული წყაროების გორდიენებია და ამავე დროს ის დაუკავშირა ქართველთა უძველეს სახელს „ქართუს."[209] გ. მელიქიშვილმა გაიზიარა ეს შეხედულება და აღნიშნა, რომ კარდუხებს უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე ასურული წყაროების კატმუხი.[210] მეცნიერმა კარდუხები ხურიტული ან ქართული წარმომავლობის ტომად მიიჩნია.[211] როგორც ჩანს, ისინი თანამედროვე ქართების წინაპრები და თავდაპირველად ხურიტული ენის მატარებელი ტომი უნდა ყოფილიყო.

„ანაბასისის" მიხედვით კენტრიტის ჩრდილოეთით არმენების მხარის ახლომდებარე სოფლები უკაცრიელი იყო, კარდუხებთან ომის გამო. არმენია იყო სპარსეთის სატრაპია, რომელსაც მართავდა არტაქსერქსეს სიძე ორონტი.[212] ელინების არმენიაში შესვლასთან დაკავშირებით ქსენოფონტე ამბობს, რომ მათ გზა გადაუღობეს არმენებმა, მარდებმა და ხალდებმა.[213] შემდეგი ქვეყანა, რომელიც ბერძნებმა გაიარეს, იყო მცირე არმენია სპარსეთის სატრაპ ტირიბაზის მმართველობით. მის ლაშქარში იხსენიებიან აგრეთვე მოქირავნე ხალიბები და ტაოხები.[214] „ანაბასისის" მიხედვით არმენების მეზობელი ქვეყანა — ხალიბებისაა.[215] აქვე ნათქვამია, აგრეთვე, რომ მდ. ფასისის მახლობლად ელინების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდიან ხალიბები, ტაოხები და ფასიანები.[216] ტაოხებისა და ხალიბების ქვეყნის გავლის შემდეგ ისინი მისულან მდ. ჰარპასოსთან (ჭოროხი).[217]

---

207 Ксенофонт. Анабасис, перевод, статья и примечания М.И. Максимовой, под редакцией И.И. Толстого. Москва-Ленинград, 1951, с. 93, 102.
208 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 52.
209 ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, თბ., 1913, გვ. 34-35.
210 Г.А. Меликишвили. К истории... с. 107-108, ком. 241.
211 Там же, с. 108; его же, Наири-Урарту, с. 91.
212 Ксенофонт. Анабасис, с. 270, ком. 7.
213 იქვე, გვ. 102.
214 იქვე, 108.
215 იქვე, გვ. 113.
216 იქვე, გვ. 114.
217 თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 80-82.

ამ ცნობების მიხედვით ჩანს, რომ კარდუხების მიწა-წყლისა და მდ. კენტრიტის ჩრდილოეთით განლაგებული ყოფილა ორი სპაარსული პროვინცია: „არმენია“ და „დასავლეთი არმენია.“ ეს ორიივე ქვეყანა განლაგებული იყო ვანის ტბის მიდამოებსა და მის ჩრდილო-დასავლეთით. ამ პროვინციებში, ეტყობა, არმენებთან ერთად ქართველური ტომებიც მოსახლეობდნენ (ხალდები, ტაოხები). საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში მოხსენიებული ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველი ტირიბაზი ძირითადი ტექსტის მიხედვით დასავლეთი არმენიის სატრაპია.[218] დ. ხახუტაიშვილის შეხედულებით, არასწორია ის აზრი, რომ თითქოს ფასიანი „წყლით მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს“ აღნიშნავდა, და, რომ რიონზე მოსახლე ფასიანები და ერზრუმის მიდამოებში მცხოვრები ფასიანები ტერიტორიულად გათიშული ერთი და იგივე ხალხია.[219] დგება ერთი მეტად საყურადღებო საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდნენ აქ ხალიბები? ჭოროხის სათავის სამხრეთით, ქსენოფონტეს ცნობების მიხედვით ხალიბების ქვეყანაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ხალიბები ან პალისთერმოდონტის ზღვისპირა თუ სიღრმიდან გადმონაცვლებული ხალხია აღმოსავლეთში, ან ქსენოფონტეს აერია ხალდები ხალიბებში. თითქოს პირველი აზრი უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან ქსენოფონტეს ცნობების კომენტარებში დიოდორე სიცილიელი ხალიბების ნაცვლად ხალდებს ასახელებს.[220] მეორე მხრივ, ხალიბების მოხსენიების შემდეგ თვითონ ქსენოფონტე ლაპარაკობს მათზე, როგორც ხალდებზე.[221] როგორც ჩანს, ამ ხალდების (ქალდების) სახელთანაა დაკავშირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქალდიის თემის წარმოქმნა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამავე მხარეში ხალიბებს სტრაბონიც ასახელებს. მისი ცნობით სომხებს მოსინიკებისა და ხალიბებისაგან წაუღიათ ქსერქსენასა და კარენიტიდას ოლქები.[222] კარინა იგივე კარნუ-ქალაქი არზრუმია.[223] ჩვენი აზრით, კარენიტიდის ხალდ-ხალიბები იგ-

---

218 Ксенофонт. Анабасис, с. 107.

219 დ. ხახუტაიშვილი. ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობები... გვ. 60.

220 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 124-125.

221 Г.А. Меликишвили. К истории... с. 258.

222 Страбон. География, с. 498.

223 ს. გოგიტიძე. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., 1998, გვ. 35.

ულისხმებიან „კიროპედიაში“ (მიეწერება ქსენოფონტს) მოხსენიებულ ხალდებში, რომელთანაც სომხებს ჯერ კიდევ ძვ.წ. VI საუკუნეში ჰქონიათ ბრძოლები.[224]

მდინარე ჰარპასოსის (ჭოროხი) ზემო წელის გადალახვის შემდეგ ელინები შკვითინების (ჰეპტაკომეტები) ტერიტორიაზე შედიან.[225] ამ ქვეყნის საზღვრების გადასერვიდან 8 დღის შემდეგ ბერძნები მივიდნენ სკვითინების „დიდ, მდიდარ და ხალხმრავალ ქალაქ გიმნიასში.“[226] თუ მხედველობაში არ მივიღებთ, იმ გარემოებას, რომ დიოდორე სიცილიელი იმეორებს ქსენოფონტეს მონათხრობს[227] და ჰელიოს ჰეროდიანე[228] (ახ.წ. II ს.) და სტეფანე ბიზანტიელი[229] (ახ.წ. VI ს.) ბიბლიოთეკურ ნაშრომებში მოიხსენიებენ ამ ტომს, მაშინ სკვითინების ერთადერთი მოხსენიება ქსენოფონტეს შემდეგ ეკუთვნის მხოლოდ სტრაბონს. მისი ცნობით, სკიდისის მთა უერთდება მოსხურ მთებს, მისი მწვერვალები ჰეპტაკომეტებს უჭირავთ. მისივე გადმოცემით, პარიადრისა და სკიდისის მთებში მოსახლეობენ ველური ტომები, მაგრამ ამ მიმართებით ყველასაგან ჰეპტაკომეტები გამოირჩევიან. ზოგიერთი ამათგანი ხეებზე ან კოშკზე ცხოვრობენ. ამიტომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ, რადგან მათი კოშკები მოსინებად იწოდებოდნენ.[230]

ივ. ჯავახიშვილი ამ წყაროთა ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიებისა და ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქსენოფონტეს შკვითინები და სტრაბონის ჰეპტაკომეტები ერთი და იგივე ტომია. „ჰეპტაკომეტი“ ბერძნულია და ნიშნავს „შვიდსოფლელს,“ რაც მეგრული „შკვითის“ (შვიდი) იდენტურია. ასეთ შეხედულებას მხარს უჭერს ისიც, რომ ამ მხარის არაბული სახელია „კურასება,“ რაც შვიდს ნიშნავს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი შკვითინებს მეგრულ-ჭანურ ტომად მიიჩნევდა.[231]

---

224 История Армении Моисея Хоренского, перевод Н. Эмина, М., 1958, с. 356.

225 თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 82.

226 Ксенофонт. Анабасис, с. 120.

227 ВДИ, 1947, №4, с. 260.

228 В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1948, №2, с. 258-262.

229 В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1948, №3, с. 313-330.

230 Страбон. География, с. 515.

231 ივ. ჯავახიშვილის ასეთი შეხედულება გაზიარებულია სხვების მიერაც (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 818).

პ. ინგოროყვა იზიარებდა რა ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებულ ეთნონიმისა (შკვითინი) და ორონიმის (შკვიდისი) ეტიმოლოგიასა და მათ კავშირს ქართულ სამყაროსთან, საჭიროდ მიიჩნევდა შკვიდისის მთის ლოკალიზაციის განსაზღვრას. მკვლევარი ანტიკურ წყაროთა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიიჩნევდა, რომ „ანტიკურ ხანაში „შქვიდისი"-ს მთების სახელი რქმევია პარხალის მთებს, ე.ი. მთების იმ სისტემას, რომელიც იწყება მდინარე ჭოროხის შესართავიდან და მიჰყვება ჭოროხის ხეობასა და ლაზეთის შორის — ვიდრე ტრაპიზონის ზღვამდე."[232]

მ. მაქსიმოვას აზრით, სკვითინები ტრაპეზუნტის სამხრეთით მთიან ადგილებში ბინადრობენ. ისინი შთამომავალნი არიან ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრულს ყუბანისპირეთიდან მცირე აზიაში შემოჭრილი სკვითებისა.[233]

გ. მელიქიშვილი იზიარებს ივ. ჯავახიშვილის აზრს, შკვითინების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ და მიუთითებს, რომ ისინი ბინადრობდნენ ჩრდილო ანატოლიის (ჭანეთის) მთების სამხრეთ კალთებზე. სატომო სახელების „შკვითინი" (ჰეპტაკომიტი) და მათი მეზობელი მაკრონების ლინგვისტური ანალიზი გვაძლევს უფლებას ჩავთვალოთ ისინი დასავლურქართულ ტომებად.[234] მეცნიერი ნაშრომის სხვა ადგილას ყველა იმ ტომს (ხალიბები, სკვითინები, „სკვითინების მეზობელი ტომი," მაკრონები, კოლხები), რომლებთანაც ელინებს ურთიერთობა ჰქონდათ ერთი და იმავე ეთნიკური წარმომავლობისანი იყვნენ, მაგრამ ესენი ძირითადად გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ტომთა კავშირებში.[235] სხვა ნაშრომში წერს, რომ სკვითინების სახელწოდება თავს იჩენს სკვიდისის მთის სახელში. ტომთა დიდ კავშირს წარმოადგენდნენ ალბათ სკვითინები, რაკი ქსენოფონტი ლაპარაკობს მათი ქვეყნის „მმართველის" შესახებ. ამ სკვითინებსა და მაკრონებს შორის სხვა სკვითინური გაერთიანება უნდა ყოფილიყო.[236]

მ. პოგრებოვა მიუთითებს, რომ კავკასიის სხვადასხვა ოლქებში, ანტიკური ავტორები მიუთითებენ სკვითებს, ან მასთან დაა-

---

232 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 484.
233 Ксенофонт. Анабасис, с. 274, ком. 31.
234 Г.А. Меликишвили. К истории... с. 80-81.
235 იქვე, გვ. 259.
236 გ. მელიქიშვილი. კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. — სინ, ტ. I, გვ. 417.

ხლოებული სახელის მქონე ეთნონიმებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში შეიძლება სახეზე გვქონდეს სკვითების შთამომავლების ან, უბრალოდ, ამ სახელწოდებების სხვა მსგავსი სახელების მქონე ტომებზე გადატანის შემთხვევები. მიუხედავად ამისა, მხედველობაში მაინც უნდა გვქონდეს ანტიკურ მწერალთა მითითებები. მკვლევრის აზრით, ქსენოფონტის მიერ მოხსენიებული სკვითინები ჭოროხის ზემო წელისა და პონტოს მთის მიდამოებში ბინადრობდნენ.[237] მ. პოგრებოვა იქვე მიუთითებს პ. კრაჩმერისა და ბ. პიოტროვსკის შეხედულებებს, რომელთა თანახმადაც ქსენოფონტეს სკვითინები შთამომავლები იყვნენ იმ სკვითების, რომლებიც წინა აზიაში 28-წლიანი ბატონობის დროს დამკვიდრდნენ. სკვითინების ლოკალიზაციისა და წარმომავლობის მსგავსი ვარიანტებია შემოთავაზებული ს. ესაიანისა და მ. პოგრებოვას საერთო ნაშრომში.[238]

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, სკვითინები ჰარპასოსთან ბინადრობდნენ, ამ ხეობის მარცხენა ნაწილი და ტაოხების კალთები ეკავათ. მისივე აზრით, სკვითინები (ჰეპტაკომეტები) იგივე მოსინიკები არიან.[239]

გ. ლორთქიფანიძის აზრით, ჰეპტაკომეტები მდინარე აჭარისწყლის სათავეების მიდამოებიდან აღმოსავლეთისაკენ განივრცობოდნენ.[240]

გ. ქავთარაძე სტრაბონის მონაცემებზე დამყარებით წერს, რომ ჰეპტაკომეტებს ადრე მოსინიკები ეწოდებოდა. მათ „ანაბასისში" ტაოხებთან ერთად ჰესპერიტები ეწოდებოდა, ხოლო სტრაბონის ჰესპერიტებში სპერი უნდა იყოს ნაგულისხმევი.[241]

ი. მანანდიანი მიიჩნევს, რომ შკვითინების ქვეყანა და მისი მთავარი ცენტრი გიუმნია (გიმნიასი) ისტორიული არმენიის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა მოთავსდეს. ეს მიდამოები ქსენოფონტეს დროს დაკავებული ყოფილა კიმერიულ-სკვითური ტომებით. გიუ-

---

237 М.Н. Погребова. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время. М., 1984, с. 18.

238 С.А. Есаян, М.Н. Погребова. Скифские памятники Закавказья. М., 1985. с. 7-8.

239 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 54, 133.

240 Г. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. Тб., 1970. თანდართული რუკა.

241 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში... გვ. 85, 130-131.

მნია შეიძლება გაიგივდეს დღევანდელ ლენინაკანთან. სახელი გიუმნია კავშირში უნდა იყოს კიმერიელების სახელთან Gimirai. სწორედ ეს გახდა კიმერიულ-სკვითური ტომების ცენტრი, რომლებიც დასახლებული იყვნენ სომხურ ოლქებში ეანანდში, შირაქსა და არარატში.[242]

საქართველოს ატლასსა[243] და ქართული ენციკლოპედიის სპეციალურ ტომში[244] მოთავსებულ რუკებზე „საქართველო ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში“ სკვითინები მოთავსებულია ქ. სპერის ჩრდილოეთით, ჭოროხის ხეობის ორივე მხარეზე და ისინი აღმოსავლეთით ჭოროხის შენაკად ოლთისის სათავის მიდამოებამდე განივრცობიან. სტრაბონის „გეოგრაფიის“ რუსულად მთარგმნელები ჰეპტაკომეტებს მოსხის მთებში ათავსებენ, ეს უკანასკნელი კი, მათი აზრით, სპერისა და ტაოს პროვინციების მოპირდაპირე მხარეზე, ჭოროხის ზემო წელის ამიერ მხარეზეა გადაჭიმული.[245]

სკვითინების წარმომავლობისა და ლოკალიზაციის საკითხებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა თ. მიქელაძემ. მკვლევარმა არ გაიზიარა ვ. ხუდადოვის აზრი, რომ სკვითინები სკვითები არიან.[246] ვ. ხუდადოვი ძირითადად ემყარებოდა შემდეგ მოსაზრებას: სკვითინებს ბერძენი მოქირავნეებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მათმა მეზობლებმა — ხალიბებმა და ტაოხებმა კი გაუწიეს. რაკი სკვითინები ბერძნებს სპარსელების მტრებს კარგად შეხვდნენ და დახმარებაც აღმოუჩინეს, მაშასადამე, ისინიც სპარსელების მტრები ყოფილან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სკვითინები აქ უცხო ელემენტია და რომ ისინი შთამომავლებია სკვითებისა, და რომელთაც ადრიდანვე მტრობა ჰქონდათ სპარსელებთან.[247] თ. მიქელაძის აზრით, სკვითინებმა ბერძნებს დახმარება იმიტომ აღმოუჩინეს, რომ ისინი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. ასევე საფიქრებელია, რომ ამ მოსაზრების შემუ-

---

242 Я.И. Манандян. О торговле и городах Армении. В связи с мировой торговлей древних времен (V в. до н.э. – XV в. н.э. ), Ер., 1954, с. 21.

243 საქართველოს სსრ ატლასი, გვ. 245.

244 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1981, გვ. 50.

245 Страбон. География, карта 8.

246 თ. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითინები). — სმამ, ტ. XIX, თბ., 1957, №5, გვ. 633.

247 იქვე.

შაეებაში გაელენა უნდა მოეხდინა სკვითინებისა და სკვითების სახელწოდებათა ფონეტიკურ სიახლოვეს.[248] მკვლევრის აზრით, სკვითინები მეგრულ-ჭანური ტომია, რასაც ქართული (მეგრულ-ჭანური: ხალიბები, მაკრონები) გარემოცვაც ადასტურებს. ეს ტომი ბინადრობდა ჭოროხის ველზე და პონტოს ტავრის იმ ნაწილის თხემებზე, რომელიც გადაჭიმულია ტრაპიზონის სანახებიდან ჭოროხის ქვემო წელამდე. სკვითინებს ხალიბებისაგან მდ. ჰარპასოსი (ჭოროხი) ყოფდა სოფ. ორჯოხის მიდამოებში. ელინები აქედან პირდაპირი 100-კილომეტრიანი ხაზის გაელის შემდეგ მიეიდნენ დაბა ვალახორის მიდამოებამდე (ქ. ბაიბურთიდან 20 კმ-ზე). აქვეა საძებარი გეიმნიასი.[249] სკვითინებს ჩრდილოეთი საზღვარი პონტოს ტავრის ჩრდილოეთით მოსახლე მაკრონებთან ჰქონდათ. სამხრეთით და დასავლეთით გავრცელების არე ძნელი დასადგენია.[250] Σπλϑιυ || Σπυϑην ტერმინსა და მის ბერძნულ თარგმანში (ჰეპტაკომეტები) ასახული უნდა იყოს შეიდი სათემო ერთეულის შერწყმისა და თანაცხოვრების ფაქტი. ქსენოფონტეს მიხედვით, სკვითინების ერთი თემი არ ემორჩილებოდა ქვეყნის მმართველს, რომელიც მთა თეხესის (ზიგანადაღი) რაიონში ბინადრობდა. სტრაბონი ამ მთებში მცხოვრებ სკვითინებს ჰეპტაკომეტებს უნდა უწოდებდეს.[251]

თ. ქემერტელიძის აზრით, ქსენოფონტი სკვითინების სახელით მდ. ჭოროხის აუზში მოსახლე მესხურ თემებს მოიხსენიებს. ტერმინი „შკვითინები" მეგრული სიტყვიდან „ჭკადუ" („მჭედელი") მომდინარეობს. შესაძლებელია სკიდისეს ქედის სახელი იყო სვანური სიტყვა „მუშკიდი;" რაც ქართულად „მჭედლებით დასახლებულ ქვეყანას" ნიშნავს.[252] მკვლევარი ანტიკური წყაროების ცნობების შეჯერების საფუძველზე არკვევს, რომ სკვითინების სათემო სახელწოდება იყო ჰეკატეოს მილეტელის „ბექირ." სკვითინები ბინადრობდნენ ჭანეთის (ლაზეთის) ანუ სკიდისეს მთის კალთებზე მთა ორჯოხიდან (მალარა-დაღი), ვიდრე თეხეს (ზიგანა-დაღის) მიდამოებამდე, საიდანაც ისინი ემიჯნებოდნენ მაკრონებს. სამხრეთ-დასავლეთიდან მათ ეკლეცი (აკილესენე) საზღვრავდა. ამრიგად,

---

248 იქვე.
249 იქვე. გვ. 634.
250 იქვე. გვ. 635; შეადარე, მისივე, ძიებანი... გვ. 121 (იქვე რუკა, 65).
251 თ. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის... გვ. 637-638.
252 თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი... გვ. 23.

თ. ქემერტელიძის ვარაუდით, სკეითინებს ანუ ბექირებს სჭერიათ მდ. ჭოროხის სათავეები და ზემო და შუა დინების მარცხნივ მდებარე ადგილები.[253]

ჩვენი აზრით, შკითინი (თუ შკვითინი) სატომო სახელწოდებას არ უნდა წარმოადგენდეს. უბრალოდ რომელიღაც ტომთა ერთ ნაწილს შკითინის მთის სექტორში მოსახლეობის გამო უნდა წოდებოდა საბინადრო ადგილის მიხედვით — შკითინები. ესენი, რომ მართლაც არ წარმოადგენდნენ გამოცალკევებულ ტომს, ჩანს იქიდანაც, რომ ამ ხალხმა ჰეროდოტეს ისტორიაში ასახვა ვერ ჰპოვა, არადა, ისინი თითქოს აქემენიდთა 18 ან 19 სატრაპიაში დასახელებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ქსენოფონტის ცნობის თანახმად, ელინები სკითინების ტერიტორიის გავლის შემდეგ, რომელთა მმართველი გიმნიასში იჯდა, 5 დღის განმავლობაში ჩრდილოეთის მიმართულებით მიდიოდნენ სხვა სკეითინური ტომის ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელთა საცხოვრისი მაკრონების საზღვართან თავდებოდა. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ შკიდისის მთის სექტორსა და მაკრონებს შორის მოსახლე ხალხი? აქ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, იმის თაობაზე, რომ საქმე გვაქვს ხარშუტის ხეობისა და ზიგანის მთების მიდამოებში მოსახლე ხალხთან. სტრაბონის ცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ ესენი უნდა ყოფილიყვნენ ჭანები, რომლებსაც მისივე თქმით იმდროისათვის ეჭირათ მაკრონების ტერიტორიაც. სკიდისეს მთის სექტორში მოსახლე „სკვითინებისადმი მტრულად დამოკიდებულ ტომში" რომ ჭანები იგულისხმება, კარგად ჩანს, პროკოპი კესარიელის ცნობებიდანაც. მისი გადმოცემით, ჭანები ბოას-აკამფსისის (ჭოროხი) სათავეების მახლობლად ბინადრობენ. ჭანების ტერიტორიაზე დასახელებული ტოპონიმები (ისავრი, მთები ზაგონი და მათგან აღმ. მდებარე პუნქტი ხარტი) და ქსენოფონტის მიერ მოხსენიებული მთა თეხე სწორედ აღნიშნულ სექტორში თავსდებიან. ჩვენ გვგონია, რომ ამ ჭანებს (ოკენიტის ჭანებს) ქსენოფონტი სკვითინებს იმიტომ უწოდებს, რომ ისინი შესაძლებელია იყოს ერთმანეთის მონათესავე, ერთენოვანი და ერთი რომელიმე ტომის სხვადასხვა თემი. ამაში ნათლად დავრწმუნდებით თუ ისევ სტრაბონს დავესესხებით. მისი გადმოცემით ჰეპტაკომეტები (და „ზოგიერთ ამათგანში" პარიადრისა და სკიდისის მთის სექტორში მოსახლე ჭანებიც უნდა იგ-

253 იქვე, გვ. 24.

ულისხმებოდეს) ხეებზე ან კოშკებზე (თუ ხის კოშკებზე) ცხოვრობდნენ. ამიტომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ, რადგან მათი კოშკები მოსინებად იწოდებიან.[254] მაშასადამე ფაქტი სახეზეა, რომ შკიტინებს უწინ მოსინიკებს უწოდებდნენ. უეჭველია, რომ ამავე ჯგუფში უნდა შევიდეს პარიადრ-ზიგანა-ხარშუტის მიდამოებში მოსახლე ჭანები, რომელთაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქსენოფონტი ასევე სკვითინებს უწოდებს. აქვე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ უძველეს ბერძნულ წყაროებში მხოლოდ მოსინიკებია დასახელებული და არა შკიტინები ან ჭანები. ისტორიულ არენაზე ჭანების გამოჩენის შემდეგ სამოღვაწეო ასპარეზიდან იკარგებიან მოსინიკებისა და შკიტინების ტომობრივი თუ სათემო სახელწოდებები. ამ მოსინიკურ ჯგუფს შორის ძალაუფლებას ხელში იღებს მთიელი ჭანები, იგივე ხალდები ასე უწოდებდნენ მათ თავიანთი ცენტრის ქალდიის (გიუმიშანე) მიხედვით. გასათვალისწინებელია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის შეხედულებაც, რომ ჭანები იგივე მოსინები არიან და სატომო სახელ მოსინიკში უნდა გამოიყოს ფუძე „სსინ," რომელიც სან-ჭანის ტოლფასია. ჭანებისა და სვანების იგივეობის შესახებ აზრი გამოთქმული ჰქონია პროფესორ ეიხვალდის.[255] ჩვენი აზრით, მოსინიკებისა და ჭანების ერთიანობაზე უნდა მიუთითებდეს მოსინიკების ოლქის სახელწოდებაც დერ-ძანი || დერ-ზანი || ქსერ-ქსენა, რომელსაც ჩვეულებრივ დერ-ჭანის ფორმით კითხულობენ.[256] სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. 189 წ. მახლობლად სომხებს მოსინიკებისაგან ჩამოუჭრიათ ქსერ-ქსენა,[257] სოლინის გადმოცემაში „ჰენიოხური მთები გადმოღვრიან არაქსს"[258] იგულისხმება იგივე დერ-ჭანის, ე.ი. ჭანების ტერიტორია, რაც ჭანებისა და ჰენიოხების ერთიანობაზე უნდა მიუთითებდეს. ეს ცნობა მეტყველებს იმაზე, რომ კერასუნტის მიდამოებში მცხოვრები მოსინიკები ევფრატის ზემო წელის მიდამოებამდე ვრცელდებოდნენ. ჩვენი აზრით, იმ მოსინიკურ ჯგუფს, რომელიც დერ-ჭანში შკიდისის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსახლეობს, შკვითინებთან, ჭანებთან და ზოგიერთ სხვა მეზობელ თემებთან ტომობრივი ერთიანობა აკავშირებდა. ვფიქრობთ,

254 Страбон. География, с. 515.

255 Дюбоа-де-монпере. Путешествие... с. 87.

256 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, გვ. 85.

257 Страбон. География, с. 498.

258 В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1949, №3, с. 243.

მოტანილი მაგალითების საფუძველზე აშკარად ჩანს ჭანების კავშირი მოსინიკებთან. აქედან გამომდინარე კი ცნობილი ხდება მოსინიკების რამდენიმე ჯგუფი: მოსინიკების ორი ჯგუფი, რომლებიც კერასუნტის მიდამოებში ბინადრობდნენ, ოქსინტის ჭანები, კოქსილანის ჭანები, შკიდისის სექტორში მოსახლე მოსინიკები (შკითინები) და დერ-ჭანი. ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით ბექირებისა და დრილების კავშირის შესახებ ჭანებთან. ანტიკური წყაროები მოსინიკებსა და ბექირებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და განცალკევებული ტერიტორიის მქონე ტომებად წარმოგვიდგენენ. როგორც ჩანს, ბექირები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე სურმენე-რიზეს მიდამოებიდან ჭანების მიერ აყრილი ოლთისის წყლის ხეობაში თუ მის აღმოსავლეთ ნაწილში დაბინავდნენ. შესაძლებელია მათი სატომო სახელიდან მომდინარეობს ჭოროხის საცილობელი სახელი-ბოასი-ბოხასი-ვოხ-ბახ. მოსინიკების, შკითინებისა და ჭანების ერთიანობას მხარს უჭერს ძველ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმიკური და ეთნონიმიკური მასალების ლინგვისტური ანალიზიც. საბოლოო ჯამში ისინი მიდიან სვანურ სამყაროსთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სატომო სახელ მოსინიკის კავშირი ტერმინ მუშუანთან (სვანებთან) ადრეც იყო შენიშნული.[259]

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, „ანაბასისში“ დასახელებული ყველა ტომი, რომელთა მიწა-წყალი ბერძენმა მოლაშქრეებმა გაიარეს, მეგრულ-ჭანურ (ე.ი. მეგრულენოვან) ტომებადაა აღიარებული.[260] ჩვენი აზრით, შკითინებს რომ მაკრონების, ტაოხების, ხალიბებისა და კარდუხებისაგან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობა ჰქონდათ, პირველ რიგში, გვიდასტურებს თვით ქსენოფონტის შემდეგი ცნობა: როცა ელინებმა გადასერეს შკითინების და მათი მონათესავე ტომის (ჭანების) ტერიტორია და მაკრონების საზღვართან ამ უკანასკნელთ შეეჩეხნენ, ბერძენ მოლაშქრეთა შორის ერთ-ერთმა წამოიძახა: მე მესმის ამ ხალხის ენა და როგორც ჩანს, ეს ჩემი სამშობლოაო.[261] მხედართმთავართა თანხმობის შემდეგ მან მაკრონებთან საუბარი გამართა. ეს მაგალითი იმის მაუწყებელია, რომ სკითინები მაკრ-

---

259 თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 13.

260 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 258 и сл.

261 Ксенофонт. Анабасис, с. 122.

ონებისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებდნენ. თუ ეს ორივე ტომი ერთენოვანი იყო, მაშინ საბერძნეთში ტყვედმყოფი ჯარისკაცი რატომ იტყოდა — მე მათი ენა მესმის და ეს ჩემი სამშობლოაო. ასეთსავე საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაკრონები ტაოხების, ხალიბებისა და კარდუხებისაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი იყო. თუ გავიხსენებთ, მაკრონების მეგრელებთან გამოთქმული ეთნიკური კავშირის შესახებ, და იმასაც, რომ ტრაპეზუნტის სანახებში ძირითადად მაინც მეგრულენოვანი (კოლხური, ლაზური) მოსახლეობა ბინადრობდა,[262] მაშინ აშკარაა, რომ შკვეითინები და ჭანები არ უნდა ყოფილიყვნენ მეგრულენოვანი, ხოლო თუ გავითვალისწინებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, ერთი მხრივ, ჭანებისა და მოსინიკების, მეორე მხრივ შკვეითინებისა და მოსინიკების, აგრეთვე, შკვეითინებისა და ჭანების, ისევე, როგორც მოსინიკ-მუშუანების შესახებ, რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყაროთა მონაცემებიც ეთანხმებიან, საფუძველი გვაქვს ვაღიაროთ, რომ ეს უკანასკნელნი (ეთნონიმები თუ სათემო სახელწოდებები) სვანურენოვანი უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენი ნააზრევის დასაზუსტებლად გავაკეთოთ ამ სატომო თუ სათემო სახელწოდებათა, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე დასახელებულ ტოპონიმთა და ორონიმთა ლინგვისტური ანალიზი.

1. შკითინი. როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად ეს სათემო სახელწოდება სკვითებს ან მეგრულ სიტყვას შკვითი (შვიდი) უკავშირდება. ჩვენ თავდაპირველად ვვარაუდობდით, რომ იგი მეგრული სიტყვიდან „სკვამი" („ლამაზი") მომდინარეობს. უფრო საფუძვლიანი გვეჩვენება შკვითინის დაკავშირება სვანურ სიტყვასთან „შკედ," რაც ნიშნავს „ჩრდილს," ინი || ანი კი სუფიქსია. ამრიგად, „შკითინი" ნიშნავს ჩრდილნარს, „დაჩრდილულ ადგილს". მსგავსი ტოპონიმი — სოფელი შკეთინი — სვანეთში, მესტიის რაიონში ამჟამადაც დასტურდება. ტოპონიმი „შკედ" არის ლენტეხის რაიონშიც.

2. გიმნიასი. თავდაპირველად შკითინების ცენტრის გიმნიასის დაკავშირება ვცადეთ კიმერ-გამირ-გიმირ[263] სატომო სახელთან,

---

262 Г.А. Меликишвили. К истории... с. 260.

263 გამირი ან გიმირი ასურულ-ბაბილონურ წყაროებში კიმერიელებს ეწოდებათ. ი. დრასხანაკერტელთან მათ შესახებ ნათქვამია: „კაცნი, მხეცნი, ნათესავნი დევთანი" (ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 157, 159.

მეგრულ სიტყვასთან „გიმილიაში" („გადმოყილეს," „გადმოდი აქეთ") და ხეთურ „გიმმანთ"-თან („ზამთარი"),[264] მაგრამ ამგვარ დაკავშირებებს საფუძვლიანი ახსნა ვერ მოვუძებნეთ. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო ჩანს, გიმნიასის დაკავშირება სვანურ სამყაროსთან: „გიმ"[265] — „მიწა," „ნიას" — „ნისლი." ამრიგად, „გიმნიასი" ნიშნავს „ნისლიან მიწას, მხარეს, ქალაქს" და ა. შ. თუ ამ ტოპონიმის ფუძე წაიკითხება ისე, როგორც ზოგიერთი ვარაუდობს (გვიმი), მაშინ იგი სვანურ სიტყვა „გულ"-თან უნდა იქნას დაკავშირებული (გვიმ-ენ-ოს-ი → გვიმნოსი → გვიმნიასი).

მეორე სკვითინური გაერთიანების (ოკენიტი ჭანების) ტერიტორიაზე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ასახელებს ტოპონიმებს: სარტონი, ბარიხონი (პარხალი), მაგონი, კენა, სისილისი (ზიზილოი), ბურგი, ისაერი; აქვე სიახლოვეს კოქსილანის ჭანების ტერიტორიაზე მითითებულია: სქამალისონი, ორიონი (პორონონი), ჭანბაკი (ტზანზაკონი, ჭანჭაკონი).[266] იმავე ოკენიტის ტერიტორიაზე ქსენოფონტისა და დიოდორე სიცილიელის მიერ დასახელებულია მთის სახელი თეხე და ხენი.[267] გადავიდეთ ამ ტერმინების სემანტიკის გარკვევაზე.

1. „ბურგონი"-ში უნდა გამოიყოს სვანური „ბერგ," რაც „თოხს" ნიშნავს, „ონი" კი სუფიქსია.

2. „ბარხონ"-ში სუფიქს „ონი"-ს გამოყოფის შემდეგ, ფუძედ „ბარხი" გვრჩება, რაც სვანურად სიტყვა „ხილის" აღმნიშვნელია. ამ ტოპონიმის ფონეტიკურად ახლოს მდგომ სიტყვას („ბირხლა") ქართულ ლექსიკონშიც ვხედებით, რაც „ვაჟკაცს" ნიშნავს.[268]

3. სისილისი. ამ ტოპონიმში თავკიდური „სი" სვანური „შენ"-ის იდენტური შეიძლება იყოს, ხოლო „სილ"-ის წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია. ქართულში „სილიო" „საჭმელი სოკოა ერთგვარი."[269] სისილისი „ზიზილოი" (ზიზილა) ფორმით გვხვდება რო-

---

264 გ. გორგაძე. ხეთების ქვეყანა და ხეთური ეთნოსი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1985, 26 იანვარი.

265 „გიმ" სვანურში მიწის სალოცავი ღვთაებაცაა (ა. ურუშაძე. ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში, თბ., 1993, გვ. 21.). სიტყვა „კვიმ" ქართულშიცაა შემონახული და ნიშნავს „ნისლი, სქელი". შეადარე კვიმ-ენ-ოს-ი → კვიმნოსი → გვიმნიასი.

266 გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 213-214.

267 Ксенофонт. Анабасис. с. 120, 275. ком. 34.

268 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 75.

269 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 407.

მაღლ ძეგლებში (გაბულა პეეტინგერიანა, ნოტაცია დიგნატატუმი). ზიზილა (ჩიშილახი) ჰქვია რთულყვავილოვანთა ოჯახის მრავალწლოვან მცენარეს.[270] „სილ" ფუძიანი ტოპონიმი სვანეთშიც გვხვდება. ასე ჰქვია (ლა-სილ-ი) ერთ-ერთ უღელტეხილს.

4. სხამალანიხი. ამ ტოპონიმში „ს" პრეფიქსად უნდა მივიჩნიოთ, „სამა" ღორის სვანური სახელია, „ლანხი"-ც სვანური ზმნაა „გაბრაზების" მნიშვნელობით. ასეთი სახელის მქონე (ლანიხი) სოფელი, სვანეთში მესტიის რაიონშიც არის. გარეული ღორების გავრცელების თვალსაზრისით სვანეთის ტერიტორიაზე შეიძლება დავინახოთ ტოპონიმები "ლახამ-ულა," „ლახამი" — საღორე.[271]

5. ხარტონი. ხარტის მახლობლად ჭოროხის ხეობას სომხები სალდო-ძორს (სალდების ხეობას) უწოდებდნენ. ამ ტოპონიმის სახელწოდებას შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს სვანეთში დამოწმებულ ტოპონიმ „სალდეშ"-თან. იგივე ტოპონიმი ლეჩხუმშიცაა.[272] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტოპონიმს კავშირი უნდა ჰქონდეს პონტოსპირელი ხალდების (ჭანების) ეთნიკურ სახელთან.[273] გასათვალისწინებელია ისიც, რომ სვანურად „ღართი" (ამ ადგილს ზოგჯერ ღარსის კარსაც უწოდებენ) „ნაბადს" ნიშნავს.

6. ზაგონი. ეს იგივე პუნქტია, რომელსაც „ნოტაცია დიგნატატუმი" ზიგანას სახელით მოიხსენიებს. დღეს არსებობს ზიგანის მთები და ზიგანის უღელტეხილი. სახელწოდება შეიძლება კავშირში იყოს შაბურ I-ის წარწერის ტექსტში დასახელებულ „სიკნ"-თან, რომელიც მახელონიის ფალაური ფორმა იყო. „ზიგან" სვანური სიტყვაა და ნიშნავს — „გამიწყალა."

7. კენა. სოფლის სახელი უნდა მომდინარეობდეს რკინის აღმნიშვნელი სვანური სახელიდან — „კენიდ." ტავრის მთიანეთში მოსახლე ჭანების სამშობლოს („ოკენიტი") სახელი შესაძლებელია მისი ცენტრის „კენა"-ს სახელთან იყოს დაკავშირებული. მასში გამოიყოფა „ო" პრეფიქსი, „კენიტ" „კენიდ"-ის შესატყვისი უნდა იყოს, ან ფუძე „კენ"-ს დართული უნდა ჰქონდეს სუფიქსი „დი" ან „ტი" (შეადარე: სუსპირი-ტი-და, კოლხი-და, ქარიმან-ტი...). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „კენარები" ნიშნავს „კეკლუცს, მოხდენ-

---

270 იქვე. გვ. 232.

271 შ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი, თბ., 1996, გვ. 176, სქ. 55.

272 მ. ალავიძე. ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები XVIII, 1958, გვ. 153.

273 თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 13.

ილი ალნაკობის მქონეს, ტანადს."[274] ნ. ადონცის აზრით, კენა || ოკენა ნიშნავს კენების საცხოვრისს ან ოკენიტის ჭანებს.[275] „ჭენარ," „ჭანარ" სვანეთის სხვადასხვა კუთხეში რკინის აღმნიშვნელი ტერმინია.[276]

8. ისავრი. ზიგანა-დალის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს და ამჟამად ისტავრი ეწოდება. სახელწოდება მოდის რომაელი სარდლის ლონგინ ისავრის სახელიდან.

9. ორონხი (ჰორონონი). ასე ეწოდება ადგილს, სადაც ბიზანტიელებმა სიმაგრე ააგეს. შესაძლებელია მასში დავინახოთ ქართული „ორი" და სუფიქსი „ონი." თუ დავუშვებთ ტოპონიმში ო(ჰო) პრეფიქსის გამოყოფას, მაშინ ფუძედ „რონ" დაგვრჩება, რომელიც შესაძლებელია იყოს „რივენ" || „რიონ"-ის სახეცვალი ფორმა. „რივენ" || „რიონ" „წყალუხვ მდინარეს" ჰქვია.[277] სახელწოდება რიონის წარმომავლობის სხვა ვერსიებიც არსებობს. რიონი მომდინარეობს პირველადი „რუ(ვ)იონი და ნიშნავს „რუებისაგან" (წყაროებისაგან) შემდგარ მდინარეს.[278] გამოვთქვამთ ვარაუდს ჰორონონში გამოყოფილი ფუძის „ორ"(„ჰორ") მნიშვნელობის შესახებ. ის შესაძლებელია სვანური „ვორ"-ის („მიწა") ნაშთი ან სახეცვლილი ფორმა იყოს.

10. ძანზაკონი (ჭანბაკი, ჭანჭაკონი) შეიძლება ქართული სიტყვა „ჭანჭარ"-იდან („თხელი ტალახი"[279]) ან ძენძეხიდან („წვიმა და დიდი ტალახიანობა"[280]) მომდინარეობდეს, „ონი" კი სუფიქსია.

11. კოქსილანი. ნ. ადონცის ვარაუდით, ქვეყნის სახელი შედგება „კოქს" ძირისა და „ილ" ქართული სუფიქსისაგან.[281]

12. თეხე. სვანეთში არის მსგავსი ფუძით ნაწარმოები ტოპონიმი. „თხე-იშ"-ის უღელტეხილი მდებარეობს ეგრისის ქედზე სვანეთის მხრიდან.

13. სენი. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია ამ სიტყვის სემანტიკა.

---

274 ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 246.

275 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, с. 64.

276 მ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი, გვ. 185.

277 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 31, 243.

278 მ. ალავიძე. სახელწოდება „ქუთაისის" და „რიონის" ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ამოხსნა. სსუ-ისა და ბსუ-ის XIV რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნ. სესია, ბათ., 1993 წ. მოხსენების გეგმა და მოხს. თეზისები. თბ., 1993. გვ. 7.

279 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964, გვ. 1227.

280 ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 441.

281 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, с. 65.

14. ჭანი. სატომო სახელი უნდა იყოს „შანი“-ს (სვანის) ნაირსახეობა, სვანების ერთ-ერთი სამხრეთული ფორმა. ჭანი შესაძლებელია მომდინარეობდეს სოფლის სახელ „კენა“ ან მელითონეობის აღმნიშვნელ სიტყვა „კაინი“-დან. არც ისაა გამორიცხული, რომ საკვლევი ეთნონიმი „ჭ“ ძირად და „ან“ სუფიქსად დაიშალოს. „ჭ“ შესაძლებელია წყლის ცნების გამომხატველი იყოს.

15. მოსინიკი. სატომო სახელში ფუძეა „სინ,“ რომელიც სან (ჭან)-ის იდენტურია. ეთნონიმში გამოიყოფა „მო“ პრეფიქსი და „იკ“ სუფიქსი.[282] მკვლევართა დაკვირვებით მოსინიკი სვანების თვითსახელ „მუშუანის“ ელინიზებული ფორმაა,[283] რაც სარწმუნო ჩანს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული მიდამოების სვანურ სამყაროსთან დაკავშირების მიზნით სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება, კერძოდ, ხალიბების ქალაქის „სტამენე“-ს სახელი შეიძლება კავშირში იყოს სვანურ სიტყვასთან „სტამანი“ (კოკა), სატომო სახელი „მუშკიდ“ (მჭედელი), მახერონების სატომო სახელი „მახე“ (ახალი), „სპერი“ („პერი“-„ქაფი“), დიაოხის ოლქის „ქადა“-ს სახელი „კადა“-სთან (ნაჯახი) და ა.შ.[284]

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სატომო სახელ მოსინიკისა და ჭანის გვერდით ანტიკურ ხანაში ხშირად ფიგურირებენ ისეთი ეთნონიმები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთში თან სდევენ მუშუანსა და წანს: სანიგი (სანი), ჰენიოხი, კერკეტი, კორაქსი. როგორც ირკვევა ეს პარალელები შემთხვევითი არ უნდა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ გაკეთდა ამ ეთნონიმთა იგივეობისა და ურთიერთდაკავშირებისათვის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი ჰენიოხი მომდინარეობს სვანური სიტყვისაგან „ჰელ“ და სუფიქს „ოხი“-სგან. „ჰელიოხი“ (ჰენიოხი) ცეცხლის კულტის მატარებელ ხალხს უნდა ნიშნავდეს.[285] კერკეტიც სვანურია და ნიშნავს „გაუტეხელი, მაგარი.“[286] საინტერესოა თვით მოსინიკების მეზობელი თემის

282 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 62.

283 თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 13-14; თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 42-46.

284 სვანური და ქართული სიტყვების შედარებისათვის იხ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, შემდგენლები გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, თბ., 1973, გვ. 187, 188, 189.

285 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 83.

286 იქვე. გვ. 258.

მარების წარმომავლობაც. შესაძლებელია, რომ იგი სვანური „მარე“-დან („კაცი“) მომდინარეობდეს,[287] ალბათ ვაჟკაცის მნიშვნელობით. გასათვალისწინებელია აგრეთვე ანტიკურ წყაროთა ჩვენებები სანისა (ჭანი) და სანიგის (სვანის) იგივეობის შესახებ,[288] ისევე როგორც სანიგისა და ჰენიოხისა.[289] ზოგიერთის აზრით, ეთნონიმი „სანიგი,“ ქართული ჭანისა და აფსუა „წანის“ იდენტურია.[290] ჭანთა და ჰენიოხთა ურთიერთკავშირის თვალსაზრისით საინტერესოა პლინიუსის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებული სან-ჰენიოხების ტომი და მტკვრის სათავის რაიონში ჰენიოხური მთები, რომელთაც მისივე გადმოცემით, კორაქსულიც ეწოდებოდა.[291] პომპონიუს მელა მდ. არაქსის (კამბისე) სათავეს კორაქსული მთების კალთებზე დებს.[292] ეს წყაროები ჰენიოხებისა და კორაქსების იგივეობაზე ნათლად მეტყველებენ, ისევე როგორც ჰენიოხებისა და ჭანებისა, რომლებიც აგრეთვე დერ-ჭანში მოსახლეობდნენ. ჭანებისა და ქალდების იგივეობაზე წერდა ჯერ კიდევ მოვსეს ხორენაცი.[293] კომპეტენტურმა მკვლევრებმა ადრევე შენიშნეს ჰენიოხების სვანური წარმომავლობა.[294]

გ. ერაძე მიიჩნევს, რომ ანტიკურ წყაროებში მითითებული ტერმინები (ჰენიოხი, კერკეტი, კორაქსი, აბაზგი) გარდა სანიგისა თუ სანისა არაა ეთნონიმური სახელები. მისი დასკვნით: ა) „კერკეტონი“, საბას ლექსიკონის მიხედვით, არიან „კაცნი ღამეთა მცველნი, რათა ბოროტად მოქმედნი არა უტეონ“; ბ) „ინიოხი“ — „რაი-

---

287 იქვე. გვ. 296.

288 ВДИ, 1948, №3, с. 222; დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს.-ში, თბ., 1991, გვ. 34.

289 Г.А. Меликишвили. К истории... с. 260; თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 17-18; შეადარე: ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 20.

290 გ. ფიფია. აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო. გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, 5 ივლისი.

291 პლინიუსი. ბუნების ისტორია, გვ. 31, 35.

292 В.В. Латышев. СК. — ВДИ, 1949, №1, с. 285.

293 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 162, 261, შენ. 16, 277, შენ. 190.

294 Г.А. Меликишвили. К истории... с. 91-93; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 64.

ნდი“. იგი წარმოდგება „ჰენიოხისაგან.“ ჰენის თუ ცხენის გარეშე რაინდის ფუნქცია წარმოუდგენელია. მკვლევარს ასეთივე აზრობრივ-ფონეტიკური დამთხვევის წრეში შეჰყავს ტერმინები „კორაკი“ – „კორაქსი“ და „აბაზგი“ – „აფხაზიც,“[295] რაც სარწმუნო ჩანს.

შესაძლებელია სვანურ ენაზე აიხსნას ყოფილი შქითინების ტერიტორიაზე დღეისათვის არსებული პუნქტის სახელი „კალე,“ თუ იგი თურქული ყალე (ციხე) შინაარსის მატარებელი არაა. „კალ“ სვანურად ნიშნავს „კალოს, ვაკეს, სწორ ადგილს.“[296] სოფელი „კალა“ სვანეთშიც დასტურდება.[297] საინტერესოა ტრაპეზუნტის სამხრეთით არსებული სოფლის სახელის – „მაჭუკას“ სემანტიკაც. ტერმინში შეიძლება გამოიყოს ფუძე „მაჭუ“, რაც სვანურად ნიშნავს „ტკივილს“, ხოლო „კა“ ისეთივე სუფიქსი-მაწარმოებელი იყოს როგორიც სხვა ქართული წარმომავლობის ტერმინებში შეინიშნება (კერძოდ, ლაზი-კა, კოლხი-კე, კორაქსი-კა). დერჭანისა თუ მის მახლობლად მდებარე პუნქტი სინორია || სვინორია შეიძლება მომდინარეობდეს სვანური სუფიქსისა „ორ“ და სინ || შუან || შან ფუძისაგან, რომელიც ამოსავალია ღითონის აღმნიშვნელი ტერმინისათვის ჰ(ა)ნარ (სვანური), კუანოს (ბერძნული), კენა (ხეთური), (რ)კინა (ქართული).[298] სიტყვა „სინორი“ ქართულმა ლექსიკონმაც შემოგვინახა, რაც ნიშნავს „მიჯნას, საზღვარს.“[299] ასევე საინტერესოა, ტრაპეზუნტის სამხრეთით V საუკუნეში არსებული რომაული სამხედრო ბაზის სახელწოდების, ტოპონიმ „მოხორას“ წარმომავლობაც. თუ ამ სახელწოდებაში „მო“-ს პრეფიქსად მივიჩნევთ, მაშინ შესაძლებლობა გვეძლევა „ხორა“ ფუძედ ვივარაუდოთ. ხოხრა (→სორა) სვანურად ნიშნავს „პატარას“. ქსენოფონტი ტრაპეზუნტის სანახებში ასახელებს „დრილებს“, ეს ეთნონიმიც შეიძლება დავუკავშიროთ სვანურ სიტყვას „დრილ“, რაც ნიშნავს „დროს“.

სანიგების სვანებისადმი მიკუთვნილებაზე და ამათ კოლხეთის ჩრდილოეთით ისევე როგორც, სამხრეთ მონაკვეთზე ბინადრობის შესახებ მოგვითხრობს თხზულება Liber Generationis: „სვანები,

---

295 გ. ერაძე. როდის და როგორ შეტრიალდა აფხაზეთი? გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 5 იანვარი.

296 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 144.

297 შ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი, გვ. 141.

298 თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი... გვ. 26.

299 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 494.

ე.წ. სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის პარემბოლე აფსაროსი <და სებასტოპოლისი>, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი".[300]

თავისთავად იბადება კითხვა: სად გაქრნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე სვანები, ისინი ხომ აქ ეთნოგრაფიულად არ დასტურდებიან? გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სვანი ტომების (მოსინიკები, მაკრონები, ჰენიოხები, სანები, სანიგები, წანარები, მისიმიანები, სვანო-კოლხები) საცხოვრისი იყო მცირე აზიასა და დასავლეთი საქართველოს ბარის სხვადასხვა რეგიონებში. მათი ერთი ნაწილი განსახლდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამხრეთის სვანები ასიმილირებული იქნენ სხვა ტომებთან.[301] ასეთი შეხედულება, ვფიქრობთ, მართებულია.

ამრიგად, ქართველური წარმომავლობის ტომები (სკიტინები, სანები (ჭანები), სანიგები, მოსინიკები, ჰენიოხები, წანები (წანარები?), კორაქსები, კერკეტები(?), დრილები(?), მარები) რომლებსაც ისტორიოგრაფია განიხილავდა როგორც მეგრულენოვან (მეგრულ-ჭანურ) ტომებად, წყაროების გულდასმითმა შესწავლამ, მათმა ურთიერთშედარებამ, ამ ტომების ტერიტორიაზე გამოვლენილი ტოპონიმების ლინგვისტურმა ანალიზმა მოგვცა საშუალება გამოგვეთქვა ვარაუდი, რომ ყველა ისინი სვანური წარმოშობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ. მაშასადამე, სწორი ყოფილა ნ. ბერძენიშვილი, როცა მეგრულ-ჭანურთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ეს მოსაზრება (ნ. მარისა — ს.გ.) ფრიად საინტერესოა. ის მოცემულ ნაწილში სწორიცაა, მაგრამ აქვე ისმის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ თუ სად და როდის არსებობდა ის რეალური პირობა, როცა წარმოიშვა ეს „обще-чанский язык". ან შეიძლება ასეთი რამ არასოდეს არსებულა, მით უფრო — მეგრულ-ჭანური?[302] მეცნიერი ქვემოთ ისევ წერდა „სადღა არის ადგილი იმ „обще-чанский язык"-ისათვის?[303]

აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, ჰალისის შემდეგ, ე.ი. აღმოსავლეთისაკენ პატარა მდინარე „მლაშე ირისია," შემდეგ თე-

---

300 გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 20; იხ. აგრეთვე, მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. — მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა... 1992, №2, გვ. 46, 49.

301 მ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი. გვ. 272.

302 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. გვ. 360.

303 იქვე, გვ. 361.

მისკირის კონცხთან თერმოდონტის შესართავი. აქ დოიასის ველ-ის სიახლოვესაა განთქმული ამაძონების სამი ქალაქი. ამაძონების შემდეგ მწირსა და კლდოვან მიწაზე ბინადრობენ რკინა-ფოლა-დის ოსტატი-ხალიბები. ბერძენი მწერლისავე ცნობით, თემისკირ-ელი ამაძონები „...შფოთისმოყვარე ქალების მოდგმა სამ ტომად იყვნენ გაყოფილი..."[304] ორფიკული არგონავტიკის ავტორიც დოია-ნტისა და თემისკირის მახლობლად ათავსებს ამაძონებსა და მათ ქალაქებს (სახელდებით არ მოიხსენიებს).[305]

ამაძონების სახელი პირველად ჰომეროსთან გვხვდება. ამ მი-თური ტომის ადგილსაცხოვრისისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა, მაგრამ საისტორიო წყაროთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების გამო პრობლემის საფუძვლიანი შესწავლა არ ხერხდება. ამაძონების საცხოვრისი ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორიის ფარგლებში ან გვერდით თავსდება. უძველესი ვარიანტების მიხედვით, ისინი მდ. თერმოდონტთან (ახლ. თერმე-ჩაი) ბინადრობენ. შედარებით მო-გვიანო ხანის ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში ჩნდება ჩრდი-ლო კავკასიაში მოსახლე ამაძონები. მაგრამ ისიც უნდა აღინიშ-ნოს, რომ თერმოდონტის ამაძონების თანადროულად ძველი ბერ-ძნული წყაროები ასეთივე სახელის მქონე ტომს ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოიხსენ-იებენ. მასალების უკმარისობის გამო ვერც დადგინდა მცირეაზი-ელი ამაძონური ტომები (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) საერ-თო წარმომავლობისანი იყვნენ თუ, ერთმანეთთან არანაირი კა-ვშირი არა აქვთ? კიდეც შესაძლებელია სკვითი თუ კიმერიული ტომის ამაძონების სახელის ფონეტიკურმა სიახლოვემ ალაძონე-ბის (ასეცაა მოხსენიებული ჰეროდოტეს „ისტორიის" ხელნაწერე-ბში) სახელთან, ხალიბთა თუ ჰალიბთა (ალიბი) განსახლების არ-ეში ლიტერატურული გზით ამაძონთა მეორე ჯგუფი წარმოშვა. სრულებით არაა გამორიცხული, ეს მეორე უკანასკნელნი ქართვ-ელური მოდგმის ან მათი მონათესავე ტომი ყოფილიყო.

ჰეკატეოს მილეტელი თავის „დედამიწის აღწერაში" მოგვითხ-რობს, რომ ქალაქ ალაზიასთან მიგდონიის დაბლობის დასავლე-თით გაედინება მდინარე ოდრისი. სტრაბონის შენიშვნით, ძველი

---

304 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 90.
305 ორფიკული არგონავტიკა. თბ., 1977, გვ. 104.

და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ალაზია უკაცრიელია, ხოლო ამაზონები რამდენიმე დასახლებულ ადგილში ბინადრობენ, რომელთა შორის გაედინება ოდრისი.[306] სტრაბონის გადმოცემით, მენეკრატი კი პირიქით „ჰელესპონტის აღწერაში" გვამცნობს, რომ მირლეის ახლომდებარე მთიან მხარეში მოსახლეობს ჰალიზონების ტომი. ამ ტერმინს იგი ორი „ლ"-ით გადმოგვცემს.[307]

პალეფატე აბიდოსელი ამტკიცებს, რომ ოდი და ეპისტროპი სალაშქროდ გამოვიდნენ ამაზონების ოლქიდან, რომლებიც მაშინ ცხოვრობდნენ ალოპეში, ახლა კი — ზელიაში.[308]

ეფორს ჰომეროსის ტექსტში შეაქვს კორექტივები. იგი ჰომეროსის მიერ მოხსენიებული ჰალიძონების ნაცვლად ამაზონებს ასახელებს და ალოპეს ამაზონების ტომის სამშობლოდ მიიჩნევს. მისი გადმოცემით ამაზონები კიმთან (თანამედროვე ქ. ლამურტკევი) ახლოს მოსახლეობენ.[309]

დემეტრი სკეპსიელი ეთანხმება ჰეკატეოს მილეტელის, მენეკრატ ელეილელის და ნაწილობრივ პალეფატეს აზრებს. იგი არ იზიარებს ეფორეს და ზოგიერთი სხვა ავტორის შეხედულებას, რომელთა მიხედვით ალიძონები პალენის ახლოს ბინადრობენ.[310]

სტრაბონი მიმოიხილავს რა ჰეკატეოს მილიტელის, ჰელანიკე მიტილენელის, ჰეროდოტეს, მენეკრატის, პალეფატეს, დემეტრის, ეფორის, ევდოქსისა და სხვების შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნავს: ზოგიერთი მწერალი ცვლის ჰომეროსის ტექსტს და წერენ „ალაზონებს," სხვები „ამაზონებს," ტერმინ „ალიბის" ცვლიან „ალოპად", ან „ალობად," ბორისთენის ქვემოთ მცხოვრებ სკვითებს უწოდებენ „ალაზონებს" და „კალიპიდელებს" და სხვა სახელებს (რომლებიც მობოდეს ჰელანიკემ, ჰეროდოტემ და ევდოქსმა). ისინი ამაზონებს ათავსებენ მისიას, კარიასა და ლიდიას შორის და როგორც ეფორი ფიქრობს მისი სამშობლოს კიმის სიახლოვეს. სტრაბონი განაგრძობს: რამდენიმე ქალაქს ამაზონების სახელებით (ეფესი, სმირნა, კიმა, მირინა) ეძახიან. ჰეროდოტე ამ და კიდევ 7 ქალაქს უძველეს ეოლიურ ქალაქებს უწო-

306 Страбон. География. с. 517.

307 იქვე.

308 იქვე.

309 იქვე. გვ. 516.

310 იქვე.

დებს. მისივე ცნობით, ერთი მათ შორის სმირნე წაიღეს იონიელებმა და კიმეს ახლა (მის დროს) ლერისე ეწოდება.[311] მაგრამ როგორ შეიძლება ამ მიდამოებში მოვათავსოთ ალიბი, ან როგორც ზოგიერთები უწოდებენ „ალოპე“ ან „ალობე“?[312] სტრაბონი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული მწერლები არაფერს გვეუბნებიან მათი ვერცხლის მადნების შესახებ. საერთოდ კი სტრაბონი ამაზონებს, ისევე როგორც ტრერებს და კიმერიელებს შემოსეულ ტომებად მიიჩნევს და იქვე აღნიშნავს, რომ ეს ამაზონები ტროელებთან კავშირში არ იგულისხმებიან, ისინი პირიქით, ებრძოდნენ პრიამოსსა და მათ მოკავშირე ფრიგიელებს.[313] სტრაბონი თავისი ნაშრომის სხვა ადგილას თერმოდონტის ამაძონებს კავკასიიდან გამოძევებულად ვარაუდობს.[314] ჰეროდოტეს ცნობით კი, პირიქით, კავკასიელი ამაძონები თერმოდონტის მიდამოებიდან გადასახლებული ჯგუფია.[315]

ამაზონებს კიმერიელებთან ერთად წინა აზიაში შემოსეულად თვლის პაველ ოროზიაც (ახ.წ. V ს. პირველი ნახ.). რომაელი ავტორი მათი შემოსევის თარიღსაც — 723 წ. იძლევა,[316] რაც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.[317] ამიტომ, ბუნებრივი იქნება თუ ვიტყვით, რომ მცირე აზიის უკიდურეს დასავლეთში მობინადრე ამაზონები კიმერიული ტომი უნდა ყოფილიყო.

სტრაბონი ამაზონების ისტორიის სხვა პრობლემებსაც ეხება. მისი ცნობით, თემისკირის ახლოს. თერმოდონტისა და ირისის შეერთებასთან არის ამაზონების დაბლობი,[318] ან თემისკირაში მოსახლეობენ ამაზონები, თემისკირა ამაზონების ქალაქია,[319] ან კიდევ კაბადოკიის ერთ ნაწილში ცხოვრობენ ამისინები[320] (ამისოელები?). სტრაბონის გადმოცემით, ქალაქების სახელები — მირინა და კიმი ამაზონური სახელწოდებებია, ეს სახელები მათვე შეარქვეს;[321] იბე-

311 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I. გვ. 92.
312 Страбон. География. с. 516.
313 იქვე. გვ. 517-518. 537.
314 Strabo. XI, V, 4.
315 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, გვ. 283-285.
316 В.В. Латышев. СК. — ВДИ. 1949, №4. с. 268.
317 И.В. Куклина. Ранние известия о скифах и киммерийцах. — ВДИ. 1981. №2. с. 164.
318 Страбон. География. с. 60. 126.
319 იქვე. გვ. 511. 514.
320 იქვე. გვ. 513.
321 იქვე. გვ. 583.

რიის (ქართლი — ს.გ.) მდ. ალაზონი კავკაზიდან (კავკასიონი — ს.გ.) მომდინარეობს.[322] ბერძენი მწერალი მდ. ალაზნის კავშირის შესახებ ჩრდილო კავკასიის ამაძონებთან არაფერს გვეუბნება. შესაძლებელია ამ მდინარეს სახელი მათი ქვეყნის მიდამოების სიახლოვიდან მომდინარეობის გამო მიიღო. თ. მიბჩუანი ტერმინში „ალაზან" — „ლაზან" (ლაზიკას) გამოჰყოფს, რაც სვანური გაგებით საზანოს (სამეგრელოს) ნიშნავს.[323] ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ შესაძლებელია მდინარის სახელწოდება ალაზანი კოლხეთიდან იყოს გადატანილი.[324]

სტრაბონი, ტროგუსი (ძვ. და ახ. წ. მიჯნა), რუფუსი (ახ.წ. I ს. შუახანები) მოგვითხრობენ ამაზონების დედოფლის თელესტრისისა და ალექსანდრე მაკედონელის ურთიერთობის (ცოლქმრული კავშირის) შესახებ (ოღონდ სტრაბონს მათი დროებითი შეუღლების ამბავი არ სჯერა — XI, V, 4). რუფუსის გადმოცემით თელესტრია მბრძანებლობდა ქვეყნებს კავკასიონის მთასა და მდ. ფაზისს შორის. მწერალი იქვე ლევკოსირების მეზობელ ამაზონებსაც ახსენებს.[325] ცნობილია, რომ თელესტრია ჩრდილო კავკასიის ამაზონების გამგებელი იყო, მაგრამ მის საბრძანებელში თითქოს გაერთიანებული ოლქების შემოსაზღვრულობა ნათელი არ არის. უეჭველია, რომ ამ ფაზისში რიონი, ჭოროხი ან არაქსი არ უნდა იგულისხმებოდეს. შესაძლებელია იგი მბრძანებლობდა ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილსა და ყუბანის (ანტიკური წყაროების ჰი-ფანისი) სათავეებს შორის მოსახლე ტომებზე. თ. ყაუხჩიშვილი ქალთა ასეთი მოდგმის არსებობას ეჭვის ქვეშ აყენებს, მისი აზრით, იგი საერთოდ არ არსებობდა, ხოლო თუ ატროპატესმა ალექსანდრეს მხედარი ქალები უჩვენა, ესენი იყვნენ ვიღაცა ბარბაროსი ქალები, გამოწვრთნილი ცხენოსნობაში და გამოწყობილი იმგვარად, როგორც ამაძონების შესახებ ამბობენ.[326]

კავკასიისა და მცირე აზიის ამაზონების შესახებ ცნობები დაუცავს პომპონიუს მელასაც (ახ.წ. I ს.). მისი გადმოცემით, თერმო-

---

322 იქვე. გვ. 474, 476.

323 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 126.

324 ზ. ჭუმბურიძე. მცდარი ეტიმოლოგიური ძიებანი. — მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1992, №2, გვ. 140.

325 ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973, გვ. 27.

326 აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გვ. 119-120.

დონტის მიდამოებში „ამაძონთა ბანაკი“ იყო, რის გამოც მდინარეს ამაზონთასაც ეძახიან. ამაზონები მოხსენიებული არიან ეოლიის აღწერაშიც. მათმა დედოფალმა კიმემ გაჰყარა ეოლიის ერთი ქალაქიდან ძველი მცხოვრებლები და მას თავისი სახელი – კიმე უწოდა.[327] სტრაბონის დროს კიმთან სიახლოვეს სხვა ეოლიური ქალაქებიც – ეგი და ტემნი არსებობდა, მათ გვერდით გაედინება ჰერმი.[328]

ცნობებს მითური ამაზონების შესახებ არიანეს „ალექსანდრეს ანაბასისშიც“ ვხვდებით. ხორაზმელთა მეფე ფარსმანს ალექსანდრე მაკედონელისათვის შეუთავაზებია – „თუ სურს, თავს დაესხას კოლხებსა და ამაძონებს და დაიმორჩილოს ევქსინის პონტომდე რომ ვრცელდებიან ის ტომები, ის ჰპირდება, რომ იქნება მისი მეგზური და მოუმზადებს ლაშქრისათვის პროვიანტს.[329]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფარსმანი ქართველთა მეფე უნდა ყოფილიყო.[330] სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა მის მიერ შემოთავაზებული „მეგზურობა“ და „დახმარება“ კოლხებისა და ამაძონების წინააღმდეგ. შესაძლებელია გვეფიქრა, რომ კოლხების მაგიერ თავდაპირველ ტექსტში სხვა რომელიმე ტომი ყოფილიყო მოხსენიებული, მაგრამ, იქვე მათი ლოკალიზაცია („ევქსინის პონტომდე“) ამ ეჭვს აქარწყლებს. ჩვენი აზრით, ტექსტში თავდაპირველად ხორასმის მაგიერ ხორ || ქორ (ქორთ, ქართ) ფორმის ფუძის მატარებელი ეთნონიმი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მთლად ნათელი არ არის ის, რომ ქართთა მეფემ მაინცადამაინც თუ რატომ დაასახელა ამაზონები? აქ ამაზონები ხომ სკვითების ან კიმერიელების მნიშვნელობით ნახმარი არაა, ან კიდევ ფარსმანმა ბერძნულ სამყაროში სკვითიად ცნობილ მხარეში მნიშვნელოვანი(?) თუ უფრო ცნობილი ტომი არ დაასახელა? ერთი რამ ცხადია, რომ „ალექსანდრიანის“ ამაძონები ჩრდილო კავკასიური მოდგმისანი არიან, რომლებთანაც შესაძლებელია გარკვეული ურთიერთობა ჰქონოდა მეფე ფარსმანს, ალბათ ისევე, როგორც კოლხებთან.

---

327 ალ. გამყრელიძე. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. – ქწა, I, თბ., 1965, გვ. 14, 17, 29.

328 Страбон. География. с. 582.

329 ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983, გვ. 142.

330 ე. გოილაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, ჟურნ. „მნათობი“, 1984, №11, გვ. 158–159.

საისტორიო წყაროთა ურთიერთშეჯერებამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ თვით ამ წყაროებში არ სუფევს ერთიანობა. მათ ამაძონების ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხებზე გააჩნიათ განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები. ამაზონების საცხოვრისი, რა თქმა უნდა, თუ აქ სატომო სახელთა ფონეტიკური დამთხვევები არ გვაქვს, რასაც ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ოთხ ერთმანეთისაგან დაშორებულ ტერიტორიაზე წარმოგვიდგება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ ძვ.წ. 723 და მომდევნო წლებში კიმერიელებთან ერთად, მათი მეზობელი და ალბათ მონათესავე ამაზონებიც მოქმედებენ წინა აზიაში, მაშინ საფუძველი გვექნება, ამაზონთა მესუთე ადგილსაცხოვრისის შესახებ მსჯელობაზე. დანარჩენი ოთხი ოლქი, რომლებსაც ანტიკური წყაროები ასახელებენ ამაზონთა საცხოვრისად შემდეგია: ნიკოლაევის მიდამოები[331] ან მდ. სინიუსის სიახლოვე,[332] ჩრდილოეთი კავკასია, თერმოდონტის მიდამოები, მცირე აზიის უკიდურესი დასავლეთი.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მცირე აზიის დასავლეთში მოსახლე ამაზონები, ნაშთია დარჩენილი იმ დიდი შემოსევებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. VIII-VII სს მიჯნაზე. არ გამოვრიცხავთ, იმას, რომ ამ ამაზონებმა ძვ. წ. 776 წელს კიმერიელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ფრიგია-მუშკების სამეფოს განადგურებაში. როგორც ჩანს, მათმა გარკვეულმა ნაწილმა, აქვე, ფრიგიის დასავლეთით დაიმკვიდრა ბინა. ლიდიაში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდ. ჰერმის ეგეოსის ზღვის შეერთებასთან მოხსენიებულია ამაზონური ქალაქები-კიმი და მირინა (ამაძონი ქალების სახელიდან გამომდინარე), მათგან სამხრეთ-დასავლეთითაა ტემნი, ხოლო სამხრეთით სმირნა (ესეც ამაძონი ქალის სახელიდან მომდინარეობს), კიდევ უფრო სამხრეთითაა ლარისა.[333] აქვე, ფრიგიის ოლქის სიახლოვესაა (დასავლეთით) საძებარი სხვა ამაზონური ქალაქებიც, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ეფორი, სტრაბონი და სხვები. ბონელი, ლემან-ჰაუპტი, როსტოვცევი და სხვები აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ამაძონებს კიმერიულ-კელტურ ტომად მიიჩნევენ,[334] რამიც ეჭვი

331 Б.Н. Граков. Скифы. М., 1971. с. 17.
332 М.И. Артамонов. Киммерийцы и скифы. Л., 1974. с. 81.
333 Страбон. География. с. 516. 582-583. 592 и др.
334 А.И. Доватур и др. Народы нашей страны... с. 171. 173. იქვეა მითითებული სათანადო ლიტერატურაც.

არც ჩვენ გვეპარება. სრულიად განსხვავებულ დაჯგუფებასთან უნდა გვქონდეს საქმე მათგან გაცილებით აღმოსავლეთში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ჰალისის შესართავის აღმოსავლეთით მობინადრე ამაძონების სახით. თერმოდონტის მიდამოებში მოსახლე ამაძონების საცხოვრისს, როგორც აღინიშნა, წყაროები დაახლ. სამსუნსა და უნიას შორის მოქცეულ ზღვის სანაპირო ზოლში მიუთითებენ.[335] მათი ძირითადი ტერიტორია მდინარეების თერმოდონტისა და ირისის (იეშილ-ირმაკი) შესართავების რაიონში არსებულ დაბლობს — დოიასის ველს, რომელსაც ამაძონების დაბლობიც ეწოდებოდა — წარმოგვიდგენენ. აღნიშნული მიწა-წყალი ექცევა ჰალიძონ-ხალიბების განსახლების არეში. ჩვენი აზრით, ამაძონების ამგვარი ლოკალიზაცია უნდა გამოეწვია ამ ეთნონიმების სახელწოდებათა გარეგნულ მსგავსებას (კერძოდ, ამაზონი, ალაზონი, ალიბი, ჰალიძონი და ა.შ.), ან ამაძონების სახელის მსგავსებას მესხების მცირეაზიულ სახელთან — მაზაკა (მაძაკა?); კაპადოკიას გვიან ხანამდე შემორჩა ასეთი სახელის მქონე ქალაქი, ზოგიერთი ავტორი მის მოსახლეობას მაზაკენებს უწოდებდა (მაგ. სტრაბონი). დასაშვებად მიგვაჩნია ამაძონი ნაწარმოები იყოს ფუძე „მაძ“ (მაზ, მას), რომელიც მაზაკას, მაზაკებს, მესხებს ნიშნავდა, . „ა“ პრეფიქსისა და „ონ“ სუფიქსის დართვით (შეადარეთ: ა-მის-ო).

როგორც ჩანს, მართებული უნდა იყოს თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ სექტორში არავითარი ამაძონები არ მოსახლეობდნენ. მისი აზრით, ამაძონები თუ ჰალისის მიდამოებში არსებობდნენ, მაშინ მათ ქსენოფონტი უთუოდ მოიხსენიებდა.[336] აღნიშნულ მიდამოებში ისინი არ ჩანან არც ჰეროდოტესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აქემენიდთა 19 სატრაპიაში, ხოლო დასავლეთის 1, 2, ან 3 სატრაპიაში იქნებოდნენ დასახელებულები. ძვ.წ. VI-IV საუკუნეების პერიპლუსებშიც (ჰეკატეოს მილეტელი, ფსევდოსკილაქსი) უნაყოფოა მათი კვალის ძებნა თერმოდონტის მიდამოებში. პალეფატეს გადმოცემით (ცნობა დაცულია სტრაბონთან) ალოპელი ამაძონები მის დროს (ძვ.წ. IV ს. II ნახევარი) ზელიაში მოსახლეობდნენ.[337] ზელია კი დოიასის ველის

335 შეადარეთ: The Greeks in the Black Sea, Athens, 1991, იხ. 198 გვერდზე მოცემული რუკა.

336 აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 119-120.

337 Страбон. География, с. 518.

(ამაზონების დაბლობის) დასავლეთით თავსდება. პალეფატის უმცროსი თანამედროვის აპოლონიოსის თხზულებაში ამაზონები მდ. ჰალისსა და ხალიბებს შორისაა მოხსენიებული.[338]

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს თერმოდონტის აუზში მობინადრე ამაზონების (ალიზონების?) ეთნიკური კუთვნილებისა და სახელწოდების წარმომავლობის რამდენიმე ვერსია.

გ. მელიქიშვილის აზრით, სატომო სახელში „ამაზონი" უნდა გამოიყოს ფუძე „მაზ" და სუფიქსი „ონ", რომელიც დამახასიათებელია ქართველური და ბერძნული სამყაროსათვის.[339]

არ. ბარამიძის ვარაუდით, ჰომეროსთან მოხსენიებული ალიბების ქვეყანა შეესაბამება სტრაბონის ხალიბებს და არა ალიზონებს. ალიზონების სახელწოდება შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად „ალი" და „ზონ"-ებად. „ალი" უახლოვდება მეგრულ „ღალი"-ს, რომელიც „ღელეს" ნიშნავს, ხოლო „ზონ"-ში ზანების (იგივე ჭანების) სახელწოდება დავინახოთ? ალიზონები ერთ-ერთ უძველეს მეგრულ ტომს შეიძლება ეკუთვნოდეს.[340]

გ. ქავთარაძე შესაძლებლად თვლის, რომ ეთნონიმ „ამაზონისა" და ქალაქების ამისოსა და ამასიის სახელწოდებათა წინამორბედებს ტოპონიმები Alisa და Hakmis უნდა წარმოადგენდნენ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამასიის მახლობლად ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში უნდა ეცხოვრათ მოსხებს, რომელთა სახელწოდებების არქეტიპს „მას" წარმოადგენდა, საკმაოდ ახლოს მდგომი ამაზონთა ფუძე „მაზ"-თან. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მითურ ამაზონებში ხომ არ იგულისხმება ამ მიდამოებში მოსახლე მოსხები? იქნებ მათი და მოსინიკების სახელწოდებათა გარეგნულმა მსგავსებამ ამაზონების სახელთან გამოიწვია ჩრდილოეთური ტომის თერმოდონტის მიდამოებში ლოკალიზება?[341]

გ. ფიფია წერს, რომ ზოგიერთი წყაროს მოწმობით XIX საუკუნეში აფხაზეთის ზოგიერთ ადგილას მეგრელებს უწოდებდნენ

---

338 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 107.

339 გ. მელიქიშვილი. აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის. — სმაო, 1961, №3, გვ. 114.

340 არ. ბარამიძე. საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. — ბსკი-ის შრომები, III, თბ., 1964, გვ. 135, შენ. 2.

341 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში... გვ. 80-81.

„ამაზანებს“. ეს ტერმინი უახლოვდება მეგრელთა სვანურ სახელს — „ზანარი“ და მის ზანურ წარმოშობაზე მიუთითებს.[342]

რ. პლიევის აზრით, ძველი ნახები ამაზონებს უწოდებდნენ „ალმაზ“-ს. ნახურ ენაზე „ალა“ ნიშნავს ღმერთს, „მაზა“ — კავშირს, შეერთებას. აქედან გამომდინარე „ალმაზ“ უნდა ნიშნავდეს ღმერთების კავშირს. ალა მაზა ნახურენოვანი კავკასიის ამაზონების თვითსახელია.[343] რ. პლიევის აზრი, მართალია, ჩრდილოკავკასიელ ამაზონებს ეხება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ნახური სახელწოდება ახლოს დგას ალიძონთან და ამაზონთან. შესაძლებელია ფუძისეულ პირველ ნაწილს ბგერათა კომპლექს „ლმ“ მწერლები ზოგ შემთხვევაში „ლ“-ს, ზოგჯერ კი „მ“-ით გადმოეცემდნენ (შეადარე: ალაზონი-ამაზონი).

წერილობითი წყაროებიდან გამომდინარე, თერმოდონტის ამაძონების ეთნიკური კუთვნილების საკითხი ბევრ სადავოს ბადებს. მათი სიახლოვე კიმერიელებთან, მეგრულ, სვანურ, ნახურ, სლავურ ჯგუფებთან მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდის სფეროში დარჩება, მანამდე ვიდრე მათი განსახლების არეალში მითითებული ტოპონიმების ლინგვისტური ანალიზი არ გაკეთდება. რაც შეეხება სახელწოდების ეტიმოლოგიას დასაშვებად მიგვაჩნია „მაძ“ — „მაზ“ ფუძის, „ა“ პრეფიქსისა და „ონ“ სუფიქსის გამოყოფა. შესაძლებელია თერმოდონტის შესართავის მიდამოებში ამაძონთა გაჩენა მხოლოდ ლიტერატურული გზით მოხდა, სინამდვილეში კი ისინი მესხები ან ხალიბები იყვნენ.

* * *

ძველი კოლხური გაერთიანება, რომლის ძირითადი რაიონები განლაგებული იყო ჭოროხის შესართავის ორივე მხარეს დაახლოებით ძვ.წ. VIII საუკუნის 20-იან წლებში, როგორც ჩანს, გაანადგურეს კიმერიელებმა და სკვითებმა. ამის შემდეგ ამ სამეფოს პოლიტიკურმა ცენტრმა სამხრეთიდან, ჭოროხის ხეობიდან, ჩრდილოეთისაკენ, რიონზე გადმოინაცვლა ან აიას ქვეყანამ შეიერთა ჭოროხ-ტრაპეზუნტის მიდამოებში არსებული ქართველი ტომების

---

342. გ. ფიფია. აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო, თარგმანი ნ. გოძიაშვილისა, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, 5 ივლისი.

343 Р. Плиев. Хранитель тайн-язык. с. 94.

გაერთიანება — კოლხა. ბერძნული წყაროების მიხედვით ახალი კოლხური სამეფო ძვ.წ. VI საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო. წერილობითი წყაროებისა და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვრების შუქზე ძვ.წ. VI–IV საუკუნეების კოლხეთის სამეფო მოჩანს, როგორც ძლიერი პოლიტიკური ერთეული, ეკონომიურად და კულტურულად მაღალგანვითარებული სახელმწიფო, მრავალრიცხოვანი ქალაქებითა და საქალაქო ტიპის დასახლებებით, განვითარებული მეტალურგიითა და ხელოსნური წარმოებით, საკუთარი სამონეტო მიმოქცევით. მას გაცხოველებული სავაჭრო, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა თავის ტერიტორიაზე არსებულ პოლისებთან და ემპორიონებთან, ისე მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. იგივე წყაროები იძლევიან ახალჩამოყალიბებული სამეფოს საზღვრების მიახლოებით განსაზღვრას. კერძოდ, ჰეროდოტე (ძვ.წ. 485–425 წწ.) თავის „ისტორიაში" მიუთითებს: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპერები, სასპერებს ზემოთ კოლხები,* რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე".[344] ამ ცნობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლხებს შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო სჭერიათ, რადგან ზემო ზღვა იგივე შავი ზღვაა, ხოლო ფასისი — რიონი,[345] უკიდურეს შემთხვევაში, ჭოროხი.[346] კოლხების ადგილსამყოფელი შეიძლება უფრო დაზუსტდეს ჰეროდოტეს მეორე ცნობით: „მეოტიდის ტბიდან (აზოვის ზღვა) ვიდრე მდინარე ფაზისამდე და კოლხთა სამფლობელოებამდე ოცდაათი დღის სავალია კარგი, მსუბუქად ჩაცმული ქვეითისათვის" (I, 104). ამ ცნობიდან ჩანს, რომ კოლხების ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარს ბერძენი ისტორიკოსი დაახლოებით მდინარე რიონის

---

* ჰეროდოტეს კოლხები, რომ თითქოს ებრაელები იყვნენ (ა. ლორთქიფანიძე. ქართველები და ებრაელები, გაზ. „აჭარა", 1998, 17 სექტემბერი) ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს (ს. გოგიტიძე. წერილობითი წყაროები ებრაელთა საქართველოში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999, №8, გვ. 116–117).

344 ჰეროდოტე. ისტორია, წ. I, გვ. 262.

345 ს. ჯანაშია. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 51.

346 თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 83–84; მისივე, К археологии Колхиды. Тб., 1990, с. 4.

ქვემო დინების რაიონში ხედავდა.[347] მისივე ცნობით, აქემენიან სპარსელებს კოლხები და მათი მეზობლები კავკასიონის ქედამდე ოთხ წელიწადში ერთხელ ნებაყოფლობით ძღვენს უგზავნიან (III, 97).[348] ამ ცნობიდან კი ჩანს, რომ კოლხების ქვეყნის საზღვარი ჩრდილოეთით კავკასიონამდე არ სწვდებოდა. კოლხების ზემოთ კავკასიონის ქედამდე ალბათ ჰენიოხები და სხვა სვანური ტომები მოსახლეობდნენ. ჰეროდოტეს თანამედროვე ავტორები ხომ აქვე კოლებს, კორაქსებს, მელანქლენებსა და გელონებსაც ასახელებენ.[349] უკვე კიროსის დროს აქემენიდები იმორჩილებენ კაპადოკიას, არმენიას, ანადგურებენ ლიდიის და ბაბილონის სამეფოებსაც. კოლხეთი ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფოა. იგი თვალს ადევნებს მიდიისა და სპარსეთის ძლიერი იმპერიების შექმნას, ცდილობს შესაფერისი პოლიტიკური ხაზი გაატაროს. სპარსელებს ძალა შესწევდათ ამ ქართული გაერთიანების განადგურებისათვის. აქემენიდებს თავი შეუკავებიათ, მაგრამ კოლხეთისთვის მნიშვნელოვანი ოლქები (მესხეთი, კოლა და ა.შ.) ჩამოუშორებიათ. კოლხეთის გადარჩენაში, ცხადია, მთავარი როლი იმ შეუპოვარმა ბრძოლებმა შეასრულეს, რომლებიც ქართველ ტომებს სპარსელების წინააღმდეგ უწარმოებიათ. მძიმე ბრძოლებით შეწუხებულმა სპარსელებმა კოლხეთის სამეფოს დაპყრობაზე ხელი აიღეს, იმ მიზნით, რომ იგი ყოფილიყო საფარი ჩრდილოეთის ნომადების წინააღმდეგ.[350]

გ. მელიქიშვილის შენიშვნით, კოლხების ქვეყნის სამხრეთი საზღვარი არ შეიძლება დაიდოს ტრაპეზუნტის რაიონში, როგორც ამას ზოგიერთი ცნობა ვარაუდობს. ამის მამტკიცებელია თვით ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვით კოლხებისაგან განცალკე-

---

347 გ. მელიქიშვილი. კოლხეთი ძვ.წ. VI–IV საუკუნეებში. – სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 400.

348 დ. სახუტაიშვილის აზრით, ამ დროს ქართველი ტომებისაგან შემდგარი ნაწილები სპარსეთის ჯარში შეადგენდნენ ან დაქირავებულებს, ან მათ მოკავშირეებს. ძვ.წ. V ს.-ის ბოლოსათვის სპარსელებსა და ქართველ ტომებს შორის ამგვარი ურთიერთობა არ არსებობდა (იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია), რაც, ჩვენი აზრით, მართებულია (ს. გოგიტიძე. დავით სახუტაიშვილი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველური ტომების საკითხი, გვ. 14.

349 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 43, 81.

350 დ. ხახუტაიშვილი. შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები... გვ. 149; ს. გოგიტიძე. დავით სახუტაიშვილი და სამხრეთ-აღმოსავლეთ..., დავით ხახუტაიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული რესპ. სამეცნ. სესიის მასალები, ბათ., 1999, გვ. 14.

ვებით ტრაპეზუნტის რაიონსა და მის აღმოსავლეთით მოსახლე ტომები (მოსინიკები, მოსხები, მაკრონები) აქემენიანთა მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ.[351]

ნ. ლომოურის აზრით, კოლხეთის საზღვარი სამხრეთით მდ. ჭოროხის სექტორში გადიოდა და ჭოროხის სამხრეთით სანაპიროს არ მოიცავდა. მისივე შენიშვნით ფსევდოსკილაქსის მიხედვითაც კოლხეთი მდ. აფსაროსამდეა და აქედან ვიდრე მდ. თერმოდონტამდე (თერმე-ჩაი) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ტომები ბინადრობდნენ.[352]

ფსევდოსკილაქს კარიანელს (ძვ.წ. IV ს.), დაცული აქვს ჰეროდოტეზე ადრინდელი ცნობები, კერძოდ, ძვ.წ. VI საუკუნეში მოღვაწე სკილაქს კარიანდელისა, რომლის მიხედვით კოლხები თითქოს დიოსკურიიდან (სოხუმი) მდ. აფსარამდე (ჭოროხი) ბინადრობდნენ.[353] მსგავს ცნობას გვაწვდის ახ.წ. V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ძველი წყაროებით სარგებლობდა: „დიოსკურიიდან ანუ სევასტოპოლიდან აფსარის მდინარემდე ძველად ცხოვრობდნენ ხალხი, რომლებსაც კოლხები ეწოდებოდათ...“[354] ასეთი ცნობები, რა თქმა უნდა, ზოგადი ხასიათისაა. თუმცა, შესაძლებელია გარკვეულ დროში კოლხეთის საზღვარი ჩრდილოეთით მართლაც დიოსკურიის, ხოლო სამხრეთი აფსაროსის მიდამოებში გადიოდა. ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით ძნელია კოლხეთის საზღვრების ფასისიდან ასე შორს, ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთით ასე ახლოს, აფსარამდე, ვიგულისხმოთ.

ჰეროდოტეს მიხედვით, აქემენიდურ ირანს კოლხეთის სამხრეთით ქართველური თუ მათი მონათესავე ტომებისაგან შეუქმნიათ ორი სატრაპია: მე-18 და მე-19. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დარიოსისა და ქსერქსეს წარწერებში[355] აქემენიდების მიერ დამორჩილებულ ხალხთა სიაში ვერ ვხვდებით იმ ქართველ ტომებს (სასპერები, მატიენები, მოსხები, მოსინიკები, მაკრონები,

---

351 გ. მელიქიშვილი. კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში, სის, I, გვ. 400-401.

352 ნ. ლომოური. ლაზეთის სახელწოდების ისტორიისათვის. – მაცნე, სმაო, 1964, №5, გვ. 71.

353 Скилак Кариандский. Азия. – ВДИ, 1947, №3, с. 243.

354 გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 6.

355 მ. ანდრონიკაშვილი, მ. სახოკია. აქემენიდების ძველი სპარსული ლურსმნული წარწერები. – ძასიქ, გვ. 313, 315; В.В. Латышев. СК. – ВДИ, 1947, №1, с. 277, 279; В.В. Струве. Датировка Бехистунской надписи. – ВДИ, 1952, №1, с. 42; Л. Ельницкий. Новая надпись Ксеркса. – ВДИ, 1940, №2, с. 169.

ტიბარენები, მარები და სხვები), რომლებიც ჰეროდოტეს ცნობით, სპარსელებს ემორჩილებოდნენ ძვ.წ. V საუკუნეში. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ 18 და 19 სატრაპიაში შემავალი ქართველი ტომები შესაბამისად სპარსულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასახელებულ ქვეყნებში არმენიასა და კაპადოკიაში შედიოდნენ. ძვ.წ. V საუკუნის ბოლოსათვის სპარსელებსა და ქართველ ტომებს შორის არავითარი დამოკიდებულება არ არსებობდა. ძვ.წ. V საუკუნეში საბერძნეთის წინააღმდეგ სალაშქროდ გამოსული ქსერქსეს არმიაში დასახელებული არიან მოსხები,[356] ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, მარები და კოლხები (VII, 78-79). ჰეროდოტეს თანადროული და შემდეგდროინდელი წყაროებიდან ჩანს, რომ ტრაპეზუნტიდან აღმოსავლეთისაკენ მოსახლეობენ მაკრონები. ამათ შემდეგ უნდა ყოფილიყო კოლხეთის სამეფოს საზღვრები, რადგან ბექირთა ტომი, რომელიც მდინარეების ყარა-დერესა და სულაკლის შორის ბინადრობდა არ შედიოდა აქემენიანთა სატრაპიაში. ბექირები იყვნენ კოლხეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვარზე (დასავლეთის მიმართულებით) მოსახლე ტომი. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლხეთის სამხრეთი საზღვრები, ჰეროდოტეს მონაცემებით, ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე, გადიოდა რიზეს მიდამოებში. ქსენოფონტეს ცნობით, ტრაპეზუნტის რაიონში კოლხები მოსახლეობენ. მათი მიწა-წყალი კერასუნტამდე ვრცელდებოდა.[357] როგორც ირკვევა ბერძენი მწერლის მონათხრობში პოლიტიკური მდგომარეობა უნდა იგულისხმებოდეს. კოლხეთის სამეფოს სამხრეთი საზღვრები ამჯერად (ძვ.წ. 401 წ.) კიდევ უფრო შორს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გაწეული ჩანს და იგი კერასუნტს (გირესუნი) სწვდება.

როგორი იყო კოლხეთის სამეფოს ეთნიკური შემადგენლობა?

ჰეროდოტეს უმცროსი მემკვიდრეები-ჰიპოკრატე,[358] ქსენოფონტე[359] და არისტოტელე[360] რიონ-ფაზისის მიდამოებში მცხოვრებ

---

356 ჰეროდოტეს მოსხებში ზოგიერთი მკვლევარი აჭარლებსა და ახალციხელებს გულისხმობს (Л. С. Исарлов. Письма о Грузии, с. 246), რაც უეჭველია მართებული არაა. ბერძენი მწერლის მესხებში მცირე აზიაში ჩორუმ-ზილე-ტოკატას სამხრეთით მოსახლე ქართველური ტომი უნდა შევიცნოთ.

357 თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 97.

358 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 61-62.

359 იქვე, გვ. 54.

360 იქვე, გვ. 65.

მოსახლეობას ფასიანებს უწოდებენ.[361] თითქოს აღნიშნულ მიწა-წყალზე არც ჰეკატეოს მილეტელი (549-472 წწ.) და არც ჰელანიკე მიტილენელი (ძვ.წ. V ს.) ასახელებენ ტომს კოლხის სახელით.[362] გამონაკლისს წარმოადგენს ფსევდოსკილაქს კარიანელი (ძვ.წ. IV ს.). იგი კოლხებს ასახელებს გელონებსა და ბიძერებს შუა.[363] მაგრამ მოგვიანო ხანის მწერლების ცნობებისა და თანამედროვე ისტორიკოსთა კვლევის შედეგებით, გამოიკვეთა შეხედულება, რომ ანტიკურ ხანაში, სანამ მოხდებოდა მთიელი თუ ჩრდილოკავკასიური ტომების შემოჭრა ჩრდილოეთ კოლხეთში, დიოსკურიასა და აფსაროსს შორის, კოლხების გვერდით მოსახლეობდნენ-ბიძერები (ზიდრიტები), ლაზები, ჰენიოხები (სანიგები), ეგრები (მანრალები), ამარანტები და სხვა. ამიტომაა, რომ მკვლევრები კოლხეთს ზოგად კრებით მნიშვნელობას ანიჭებენ.[364] მართლაც, კოლხეთის სამეფოში გაერთიანებული ჩანს ყველა ეგრული, ქართისა და სვანური ტომი, რომლებსაც საკუთარი სკეპტუხიები თუ საერთისთავო ქვეყნები გააჩნდათ.

როდის და რა მიზნით უნდა მომხდარიყო ამ ტომთა გაერთიანება ერთ სამეფოში?

ამ მიმართებით საინტერესოა მ. ინაძის მიერ გამოთქმული შეხედულება. ჰეკატეოსისა და ფსევდოსკილაქსის მიერ დასახელებულ ტომთა განსახლების არეალში კოლხებისაგან ცალკეა გამოყოფილი ბიძერები და ბექირები. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მონაცემები ძვ.წ. VI საუკუნის 20-იანი წლების უწინარესია, რადგან მოგვიანო პერიოდში (კერძოდ, ჰეროდოტეს დროს) ბექირები და ბიძერები ჩანან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომთა სიაში, როგორც ცალკე ეთნიკური ერთეულები.[365] მ. ინაძე მიუთითებს, რომ ძვ.წ. VI ს. 20-იან წლებში სამხრეთ-აღმოსავლ-

---

361 ფასიანი (ფშიანი) წყლით, მდიდარ ან ჭაობიან ადგილს ნიშნავს (თ. მიქელაძე. ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის. — მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 27.

362 ჰეკატეოსთან დასახელებულია კოლხური ტომები: კორაქსები, მოსხები (В.В. Латышев. СК. — ВДИ, 1947, №1, с. 300, 301).

363 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 81.

364 Г.А. Меликишвили. К истории... с. 62.

365 М.П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, с. 53; его же, О времени образования колхидского царства по данным древнегреческих авторов. — Вопросы древней истории, Тб., 1973, с. 165.

ეთი შავიზღვისპირეთის ტომთა მე-19 სატრაპიაში შესვლის დროისათვის უკვე ბიძერები და ბექირები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულებს, არამედ ისინი ძლიერი მეზობლების – კოლხების პოლიტიკური გავლენის სფეროში შესულან.[366] სხვა ნაშრომში მკვლევარი იძლევა ახსნას ამ ტომების მოხვედრისა კოლხეთის სამეფოში. ჰეკატეოს მილეტელის, ჰეროდოტესა და ფსევდოსკილაქსის ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბიძერები და ბექირები კოლხებთან უნდა შეკავშირებულიყვნენ დარიოსის მიერ იმპერიის სატრაპიებად დაყოფის წინ, იმ მიზნით, რომ თავი დაეღწიათ აქემენიანთა აგრესიისაგან და არ მოხვედრილიყვნენ მის უშუალო გამგებლობაში. მეცნიერი ამავე ხანას მიაკუთვნებს სხვა მეზობელი ტომების შესვლას დიდ პოლიტიკურ ერთეულში – კოლხეთის სამეფოში.[367]

ამრიგად, კოლხეთის სამეფოს სამხრეთი საზღვრები შეიძლება ასე შემოიფარგლოს: კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მისი საზღვრები ძვ.წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში სწვდება მდ. აფსაროსს (ჭოროხი). როგორც ირკვევა, მომდევნო ხანაში (ძვ.წ. V ს.) ჰეგემონმა თავისი ძალაუფლება ოფიუნტის წყლის სექტორამდე განავრცო. ამავე საუკუნის დასასრულისათვის კავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე პოლიტიკური ვითარება კვლავ იცვლება. სპარსეთის იმპერიაში არსებული შინაური აშლილობით ისარგებლეს მე-18 და მე-19 აქემენიდურ სატრაპიაში შემავალმა ქართველურმა ტომებმა და დამოუკიდებლობა მიიღეს. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ოფიუნტის წყლის მიდამოებიდან კერასუნტამდე ბინადრობენ, ნებაყოფლობით ან ძალის გამოყენებით შევიდნენ კოლხეთის სამეფოში. ამგვარი ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. აპოლონიოს როდოსელი ამ მიდამოებში ცალკეულ ტომებს ჩამოთელის და ჭოროხის შესართავის სამხრ-

---

366 იქვე, გვ. 43. სქოლიო.

367 მ. ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორიული პარალელები. – კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, VI, თბ., 1980, გვ. 134-135; **М.П. Инадзе.** О времени образования Колхидского царства и его политическом устройстве по данным древнегреческих авторов. – V всесоюзная сессия по древнему востоку 6-9 апреля, 1971 г., Тезисы докладов, Тб., 1971, с. 137.

ეთით სასპერების (იბერები) გამოჭრის რეალურ ვითარებას გადმოგვცემს. ლეონტი მროველის ცნობით, კი მთლიანად ჭოროხის აუზი და რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ქართლის სამეფოში შემავალი ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოებს ეჭირათ. მოგვიანო ხანაში (ძვ.წ. II-I სს.) ერთ დროს ძლიერი კოლხეთი სკეპტუხიებად დაიშალა.[368] როგორც ჩანს, სკეპტუხიები ეთნიკური სურათის მატარებელ ორგანიზმს წარმოადგენდნენ.[369]

* * *

ქობულეთის მახლობლად ფიჭვნარის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ მიგნებულია ადრე ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი. კოლხეთის ზღვისპირეთის იმავე დროის ძეგლებთან შედარებით ფიჭვნარში უკეთესადაა შემონახული ბრინჯაოს, წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები. მიკვლეული და შესწავლილია მასთან უშუალოდ კონტაქტში მყოფი რკინის მეტალურგიის კერები (ჯიხანჯური-ცეცხლაური-ლელვა), რომელთა შორის უძველესი ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება (არაა გამორიცხული, რომ ისინი გაცილებით ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნებოდნენ), საკულტო და სახელოსნო უბნები და ვრცელი კოლხური და ბერძნული სამაროვნები. ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ფიჭვნარის გვერდით ჩნდება ბერძნული დასახლება და ასე მყარდება პირველი კონტაქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. აქ ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისიდან კოლხური სამოსახლოს გვერდით გაჩენილი ბერძნული დასახლება საბერძნეთის უძველეს მნიშვნელოვან ქალაქ ათენთანაა დაკავშირებული. ფიჭვნარში დასახლებული ბერძნები ასრულებდნენ შუამავლის როლს ადგილობრივ მოსახლეობასა და როგორც საბრძნეთის, ისე შავი ზღვის ყველა ქალაქ-დასახლებას შორის სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობათა სფეროში. ფიჭვნარის დაქვეითება და დაცემა საერთო კრიზისთანაა დაკავშირებული, რომელსაც კოლხეთის ქალაქები ძვ.წ. II ს. მეორე ნახევარში განიცდიან. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვ-

368 ამ პერიოდის კოლხეთის სამხრეთი საზღვრების შესახებ, იხ. Г. Лорткипанидзе. К истории древней Колхиды, Тб., 1970, с. 15.

369 კოლხეთის ტერიტორიაზე ალმოცენებული სკეპტუხიების შესახებ, იხ. მ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, გვ. 197 და შემდეგი.

ით დადგინდა, რომ ფიჭვნარის მოსახლეობას ფართო კონტაქტები ჰქონია დამყარებული ბერძნულ სამყაროსთან.[370] მიუხედავად ამ გარემოებისა ბერძნულ-რომაულ წყაროებს თითქოს მისი ძველი სახელი არ შემოუნახავს. გ. ლორთქიფანიძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ფიჭვნარი არ მოიხსენიება ანტიკურ წყაროებში.[371] კლასიკური და ელინისტური ხანის ამსახველ კოლხეთის რუკებზე მდ. ჩოლოქის შესართავის მახლობლად იშვიათად თუ ნახავთ მითითებულ ქალაქს და იმასაც მხოლოდ თანამედროვე სახელით.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე განსხვავებული შეხედულება ფიჭვნარის ანტიკური სახელის თაობაზე. მკვლევართა გარკვეული ნაწილი (დ. ხახუტაიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ხოშტარია, პ. იოსელიანი, ნ. ლომოური) ცდილობდა ფიჭვნარი დაეკავშირებინათ ბერძნულ-რომაულ წყაროებში მითითებულ დასახლებულ პუნქტებსა თუ ქალაქებს (აია, ფითიე, პიტია, პორტუს ალტუს...).[372] აქვე დავსძენთ, რომ უფრო სასარგებლო იქნებოდა შეგვესწავლა პლინიუსის-ტინდარიდა, პტოლემაოსის-სებასტოპოლი, ტაბულა პევტინგერიანას-აფასიდამი და სვიდას-აკინასი. უფრო სარწმუნო ჩანს ფიჭვნარის პომპონიუს მელას-კიკნოსთან იდენტიფიკაცია. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ა. კახიძემ.

აი, რას მოგვითხრობს მელა თავის „ქრონოგრაფიაში": „სანაპიროს მოსახვევის დასაწყისში ქალაქია, რომელიც, როგორც ამბობენ, ბერძენი ვაჭრების დაარსებულია და კიკნოსი ჰქვია, რადგან როცა ბნელი ქარიშხალი მიაქროლებდა მათ და არ იცოდნენ საით იყო მიწა, გედის ხმამ მისცა ნიშანი".[373]

ა. კახიძე ამ ცნობაზე მიუთითებს და შენიშნავს, რომ ქართულ წყაროთმცოდნეობაში ეს ქალაქი ჯერ კიდევ არაა ლოკალიზებული. დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩვენ გა-

---

370 ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, მისივე: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათ., 1975; Восточные причерноморье в античную эпоху, Бат., 1981; ახალი აღმოჩენები ფიჭვნარში (ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლი), გაზ. „აჭარა", 1999, 17 ივლისი.

371 გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991, გვ. 17.

372 დ. ხახუტაიშვილი. საინტერესო არქეოლოგიური გათხრები, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1957, 17 თებერვალი; ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 80-81; ნ. ხოშტარია. ციხისძირი, 1962, გვ. 35-36; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 245; ა. იოსელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 46, 72.

373 Pomp. Mela, De chorograpia, I, 110.

გვიჩნდა ეჭვი, ხომ არ შეიძლება ქალაქ კიკნოსის ფიჭვნარის კოლხური ქალაქის გვერდით არსებულ ათენელთა დასახლებასთან გაიგივება. ცნობილია, რომ მელა ფართოდ იყენებს უძველეს წყაროებს. მითოლოგიურ მონაცემებთან ერთად ბევრი სარწმუნო ცნობაცაა დაცული. ერთი სიტყვით, — წერს მეცნიერი, — ფაზისსა და დიოსკურიასთან ერთად დღევანდელი ფიჭვნარის კიკნოსის სახელით მოხსენიება სავსებით კანონზომიერად გვეჩვენება.[374] რამდენად მართებულია მელას კიკნოსის ქობულეთის ფიჭვნართან გაიგივება?

როგორც ცნობილია, ფსევდო სკილაქსი (ძვ. წ. IV ს.) კოლხეთის აღწერაში ასახელებს ელინურ ქალაქ გიენოსს. მომდევნო ხანის მწერლებთან ასეთი სახელის მქონე ქალაქი მოხსენიებული არაა. ამიტომ ო. ლორთქიფანიძე და ა. ურუშაძე სვამენ კითხვას: ხომ არაა მელას მიერ მოხსენიებული კიკნუმ იგივე ქალაქი, რომელსაც ფსევდოსკილაქსი გიენოსს უწოდებს?[375] თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ისინი უეჭველად ერთმანეთთან კავშირში არიან.[376] ასეთი გაიგივების წინააღმდეგია მ. ინაძე, ჯ. გამახარია, ბ. გოგია და სხვები.[377]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფსევდოსკილაქსთან დამოწმებული გიენოსი ბერძნული წარმოშობისაა („გე“ — მიწა, „გენოს“ — გვარი) და ნიშნავს — „მიწისშობილნი“. მაშასადამე, ქართულად ერქვა ჩამომავალი, რომელიც, ჩვენი აზრით, ეტიმოლოგიურად მის დღევანდელ სახელს — ოჩამჩირეს უახლოვდება.

კიკნოსის გიენოსთან გაიგივება, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს, რადგან სიტყვა „კიკნოსი“ აღნიშნავს „გედს“. მაშინ თავისთავად იბადება კითხვა — რა კავშირი შეიძლება გააჩნდეს კიკნოსს ფიჭვნართან?

საყურადღებოა, რომ ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ მოპოვებულ ჭურჭლებზე (ლეკითები, ჩამჩა, საწურები) გამოსახულია გედები. გარდა იმისა, რომ გედი ბერძნულად კიკნოსია, კიდევ სხვა ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

---

374 ა. კახიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში, 1979, სადოქტორო დისერტაცია.

375 ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 54-55, შენ. 6; მისივე, ძველი კოლხეთი, თბ., 1979, გვ. 133, შენ. 138.

376 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 162, შენ. 1.

377 М.П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, с. 124. Прим. 85; Дж. Гамахирия, Б. Гогия. Абхазия — историческая область Грузии, с. 528, ком. 23: კიენი სოხუმის ჩრდილოეთით, სანიგების (სეანები) ტერიტორიაზე მდებარეობს.

საქმე იმაშია, რომ ის ბერძნები, რომლებიც პირველად აქ მოეიდნენ და დასახლდნენ (?), სწორედ გედმა იხსნა უბედური შემთხვევისაგან, მელა ხომ გვეუბნება: „...კიკნოსი პქვია, რადგან, როცა ბნელი ქარიშხალი მიაქროლებდა მათ და არ იცოდნენ საით იყო მიწა, გედის ხმამ მისცა ნიშანი."[378] გედი მათთვის ღვთაებრივ ფრინველად იქცა და ამის გამოც მათ მიერ ახლად ათვისებულ ადგილს — სამოსახლოს გედი (ე.ი. კიკნოსი) უწოდეს;[379]

2. იქნებ ბერძნებს ფიჭვნარის მიდამოებში დაარსებული პუნქტისათვის სახელის შერქმევაში აქ არსებულმა გედების სიმრავლემ მისცა საბაბი;

3. არაა გამორიცხული, რომ კიკნოსი ქართული სიტყვის „ფიჭვნარის" ბერძნული გააზრება იყოს;

4. შესაძლებელია „კიკნოსში" მისი დამაარსებლის სახელი „კიკნ" იმალებოდეს. ისტორიამ შემოგვინახა ტროას ომის ერთ-ერთი მონაწილის სახელი — კიკნი.[380] სტრაბონსაც დაუცავს ცნობა თრაკიული ტომის კოლონების მითური მეფის კიკნ-კიკნოსის შესახებ.[381]

ზემოთ მოტანილი მელას ტექსტი იძლევა ამ ქალაქის ლოკალიზაციის მიახლოებით განსაზღვრის საშუალებას. იქ აღნიშნულია: „სანაპიროს მოსახვევის დასაწყისში ქალაქია." მართლაც, მცირე აზიის ჩრდილო სანაპირო პირდაპირი ხაზით მოემართება აღმოსავლეთისაკენ და იგი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მკვეთრად ახდენს შემობრუნებას. ვფიქრობთ არ შევცდებით „მოსახვევის დასაწყისში" ფიჭვნარის მიდამოებს თუ ვიგულისხმებთ. ისეთი „ბნელი ქარიშხალი," როგორიც მელასთანაა აღნიშნული, სხვა ანტიკურ წყაროებშიცაა დადასტურებული. არიანეს ცნობით, აკინას (კინტრიში)-ისისის (ნატანები) შორის ზღვაში სანაპიროს გასწვრივ ბერავს ძლიერი ქარები.[382] ფიჭვნარი კი, სწორედ აღნიშნულ მონაკვეთშია მოთავსებული.

რომაელი ავტორის ცნობით, კიკნოსი ბერძენი ვაჭრების დაარსებულია. კოლხეთის თითქმის ყველა ქალაქი, რომელიც ბერძ-

---

378 ა. გამყრელიძე. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. — ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965, გვ. 29.

379 ს. გოგიტიძე. ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის სახელწოდებისათვის, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, № 10, გვ. 122-125.

380 Памятники византийской литературы IV-IX веков, М., 1968, с. 187.

381 Страбон. География, с. 362, 552, 566.

382 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაყმაძის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 36-37.

ენთა ახალშენს თუ ემპორიონს წარმოადგენდა, ზღვის სანაპირო ზოლში იყო განლაგებული. ფიჭვნარის გარდა, ყველა ასეთი მნიშვნელობის ქალაქის სახელი ჩვენთვის ცნობილია. არქეოლოგიურად ცნობილია ფიჭვნარი, წერილობითი წყაროების მიხედვით საძებარია კიკნოსის ადგილმდებარეობა. ამ გარემოების საფუძველზეც დასაშვებია კიკნოს-ფიჭვნარის იგივეობის საკითხის დასმა. ამასთანავე საინტერესოა, ხომ არაა კიკნოსის სახელი მდინარე კინტრიშის ადგილობრივ თუ ბერძნულ-რომაულ ფორმასთან რაიმე კავშირში (შეადარე: კი(კ)ნოსი).

ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მ. ინაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მელას კიკნოსი უნდა უკავშირდებოდეს პლინიუსის კიგნს[383] (იგივე კიგნუმი-კიგნოსი). პლინიუსი მოგვითხრობს: „მის (ფასისის — ს.გ.) ნაპირებზე იყო მრავალი ქალაქი, მათგან ყველაზე სახელგანთქმულები — კინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი და შესართავთან ფაზისი. მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული იყო ეა (აია — ს.გ.)... ახლა მხოლოდ სურიუმი-და არის..."[384] პლინიუსის კიგნის შესახებ ВДИ-ის კომენტატორები აღნიშნავენ, რომ იგი მითოლოგიური ხასიათის მატარებელია და შეიძლება სხვა სახელის მქონე იყოს კოლხიდაში.[385] აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რასაც რომაელი ავტორი გვეუბნება „ახლა მხოლოდ სურიუმი-და არის," ე.ი. კიკნოსი ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნისათვის უკვე აღარ არსებობს. თუ კიკნოსში ფიჭვნარს ვიგულისხმებთ, მაშინ წყაროს ეს მონაცემები სრულიად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც. ფიჭვნარის ნაქალაქარმა ძვ.წ. II საუკუნის დასასრულს შეწყვიტა არსებობა.

* * *

ძველ ბერძენ ავტორთა შორის, რომელსაც საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობები დაუცავს ერთ-ერთი არისტოტელეა (ძვ.წ. IV ს.). იგი თავის „მეტეოროლოგიაში" ორ ადგილას მოიხსენიებს ე.წ. „სიღრმეებს" (ბერძნულად ბათეა).*

---

383 მ. ინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 124. შენ. 85.

384 პლინიუსი. ბუნების ისტორია. — ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 32.

385 ВДИ, 1949, №2, с. 289, შენ. 5.

* თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბ., 1969, გვ. 9, 34-35.

თ. ყაუხჩიშვილის გამოკვლევით, არისტოტელესთან მოხსენიებული „სიღრმეები" ბათუმს უნდა შეესატყვისებოდეს.[386] ბათუმი რომ ცნობილი იყო, თითქოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წლის უწინარეს, ჟან მურიეც მიუთითებდა.[387]

თუ დავიმოწმებთ, იმას, რომ ამ „სიღრმეების" წინ დასახელებული კორაქსები კოლხეთის ჩრდილოეთ მონაკვეთში მოსახლეობდნენ, მაშინ, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა უმართებულო თუ ამ ბათეას სტრაბონის მიერ მოხსენიებულ ბატასთან[388] (ნოვოროსიისკის მახლობლად) გავაიგივებდით. თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ „სიღრმეებში" (ბათეა) ზღვის ღრმა ადგილი იგულისხმებოდეს და არა გეოგრაფიული პუნქტი. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევიან პლინიუსისა და სტრაბონის მონაცემები. პლინიუსის ცნობით, პონტოსში კორაქსთა ტომის გასწვრივ ხმელეთიდან 300 სტადიონის (დაახლ. 53 კმ.) მანძილზე ზღვა განუზომელი სიღრმისაა[389] სტრაბონის მიხედვით კი ის უბე, რომელთანაც დიოსკურიადა (სოხუმი) მდებარეობს, ითვლება ევქსინის პონტოს (შავი ზღვის) „სიღრმეებად."[390] ასევე ცდებიან ის ავტორები, რომლებიც სტრაბონის ბატასა და კოროკონდამას შესაბამისად ბათუმთან და ყოროლისწყალთან აიგივებენ.[391] ისინი შესაბამისად ნოვორასიისკთან და ტამანთან უნდა გაიგივდეს.[392]

ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში მრავალჯერაა მოხსენიებული. აქვე ზოგჯერ დასახელებულია რომელიღაც დასახლებული პუნქტები, ფონეტიკურად ახლოს მდგომი თანამედროვე ბათუმის სახელთან. მათი ლოკალიზაცია დღესაც დაუდგენელია.

შესაძლებელია ბათუმის პირველი მოხსენიება პლინიუსს (ახ.წ. I ს.) ეკუთვნოდეს. მასთან ციხე-ქალაქ აბსაროსისა (გონიო) და

386 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 65; მისივე. ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის ისტორიისათვის. სდსძ, XVI, თბ., 1987, გვ. 109-116; Т.С. Каухчишвили. Античные источники по истории города Батуми. — Ир, 1985, Тб., 1988, с. 243-249.

387 ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ, ბათ., 1962, გვ. 22.

388 Страбон. География, с. 471.

389 პლინიუსი. ბუნების ისტორია. — ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ა. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 29.

390 Страбон. География, с. 472.

391 შ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1974, გვ. 23.

392 Народы Кавказа, I, м., 1960, с. 65.

მდინარე აბსაროსის (ჭოროხი) შემდეგ, სადაც ახლოს დასახელებულია ქალაქი მატიუმი.[393] ამ პუნქტის ლოკალიზაცია არავის მოუხდენია, მხოლოდ არის ცდა მისი კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ.წ. II ს.) მადიასთან გაიგივებისა.[394] ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ მატიუმი-მადია-მენტე ბათუმს უნდა უკავშირდებოდეს.[395]

მეორე რომაელი ავტორი არიანე (ახ.წ. II ს.), რომელმაც პლინიუსის მსგავსად კოლხეთისა და ქართლის სანაპიროები მიმოიარა, აბსარუნტს გარდა არც ერთ ქალაქს არ ასახელებს აჭარის ტერიტორიაზე. მასთან მოიხსენიება მდინარე სახელით „ბათისი,"[396] რომელიც ფონეტიკურად ახლოს დგას ბათუმის ძველ და თანამედროვე სახელებთან.

ტომაშეკი წერდა, რომ ბათისი მდინარეა და იქვე მის შესართავთან ნავსადგურია ბათისი.[397] აღსანიშნავია, რომ ამავე სახელის პუნქტს პლინიუსიც მოიხსენიებს. უსპენსკი მას ბათუმთან აიგივებდა. ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას: ბათისი ყოროლისწყლის შესართავთან ბათუმის ციხის (თამარა) მიდამოებშია საძებარი. რატომ არ მოიხსენია არიანემ ქალაქი ბათისი, თუკი ის არსებობდა? ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: ა) არიანემ ისტორიული აჭარის სანაპიროს გასწვრივ ღამით ჩაიარა და უეჭველია მან ბათისის შესართავთან პუნქტი ვერ შეამჩნია; ბ) შესაძლებელია ამ ქალაქით მოგზაური იმის გამო არ დაინტერესდა, რომ იგი რომის იმპერიისადმი დაქვემდებარებულ კოლხეთში (ლაზიკა) არ შედიოდა, არამედ ქართლის სამეფოში; გ) არიანეს ბათისით დაუინტერესებლობის ერთადერთ მიზეზად შეიძლება ის დავასახელოთ, რომ აქ რომაული გარნიზონი არ იდგა.[398]

პტოლემაიოსი კოლხეთის აღწერაში ასახელებს ქალაქ მადიას.[399] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენი ავტორი „მეფეთა ცხო-

393 პლინიუსი. ბუნების ისტორია, გვ. 31.

394 Н.Ю. Ломоури. Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, 1957, №4, с. 108.

395 ს. გოგიტიძე. ეესები კესარიელის ერთი ცნობის გაგებისათვის, გაზ. „ბათუმი" 1998, 28 თებერვალი; შეადარე: ВДИ, 1948, №2, с. 251.

396 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 37.

397 Tomascheck, Re, Bd. III, 1897, s. 139, s. V (მითითებულია წიგნით: Д. Качарава, Г. Квирквелия. Города и поселения... с. 430)

398 ს. გოგიტიძე. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999, №6, გვ. 101.

399 Клавдий Птолемей. Географическое руководство. – ВДИ, 1948, №2, с. 251.

ვრების“ მსგავსად კოლხეთის (ეგრისი) სამხრეთ მიჯნებს ფასისრიონით საზღვრავს.[400]

ამ ცნობის სანდოობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რადგან სხვა წყაროების (ამიანუს მარცელინი, ბლემიდი...) მიხედვით, რიონს ქვემოთ (სამხრეთით) ბიძერები (ძიდრიტები) მოსახლეობენ.[401] „ფარნავაზიანის“ ავტორის ცნობით, ეს ტერიტორია აჭარისაა, რომელიც ოძხრეს საერისთავოში შედიოდა.[402] ასეთ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია, რომ მადია თუ მართლაც შეესატყვისება ბათუმს, მაშინ ეს ცნობა პტოლემაიოსს ამოღებული უნდა ჰქონდეს ისეთი წყაროდან, რომლის მიხედვით ბათუმი კოლხეთის სამეფოში შედიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მადია თანამედროვე სამეგრელოს ტერიტორიაზე (რიონის შესართავთან) უნდა იყოს საძებარი.

ევსები კესარიელთან დასახელებულია კოლხური ქალაქი „მენტე.“ ჩვენი აზრით, იგი პლინიუსის მატიუმთან და პტოლემაიოსის მადიასთან უნდა გაიგივდეს. შესაძლებელია აღნიშნავდეს ბათუმს.[403] გამბას გადმოცემით, ფასისს გადმომყურე ციხეს ჰქვია მინდა.[404] საინტერესოა, ხომ არ აქვს კავშირი მინდას მენტესთან? თუმცა ასეთივე სახელის მქონე მიკროსოფელი დღესაც არსებობს ბათუმის ახლოს (შედის სოფელ ადლიაში).

რომაულ საგზაო რუკაზე (IV ს.) დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას დატანილია პუნქტი „პორტუს ალტუს“. ს. ყაუხჩიშვილს იგი ბერძნული ბათისის (ღრმა) ლათინურ ფორმად მიაჩნია — „პორტუს ალტუსი“ ნიშნავს „ღრმა ნავსადგურს“.[405] ასეთ გაიგივებას იზიარებენ ნ. კეჭაყმაძე, ი. სიხარულიძე, დ. ბრაუნდი და სხვები.[406]

400 იქვე, გვ. 251; ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24.

401 ს. გოგიტიძე. აჭარა მესუთე საუკუნეში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1998, №7, გვ. 98.

402 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24; ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1993, №3, გვ. 150-151.

403 ს. გოგიტიძე. ევსები კესარიელის ერთი ცნობის გაგებისათვის.

404 ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 198.

405 ს. ყაუხჩიშვილი. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ., 1964, გვ. 56-57.

406 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. II, ბათ., 1959, გვ. 82; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 67, კომ. 28; D. Braund. Georgia in Antiquity, Oxford, 1994, p. 185.

აბ. სურგულიძის აზრით, ბათუმი წერილობითი წყაროების მიხედვით ყალიბდება I-II საუკუნეებში.[407] ი. სიხარულიძე წერს, რომ II ს. მეორე ნახევარზე ადრე ბათუმი არ არსებობდა.[408] დ. ხახუტაიშვილმა და ა. კახიძემ ბათუმის ისტორიასა და არქეოლოგიას ერთობლივი მონოგრაფია მიუძღვნეს. იქ აღნიშნულია: „რომელიმე მკვლევრის ავტორიტეტი არ გამოდგება იმის საბუთად რომ ბათუმი ახ.წ. I-II საუკუნეებში არსებობდა, როგორც ქალაქი და ნავსადგური.[409] ჩვენი აზრით, მართებული შენიშვნაა, რადგან არც ერთ ძველ წყაროში ბათუმი და თუნდაც მატიუმი — ბათისი-მადია-მენტე მნიშვნელოვან ქალაქად და ნავსადგურად არცაა მოხსენიებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომისა და ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის დროს ჩვენს მხარეში იგი აუცილებლად გამოყენებული იქნებოდა. აქ არც რომაელთა გარნიზონი მდგარა.

პასქალურ ქრონიკაში (VII ს.) მოხსენიებულია „მეგალე პოლისი" („დიდი ქალაქი"). ს. ყაუხჩიშვილი ბათუმთან აიგივებს, ი. სიხარულიძე და დ. ხახუტაიშვილი — აფსარუნტ-გონიოსთან.

შუა საუკუნეების ევროპელ და ბიზანტიელ ისტორიკოსებთან და მოგზაურებთან ბათუმი რამდენიმე სახესაცვალი ფორმით აღინიშნებოდა. შილტბერგერთან მოხსენიებულია: ვათან, ლოათონ, კატან, ბოტან, კოტან ფორმებით, მიქაელ პანარეტოსთან — ბითინ-სახელით. ბარბარო ვატის ეძახის, კონტარინი — ვატის, ლიატისა და ვარტის; ფრანჩესკო — ლოვარისა და ლოვატის; ლაონიკე ხალკოკონდილი ბათის (ვატი).[410]

XIV-XV საუკუნეების იტალიურ რუკებზე ბათუმი აღნიშნულია შემდეგი სახელებით: ვესკონტესთან და ბენიკაზასთან — ვატი, პიციგანისთან — ვარუ, ანკონელისთან — ლოვარ, XV ს. უცნობი ავტორის რუკაზე — ლოვატი. ლუკსოროც ლოვატის ეძახის.[411]

---

407 ა. სურგულაძე. ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის, ჟურნ. „ჭოროხი", 1983, №4, გვ. 78.

408 ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II, გვ. 81.

409 ა. კახიძე. დ. ხახუტაიშვილი. მასალები ბათუმის ისტორიისათვის. — სდსძ, XVIII, თბ., 1989.

410 ს. გოგიტიძე. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, გვ. 102.

411 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.

## § 2. მატიენას ტომის ეთნიკური წარმომავლობისა და ლოკალიზაციისათვის

ერთ-ერთი ქართველური ტომი ასურულ წყაროებში იხსენიება დაიაენის, ხოლო ურარტულში დიაუეხის (დიაოხი) სახელით. ამ ტომის საცხოვრისის სამხრეთი პერიფერიები, როგორც აღინიშნა, დღევანდელი არზრუმისა და დასავლეთი ევფრატის (ყარა-სუ) სათავეების რაიონი იყო. ამ მიდამოებიდან დაიაენის ქვეყანა განივრცობოდა ჩრდილოეთით მდ. ჭოროხისა და შავი ზღვის მიმართულებით.[1] მატიენას ტომის საცხოვრისიც არსებული წყაროების საფუძველზე, საძებარია დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მას რაიმე კავშირი მიტანის ქვეყანასთან, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ და რომელიც ადრეულ ეპოქაში მისგან სამხრეთით არსებობდა. სახელწოდებაში „მიტანი" უნდა გამოიყოს „მი" (ვარიანტული „მა", „მო", „მუ") პრეფიქსი; ფუძეა „ტანი". იგივე დანი, დაიაენი, ტაონი. გ. მელიქიშვილისა და სხვათა შეხედულებით მიტანელები ხურიტები არიან.[2] ტაოხების საკუთარი სახელებიც (პიროვნებათა, ადგილისა და სხვა) ხშირად ხურიტულ ელფერს ატარებს (მაგ. დაიაენის მეფეთა სახელები: ასია, ხიენი, უტუფურშინი, სატომო სახელი შამქი, ზოგიერთი ოლქისა თუ ქალაქის სახელები: უტუხაი, შაშილუნი, შერიაზი და სხვა), თვით ქვეყნის სახელი დაიაენი-დიაუხიც ხურიტული სახელია.[3] ამ ტომის მიერ თავდაპირველად (ძვ.წ. XVII ს.) შექმნილი სამეფო — მითანი მდებარეობდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.[4] ძვ.წ. XIII საუკუნეში იგი ხეთის სამეფომ გაანადგურა. მისი სამხრეთი პერიფერიები ასურეთის სამეფოს ფარგლებში შევიდა,[5] ხოლო დანარჩენი ტერიტორია დაიყო რამდენიმე წვრილ

---

1 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, თბ., 1951, გვ. 33; В.И. Авдиев. История древнего Востока, М., 1953, с. 465.

2 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 266; იხ. ი. დიაკონოვის ნაშრომები ВДИ-ში: 1954, №3, გვ. 93; 1981, №2, გვ. 56.

3 გ. მელიქიშვილი. ურარტუ, გვ. 33-34.

4 გ. გიორგაძე. ხური-მითანის სამეფო. — ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 183.

5 ნ. ლომოური. ასურეთის სამეფო. — ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ. 313; შდრ.: История Древнего мира, под редакцией Л. Глускиной, И. Свенцицкой, М., 1986, с. 54.

პოლიტიკურ ერთეულად. მათ თანდათან დაეპატრონნენ სამხრეთიდან მოსული არამეული ტომები,[6] რომელთაც ეტყობა (და ეს დასტურდება ისტორიული წყაროების ანალიზით), მიტანელები განდევნეს თავიანთი საცხოვრისიდან. სამხრეთიდან დაწოლის შედეგად მოხდა ამ ტომთა ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლება და მათი შერევა ადგილობრივ ტომებთან. თუმცა არაა გამორიცხული, რომ მიტანელები შორს ჩრდილოეთისაკენ ადრიდანვე იყვნენ გავრცელებული, სადაც შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა. შესაძლებელია (მიტანელებმა) ძვ.წ. XII საუკუნეში ჩამოაყალიბეს დიდი გაერთიანება, რომელსაც მათი სახელის („ტანი") მიხედვით ასურელები დაიაენის (ტაიაენი) უწოდებდნენ, ხოლო ურარტელები — დიაუეხს (ტიაოხი, ტაოხი). ეს ტომი ჯერ ასურეთის გაძლიერებულმა ექსპანსიამ, ხოლო შემდეგ ურარტელთა გაუთავებელმა ლაშქრობებმა თანდათან ჩრდილოეთისაკენ წასწია.[7] შემდგომში (ძვ.წ. VII-IV სს.) ეს პროცესი (ტაოხთა ჩრდილოეთისაკენ მოძრაობა) დააჩქარა მიდიისა და სპარსეთის სამეფოების ჩამოყალიბებამ. უფრო მეტად კი არმენთა და ჰაიკიანთა სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მოწოლამ.

ამ ტომს ბერძენი სარდალი ქსენოფონტე (435-355 წწ.) ტაოხებს უწოდებს. სახელწოდება ტაოხი იგივეა, რაც ტაონი (ტანი-მიტანი); „ხი" ხური-ურარტული სუფიქსის ჩამოცილებით კი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთ ოლქს „ტაო"-ს სახელი შეერქვა. ქსენოფონტეს ცნობიდან ჩანს, რომ ტაოხები ჯერ კიდევ ძვ.წ. 401 წლისათვის მოსახლეობენ ჰარპასოსის (ჭოროხი) სათავეების სამხრეთით. მისი ცნობით, ელინებმა ჰარპასოსამდე — ჯერ ტაოხების, ხოლო შემდეგ ხალდების მიწა-წყალი გაიარეს.[8] ამიტომ ტაოხთა შემოსვლა და დამკვიდრება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე (კერძოდ, ჭოროხის აუზში) ძვ.წ. 401 წლის შემდგომი დროით უნდა განისაზღვროს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტეს (485-425 წწ.) „ისტორიაში" ამ ტომმა ასახვა ვერ პოვა, არადა, ბერძენი ისტორიკოსის ცნობით, მათი საგულვებელი საცხოვრისის ირგვლივ სპარსელთა მე-18 სატრაპი-

---

6 ჯ. გიორგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 195.

7 ს. გოგიტიძე. ცვლილებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და ეთნიკურ რუკაზე (ძვ.წ. VIII ს. დასასრული — VI ს. დასაწყისი), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1993 წლის ფონდები.

8 თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 80-82.

აში გაერთიანებული იყვნენ ალაროდიელები (არაროდი-ურარტუ), სასპერები (სა-ვერები- ი-ვერები) და მატიანები.[9] აქ და ისევე როგორც სხვა მეზობელ სატრაპიებში მოხსენიებულნი არ არიან ტაოხები, რომლებიც სასპერებისაგან სამხრეთით, ხოლო ალაროდებისაგან ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ.[10] მეორე მხრივ, გაურკვეველია თუ ვინ არიან, ასე მოულოდნელად საიდან გაჩნდნენ და ისევ სად გაჰქრნენ მატიენები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მატიენები (იგივე მიტანები?) იგივე ტაოხები არიან „მა" პრეფიქსით მორთული. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა და სამოსახლო ტერიტორიის დაუდგენლობისა, ზოგი მკვლევრის მიერ მატიენებისა და ტაოხების ერთად მოთავსება არზრუმის სანახებში რუკაზე.[11] მ. მაქსიმოვა ქსენოფონტეს ცნობებზე დაყრდნობით ტაოხებს იმ ტერიტორიაზე ათავსებს, სადაც, ჩვენი აზრით, მატიენები უნდა იგულისხმებოდნენ.[12] ი. კუკლინა მატიენებს მიდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ათავსებს.[13]

ნ. ადონცის გამოკვლევით, მატიენები არმენიელებს აღმოსავლეთიდან ტიგროსის შენაკად ზაერმით (შესაძლებელია მდ. ზაბით) ესაზღვრებოდნენ. საერთოდ კი ისინი თავდაპირველად ქურთების მიწაზე, შემდეგ კი მათ მეზობლად მოსახლეობდნენ. მისი აზრით, მატიები არა მარტო სისხლით, არამედ სახელითაც ნათესაური იყო მადასთან. როგორც ჩანს, ოდესღაც მატიენები ურმიის ტბის სიახლოვეს მოსახლეობდნენ და მათი სატომო სახელი ეწოდა ამ ტბას.[14]

ივ. ჯავახიშვილი ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით მატიენებს სასპერების აღმოსავლეთით, ბასიანის მიდამოებში ათავსებდა.[15]

---

9 ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 226.

10 Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, იხილეთ თანდართული რუკა.

11 იქვე.

12 Ксенофонт. Анабасис. Перевод, статьи и примечание М.И. Максимовой, М-Л., 1951, იხ. თანდართული რუკა.

13 И.В. Куклина. Ранние известия о скифах и киммерийцах. ВДИ, 1981, №2, с. 166.

14 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Ер., 1971, с. 393, 419.

15 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1960, გვ. 18.

ს. ჯანაშიამ უჩვენა, რომ ჰეროდოტეს მატიენში ძველი მიტანის გამოძახილი უნდა გვქონდესო.[16] მისივე ვარაუდით, ბერძენი ისტორიკოსის ერთი ცნობის მიხედვით, მატიენები ცხოვრობდნენ მდ. ჰალისის აღმოსავლეთით და კილიკიელების ჩრდილოეთით,[17] მეორე ცნობის მიხედვით — ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.[18] ს. ჯანაშია თვლის, რომ ამ ტომის განსახლების არეალი ჰეროდოტეს წარმოდგენაში ასეთია: ჩრდილოეთი მესოპოტამია, შემდეგდროინდელი დიდი სომხეთის სამხრეთი და ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილი.[19] უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და ივ. ჯავახიშვილი რუსულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს ისტორიაზე" დართულ რუკაზე მატიანებს ურმიის ტბის დასავლეთით ათავსებენ.[20]

იქნებ გ. გიორგაძე ს. ჯანაშიას ეყრდნობა, როცა ამბობს, რომ სახელწოდება „მითანი" („მაითენი") შემორჩა ჰეროდოტეს მიერ ნახსენებ „მატიენთა" სატომო სახელში.[21]

პ. ინგოროყვა მიიჩნევდა, რომ მატიენები იგივე მარდები არიან, ხოლო მატიენა იგივე მარდალი, მარდეთია.[22] ეტყობა ეს მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან სტრაბონი ანსხვავებს მარდებს მატიენებისაგან. მასთან მარდები (ამარდები) განსხვავებით მატიენებისაგან ანარიაკების, კადუსიების, ტაპირებისა და კირტიების გვერდით მოიხსენიება.[23] დიონისიოს პერიეგეტიც განასხვავებს მარდებს მატიენებისაგან. მარდები ჰირკანებისა და ტაპირების ერთად დომინირებენ.[24] მეორე ადგილას გარკვეულია კიდეც, რომ მარდები გელებთან და ატროპატენებთან ერთად მიდ-

16 ს. ჯანაშია. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 52.

17 ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 658.

18 იქვე, გვ. 659.

19 ს. ჯანაშია. შრომები, II, გვ. 55.

20 Н.А. Бердзенишвили и др. История Грузии, часть I, Тб., 1950, იხ. თანდართული რუკა.

21 გ. გიორგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 189.

22 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 280, 438, სქოლიო.

23 Страбон. География, в 17 книгах, перевод, статья и коментарии Г.А. Стратановского, М., 1964, с. 480, 494, 676.

24 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 155.

იელების ჩრდილოეთით მოსახლეობენ.[25] მატიენები ხშირად არმენიელებთან ერთ კონტექსტში მოიხსენიება[26] (ე.ი. მათი მეზობელი ტომია), ისე როგორც სტრაბონთან და ჰეროდოტესთან.

სტრაბონის „გეოგრაფიის"რუსულ ენაზე მთარგმნელები თვლიან, რომ მატიენა მიდიის ოლქია.[27] თუმცა სტრაბონსაც აქვს ასეთი: „მატიენე-მიდიის ოლქი".[28] მასვე აქვს ასეთი ცნობაც: „კადუსიები ესაზღვრებიან მიდიელებსა და მატიანებს პარახოადრას ძირში".[29] აქ სტრაბონი ეტყობა სარგებლობს ძვ.წ. VI საუკუნის ცნობით, როცა მიდია ლიდიასთან საზღვრებს აჳლებდა მდ. ჰალისზე. ამ დროს კი, როგორც ჩანს, ტაოხთა მიწა-წყალი შედიოდა მიდიის მფლობელობაში. ეს რომ ასეა, ჩანს სტრაბონისავე „გეოგრაფიიდან", სადაც იგი საუბრობს მისი მოღვაწეობის დროს უკვე არარსებულ მიდიაზე (მისი ტერიტორიები ეჭირა პართიას), რომელიც იყოფა ორ ნაწილად — დიდი მიდია და ატროპატენას მიდია.[30]

გ. მელიქიშვილის მიხედვით, ჰეროდოტეს მატიენები ცხოვრობდნენ სასპერების სამხრეთით. შესაძლებელია ვანის ტბის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით.[31]

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, მატიენები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ან სადღაც მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობდნენ.[32]

ე. ფორერი ჰეროდოტეს ერთი ცნობის მიხედვით, მატიენებს მდ. ჰალისის (ყიზილ-ირმაკი) შუა აუზის რაიონში (გვიანდელი კომმაგენეს ადგილას) ეძებდა.[33]

---

25 იქვე, გვ. 163; ს. ერემიანის აზრით, მარდები არაქსის სათავესა და ალმ. ევფრატს შორის თავსდებიან (Г. Гоян. Театр древней Армении, М., 1952. იხ. ს. ერემიანის მიერ ამ ნაშრომისათვის სპეციალურად შედგენილი რუკა). მარდები იგივე მიდიელები არიან (Н. Адонц. ук. соч., с. 56, сколио 2, 417).

26 იქვე, გვ. 161-163.

27 Страбон. География, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, გვ. 894.

28 იქვე, გვ. 79, 482.

29 იქვე, გვ. 486.

30 იქვე, გვ. 493.

31 Г.А. Меликишвили. К истории... с. 266 და თანდართული რუკა.

32 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 44.

33 იხ. Н.В. Хазарадзе. Гекатеевы матиены. — Вопросы древней истории (кавказско-ближневосточный сборник), IV, Тб., 1973, с. 117.

ა. გელოევანის მიერ შედგენილ „მითოლოგიურ ლექსიკონზე“ დართულ ერთ-ერთ რუკაზე მატიენები ურმიის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული.[34] ვ. ვაშაკიძის მიხედვით, მოტიენე მდინარეების არაქსისა და ევფრატის სათავეებს შორის თავსდება.[35] საქართველოს სსრ ატლასის გამომცემლები მატიენებს ევფრატის სათავეებში ყარასუსა და ტუზლას შორის, ათავსებენ.[36]

ი. დიაკონოვის ვარაუდით, ჰეროდოტესთან მოხსენიებული მატიენები ჰალისის, არაქსის სათავეებსა და ტიგროსის ერთ-ერთი შენაკადის მიდამოებში ცხოვრობდნენ.[37]

ა. დოვატური და სხვები თვლიან, რომ მატიენები ურმიის ტბის სანაპიროზე (თან. რეზაიე), თანამედროვე ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში მოსახლეობდნენ.[38]

მატიენების ლოკალიზაციის საკითხს სპეციალური ნაშრომი უძღვნა ნ. ხაზარაძემ. ჰეკატეს ცნობებზე დაყრდნობით („გიოპე, მატიენების ქალაქი, გორდიების მეზობლად“. „ქალაქ გიოპეში მოსახლეობა იცვამს პაფლაგონების მსგავსად“), გამოაქვს დასკვნები: 1. მატიენები ტერიტორიულად დაკავშირებული უნდა იყვნენ პაფლაგონებთან; 2. და ისინი საძებარია დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ სექტორში, თან. ჩორუმ-ზილე-ტოკატას სამხრეთით.[39] ჰეროდოტეს ცნობებზე (ჰალისის მარჯვნივ ცხოვრობდნენ მატიენები. პაფლაგონებისა და მატიენების მეთაური იყო დოტოსი) დაყრდნობით იგი ვარაუდობს, რომ 1. მატიენები და სირიის კაპადოკიელები ცხოვრობდნენ მდ. ჰალისის შიდა აუზში; 2. მატიენები პაფლაგონების მეზობლად მოსახლეობდნენ.[40] ასეთ შეხედულებას იზიარებენ სხვებიც (თ. ყაუხჩიშვილი, მ. ინაძე).[41]

---

34 ა. გელოევანი. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.

35 ვ. ვამაკიძე. მეფე ქართლისა ფარსმან ქველი, კრებ: „დიდგორი“, თბ., 1991, გვ. 22 (მოთავსებული რუქა).

36 საქართველოს სსრ ატლასი, მ.-თბ., 1964, გვ. 245.

37 И.М. Дьяконов. Предыстория армянского народа. Ер., 1968, с. 17, комен. 19.

38 А.И. Доватур и др. Народы нашей страны в «истории» Геродота, М. 1982, с. 184, ком. 38; 185, ком. 43.

39 Н.В. Хазарадзе. Ук. соч., с. 111-114.

40 Н.В. Хазарадзе. Гекатеевы матиены. - Всесоюзная сессия по древнему Востоку, 6-9 апреля 1971 г., тезисы докладов, Тб., 1971, с. 99.

41 თ. ყაუხჩიშვილი. მ. ინაძე. ბერძნული წყაროების ცნობები ძველი ირანის ისტორიის შესახებ. — ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, გვ. 337, შენ. 27.

ნ. ხაზარაძე მატიენების ლოკალიზაციის საკითხს მოგვიანებითაც შეეხო. მკვლევარი ჰეროდოტესა და სხვა ანტიკური წყაროების საფუძველზე მიდის შემდეგ დასკვნამდე: მატიენები სამ სხვადასხვა ოლქში ბინადრობდნენ: ა) მდ. ჰალისის აუზში — კილიკიელების, ფრიგიელების, პაფლაგონიელებისა და კაპადოკიელების მეზობლად, ბ) მდ. არაქსის სათავეებთან — სასპერებისა და ალაროდების მახლობლად და გ) მდ. ძაბატე მეორე გინდეს სათავეებთან, არმენია — კისიას შორის მდებარე ოლქში.[42] ნ. ხაზარაძე აღნიშნავდა, რომ მატიენები მოსახლეობდნენ თანამედროვე ჩორუმ-ზილე-ტოკატას ხაზის სამხრეთით და დასავლეთით, ხოლო ჭოროხის ხეობაში მატიენების არსებობა გამორიცხულია.[43]

გ. ქავთარაძის აზრით, მოსხების მეზობელ მატიენებში იგულისხმებიან ფრიგიელებისა და პაფლაგონების მეზობლად მცხოვრები დასავლეთის მატიენები. რაც შეეხება მატიენების საცხოვრისს, იგი უნდა მოთავსდეს ქალაქების ჩორუმისა და კირშეჰირის შემაერთებელ ხაზსა და მის დასავლეთით მდებარე მდ. ყიზილ-ირმაკს შორის.[44]

მატიენაში მიტანის ტერიტორიის წარმოდგენა სწორი არ არის. საინტერესოა, რატომ უნდა იყოს ჰეროდოტეს მატიენაში მიტანის გამოძახილი? უბრალოდ გეოგრაფიულად შეუძლებელია ჭოროხის ხეობაში მცხოვრები ტომი (სასპერები) და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ქვეყანა (მიტანი) ერთ სატრაპიაში (მე-19) მოექციათ სპარსელებს (არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მიტანი, როგორც გეოგრაფიული ერთეული, ამ დროს არ არსებობდა). იმავე ჰეროდოტეს ცნობიდან ჩანს, რომ მატიენების მეზობლად მცხოვრები არმენიელები მე-13 სატრაპიაში შედიან.[45] ასეთ შემთხვევაში თუ მატიენებს არმენიელების სამხრეთით (ე.ი. ჩრდ. მესოპოტამიაში) ვიგულისხმებთ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მე-18 სატრაპიაში მათი ჩარიცხვა. ამიტომ მატიენების საცხოვრებელი ტერიტორია არ-

---

42 ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, გვ. 19, იხ. თანდართული რუკა, გვ. 35; მისივე, ჰეროდოტე და მატიენების ლოკალიზაციის საკითხი, მაცნე, ისტ. სერია, 1971, №4, გვ. 131-132.

43 Н.В. Хазарадзе. К вопросу о расселении мосхов в VI-V вв. до н.э., კრებ.: ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991, გვ. 25, 29.

44 გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 9-10.

45 ჰეროდოტე. ისტორია, III, 93.

მენიელების ჩრდილოეთით უნდა მოვათავსოთ. მით უმეტეს, კარგადაა გარკვეული, რომ მე-18 ოლქში შემავალი სხვა ტომებიც არმენიელების ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ. ჰეროდოტეს ცნობის ამგვარი გაგება ხელს ვერ შეუშლის სასპერებისა და ალაროდების გვერდით მცხოვრები მატიენების ერთ ოლქში მოთავსებას.

რაც შეეხება მატიენების დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ სექტორში მოთავსებას, ჰეროდოტეს მიხედვით, აქემენიანთა მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ ქართველური მოდგმის ტომები, რომლებიც სხვადასხვა წყაროს გათვალისწინებით მოსახლეობდნენ მდ. პალისის შესართავის მიდამოებიდან ოფიუნტის წყლის სექტორამდე: ხალიბები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მარები და მაკრონები.[46] თუ მატიენები დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ სექტორში მოსახლეობდნენ, მაშინ, ცხადია, მათი საცხოვრისი უნდა მიდიოდეს ხალიბ-ტიბარენ-მოსხთა სამხრეთ-დასავლეთით. ასეთ შემთხვევაში მატიენთა საცხოვრისი შორს რჩება სასპერ-ალაროდთა საცხოვრისიდან და მათი ერთ ოლქში მოთავსება შეუძლებელი იქნებოდა. მეორე მხრივ, თუ მატიენები სინამდვილეში მოსხთა და ტიბარენთა სამხრეთ-დასავლეთით მოსახლეობდნენ, მაშინ ისინი მე-19 სატრაპიაში, ან მე-3-ში მოხვდებოდნენ ფრიგიელებთან, თრაკიელებთან, პაფლაგონებთან, მარიანდინებთან და სირიელებთან (ე.ი. კაპადოკიელებთან) ერთად.

მატიენას ტომის ადგილ-საცხოვრისის განსაზღვრისათვის რამდენიმე საყურადღებო ცნობაა დაცული ანტიკურ მწერლობაში: 1. „პელესპონტთან გადაჭიმულია მცირე ფრიგიის ვრცელი უბე. მეორე (ფრიგია) კი უფრო შიგნით მდებარეობს, ის უფრო ფართოა, სანგარიოსის წყლებთან არის. ამის ჩრდილოეთით მსუყე მიწაზე ცხოვრობდნენ არმენიელები და ახლოს მებრძოლი მატიენები, რომლებიც მთებამდე არიან გადაჭიმული, მდინარე ევფრატის წინ...";[47] 2. „ეს ქვეყანა (იგულისხმება ატროპატული მიდია — ს.გ.) მდებარეობს არმენიისა და მატიანის აღმოსავლეთით, დიდი მიდიის დასავლეთით და ჩრდილოეთით ორივე ქვეყნისაგან".[48] ამავე ავტორთან, ისევე როგორც პომპონიუს მელასთან, ტაოხი არ მოიხსენიება, როგორც ჩანს, ისინი ამ ეთნონიმის აღსანიშნავად ხმარობენ ტერმინ „მატიენას".

---

46 იქვე. III, 94.

47 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები... I, გვ. 161.

48 სტრაბონი. გეოგრაფია, XI, XIII, 2.

„ახლოსმებრძოლი მატიენები", თ. ყაუხჩიშვილის გაგებით, ნიშნავს „მშვილდოსნის" საპირისპიროდ, ე.ი. ის, ვინც თავს იცავს".[49] მაშასადამე, ეს ცნობა გაგებული უნდა იქნას ასე: მატიენები არმენიელების მეზობლად ცხოვრობენ და ისინი თავს იცავენ არმენიელთა შემოტევისაგან. მატიენები, რომ არმენიელთა მეზობელი ტომია, ეს კარგად ჩანს იმავე ცნობიდან და თითქოს გასაგებიცაა ამ ქვეყნის მდებარეობაც — ისინი მთებამდე არიან გადაჭიმული, მდინარე ევფრატის წინ. აქ „მდინარე ევფრატის წინ"-ში უნდა გავიგოთ ამ მდინარის სათავეების აღმოსავლეთით (ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთით) განლაგებული რაიონები, რადგან მეორე ცნობით, მატიენა არმენიის ჩრდილოეთით და ატროპატენის დასავლეთით ან უფრო უკეთესად რომ ვთქვათ, სამხრეთ-დასავლეთით (იმავე ცნობით) მდებარეობს. ევფრატის წინ მდებარე „მთებში" შესაძლებელია მცირე კავკასიონი იგულისხმებოდეს, რადგან ატროპატული მიდიის საზღვარი სადღაც ამ მთათა სისტემის სამხრეთ ნაწილში გადიოდა. ეს ცნობები კარგად უდგება მატიენებისა და ტაოხების იდენტურობის თვალსაზრისს.

გარდა იმისა, რომ მატიენები, სასპერებსა და ალაროდიელებთან ერთად შეადგენდნენ ერთ ადმინისტრაციულ ოლქს და ისინი მეზობლები უნდა იყვნენ ერთმანეთისა, ემოწმება ჰეროდოტეს სხვა მონაცემებიც. ამ ცნობით, მდ. არაქსი მომდინარეობს მატიენთაგან.[50] ჰეროდოტეს ამ მონაცემებს უკრიტიკოდ იზიარებს დიდი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი და იქვე მიუთითებს, რომ კალისთენეც ამას ამბობსო.[51] არაქსი სათავეს იღებს არზრუმის სამხრეთით, ე.ი. იმ ტერიტორიიდან, სადაც ლოკალიზდება ტაოხთა მიწა-წყალი. ამ ცნობიდან ირკვევა როგორც მატიენთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი, ასევე დგინდება მათი ლოკალიზაციაც. ჰეროდოტეს მეორე ცნობა გვეხმარება მატიენთა საცხოვრისის სამხრეთი პერიფერიების გარკვევაში. არმენიელების „ქვეყანაზე მოედინება ოთხი სანაოსნო მდინარე, რომელთა გადაცურვა აუცილებელია. პირველია ტიგრესი, შემდეგ მეორესა და მესამეს ეწოდება ძაბატოსი, მაგრამ ეს ერთი და იგივე მდინარე არაა და ისინი არც ერთი და იმავე ადგილიდან გამომდინარეობენ, რადგანაც პირვე-

49 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები... I, გვ. 161, სქოლიო.
50 ჰეროდოტე. ისტორია, I, 202.
51 სტრაბონი. გეოგრაფია, XI, XIV, 13.

ლი მათკანი-არმენიელთაგან მოედინება, ხოლო, მეორე — მატიენთაგან. ამ მდინარეთაგან მეოთხეს სახელად ჰქვია გინდესი..."[52] ბოლო სამ მდინარეში იგულისხმება ტიგროსის ზემო წელის შენაკადები, რომლებიც ტიგროსის სათავის პარალელურად ერთი ხაზიდან ბითლისის მთებიდან (ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით) მოედინებიან. ჰეროდოტეს სხვაგანაც, ორ ადგილას აქვს აღნიშნული, რომ გინდესი მატიენთა ქვეყნიდან მოედინება (ერთგან ნათქვამია: გინდესი ეროვის ტიგროსს).[53] ამ ცნობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მატიენების სამხრეთი პერიფერია მდინარეების — ძაგატისისა და გინდესის სათავეების მიდამოებში აღწევდა. ეტყობა, მას არმენიისაგან ყოფდა ბითლისის მთები. დასავლეთის მიმართულებით საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის გადიოდა ტიგროსის სათავის სექტორში.

სადამდე ვრცელდებოდნენ მატიენები დასავლეთის მიმართულებით?

ჰეროდოტეს მიხედვით „მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდინარე ჰალისი, რომელიც არმენიის მთებიდან გამოსული კილიკიაზე მოედინება, ხოლო ქვემოთ, მის მარჯვნივ, სახლობენ მატიენები, მეორე მხარეს კი — ფრიგიელები. ამ ქვეყნებს რომ ჩაუვლის, ჰალისი მიედინება ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ და იქ საზღვრავს სირიის კაპადოკიელებს, რომლებიც მარჯვნივ არიან მარცხნივ მოსახლე პაფლაგონიელებისაგან".[54] ს. ჯანაშიას ეს ცნობა ასე ესმის: „მატიენები ცხოვრობენ მდ. ჰალისის აღმოსავლეთით და კილიკიელების ჩრდილოეთით. მატიენას დასავლეთით სამხრეთისაკენ ფრიგიაა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ — კაპადოკია და პაფლაგონია".[55] საერთოდ კი, ს.ჯანაშიას მიაჩნდა, რომ შეუძლებელია ჰეროდოტეს გეოგრაფიულ ცნობებს მეცნიერული სიზუსტე მოეთხოვოთ — მისი ცნობები, შედარებითი და მიახლოებითი მნიშვნელობისაა".[56] ჩვენ ვიზიარებთ „ისტორიის მამის" ნაშრომის აღნიშნული ადგილის ჯანაშიასეულ ანალიზს და მიგვაჩნია, რომ ჰალისის აუზში მცხოვრები ტომების განსახლების არეალი მთლად ზუსტად არ უნდა იყოს განსაზღვრული.

---

52 ჰეროდოტე. ისტორია, V, 52.

53 იქვე, I, 189; I, 202.

54 იქვე, I, 72.

55 ს. ჯანაშია. შრომები, II, გვ. 53.

56 იქვე.

აქ გაურკვეველია დაუსახელებლობა ხალიბებისა, რომლებიც ჰეროდოტეს თითქმის თანამედროვე ძველი ბერძნული წყაროების (ჰეკატეოს მილეტელი, ფსევდოსკილაქსი) მიხედვით ჰალისის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მოსახლეობდნენ. ასევე ითქმის მუშქ-მოსხთა შესახებაც, რომლებიც ჰეკატეოსის ცნობის მიხედვით, კოლხთა ტომია და მატიენთა მეზობლად მოსახლეობენ. თუ გავითვალისწინებთ ჰეროდოტეს ცნობას, რომ ისინი ტიბარენებთან და სხვა ქართველური მოდგმის ტომებთან ერთად მე-19 სპარსულ ოლქში შედიან და ამავე დროს ამათ ორივეს ერთი მხედართმთავარი მიუძღვებოდა საბერძნეთში სალაშქროდ,[57] მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ხალიბებისა და ტიბარენების სამხრეთით მოსახლეობდნენ აგრეთვე მესხებიც (მოსხები).

ჰეროდოტეს ამ ცნობის მიხედვით ჩვენ გამოგვაქვს შემდეგი დასკვნა: მოყვანილ ციტატაში „ქვემოთ, მის მარჯვნივ სახლობენ მატიენები" „ქვემოთ" ნიშნავს ჰალისის ზემო დინებას (ე.ი. სათავეს), რადგან ამავე ტექსტში „ზემოთ" აღნიშნავს ამავე მდინარეს მისი ჩრდილოეთისაკენ შემობრუნების შემდეგ. რადგან მატიენების ქვეყნის ტერიტორია მოიცავს არა მარტო არაქსის სათავესთან მდებარე მიწებს, არამედ ჰალისის ზემო წელის მარჯვენივ მდებარე ოლქებსაც, უნდა ვიფიქროთ, რომ მატიენა არზრუმის სანახებიდან შორს დასავლეთისაკენ იყო გადაჭიმული კაპადოკიამდე (ამ ტერიტორიაზე ძვ.წ. 676 წ-მდე არსებობდა მუშქთა (ფრიგიის) სამეფო). კაპადოკიას კი, თავის მხრივ, დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ფრიგია. ტომი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა გააფთრებულ თავდაცვით ომებს ხეთების, ასურელების, ურარტელების, სპარსთა და სხვათა წინააღმდეგ შეიძლებოდა ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და ბინადრობდა არზრუმისა და არაქსის სათავეების რაიონებიდან დასავლეთისაკენ — ჰალისის ზემო წელის მიდამოებამდე.

მაშასადამე, ჰეკატეოს მილეტელთან და ჰეროდოტესთან მოხსენიებული მატიენები ქსენოფონტთან გვხვდება ტაოხების სახელით. მხოლოდ ამ მიზეზით უნდა იყოს განპირობებული ტაოხების მოუხსენიებლობა ჰეროდოტესთან. მეორე მხრივ, ქსენოფონტე, რომელმაც ამავე პერიოდში (ჰეროდოტე წერდა ძვ.წ. 430-20-იან

---

57 ჰეროდოტე. ისტორია, VII, 78.

წწ. ხოლო ქსენოფონტემ ეს მიდამოები მოინახულა ძვ.წ. 401 წ.) ფეხით გადმოიარა ჩრდილოეთი მესოპოტამიიდან ჯერ ჭოროხის ხეობამდე, შემდეგ შავ ზღვამდე, არსად ხვდება მატიენებს. ტაოხი იგივეა, რაც ტაონი (ამ ფორმით გვხვდება გიორგი მერჩულესთან. „ოხი" და „ონი" სუფიქსები, მაწარმოებელია), „მა" პრეფიქსის დართვის შემდეგ ვღებულობთ ფორმას „მატიენას". აქ მაწარმოებელია „მი" ვარიანტული „მა"-ს (შეადარეთ: მასინები, მისიმიანები, მოსინიკები, მუშუანები). ეს ტომი ასურულ (ძვ.წ. XII-IX სს.) და ურარტულ (ძვ.წ. IX-VIII სს.) წყაროებში გვხვდება დაიაენი-დიაუეხი (დიაოხი) ფორმებით. ასე მოეიდა ეს ტომი სამხრეთიდან, ხურიტული სამყაროდან და ბინა დაიდო ჭოროხის აუზში. ამ ტომის შთამომავლებმა, დიდი როლი ითამაშეს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში.

ეს ტომი რომაული ხანის წყაროებში კიდევ სხვა ფორმანაცვალი სახელებით გვხვდება. აღვნიშნავთ, რომ მატიენების შესახებ ასეთი შეხედულების ჩამოყალიბება ახლებურად აყენებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

# ძირითადი დასკვნები

ძველაღმოსავლური (ასურული, ურარტული), ანტიკური (ბერძნული, რომაული), ძველქართული და სომხური წყაროების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე მიეედით შემდეგ დასკვნამდე:

ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული მუშქების ლოკალიზაცია უნდა მოხდეს მდ. ჰალისის შუა დინების მიდამოებში, იქ, სადაც აღმოჩენილია მათ შესახებ მომთხრობი ხეთურ-ლუვიური ტექსტები და სადაც მოგვიანებით ქ. მაზაკა დასტურდება. მათი ადგილმდებარეობის ძიება იმ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე გამორიცხულია.

დაიაენ-დიაოხს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა უიტერუხი; შეხედულება, რომ ეს უკანასკნელი თითქოს დაიაენის ფარგლებში ექცეოდა, საფუძველს მოკლებულია.

დიაოხის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. არაქსის სათავის მიდამოებიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა, მიდიოდა მტკვრის სათავეებში არსებული კოლას მიმართულებით (ისე რომ, შემდეგდროინდელი კარნიფორა და კოლა დაიაენის საზღვრებს მიღმა რჩებოდა).

დიაოხის სამხრეთი საზღვარი არზრუმის რაიონის სამხრეთით გადიოდა. სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის დადგენა, მასალების უქონლობის გამო, ძნელდება, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში სუხმა ჩანს. მდ. თერმოდონტის სათავის მახლობლად შესაძლებელია დაიაენის კოლხასთან შეხების ზონა იყო.

დიაოხის დასავლეთი საზღვარი, შესაძლებელია, მდ. ჭოროხის დინების ხაზს თუ ახლომდებარე ადგილებს გაჰყვებოდა. აქ მას კოლხა ესაზღვრებოდა.

დაიაენ-დიაოხის გაერთიანებაში შემავალი ოლქების ლოკალიზაცია ასეთია:

ხუშანი (ხუშალხი) მდებარეობდა მდ. ოლთისის ჭოროხთან შეერთების ზონაში. საფიქრებელია, რომ ეს ოლქი ქ. ისპირის მიდამოებამდე ვრცელდებოდა და ჩრდილოეთით დიდის ოლქამდე აღწევდა. მას აღმოსავლეთიდან ბიანას ქვეყანა ესაზღვრებოდა.

ოლქი დიდინი ჭოროხის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში, არტანუჯის რაიონის სამხრეთითაა საძიებელი, მისი ცენტრი ზუა კი — არტანუჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით და თუხარისის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქვეყანა კულხახალი არტანუჯის სანახებში იყო განლაგებული.

შეშეთის ქვეყანა დიაოხის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, უიტერუხის (ჭართა) ქვეყნის სამხრეთით. ვიზიარებთ შეხედულებას, რომ იგი დღევანდელ ქ. შავშათის რაიონში თავსდება.

ოლქი ბიანა უნდა უკავშირდებოდეს ქ. ბანას მიდამოებს. მას ჩრდილოეთიდან ქვეყნები — დიდინი და ხუშანი ეკვროდა. ბიანა დაიაენის აღმოსავლეთი პროვინცია უნდა ყოფილიყო. დიაოხს ამ სექტორში ესაზღვრებოდნენ ზაბახა და კუარზანი. ბიანა იგივე აბიანი-ბიაა, მისი ქალაქი ედია კი მოგვიანო ხანის იდესა-იდიაა.

ქვეყანა ულიუზა ხუშანისა და ბიანას სამხრეთით მდებარეობდა. ამ ოლქის სახელი შეიძლება დავინახოთ მდინარისა და ქალაქ ოლთიზი-ოლთისის სახელში.

ქ. უტუხაი კლარჯეთის უძველეს ცენტრთან — თუხარისთან უნდა გაიგივდეს.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, დიაოხის ფარგლებში შედიოდნენ ტომები ბალთულხი, არდარაქიხი, შაშქი და კაბილუხი. ამ ქვეყნების ლოკალიზაციის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ისინი ამ გაერთიანების სამხრეთ ნაწილშია საძებარი.

დიაოხის გაერთიანების უკიდურეს სამხრეთ ოლქებს წარმოადგენდნენ ქადა და აშკალაში. შესაძლებელია ესენი ოლთის-ყარა-სუ-არაქსს შორის წყალგამყოფ ტერიტორიაზე მდებარეობდა, არზრუმის სანახების ჩრდილოეთითა (ქადა) და დასავლეთით (აშკალაში). ვიზიარებთ შეხედულებას, რომ შაშილუს ქვეყანა დასავლეთი ევფრატის (ყარა-სუ) სათავეებთან მდებარე რაიონში უნდა მოთავსდეს.

სარდური II-ის მიერ ჩამოჭრილი 3 თუ 6 ოლქის ლოკალიზაცია უიტერუხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, არტაანისა და მის ჩრდილოეთით მდებარე პროვინციებში უნდა მოთავსდეს.

სატომო სახელწოდებებში „უიტერუხი“ — „ბიძერი“ — „ვიზარი“ -ში უნდა გამოიყოს ფუძეები ტერ-ძერ-ზარ, რომლებიც ქართული „ჭარ“-ის შესატყვისი და ტერმინ „აჭარა“-ში არსებული ფუძის „ჭარ“-ის იდენტური უნდა იყოს.

ასურეთის მეფე ტუკულთი-ნინურთა I შესაძლებელია იყოს ანტიკურ და სომხურ წყაროებში მოხსენიებული ნინოსი.

ქათარზა არ შეიძლება იყოს მომდევნო ხანის კლარჯეთი, რადგან ისტორიული კლარჯეთის ტერიტორია დაიაენის საზღვრებში იგულისხმება, ქათარზა კი ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე, მისგან დამოუკიდებელი ტომი იყო. ქათარზა (კატარძა) კლავდიოს პტოლემაიოსის კატარძენასთან უნდა გაიგივდეს. ტერმინი „კლარჯეთი“ უნდა მომდინარეობდეს კოლხას ერთ-ერთი ძირითადი ოლქის კულხახალის (კოლხახალის) სახელისაგან. სწორედ აქვეა საძებარი ძველაღმოსავლური წყაროების კულხა-კოლხის ძირითადი საწარმოო რაიონები.

ძველაღმოსავლურ ხანაში ჯავახეთისა და შიდა ქართლის სამხრეთ რაიონებში არსებობდნენ ქვეყნები: იშტელუანი (ახლ. სოფ. ეშტიის მიდამოები), ფუზუნია (წუნდის მიდამოები), მათ ჩრდილოეთით — ქადიანი (კოდიანის მთის მიდამოები, თორის მოსაზღვრედ), სირიმუთარა (ახლ. შირიმთას მიდამოები) და მისი ქ. უზინაბითარნა (გუჯარეთის ქვემო წელ'ზე-უზნარიანი), კიდევ უფრო ჩრდილოეთით აუუნის ქვეყანა (უფლისციხის მიდამოები).

ლუშას ტომი არ უნდა იყოს მერმინდელ ლაზთა წინაპარი. ძნელია გარკვევა იმისა, თუ სად იყვნენ ლაზები მთელი ამ დროის (ძვ. VIII ს-დან-ძვ. წ. I ს-მდე) განმავლობაში, ან როგორ მოხვდნენ ისინი სამხრეთი ამიერკავკასიიდან ასე შორს ქ. „ლაზოსისა“ და „ეგრისის ქვეყნის“ (თან. სამეგრელოს) ზღვისპირა ზოლში.

სწორი არ ჩანს მატიენას და მიტანის გაიგივება. შეუძლებელი იყო ჩრდილოეთი მესოპოტამიის ქვეყანა — მიტანი და ჭოროხის აუზში მოსახლე სასპერები აქემენიდებს მე-19 სატრაპიაში (აქ შემოდიოდა მატიენა) მოექციათ. მიტანი, როგორც გეოგრაფიული ერთეული, ამ დროს არ არსებობდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორიული მიტანის ტერიტორიის ჩრდილოეთით მცხოვრები არმენები (სომხები) მე-13 სატრაპიაში შედიოდნენ.

ჰეროდოტე ტაოხთა საცხოვრებელი ადგილის მიდამოებში ასახელებს მატიენებს, მისთვის საერთოდ უცნობია ტაოხები. ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე ქსენოფონტე კი, რომელმაც ეს მხ-

არე ძვ. წ. 401 წელს მოინახულა, ვერსად ხედავს მაკრონებს, იგი ასახელებს ტაოხებს. სტრაბონი და პომპონიუს მელა არ იცნობდნენ ტომს ტაოხის სახელით, მათთვის იგი ცნობილი იყო მაკრონას სახელით. მაკრონაში უნდა გამოვყოთ პრეფიქსი „მა" და ფუძე „ტანი", რომელიც ქართულ წყაროებში დამოწმებული ტაოს ფორმის „ტაონის" იდენტურია. ასე, რომ მაკრონები იგივე ტაოხები არიან.

ხალიბებისა და ჰალიძონების იგივეობას რამდენიმე წყაროს მონაცემი უჭერს მხარს, ხოლო ამათი და ამაძონების ერთიანობის საკითხი ჯერ კიდევ საკვლევია.

ჰომეროსის მიერ ხალიბების სიახლოვეს დასახელებულ ენეტებს შესაძლებელია კავშირი ჰქონდათ ქართველურ სამყაროსთან. მათი ფონეტიკური სიახლოვე სახელწოდებებთან — ჰენიოხებთან, ქ. გენეტესთან, კონცხ გენეტთან, სოფ. ენეტთან, მდ. გენეტთან, ნაწილობრივ, ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევენ. სტრაბონის დროს ისინი აქ აღარ მოსახლეობდნენ, აქ კავკონები (კავკასიონელები) ბინადრობდნენ, რაც შესაძლებელია, ამ ორი ეთნიკური ელემენტის იგივეობაზე მეტყველებდეს.

ეკხირიელებისა და ხოიების გაიგივების სასარგებლოდ ლაპარაკობენ ძველი ბერძნული წყაროები. სადაულა ბექირების რიზეს მიდამოებში ლოკალიზება. როგორც ჩანს, აქ, ეკხირიელები მოსახლეობდნენ, ხოლო ბექირები ჰისოსის (ყარა-დერე) ხეობაში. შესაძლებელია სურმენე იყო ამ ტომის ცენტრი ბექირიადა.

სვანურ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ტომები და თემები: მოსინიკები, შკიტინები, „შკიტინების მონათესავე ტომი" (მოგვიანო ხანის ჭანები ?), ჭანები, მარები, სანიგები, ჰენიოხები, დრილები, დერჭანი. ამ ტომთა და მათი განსახლების არეალში დადასტურებული უძველესი ტოპონიმების (მოსინიკი, შკიტინი, ჭანი, მუშკი, მახერონი, სპერი, გიმნიასი, ბურგონი, ბარხონი, სისილისი, სხამალანიხი, სარტონი, ზაგონი, კენა, ორონი, თეხე, ქადა, მაჭუკა, სინორია, მოხორა და სხვათა) სემანტიკა სვანურ ენობრივ ხასიათს ატარებს.

ჰეროდოტეს მონაცემებზე დაყრდნობით, კოლხეთის სამხრეთი საზღვარი ძვ. წ. VI-V ს-თა მიჯნაზე მდ. ოფიუნტზე უნდა გასულიყო.

ფიჭვნარის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ მიკვლეული ანტიკური ხანის ნაქალაქარის სახელი შესაძლებელია უკავშირდებ-

ოდეს პომპონიუს მელას მიერ დასახელებულ კიკნოსს. სახელწოდება მისი დამაარსებლის კიკნის ან კიკნოს (ბერძნულად გედი) სახელებიდან, ერთ-ერთისაგან უნდა მომდინარეობდეს.

არისტოტელესთან მოხსენიებული „სიღრმეების“ (ბერძნულად „ბეთეა“) დაკავშირება ბათუმთან სადავოა, უფრო მართებული ჩანს მისი კავშირი ბატასთან (ნოვოროსიისკის მახლობლად). არ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ „სიღრმეებში“ ზღვის ღრმა ადგილი იგულისხმებოდეს და არა გეოგრაფიული პუნქტი. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევიან სტრაბონისა და პლინიუსის მონაცემები.

*С. Д. ГОГИТИДЗЕ*

# ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ (XII-IV В. ДО Н. Э.)

*(Резюме)*

В научной литературе давно обратили внимание на изучение древнейших цивилизаций, расположенных на восточной периферии Малой Азии. Интерес к данной теме еще более возрос после расшифровки хето-лувийских, ассирийских и урартских иероглифических и клинообразных текстов.

На крайнем востоке Анатолии (вокруг озера Ван), в середине IX в. до н. э. сформировалось мощное объединение хуритских племен — царство Урарту. К югу от него находилось Ассирийское царство. Эти государства имели определенные отношения с историческими «странами» юга Грузии.

Древнейшие сведение относительно исторического юго-запада Грузии находим в древневосточных источниках. Конкретные сведения же об отдельных вопросах истории Чорохского бассейна всречаются в ассирийских и урартских эпиграфических памятниках. В надписях ассирийского царя Тиглатпиласара I-го (1115-1077 гг.) упоминаются Даиаэни (Диаохи-Таохи-Тао), Килхи (Колха), Мушки (Месхи) и гора Шеше (по грузинским и урартским источникам — Шешети — Шавшети). В последующие времена (особенно в урартской эпиграфике) находим достаточно материала для исследования исторической географии, политической истории и социально-экономической специфики данных регионов.

Тщательное исследование и анализ ассирийских и особенно урартских источников, выводы сделанные исследователями,

дали возможность уточнить локализацию и границы Даиаэн-Диаоха и входящих в него стран (Дидини, Хушалхи, Биани, Ултуза, Шашки, Халдириулхи, Ашкалаши, Шериази), а также некоторых городов (Утухай, Идиа, Зуа, Путе).

Древневосточные источники XII-VIII в. до н. э. содержат интересный материал о борьбе населения Даиаэн-Диаоха против ассирийских и урартских завоевателей. Цари раннегосударственного образования — Сиен, Асия, Утупуршин, Мапудупи оказывали достойное сопротивление агрессорам. В VIII в. до н. э. Диаохия прекращает свое существование. Его территория входит в состав двух сильных соседей — Урарту и Колха. Даиаэн-Диаохи в источниках VI-V в. до н. э. (Гекатеос, Геродот, Ксенофонт) упоминается как «Матиане» и «Таох». В определении этнической принадлежности и локализации племени матианов помимо древневосточных и античных источников помогают и данные из грузинских источников и лингвистический анализ термина.

Одновременно с объединением Даиаэна на территории современной и исторической Грузии по-видимому существовали объединения Кулха, Уитеруха и Апуни, страны: Кадиани, Сиримутара, Иштелуани, Тариуни, Куриани, Пузуния, Забаха, Игани, Куарзани, Катарза, Луша, Аништиргае с их городами — Илламуша, Узинабитарна, Алкания, Цудала, Уриани и др. Большое место в работе уделяется вопросу локализации этих топонимов, вопросам взаимосвязей Катарза и грузинской провинции Кларджети, Табалов с Тибаренами и Иберами.

Спор по данным вопросам в научной литературе продолжается долгое время. Некоторые авторы (особенно армянские исследователи) сознательно стараются локализацию стран и этнонимов упомянутых в древневосточных источниках сдвинуть к югу и подвести их под границы «Великой Армении». Большинство из этих стран должны быть связаны с грузинским миром, локализация многих из них спорна, многих же неопределена. Они, по нашему мнению, в основном входят в состав территории исторической и современной Грузии.

Изучение истории вышеупомянутых стран и объединений обязательно и, исходя из национальных интересов, осебенно

тогда, когда мы отмечаем трехтысячилетнюю историю грузинской государственности. Необходимость изучения этой проблемы определяется и тем, что в турецкой исторической литературе и прессе тенденциозно освещается история этих регионов Грузии, которые сегодня находятся в пределах Турецкой Республики. По нашему мнению, установление – уточнение некоторых из этих вопросов поможет грузинским ученым в более эффективном освещении данных и родственных проблем, по новому поставить целый ряд вопросов древней истории Грузии.

В урартских источниках середины VIII в. до н. э. упоминается раннегосударственное образование – Кулха, одна из его областей - Кулхахали с «царским городом» – Илдамуша Тождество Илдамуша – Артануджа и историко-географические реалии создают основу для отождествления Кулхахали и Кларджети из более поздних источников. Не существует основы для отождествления Кларджети и Катарза и для локализации Катарза в этих краях и вообще в восточной части территории Данаэна. Бесконечные нашествия ассирийцев и урартцев, вторжения кочевых племен с севера – значительно изменили политическую и этническую карту Юго-Запада Грузии, которая дана нам в древнегреческих источниках.

В VI-III вв. на территории Грузии существовало два могучих царства – Колхети (Эгриси) и Иберия (Картли).

На юго-восточном побережье Черного моря в этот же период, появляется целая группа племен грузинского происхождения – бидзеры, экхирницы (хой), бехири, мары, пилиры, макроны, дрилы, мосиники, тибарены, халибы (халидзоны Гомера).

В глубине побережья жили мосхи (мушки), матианы (таохи), саспери (иберы), шкитины. Позднее, на арену выходят чаны, хениохи, махероны и зидриты. Заслуживает внимания наша попытка установления локализации и этнической принадлежности некоторых из них. Особенно интересны взаимосвязи экхирийцев с хойя, матианов с таохами, амадзонцев с халидзон-халибами, бидзеров с зидритами, шкитинов с «родственным племенем» чанов, локализация бехиров; Новая интерпре-

тация вопросов взаимосвязей, локализации и этнической принадлежности шкитинов, мосиников, хениохов и чанов. Представляет интерес постановка вопроса о принадлежности последних к сванской группе. Возможность для высказывания подобного предположения нам дает лингвистический анализ, указанных на этой территории этих этнонимов, топонимов, оронимов и самых племенных наименований. Античные источники дают достаточно материала для локализации города Менте (Мадия, Матиуми?), Кикноса, для определения южных границ Колхидского царства (VI-IV в. до н. э.).

Античные и грузинские источники, лингвистические и археологические материалы дают возможность (основу) для постановки вопроса о взаимосвязи племенного наименования бидзер-визаров с термином Ачара, определить этимологию Ачары, вопрос локализации и этнической принадлежности племен бидзеров. По нашему мнению неоправдано внесение территории Ачары в ареал расселения чанов, лазов, мосиников, хениохов и др. Поставлены и исследованы другие вопросы исторической географии юго-восточного побережья Черного моря.

*GOGITIDZE S.D.*

## THE HISTORICAL GEOGRAPHY OF SOUTH - WEST GEORGIA (XII-IV B.C.)

### *Summary*

The problems of historical geography of South-west Georgia in the XII-IV centuries B.C. is studied in the monograph. There are investigated the questions of locolization of the ancient state unions (Diauhi Qulha Viteruhi) and forming their parts provinces („Qulhahali" „HuSani," „Abiani," „Seriazi," „Didini," „Qaduini," „Uituzaini," „Haldiriulhi," „Šaški," „Ašqalaši").

It is in vestigated the history of georgian tribes resided in South - west Georgia according to hle ancient greek, roman and other sources the author expresses his views about the localiztion and ethnic desce ht of some of them.

The author in the order of the day raised the ques-tion about „svanetian" origin of „Trhans," „Shkitins" and their heiqhbour tribes and communities, he considers to be possible to ilentity „Kiknos" of the antiaqe sources with Pichvnari situated in Kobuleti district, Matium-Mentes with Batumi (the area of Tamar fortreess) and also he studies the relationship between the termins „Katarza" and „Klardjeti" matians and „Taokhies", „Bither" („Vizar") and „Ajara."

# შემოკლებანი

ადდლ — აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა.
აიპ — ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები.
ასმშ — აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები.
ბსკი — ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
ბსუ — ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კაკ — კავკასიურ-აღმოსავლური კრებული.
მის — მაცნე, ისტორიული სერია.
მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
სდსაძ — სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს არქიტექტურული ძეგლები.
სდსყკ — სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ყოფა და კულტურა
სდსძ — სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძეგლები.
სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.
სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები.
სმამ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
სმაო — საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო.
სმო — საქართველოს მუზეუმის მოამბე.
სსეს — სამხრეთ საქართველოსა და ეთნოგრაფიის საკითხები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი.
სქაუქტ — საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.
ქწა — ქართული წყაროთმცოდნეობა.
ქმკძა — ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში.
ჩსეი — საქართველოს მეცნ. აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
ძახი — ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.
ძახიქ — ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია.
ძის — ძველი ისტორიის საკითხები.
АВИИУ — Ассиро- Вавилонские источники по истории Урарту.
АПКИ — Античные помятники Колхиды и Иберии.

ВДИ — Вестник древней истории.
ВИ — Вопросы древней истории
ВСДВ — Всесоюзная сессия по древнему Востоку.
ЗКОИРГО — Записки Кавказского отделения имп. русского географического общества.
ИКОИРГО Известия кавказского отдела императорского русского географического общество.
ИР — Источниковедческие разыскания.
МАК Материалы по археологии Кавказа.
ПГК — Проблемы греческой колонизации северного и восточного причерноморья.
СК — Известия древных писателей о Скифии и Кавказе.
УКН — Урартские клинообразные надписи.
ARAB — D.D. Luckenbil. Ancienl Records of Assyria and Babylonia. I-II, Chicago, 1926-1927.

# გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

## 1 წყაროები


1. აირივანეცი მხითარი. ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1990, 142 გვ.
2. არიანე ფლავიუსი. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961, 132 გვ.
3. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 270 გვ.
4. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1967, 190 გვ.
5. იგივე, II, 1969, 219 გვ.
6. იგივე, III, 1977, 229 გვ.
7. იგივე, IV, 1980, 202 გვ.
8. იგივე, V, 1983, 225 გვ.
9. იგივე, VI, 1987, 215 გვ.
10. გამბა ჟ.ფ. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., გამ-ბა „განათლება," 1987, 375 გვ.
11. გამყრელიძე ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. – ქწა, I, თბ., 1965.
12. გეორგიკა, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., გამ-ბა მეცნ.აკად. მოამბე, 1961, 312 გვ.
13. გეორგიკა, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1965, 335 გვ.
14. გეორგიკა IV, ნაკვ. II, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1952, 433 გვ.
15. გეორგიკა VI, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1966, 312 გვ.
16. ლომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. – მსკი, ნაკვ. 35, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963, 3-35 გვ.
17. ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ. – მსკი, ნაკვ. 32, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1955, 39-63 გვ.

18. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1981,101 გვ.
19. მელიქიშვილი გ. ურარტუს სამეფო, ურარტული წყაროები. – ძახიქ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1990, 269-295 გვ.
20. მიქელაძე თ. ქსენოფონტის „ანაბასისი", ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება", 1967, 156 გვ.
21. მურიე ჟან. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა ი. ლორთქიფანიძემ, ბათ., სახელმწიფო გამ-ბა, 1962, გვ. 54.
22. ორფიკული არგონავტიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელაშვილმა, თბ., უნივერსიტეტის გამ-ბა, 1977, 137 გვ.
23. როდოსელი აპოლონიოსი. არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი ა. გელოვანისა, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა.ურუშაძისა, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1975, 246 გვ.
24. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება" 1988, 694 გვ.
25. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1984, 333 გვ.
26. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., სახ. გამ-ბა, 1955, 463 გვ.
27. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბ., თბილისის უნ-ტის გამ-ბა, 1953, 343 გვ.
28. შატბერდის კრებული (X საუკუნისა), გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1979, 427 გვ.
29. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1957, 225 გვ.
30. ყაუხჩიშვილი ს. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1964, 144 გვ.
31. ხაზარაძე ნ. იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტები. – ძახიქ, თბ., გამ-ბა მეცნიერება, 1990, 235-242 გვ.
32. ხორენაცი მოვსესი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან

თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება,“ 1984, 300 გვ.
33. ჰეროდოტეს ისტორია, ტ. I და II, ბერძნულიდან თარგმნა წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., უნ-ტის გამ-ბა (1975, 1976), 358 და 666 გვ.
34. Азия (зарубежные страны), атлас мира, М., изд. ГУГК, 1983, 52 с.
35. **Амрелии Луций.** Памятная книжица, перевод с латинского А.И. Немировского. _ ВДИ, изд. Наука, 1989, №2, 229-252 с.
36. Армянская география VII в. припысивавшаяся М.Хоренскому, изд. К.Патканов, СПБ, 1877, 110 с.
37. **Византийский Степан.** Описание племен. ВДИ, 1948, №3, 313-331 с.
38. **Вейнденбаум Е.Г.** От Батума до Артвина. - Кавказские этюды, Тиф., 1901, 101-145 с.
39. **Гомер.** Одиссея, перевод с древнегреческого В. Жуковского, М., 1981.
40. **Доватур А.,** Каллистов Д., Ашимова И. Народы нашей страны в истории Геродота, М., изд. Наука, 1982, 455 с.
41. **Дюбуя-де-Монпере.** Путешествия, изд. АН СССР, 67 с.
42. **Дьяконов И.М.** АВИИУ. - ВДИ, изд. АН СССР, 1951, №2, 257-356.
43. **Ельницкий Л.А.** Новая надпись Креркса. - ВДИ, изд. АН СССР, 1949, №2, 168-172.
44. **Тейлор Д.** Путешествие по Курдистану. - ИКОИРГО, Тб., 1894, 38-63.
45. История Армении Моисея Хоренского, под редакцией Г.Халатянца, М., изд., Лазиревского ун-та, 1893, 323 с.
46. История Армении Моисея Хоренского, перевод Н.Эмина, М., 1958, 383 с.
47. История Епископа Себеоса, перевод с четвертого исправленного армянского издания Ст. Малхасянца, Ер., Инст. истории и матер. культ., 1939, 184 с.
48. Кариандский Скилак, Азия. _ ВДИ, 1947, №3.
49. Кипрский Епифан. _ ВДИ, 1948, №3.
50. Кесарийский Прокопий. О постройках, перевод С.Кондратьева. - ВДИ, огиз. Соцекгиз, 1939, №4, 203-283 с.
51. Ксенопонт. Анабасис, перевод, статья и примечания М.Максимовой, М-Л., изд. АН СССр, 1951, 300 с.
52. **Лисовский В.Я.** Чорохский край (военно-статистический очерк), вып. I, Тф., отд. геншт. Кавк. воен. окр., 1887, 141с.

53. **Меликишвили Г.А.** УКН, М., изд. АН СССР, 1960, 503 с. Народы Кавказа, I, под редак. М.Косвена, М., изд. АН СССР, 612 с.
54. **Никольский М.В.** Клинообразные надписи Закавказья. - МАК, вып. V, М., Имп. моск. арх. Общество, 1896, 142 с.
55. **Птоломей Клавдий.** Географическое руководство. - ВДИ, 1948, №2, 250-264 с.
56. **Страбон.** География, в 17 книгах, перевод Стратановского, Лен., изд. Наука, 1964, 941 с.
57. **Страбон.** География. - ВДИ, изд. АН СССР, 1947, №4, 142-160 с.
58. **Шавров Н.Н.** Краткое описание маршрутов от Батума до Бенары и до Орджоха, от Артвина до Ардануча. - ЗКОИРГО, кнг. XXVI, вып. 2, Тиф., типография К.Козловского, 1907.

## 2. ლიტერატურა

59. **აბდალაძე ალ.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1988, 293 გვ.
60. **აბდალაძე ალ.** „ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის არმენოფილობის თაობაზე, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, 18 მარტი.
61. **ანდრონიკაშვილი მ., სახოკია მ.** აქემენიდების ძველი სპარსული ლურსმნული წარწერები. – ძახიქ, თბ., გამ-ბა მეცნიერება, 1993, 297-316 გვ.
62. **ასათიანი შ.** ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში. – სქაუქტ, თბ., გამ-ბა მეცნიერება, 1993, 10-20 გვ.
63. **ასათიანი შ.** ქართველური ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძველაღმოსავლური წყაროების მიხედვით), ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის საძიებელი დისერტ. ავტორეფერატი, თბ., 1992.
64. **ბარამიძე ა.** საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. – ბსკ-ის შრომები, III, თბ., 1964, 133-152 გვ.
65. **ბერძენიშვილი დ.** ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი), თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1985, 158 გვ.
66. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1990, 692 გვ.
67. **ბექირიშვილი ი.** ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბათ., გამ-ბა „მეცნიერება," 1995, 306 გვ.

68. ბექირიშვილი ი. აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., ს.ს. „გამ-ბა აჭარა," 2001, 350 გვ.
69. ბექირიშვილი ი. ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათ., გამ-ბა „საბჭოთა აჭარა," 1982, 133 გვ.
70. ბექირიშვილი ი. ქრისტიანობა აჭარაში, ბათ., გა-ბა „აჭარა," 1990, 97 გვ.
71. ბოგვერაძე ა. გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის გაგებისათვის. – აიპ, თბ., 1991, 151-204.
72. ბროსე მ. საქართველოს ისტორია, ორ ნაწილად, ბათ., ს.ს. „გამ-ბა აჭარა," 1998, 367 გვ.
73. გოგიტიძე ს. ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნ. „ჭოროხი," აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამ-ბა, 1990, №4, 70-80 გვ.
74. გოგიტიძე ს. ასურულ-ურარტული ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ (ძვ. წ. IX ს. – VIII ს. შუაწლეები), XXI რესპ. სამეცნ. სესიის მოხსენ. თეზისები, ბათ., 1993, გვ 3.
75. გოგიტიძე ს. აჭარა V საუკუნეში, ჟურნ. „ლიტ. აჭარა," აჭარის ჟურნალ-გაზ. გამ-ბა 1998, №7, 98-108 გვ.
76. გოგიტიძე ს. აჭარა ძვ. წ. VI-IV სს.-ში წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ჟურნ. ლიტ. აჭარა, ს. ს. გამ-ბა „სტამბა," 2000, №1, 61-68 გვ.
77. გოგიტიძე ს. აჭარის ეტიმოლოგია. – ბდუ, ბათ., გამ-ბა „აჭარა," 1994, 28-29 გვ.
78. გოგიტიძე ს. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი," 1990. №1, 120-130 გვ.
79. გოგიტიძე ს. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, ლიტ. აჭარა, ს.ს. „გამ-ბა აჭარა," 1999, №6, 100-102 გვ.
80. გოგიტიძე ს. დავით ხახუტაიშვილი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველური ტომების საკითხი – დ. ხახუტაიშვილის დაბ. 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული რესპ. სამეცნ. სესიის მასალები, ბათ., გამ-ბა „ბათ. უნ-ტი," 1999, 12-14 გვ.
81. გოგიტიძე ს. დაიაენ-დიაოხი (ტერიტორია, საზღვრები), ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა," ჟურნალ-გაზეთების გამ-ბა, 1999, №2 143-150 გვ.
82. გოგიტიძე ს. დაიაენ-დიაოხის ზოგიერთი „ქვეყნის" ლოკალიზაციისათვის, აკად. ს.ჯანაშიას დაბ. 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნ. სესია, თბ., 2000, 63-66 გვ.
83. გოგიტიძე ს. ევსები კესარიელის ერთი ცნობის შესახებ, გაზ. „აჭარა," ბათუმი, 1998, 28 თებერვალი.

84. გოგიტიძე ს. ერის წარსულის ანარეკლები, გაზ. „მეცნიერება,“ გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის შრომები, 1992, 1 სექტემბერი, 10 ნოემბერი.
85. გოგიტიძე ს. კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი,“ აჭარის ჟ-გ გამ-ბა, 1996, №3, 143-150 გვ.
86. გოგიტიძე ს. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, ბათ., გამ-ბა „მეცნიერება,“ 1997, 150 გვ.
87. გოგიტიძე ს. რომელ ენაზე მეტყველებდნენ ანტიკური ხანის ჭანები, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა,“ 2001, №7, 83-89 გვ.
88. გოგიტიძე ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა,“ ბათ., ს.ს. „გამომც. აჭარა“, 1993, №3, 144-153 გვ.
89. გოგიტიძე ს. სახელწოდება მაჭახელას (მიჭიხიანის) შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი,“ 1994, №5-6, 177-180 გვ.
90. გოგიტიძე ს. უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა,“ ბათ., ს. ს. „სტამბა,“ 2000, №15, 101-110 გვ.
91. გოგიტიძე ს. უძველესი ქართული ქვეყანა ხუშანი, გაზ. „აჭარა,“ 2001, 31 ოქტომბერი.
92. გოგიტიძე ს. „ფარნავაზიანი“ და აჭარა, – ბსკი, ბათ., 1996, 12-13 გვ.
93. გოგიტიძე ს. ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის სახელწოდებისათვის, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა,“ 1998, №10, 122-125 გვ.
94. გოგიტიძე ს. ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში, გაზ. „საბჭოთა აჭარა,“ 1990, 8 დეკემბერი.
95. გოგიტიძე ს. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., გამ-ბა „მეცნიერება,“ 1998, 99 გვ.
96. გოგიტიძე ს. წერილობითი წყაროები ებრაელთა საქართველოში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა,“ 1999, №8, 113-117 გვ.
97. გამახარია ჯ. აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., გამ-ბა „ზანი,“ 1998, 55 გვ.
98. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., „მეცნიერება,“ 1982, 150 გვ.
99. გიორგაძე გ. ხეთების ქვეყანა და ხეთური ეთნოსი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ 1985, 26 იანვარი.
100. გიორგაძე გ. ხური-მითანის სამეფო. – ძახი, თბ., „მეცნიერება,“ 1988, 183-291 გვ.

101. გოზალიშვილი გ. მითრიდატე პონტოელი, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1965, 408 გვ.
102. გოზალიშვილი გ. ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის ისტორიიდან, თბ., გამ-ბა უნ-ტი, 1965, 118 გვ.
103. გოილაძე ვ. წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, ჟურნ. „მნათობი," 1986, №2, 152-162 გვ.
104. გოილაძე ვ. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, ჟურნ. „მნათობი," 1984, №11, 153-161 გვ.
105. გორდეზიანი რ. წინაბერძნული და ქართული, თბ., გამ-ბა უნ-ტი, 1985, 222 გვ.
106. დიასამიძე ბ. ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათ., სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999, 119 გვ.
107. დუნდუა თ. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., გამ-ბა „მერიდიანი," 1997, 332 გვ.
108. ვანილიში მ., თანდილავა ა. ლაზეთი, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1964, 170 გვ.
109. ვარშანიძე შ. აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათ. გამ-ბა „საბჭოთა აჭარა," 1990, 186 გვ.
110. ვაშაკიძე ვ. პაიჭაძე დ. ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბ., საქ. თეატრ. ხელოვნების პროპაგ. ცენტრის გამ-ბა, 1990, 63 გვ.
111. ინაიშვილი ა. ხახუტაიშვილი დ. ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები, გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1962, 26 აგვისტო.
112. ინაძე მ. ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორიული პარალელები. – კაკ, VI, თბ., 1980, 128-145 გვ.
113. ინაძე მ. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა, ჟურნ. „მნათობი," გამ-ბა „სამშობლო," 1992, №2, 158-176 გვ.
114. ინაძე მ. ტერმინები „კოლხი" და „კოლხეთი" ანტიკურ მწერლობაში, სქაუქტ, თბ., „მეცნიერება," 1993, 43-55 გვ.
115. ინაძე მ. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. – „მაცნე" ისტორიის... სერია, 1992, №2, 45-67 გვ.
116. ინაძე მ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები). – მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, 13-20 გვ.

117. ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1994, 278 გვ.
118. ინაძე მ. ჭანები. სქაუქტ, გამ-ბა „მეცნიერება," 1993, 390-402 გვ.
119. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი", 1954, 1124 გვ.
120. ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1978, 565 გვ.
121. იოსელიანი ა. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., „მეცნიერება," 1973, 440 გვ.
122. კახიძე ა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში, ბათ., 1979, სადოქტორო დისერტაცია.
123. კახიძე ა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათ., გამ-ბა „საბჭოთა აჭარა," 1975, 99 გვ.
124. კახიძე ა. ახალი აღმოჩენები ფიჭვნარში (ძვ. წ. V ს.), ბერძნული ნეკროპოლი, გაზ. „აჭარა," 1999, 17 ივლისი.
125. კახიძე ა. ვიკერსი ბ. ბერძნული ნეკროპოლი საიდუმლოებას გვიმხელს, გაზ. „აჭარა," 1999, 9 სექტემბერი.
126. კახიძე ა. გვარიქედი, მთავარანგელი, მარიაწმინდა, წალკოტი, გაზ. „აჭარა," 1997, 16 აგვისტო.
127. კახიძე ა., დავითაძე ი., მამულაძე შ. ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფელ ხიხაძირიდან – სდსძ, X, თბ., 1981, 89-100 გვ.
128. კახიძე ა. კოლხური კულტურის სათავეებთან, ჟურნ. „ჭოროხი," 1992, №6, 127-135 გვ.
129. კახიძე ა., მამულაძე შ. აჭარისწყლის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., აჭარის ჟ.-გ. გამ-ბა, 1993, 84 გვ.
130. კახიძე ა., მამულაძე შ. კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. – სდსძ, XVII, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1988, 47-61 გვ.
131. კახიძე ა., მამულაძე შ. ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა," 2000, 125 გვ.
132. კახიძე ა. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, ბათ., გამ-ბა „მეცნიერება," 1971, 151 გვ.
133. კახიძე ა. ფიჭვნარის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი სინოპესთან ანტიკურ ხანაში. – საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა, ბათ., სახ. უნ-ტი, 1993, 27-29 გვ.
134. კახიძე ა. ფიჭვნარის სამაროვნებზე 1967-68 წ.წ. აღმოჩენილი უცხოური მონეტები, „მაცნე," ისტორიული სერია, 1974, №3, 79-85 გვ.

135. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ისტორიისათვის. – სდსძ, XVIII, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1989, 139 გვ.
136. კახიძე ნ. სპილენძის მეტალურგიული წარმოების ისტორიიდან ჭოროხის აუზში. – ბსკი-ის მე-18 რესპ. სამეცნ. სესიის მოხსენ. თეზისები, ბათ., 1987, 41-43 გვ.
137. კახიძე ნ. ხელოსნობა აჭარაში. – სდსყკ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1990, 143 გვ.
138. კვირკველია გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1976, 90 გვ.
139. კოსიდოვსკი ზ. ბიბლიური თქმულებები, რუსულიდან თარგმნა ფ. ბერიძემ, თბ., გამ-ბა „ნაკადული," 1976, 463 გვ.
140. ლომოური ნ. ასურეთის სამეფო. – ძახი, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1988, 308-333 გვ.
141. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., უნ-ტის გამ-ბა, 1968, 150 გვ.
142. ლომოური ნ. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., სახ. უნ-ტი, 1962, 108 გვ.
143. ლომოური ნ. ლაზეთის სახელწოდების ისტორიისათვის, მაცნე სმაო, გამ-ბა „მეცნიერება," 1964, №5, 70-86 გვ.
144. ლომოური ნ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან (III და IV ს.ს. დასაწყისში), თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1975, 105 გვ.
145. ლომოური ნ. ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან, თბ., 1998, 53 გვ.
146. ლეთოდიანი დ. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991.
147. ლორთქიფანიძე ა. ზოგიერთი შენიშვნა, გაზ. „აჭარა," 1996, 9 მარტი.
148. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., სახ. უნ-ტის გამ-ბა., 1991, 214 გვ.
149. ლორთქიფანიძე მ. როდიდან, საიდან მოვდივართ? (ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიისათვის), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 1997, 26 თებერვალი.
150. ლორთქიფანიძე ო. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., გამ-ბა უნ-ტი, 1966, 227 გვ.
151. ლორთქიფანიძე ო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1986, 151 გვ.

152. ლორთქიფანიძე ო. ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., გამ-ბა „ხელოვნება," 1972, 117 გვ.
153. მაკარაძე ვ. მარითის ხეობის ისტორიისათვის, გაზ. „აჭარა," 1995, 28 ივნისი.
154. მამულია გ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1979, 191 გვ.
155. მელიქიშვილი გ. აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის. – სმაო, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961, №3, 87-119 გვ.
156. მელიქიშვილი გ. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. – სინ, ტ. I თბ., „საბჭოთა საქართველო," 1970, 400-421 გვ.
157. მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. – სინ, ტ. I, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1970, 358-391 გვ.
158. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1965, 260 გვ.
159. მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., საქართველოს მეცნ. აკადემია, 1955, 187 გვ.
160. მელიქიშვილი გ. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები. ძველი კოლხური სამეფოს განადგურება, – სინ, I, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1970, 392-399 გვ.
161. მელიქიშვილი გ. ურარტუ, თბ., საბლიტგამი, 1951, 147 გვ.
162. მელიქიშვილი გ. ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, – სინ, ტ. I, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო," 1970, 312-357 გვ.
163. მელიქიშვილი გ. ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., გამ-ბა „ჯადი," 1999, 666 გვ.
164. მიქელაძე თ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის, „მაცნე," სმაო, თბ., 1966, №3. გვ.
165. მიქელაძე თ. მესხთა საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბ. 100 წლ. მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, 110-119 გვ.
166. მიქელაძე თ. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითინები). – სმამ, ტ. XIX, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1957, №5, 126-136.

167. მიქელაძე თ. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 1998, 18 აპრილი.
168. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1974, 208 გვ.
169. მიბჩუანი თ. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., გამ-ბა „სახ. უნ-ტი," 1989, 376 გვ.
170. მიბჩუანი თ. მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. – მნათობი, საქ. კპ. ცენტრ. კომ. გამ-ბა, 1987, №5, 161-166.
171. მუსხელიშვილი დ. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ნაბეჭდი, 1997, 121 გვ.
172. მუსხელიშვილი დ. რეცენზია ნ. ხაზარაძის წიგნზე: საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (თბ., 1984), – „მაცნე," ისტ. სერია, 1987, №1, 163-167 გვ.
173. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, წიგ. I, II, თბ., 1977, 1980.
174. ჟორდანია გ. მეხურელთა და არამ ხუტუს ვინაობის შესახებ, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1956, 195 გვ.
175. რამიშვილი ა. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., გამ-ბა „საბჭოთა აჭარა," 1974, 134 გვ.
176. საქართველოს სსრ ატლასი, მ-თბ., საქ. კპ. ცკ. სტამბა, 1964, 269 გვ.
177. სიხარულიძე ი. გონია, ჟურნ. „ჭოროხი," ბათ., აჭარის ჟ.-გ. გამ-ბა, 1980, №5, 84-86 გვ.
178. სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. I, II, ბათ., სახ-ფო გამ-ბა, 1955, 1959, 247, 190 გვ.
179. სიხარულიძე ი. შავშეთ-იმერხევი, ისტორიული გეოგრაფიის მასალები, ბათ., გამ-ბა „საბჭოთა აჭარა," 1988, 78 გვ.
180. სურგულაძე ა. ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის, ჟურნ. „ჭოროხი," 1983.
181. ურუშაძე ა. ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში, თბ., 1993.
182. ურუშაძე ა. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., სახ. უნ-ის გამ-ბა, 1964, 558 გვ.
183. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.) არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ. გამ-ბა „მეცნიერება," 1975, 222 გვ.

184. ქავთარაძე გ. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., გამ-ბა „მეცნიერება,“ 1985, 192 გვ.
185. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., გამ-ბა „მეცნიერება,“ 1964, 1658 გვ.
186. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული თბ., გამ-ბა „სახკომის წიგნი,“ 1986, 591 გვ.
187. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1981, 357 გვ.
188. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., გამ-ბა „განათლება,“ 1984, 798 გვ.
189. ქემერტელიძე თ. სასპერთა გაერთიანების შესახებ, ჟურნ. „ცისკარი,“ კპ. ცკ-ის გამ-ბა, 1992, №9-10, 172-180 გვ.
190. ყაუხჩიშვილი თ. ანტიკური წყაროები ქ.ბათუმის ისტორიისათვის. — სდსძ, XVI, თბ., გამ-ბა „მეცნიერება,“ 1987, 109-117 გვ.
191. ყაუხჩიშვილი თ. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის. — ქწა, II, თბ., 1968, 7-22 გვ.
192. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., უნ-ტის გამ-ბა, 1976, 296 გვ.
193. ყაუხჩიშვილი ს. ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, X, 1950-51, 17-23 გვ.
194. ყიფიანი ედ. დასაბამიდან ფარნავაზამდე, ჟურნ. „ცისკარი,“ კპ. ცკ-ის გამ-ბა, 1991, №4, 130-140 გვ.
195. ცეცხლაძე ნ. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., ს.ს. გამ-ბა „აჭარა,“ 2000, 277 გვ.
196. ცეცხლაძე ნ., გოგიტიძე ს. შავშეთი წერილობით წყაროებში, 1998, №12, ს. ს. სტამბა, 90-96.
197. ჩართოლანი მ. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1992, №2, გამ-ბა „მეცნიერება,“ 67-82.
198. ჩართოლანი შ. ძველი სვანეთი, თბ., 1996,
199. ჩიქოვანი თ. ჯავახეთი, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო,“ 1982, 90.
200. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო,“ ალ. ღლონტის რედ. 1961, 490 გვ.
201. ჩხაიძე მ. ქვა-კაცი ზეიანის მიწებიდან, თბ., სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1991, 23 გვ.
202. ჭუმბურიძე ზ. მცდარი ეტიმოლოგიური ძიებანი, „მაცნე,“ ენისა და ლიტ. სერია, 1992, №2, 138-142 გვ.

203. **ხაზარაძე ნ.** აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1978, 140 გვ.
204. **ხაზარაძე ნ.** თუბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის – ძის, თბ., 1970.
205. **ხაზარაძე ნ.** „მესხი" ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის. – სქაუქტ, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1993, 21-42 გვ.
206. **ხაზარაძე ნ.** საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1984, 201 გვ.
207. **ხახუტაიშვილი დ.** აჭარის მიწისქვეშა საუკუნენი, გაზ. „კომუნისტი," 1989, 10 მარტი.
208. **ხახუტაიშვილი დ.** კოლხურ-ხალიბური სამთო მეტალურგიული ცენტრის საწარმოო კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში. – სდსძ, X, 1981, გამ-ბა „მეცნიერება," 3-36 გვ.
209. **ხახუტაიშვილი დ.** საინტერესო არქეოლოგიური გათხრები, გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1957, 17 თებერვალი.
210. **ხახუტაიშვილი დ.** ფურცლები აჭარის წარსულიდან, გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1990, 24 თებერვალი.
211. **ხახუტაიშვილი დ.** შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით (ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს.), საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი, 1954.
212. **ხახუტაიშვილი დ.** შავი მეტალურგიის უძველესი საწარმოო ცენტრი შავიზღვისპირეთში. – ბსუ-ს საქ. ისტ. კათედრის კრ. საისტორიო მაცნე, ბათ., 1995, 5-8 გვ.
213. **ხახუტაიშვილი დ.** ქობულეთის „ქვეყანა", I, ბათ., გამ-ბა „აჭარა," 1995, 150 გვ.
214. **ხახუტაიშვილი ნ.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბ., გამ-ბა „მეცნიერება," 1986, 145 გვ.
215. **ხოშტარია ნ.** ციხისძირი ახ. წ. პირველ საუკუნეებში, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1962, 49 გვ.
216. **ჯავახიშვილი ივ.** თხზ., 12 ტომად. ტ. I, თბ., სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1979, 459 გვ.
217. **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1950, 338 გვ.
218. **ჯავახიშვილი ივ.** ქართველი ერის ისტორია, I, თბ., სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1960, 503 გვ.

219. ჯანაშია ს. შრომები II, III, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1952, 1959, 536, 368 გვ.
220. ჯაფარიძე ო. საქართველოს არქეოლოგია, თბ., სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1991, 444 გვ.
221. **Адонц Н.** Армения в эпоху Юстиниана, Ер., изд. гос ун-та, 1971, 528 с.
222. **Авдиев В.И.** История древнего Востока, М., Каф.всеобщ. ист. 1953, 87 с.
223. **Артамонов М.** Кимерийцы и скифы (от появления на историч. арене до конца IV в. до н.э.), Л., изд. ун-та, 1974, 156 с.
224. **Арутюнян Н.В.** Биайнили (Урарту), военно-политическая история и вопросы топонимики, Ер., изд. АН. Армении, 1970, 472 с.
225. **Арутюнян Н.В.** Земледелие и скотоводство Урарту, Ер., изд. АН Армен, 1964, 226 с.
226. **Арутюнян Н.В.** К локализации города Ирданиуни Урартской клинописи. კაკ VIII, თბ., 1988, გვ. 27-35.
227. **Арутюнян Н.В.** Топонимика Урарту, Ер., изд. АН Армении, 1985.
228. Археологическая экспедиция 1916 года в Вань, доклады Н.Марра и И.Орбели, Пет., 1922.
229. **Бердзенишвили Н.** и др. История Грузии, часть I, Тб., изд. Госиздат, 1950, 460 с.
230. **Болтунова А.И.** Возникновение классового общества и гос. власти в Иберии. _ ВДИ, 1956, №2, изд. АН СССР, 28-43 с.
231. **Виноградов В.Б.** Центральный и северо-восточний Кавказ в скифское время (VII-VI вв до н.э.), Грозный, 1972.
232. Всемирная история, т.I, М., госполит изд. 1956, 748 с.
233. **Воронов Ю.Н.** Археологическая карта Абхазии, Сух., Алашара, 1969, 94 с.
234. **Воронов Ю.Н.** К вопросу о локализации кораксов и их крепости в Абхазии, ВДИ, 1968, №3, изд. Наука, 133-142 с.
235 **Гамахария Дж., Гогия Б.** Абхазия - историческая область Грузии, Тб., изд. „Агдгома," 1997, 894 с.
236. **Гамкрелидзе Т.,** Иванов В. Миграции племен-носителей индоевропейских диалектов, - ВДИ, 1981, №2, изд. „Наука," 11-33 с.
237. **Георгиев В.** Передвижение смычных согласных в армянском языке и вопросы этногенеза армян. _ Вопросы языкознания, 1960, №5.

238. **Гозалишвили Г.** Два этюда из истории Понта и Кападокии, Тб., изд. „Саб. Сакартвело," 1967, 110 с.
239. **Гоян Г.** Театр древней Армении, М., типография „Москва," 1952, 543 с.
240. **Грозный Б.** Доисторические судьбы Передней Азии. _ ВДИ, 1940, №3-4, 24-45 с.
241.**Грозный Б.** Протоийдииские письма и их рассшифровка. _ ВДИ, 1940, №2, 15-34 с.
242. **Дацюк Б.Д.** Рабовладельческий строй и рабовладельческие государства на территории Закавказья и Средней Азии. Восточные славяне, М., 1955.
243. **Джамурзаев С.** Проблемы древней этнической истории Грузии и Кавказа, автореферат, Тб., 1999.
244. **Дьяконов И.М.** Древняя Таврика до римской окупации. _ ВДИ, 1939, №3, изд. Огиз. соцекгиз, 72-86 с.
245. **Дьяконов И.М.** Заметки по урартской эпиграфике. Эпиграфика Востока, VI, 1952 г.
246. **Дьяконов, И.М.** История Мидии, М-Л., изд. АН СССР, 1956, 488 с.
247. **Дьяконов И.М.** Малая Азия и Армения около 600 г. до н.э... ВДИ, 1981, №2, изд. „Наука," 34-64 с.
248. **Ельницкий Л.А.** Из исторической географии древней Колхидвı. _ ВДИ, 1938, №2, 307-320 с.
249. **Есаян С.А.** Погребова М. Скифские памятники Закавказья, М., 1985, 151 с.
250. Тер-мартиросов Ф.И. О стране Наири-Хубушкия. - Историко-филологический журнал, Ер. 1972, №2, 213-218 с.
251. **Техов Б.В.** Тлийский могильник, II, Тб., изд. „Мецниереба," 1981, 73табл. 136 с.
252. **Техов Б.В.** Скифия и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э., М., изд. „Наука," 1980, 93 с.
253. **Тревер К.В.** Очерки по истории культуры древней Армении, М-Л., изд. АН СССР, 1953, 288 с.
254. **Инадзе М.Н.** О времени образования Колхидского царства и его политическом устройстве по данным древне-греческих авторов, v всесоюзная сессия по др. Востоку, Тб., 1971, 138-139 с.
255. **Инадзе М.Н.** О времени образования Колхидского царства по данным древнегреческих авторов. - ВИ, Тб., изд. „Мецниереба," 1973, 159-169 с.

**256. Инадзе М.Н.** Причерноморские города древней Колхиды, Тб., изд. „Мецниереба,“ 1968, 271 с.
**257. Инал-ипа Ш.** Абхазы, изд. „Алашара,“ 1965, 694 с.
**258. Исарлов Л.С.** Письма о Грузии, Тиф., М. Шарадзе, 1899, 418 с.
259. История Азербайджана, в трех томах, т. I, Баку, 1958, 424 с.
260. История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в., М., изд. „Наука,“ 1988, 543 с.
**261. Каухчишвили Т.С.** Античные источники по истории города Батуми. - ИР, ТБ., изд. „Мецниереба,“ 1988, 243-249 с.
**262. Качарава Д.** Квирквелия Г. Города и поселения Причерноморья в античной эпохе, Тб., изд. „Мецниереба,“ 1991, 655 с.
**263. Кахидзе А.Ю.** Восточное причерноморье в античную эпоху, Бат., изд. „Сабчота Аджара,“ 1981, 76 с. 36 т.
**264. Ковалевская В.Б.** Кавказ и аланы, М., изд. „Наука,“ 1984, 192 с.
**265. Крупнов Е.И.** Кимерийцы на Северном Кавказе. - Материалы и исл. по археологии СССР, 1968, 176-195 с.
**266. Крупнов Е.И.** О походе скифов через Кавказ. Вопросы скифосарматской археологии, М., 1954, 186-194 с.
**267. Куклина И.В.** Ранние известия о скифах и кимерийцах. - ВДИ, 1981, №2, 162-173 с.
268. Культура раннефеодальной Армении (IV-VIIвв.), Ер., изд. института истории, 1980, 531 с.
**269. Ломоури Н.Ю.** Грузино-римские взаимоотношения, т. I, Тб., изд. ун-та, 1981, 326 с.
**270. Ломоури Н.Ю.** Из исторической географии древней Колхиды - ВДИ, изд. АН СССР, 1957, №4, 96-109 с.
**271. Лорткипанидзе Г.А.** Колхида в VI-II вв. до н.э., Тб., изд. „Мецниереба,“ 1978, 168 с.
**272. Лорткипанидзе О.Д.** Древняя Колхида, миф и археология, Тб., 1979.
**273. Лорткипанидзе О.Д.** К проблеме греческой колонизации восточного Причерноморья (Колхиды). _ ПГК, Тб., изд. „Мецниереба,“ 1979, 187-256 с.
**274. Лорткипанидзе О.Д.** Наследие древней Грузии, Тб., изд. „Мецниереба,“ 1989, 437 с.
**275. Любимов Л.** Искусство древнего мира, М., изд. „Просвещение,“ 1980, 319 с.

276. **Магомедов А.Х.** Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968.
277. **Максимова М.И.** Античные города Юго-Восточного Причерноморья, М-Л., изд. АН СССР, 1956, 472 с.
278. **Манандян Я.А.** Крутовой путь Помпея в Закавказье. с ВДИ, 1939, №4, 70-82 с.
279. **Манандян Я.А.** Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду. - ВДИ, 1940, №3-4, 89-100 с.
280. **Манандян Я.А.** О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен (V в. до н.э. - XV в. н.э.), Ер. изд. ун-та, 1954, 439 с.
281. **Манандян Я.А.** О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ер., изд. Айпетрат, 1944, 155 с.
282. **Мартиросян А.А.** Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ер., изд. АН Армении, 1964, 350 с. 32 таб.
283. **Марр Н.Я.** Где сохранилось сванское склонение? С-П., 1911.
284. **Марр Н.Я.** Этапы развития яфетической теории, Лен., изд. Баимк, 1933, 397 с.
285. **Марр Н.Я.** Кавказские племенные названия и местные параллели, П., изд. россиская АН. труды, 1922, 39 с.
286. **Марр Н.Я.** Чанский (Лазский) язык, С_П, типогр. импер. АН., 1910, 240 с.
287. **Меликишвили Г.А.** К истории древней Грузии, Тб., изд. АН Грузии, 1959, 504 с.
288. **Меликишвили Г.А.** Наири-Урарту, Тб., изд. АН Грузии, 1954, 446 с.
289. **Меликсет-беков Л.** Введение истории государственных образований Южного-Кавказа., Тиф., 1924.
290. **Мкрян М.М.** Мовсес Хоренеци, под редакцией З. Налбандяна, Ер., 1968, 181 с.
291. **Микеладзе Т.К.** К археология Колхиды, Тб., изд. „Мецниереба,“ 1990 145 с.
292. **Микеладзе Т.К.** К вопросу о периодизации истории древней Колхиды - ВИ, Тб., изд. „Мецниереба,“ 1973, 126-155 с.
293. **Моисеева Т.А.** К вопросу о характере фригийского государства в VIII - начале VII в. до н.э. - ВДИ, 1986, №3, 9-32 с.
294. **Мусхелишвили Д.Л.** Из исторической географии Восточной Грузии (Шаки и Гогарена), Тб., изд. „Мецниереба,“ 1982, 101 с.

295. **Мусхелишвили Д.Л.** Основные вопросы исторической географии Грузии. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.
296. **Насидзе Г., Личели В.** Об ареале колхидской культуры, _ Причерноморье В VII-V вв. до н.э., Тб., изд. „Мецниереба," 1990, 220-285 с.
297. **Пайчадзе Г.Г.** Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., изд. „Мецниереба," 1989, 66 с.
298. **Петерс Д.** К проблеме этногенеза населения Иберии. - ВДИ, 1940, №3-4, 166-181 с.
299. **Пиотровский Б.Б.** Археологическое изучение древнейшего Закавказья _ ВДИ, 1947, №3.
300. **Пиотровский Б.Б.** Ванское царство (Урарту), М., изд. инст. истории, 1959, 284 с.
301. **Пиотровский Б.Б.** История и культура Урарту, Ер., изд. АН Армении, 1944, 364 с.
302. **Пиотровский Б.Б.** Кармир-блур, I, II, Ер., изд. АН Армении, 1950, 1952, 6429, 6430.
303. **Пиотровский Б.Б.** Урартское государство во второй половине VIII в. до н.э. - ВДИ, 1939, №1, 65-78 с.
304. **Пиотровский Б.Б.** Урарту, древнейшее государство Закавказья, Лен., 1939.
305. **Плиев Р.** Хранитель тайн - язык, М., Издат-центр, 1997, 110 с.
306. **Погребова М.Н.** Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время, М., изд. „Наука," 1984, 247 с.
307. **Погребова М.Н.** Скифские памятники Закавказья, М., 1985.
По этапам развития яфетической теории, сборник статей Н. Марра, М-Л., изд. НИИ, 1926, 387 с.
308. **Струве В.В.** Датировка Бехистунской надписи. _ ВДИ, 1952, №1, 26-48 с.
309. **Успенский Ф.И.** Старинная крепость на устье Чорохи, П., изд. АН Росии, 1917, 163-169 с.
310. **Ушаков П.Н.** К походам Урартийцев в Закавказье. _ ВДИ, 1946, №2, 31-44 с.
311. **Хазарадзе Н.В.** Гекатеевы матиены. _ ВИ, Тб., изд. „Мецниереба," 1973, 111-119 с.
312. **Хазарадзе Н.В.** К вопросу о расселении мосхов VI-V вв. до н.э. - აიპ, თბ., 1991, 7-32 გვ.

313. **Хазарадзе Н.В.** К истории термина „табал" ассирийских письменных источников. _ КБС, Тб., изд. „Мецниереба," 1984, 93-101 с.

314. **Хазарадзе Н.В.** Лувийско-иероглифические надписи Хартапу. _ VI, თბ, 1980, 84-93 გვ.

315. **Хачатурян А.К.** Пересмотр древнейшего периода Наири-Урартской истории, Ер., изд. Инст. наук и ист. Арм. 1932.

316. **Хаханов А.С.** Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, Тф. 1891, 70 с.

317. **Хахутаншвили Д.А.** К истории древнеколхидской металлургии железа, V ВСДВ, тезиси из докладов, Тб., тип. АН Грузии, 1971, 142-143 с.

318. **Хахутаишвили Д.А.** Новооткрытые памятники древнеколхидской металлургии железа, АПКИ, М., 1977, 29-33 с.

319. **Хахутаишвили Д.А.** Писменные источники о халибах... Тб., изд. „Мецниереба," 1988, 234-237 с. 22 ил.

320. **Хахутаншвили Д.А.** Производство железа в древней Колхиде, Тб., изд. „Мецниереба," 1987, 261 с. 22 ил.

321. **Худадов В.Н.** Халды-Урартийцы после падения Ванского царства. _ ВДИ, 1938, №2, 122-126 с.

322. **Akurgal E.** Ancient civilizations and zuins turkei, Istambul,

323. **Braund D.** Georgian in Ahmiguitu, 550 bc-AD 562, oxford, Clarengon press, 1994, p. 359.

324. **The Greeks in the Blask Sea. from the Bronze age to the Early Twentieth Century, Athens, Panorama, 1991, 301 p.**

325. **Usufeli ilce Kuylere hizmet Guturme Birlci yayin no:1, A3vstos, 1996.**

326. **Tsetshladze N.**, Gogitidze S. Osmanli Цncesi Єavєat Tarihi. - 3veneburi, kbltbrel Dergi, №40, Istambul, 2001 p. 16-19.

327. **J. G.F. Hind.** Herodotus. Geography of Skytia... Причерноморье в VII- V вв. до н.э. Тб., 1990, 127-139 с.

# სარჩევი


შესავალი 3

წყაროები და ისტორიოგრაფია 7

თავი I

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ასურულ და ურარტულ ხანაში

§1. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხები ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში 25

§2. აია-კოლხეთის ქვეყნის ადგილმდებარეობის ძიების ისტორიიდან 77

თავი II

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უძველესი გაერთიანება დაიენ-დიაოხი

დაიაენ-დიაოხი

(ტერიტორია, საზღვრები) 97

თავი III

ცვლილებანი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ და ეთნიკურ რუკაზე (ძვ. წ. VIII ს. დასასრული და VI ს. დასაწყისი) 111

თავი IV

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო უძველესი ბერძნული წყაროების მიხედვით

§1. ძველი ბერძენი მწერლების ცნობები სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომების განსახლების შესახებ 141

§2. მატიენას ტომის ეთნიკური წარმომავლობისა და ლოკალიზაციისათვის 220

ძირითადი დასკვნები 232

რეზიუმე (რუს. ენაზე) 237

რეზიუმე (ინგლ. ენაზე) 241

შემოკლებანი 242

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 244

გამომც. რედაქტორი ჯემალ სურმანიძე
მხატვრული რედაქტორი ზურაბ ზუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორები ეთერ ბუქიძე
რობერტ ლომაძე
უფროსი კორექტორი ნანული წილოსანი
კორექტორი აიდა აბუსერიძე
პროგრამისტი მალხაზ შალავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.05.2002, ქაღალდის ზომა 60X84 1/16, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,10, ფიზიკური თაბახი 17, შეკვ. №21, ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

ს. ს. „გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, გოგებაშვილის, 24

ს. ს. „გამომცემლობა აჭარის" პოლიგრაფიული ცენტრი, კოსტავას, 5